საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
28 სექტემბერი – 4 ოქტომბერი, 2016
№35 (364)

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru



**«ტოტალური გარე კონტროლის პირობებში ეროვნული პოლიტიკური ძალების ჩამოყალიბება შეუძლებელია»**

3

ალექსანდრე ჭაჭია:

## ამ არჩევნების დანიშნულება და მნიშვნელობა არის ის, რომ საბოლოოდ დასამარდეს «ნაცმოძრაობის» პრეტენზია ძალაუფლებაზე

მეუფე მელქისედეკი:

5

## თურქები ბათუმს ისედაც თავიანთ ქალაქად მიიჩნევენ, რომელიც, ადრე თუ გვიან, უნდა დაიბრუნონ

7

## «ისე სამარცხვინოდ დამარცხდება ჰოლანდიელი ქალბატონი, რომ სამეგრელოსკენ აღარასოდეს გამოიხედავს»

# ოპერაცია «სანდრაროსა», ანუ დამხობა გადატრიალებით

4





# ვინ და რატომ აძლევს ხმას მონობას?

2



## «ძლიერი, სტაბილური და განვითარებული ეკონომიკის არსებობა წარმოუდგენელია ადგილობრივი წარმოების განვითარების გარეშე»

12

## აჭარის გათავისუფლების ხსოვნის უკვდავსაყოფად

20

## «სად არის დაპირებული სამართლიანობა, ის უმთავრესი პირობა, რომლისთვისაც ხალხმა «ქართული ოცნება» აირჩია?»

26

## რატომ აღარ სჭირდება სააკაშვილს ცესკო და ხათუნა გოგორიშვილი

8

## დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ალბათ, ოდესმე მოვა დრო, როდესაც დღევანდელი ხელისუფლების წარმომადგენლები მიხვდებიან, რომ საბედისწერო შეცდომა დაუშვეს, როცა ქვეყნის ტოტალურ დენაციფიკაციაზე უარი თქვეს. დენაციფიკაცია არის წამალი, მანიაკური იდეებისგან მოსახლეობის ნაწილის განკურნების საშუალება, რომლის გარეშე შეუძლებელია ნორმალური დემოკრატიული სახელმწიფოს ჩამოყალიბება.**

**„ყველაზე მეტად განვიცდი, რომ 250 000 კაცია მათი მხარდამჭერი; ვერ იზრდება ამ დროის განმავლობაში, მაგრამ, სამწუხაროდ, დიდად ვერც შემცირდა. მე არ ვიცი, როგორ გამოვთქვა ამომრჩევლისადმი, რომელიც კიდევ ჭამს, უკაცრავად და, მათ უჭერს მხარს. როგორ ახერხებენ მათ მოტყუებას, საოცრებაა. სიცრუის ოსტატები არიან“, — განაცხადა გასულ კვირას ბიძინა ივანიშვილმა „ნაცმოძრაობაზე“ საუბრისას („ინტერპრესნიუსი“). ალბათ, საინტერესო იქნება იმის დადგენა, ვინ ვის და როგორ ატყუებს სინამდვილეში.**

# ვინ და რატომ აძლევს ხმას მონობას?



**საკაშვილი შეიძლება გაქრეს საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრებიდან, მაგრამ წარმატების მიღწევის ის მოდელი, რომელიც მან ერთგულ პოლიტიკოსებს, ბიზნესმენებსა თუ რიგით ზონდერებსა და კოორდინატორებს შესთავაზა, დარჩება და მას სხვა ლიდერი გამოიყენებს. მისი მთავარი ფორმულა, ალბათ, ასეთია: «კეთილდღეობა მონობის სანაცვლოდ»**

ბოლო პერიოდში, როდესაც სატელევიზიო ეთერში გადის სააკაშვილის რეჟიმის სადიზმის ამსახველი ვიდეოჩანაწერები ან სერიალ „ჰეროკრატიის“ მორიგი ნაწილი, „ნაცმოძრაობის“ ლიდერები და აქტივისტები მასმედიისა თუ სოციალური ქსელების მეშვეობით, ერთგვარი სიამაყით, ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ეს მათ ამომრჩეველზე არ იმოქმედებს. ძნელი სათქმელია, რა არის საამაყო იმაში, რომ სააკაშვილის ჯგუფი, ტოტალიტარული სექტებისა არ იყოს, ეყრდნობა ხალხს, რომელიც სხვის ტკივილს ვერ გრძნობს, თუმცა მთავარი, ალბათ, ის არის, როგორ მივიდნენ ისინი ამ მდგომარეობამდე.

როდესაც ხელისუფლება ეთერში მსგავს ჩანაწერებს უშვებს, ძველი რეჟიმის მომხრეების გადარწმუნებას ნაკლებად ცდილობს, ეს უფრო მისი მოწინააღმდეგეების მობილიზების მცდელობაა, რაც წინასაარჩევნოდ მეტად აქტუალურია. ამ ტაქტიკამ შეიძლება არასასურველი შედეგიც მოიტანოს. მაგალითად, გასულ კვირას, **26 მაისის დარბევის კადრების გამოქვეყნების შემდეგ, ბევრი მოქალაქე ძალიან გაღიზიანდა იმის გამო, რომ ხელისუფლებამ იქ აღზევებული ჯალათების უმრავლესობა არ დასაჯა, ხოლო არაერთი მათგანი დღესაც სამართალდამცავ ორგანოებში მუშაობს. თუმცა ამა თუ იმ ჩანაწერის პიარეფექტი „ქართული ოცნების“ პრობლემაა და არა საზოგადოების, რომლისთვისაც ყველაზე მნიშვნელოვანია ის საფრთხე, რომელსაც ქვეყანას ანტიდემოკრატიული რეჟიმის რესტავრაციაზე ორიენტირებული პირები უქმნიან.**

საქართველოს უახლეს ისტორიას ხშირად ლიდერების დაპირისპირების ჭრილში განვიხილავთ, მაგალითად, „შევარდნაძე მჟავანაძის წინააღმდეგ“, „სააკაშვილი შევარდნაძის წინააღმდეგ“, „ივანიშვილი სააკაშვილის წინააღმდეგ“ და ა.შ. ბევრს ვსაუბრობთ პოლიტიკოსების თვისებებზე და ვივიწყებთ იმ პროცესებს, რომლებიც საზოგადოების შიგნით მიმდინარეობდა, იმ ჯგუფებს, რომლებიც თითოეული მათგანის უკან იდგა. მაგალითად, შევარდნაძე მჟავანაძესთან ბრძოლის თუ რეჟიმის განმტკიცების პროცესში უწინარესად ეყრდნობოდა მათ, ვისი მამებიც სტალინის ეპოქაში შიდა ელიტურ ბრძოლაში დამარცხნენ (რეპრესირებულნი იყვნენ ან კონკურენციას ვერ გაუძლეს, ზოგი კი ომში დაიღუპა). შვილებს რევანში სწყუროდათ და შევარდნაძემ მათში საიმედო დასაყრდენი დაინახა.

**ბრძოლა ელიტის შიგნით, ცხადია, შევარდნაძის მმართველობის წლებშიც გაგრძელდა — ზოგი იმარჯვებდა, ზოგი კი მარცხდებოდა და ისევ გაჩნდნენ ოჯახები, რომელთა წარმომადგენლები ოცნებობდნენ იმაზე, რომ ვინმეს მათთვის იგივე როლი შეესრულებინა, რომელიც შევარდნაძემ თავისი მოკავშირეებისთვის – მარტივად რომ ვთქვათ, ქონება და ძალაუფლება მათ სასარგებლოდ გადაენაწილებინა. ეს „ლუზერები“ (ძველი ელიტის გადასახედიდან) წარმოადგენდნენ მასალას, რომლისგანაც სავსებით შესაძლებელი იყო მხარდამჭერთა არმიის ბირთვის ფორმირება.**

XX საუკუნის მიწურულს, მთელი ელიტა თუ არა, მისი დიდი ნაწილი მივიდა დასკვნამდე, რომ საჭიროა სახელმწიფოს გარდაქმნა, გათანამედროვება, წინააღმდეგ შემთხვევაში მოხდებოდა ნამდვილი რევოლუცია, რომელიც ყველაფერს წალეკავდა. „ახალგაზრდა რეფორმატორები“ ამ კონტექსტში განიხილებოდნენ, როგორც ნაკლებად ესთეტიკური, მაგრამ საჭირო ინსტრუმენტი — მისი მეშვეობით არაპოპულარული, თუმცა აუცილებელი რეფორმები უნდა გატარებულიყო. 2003-ში არავინ ელოდა, რომ სააკაშვილი „შიგაელიტური გადატრიალების“ მოწყობას დააპირებდა და, სამართალდამცავების გამოყენებით აქტივების გადანაწილებას ადრინდელ მფლობელებზე გაცილებით საშიში სუბიექტების სასარგებლოდ დაიწყებდა.

საბოლოოდ ის დამარცხდა და იძულებული შეიქნა, ხელისუფლება დაეთმო, მაგრამ დარჩნენ ადამიანები, რომლებსაც მისი რეჟიმის გამოყენებით საკუთარი ფინანსური მდგომარეობისა და სოციალური სტატუსის მკვეთრი გაუმჯობესება სურდათ.

**თუ თვალს გადავავლებთ ბოლოდროინდელ პოლიტიკურ კონფლიქტებს, იოლად მივხვდებით: მათი ერთ-ერთი მთავარი მიზეზი არის ის, რომ „სოციალური ლიფტი“ საქართველოში ნორმალურად არ მუშაობს. იმისათვის, რომ „ზემოთ“ ავიდეს, ბევრ ადამიანს უწევს, ამა თუ იმ ლიდერს ერთგულად ემსახუროს და წარმოუდგენელ ზნეობრივ კომპრომისზე წავიდეს. ასეთ შემთხვევაში ის შეიძლება ცხოველს დაემსგავსოს და ყველაზე სადისტური მკვლელობა და წამება გაამართლოს. ამის მთავარი მიზეზი არის ის, რომ ეშინია, დაბრუნდეს ფსკერზე, სადაც, პროცენტიანი ვალებისა და შიმშილთან ბრძოლის გარდა, არაფერი ელოდება.**

აქ შეიძლება ბევრი ლამაზი სიტყვა ითქვას იმის თაობაზე, რომ საჭიროა დემოკრატიის განმტკიცება, „სოციალური ლიფტის“ გარემონტება და ა.შ., მაგრამ, სანამ ქვეყანა ასე უიმედოდ ღარიბი იქნება, ყოველივე ეს მხოლოდ კეთილ სურვილებად დარჩება, ხოლო ავტორიტარიზმის ტრადიციები არ მოისპობა, ამიტომ **ერთადერთი საშუალება, რომელიც ნაწილობრივ მაინც შეზღუდავს ანტიდემოკრატიულ ინსტინქტებს, იმის ჩვენებაა, რომ რეჟიმის დანაშაულში თანამონაწილეობა დაისჯება. შესაძლოა, მიზანშეწონილი იყოს ისეთი ზომების გატარება, როგორსაც გერმანიის დენაციფიკაციის პროცესში მიმართეს.**

თანამდებობების დაკავების ან ამა თუ იმ სფეროში მოღვაწეობის აკრძალვა ფრიად უსიამოვნო, მაგრამ, როგორც გერმანული გამოცდილება ცხადყოფს, საკმაოდ ეფექტიანი მეთოდია, თუმცა მთავარი მაინც დამნაშავეების დასჯაა — რიგითი ჯალათებიდან პოლიტიკურ ხელმძღვანელებამდე. ამის გარეშე, სავარაუდოდ, არ იქნება არც კანონის უზენაესობა, არც დემოკრატია, არც სიმშვიდე.

აქ, ალბათ, ორიოდე სიტყვა იმაზეც უნდა ითქვას, როგორ უდგება ამ პრობლემას **ბიძინა ივანიშვილი**. თავის დროზე, საქართველოში დაბრუნების შემდეგ, ედუარდ შევარდნაძემ ვერ მოძებნა ფორმა, რომელიც „ზვიადისტებს“ ქვეყნის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრულფასოვანი ინტეგრაციის შესაძლებლობას მისცემდა და მცირე შანსს მაინც დაუტოვებდა ყბადაღებული „ლიფტით“ ესარგებლათ. ისინი, ფაქტობრივად, იზოლაციაში, გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, ძალიან გამწარდნენ და, მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკურ არენაზე ვერაფერი გააწყვეს, მთელი სისტემისთვის დესტაბილიზაციის მნიშვნელოვან ფაქტორად იქცნენ. სხვათა შორის, ამის შედეგად წარმოიქმნა ძალიან უცნაური ფენომენი **„ზვიადისტი-მიშისტი“. ასეთები ნამდვილად არსებობენ, მიუხედავად იმისა, რომ გამსახურდიასა და სააკაშვილის თვალსაზრისები ერთმანეთისგან ისევე განსხვავდება, როგორც ცა და დედამიწა.** ივანიშვილმა, სავარაუდოდ, გააცნობიერა, რომ სრული იზოლაციის ვარიანტი კონტრპროდუქტიულია და სხვა გზით წავიდა. მან პოლიტიკურ იზოლაციაში მხოლოდ „ნაციონალური მოძრაობა“ მოაქცია (ისიც რეალური შეზღუდვების გარეშე), მაგრამ მის მხარდამჭერებს ხისტი მეთოდებით არ გაუსწორდა — მათი უმრავლესობა სამსახურებიდან არ გაყარა, არანაირი განსაკუთრებული სანქციები სააკაშვილის რეჟიმთან თანამშრომლობისთვის, რომელიც ხშირად დანაშაულის ჩადენაში გამოიხატებოდა, არ დაუწესა. საბოლოოდ, დაისაჯა მხოლოდ რამდენიმე ათეული ძალიან ოდიოზური ფიგურა. **ივანიშვილი თითქოს ცდილობს, სააკაშვილის მხარდამჭერებს მიანიშნოს, რომ სოციალური ლიფტის კარი მათთვის არ დახურულა, რომ შეუძლიათ თავი მშვიდად იგრძნონ და საეჭვო გზით მოპოვებული ქონება თუ სოციალური სტატუსი შეინარჩუნონ.** შევარდნაძესთან შედარებით, რომელიც მოწინააღდეგეებს ნაკლებად ინდობდა, ივანიშვილი (ამ საკითხში) ძალზე რბილი და ლიბერალურია. გასაგებია, რომ „ზვიადისტების“ წინააღმდეგ გამოყენებული მეთოდები მიუღებელია და სტრატეგიული (თუმცა არა ტაქტიკური) თვალსაზრისით არაეფექტიანი გამოდგა, მაგრამ **ის, რასაც ივანიშვილი აკეთებს, ქართულ დემოკრატიას, ალბათ, ჩანასახშივე მოკლავს, რადგან, როდესაც ბოროტება არ ისჯება, ის აუცილებლად ბრუნდება. დასჯის გარეშე (განაჩენი შეიძლება მსუბუქი ან სიმბოლური იყოს, მთავარია ფაქტი) დამნაშავეები ვერაფერს მიხვდებიან და არც გამოსწორების გზას დაადგებიან.**

მთავარი პრობლემა დასუსტებული და ნახევრადშეშლილი სააკაშვილი კი არ არის, არამედ ახალი ფიურერი, რომელსაც ეს ადამიანები მალევე მოძებნიან, რათა მისგან შემდეგი სახის დაპირება მიიღონ: „ამათ წავართმევ და თქვენ მოგცემთ“. ამიტომ **მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ბელადის ერთგულებისა და ადამიანთა უფლების დარღვევის ხარჯზე შესაძლებელია საკუთარი ბედნიერი ცხოვრების მოწყობა, უნდა ამოიძირკვოს ქირურგიული მეთოდების (დენაციფიკაცია) გამოყენებით, წინააღმდეგ შემთხვევაში ყველაფერი განმეორდება.**

სიცრუე, რომელსაც ბიძინა ივანიშვილი ახსენებს, აქ, ალბათ, მხოლოდ მეორეხარისხოვან როლს თამაშობს. მთავარია, რომ ეს ადამიანები მიიჩნევენ — ხელისუფლებაში დაბრუნების შემდეგ სააკაშვილი აღადგენს თამაშის ძველ წესებს და, აქედან გამომდინარე, ეკონომიკური და პოლიტიკური აქტივების მოპოვების პროცესში გაცილებით ნაკლები კონკურენტი ეყოლებათ, ვიდრე დღეს ჰყავთ. სწორედ ამიტომ ისინი ყოველთვის გააკეთებენ არჩევანს სააკაშვილის და არა ივანიშვილის სისტემის სასარგებლოდ და არასოდეს დააფასებენ იმას, რომ ივანიშვილმა 2012-ში მასების რისხვას გადაარჩინა. **საბოლოო ჯამში, ეს არ არის პოლიტიკა, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ბრძოლაა არსებობისთვის უკიდურესად ღატაკ ქვეყანაში. სააკაშვილი შეიძლება გაქრეს საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრებიდან, მაგრამ წარმატების მიღწევის ის მოდელი, რომელიც მან ერთგულ პოლიტიკოსებს, ბიზნესმენებს თუ რიგით ზონდერებსა და კოორდინატორებს შესთავაზა, დარჩება და მას სხვა ლიდერი გამოიყენებს. მისი მთავარი ფორმულა, ალბათ, ასეთია: „კეთილდღეობა მონობის სანაცვლოდ“. სხვათა შორის, აუცილებელი არ არის, ახალი ფიურერი „ნაცმოძრაობის“ წიაღში აღმოცენდეს, მას შეიძლება სულ სხვა პოლიტიკური ბიოგრაფია ჰქონდეს.**

ალბათ, ოდესმე მოვა დრო, როდესაც დღევანდელი ხელისუფლების წარმომადგენლები მიხვდებიან, რომ საბედისწერო შეცდომა დაუშვეს, როცა ქვეყნის ტოტალურ დენაციფიკაციაზე უარი თქვეს. დენაციფიკაცია არის წამალი, მანიაკური იდეებისგან მოსახლეობის ნაწილის განკურნების საშუალება, რომლის გარეშე შეუძლებელია ნორმალური დემოკრატიული სახელმწიფოს ჩამოყალიბება. თუ გერმანია მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ნაცისტური იდეოლოგიისგან არ გათავისუფლდებოდა, ვერ მოხერხდებოდა ჰიტლერის ყოფილი მომდევრების ინტეგრირება დემოკრატიული სისტემის ფარგლებში, ხოლო მათი ლიდერები, ადრე თუ გვიან, ხელისუფლებაში დაბრუნების გზებს მოძებნიდნენ და ამას ხელს, სავარაუდოდ, მოკავშირეთა საოკუპაციო ძალებიც ვერ შეუშლიდნენ. რომ არა დენაციფიკაცია, გერმანია დღეს ძლიერი და ამაყი ქვეყანა არ იქნებოდა და ამ გზის გავლა, ადრე თუ გვიან, სააკაშვილის რეჟიმისგან გათავისუფლებულ საქართველოსაც მოუწევს.

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„საზოგადოების მოაზროვნე ნაწილს, ასეთი კი უმრავლესობაა საქართველოში, ესმის, რომ ნაციონალები — ეს არის უბედურება, სირცხვილი და ქვეყნისთვის პატივის აყრა. ამერიკელებიც კი, რომლებმაც შექმნეს და ხელისუფლებაშიც მოიყვანეს ნაციონალები, დაჟინებით აღარ ითხოვენ სერიოზულ პოლიტიკურ ძალად მის შენარჩუნებას და ამჟამინდელი არჩევნები ამის ნათელი დასტური იქნება: ამერიკელები აღარ მოითხოვენ არჩევნების გაყალბებას ნაციონალების სასარგებლოდ“.**

### ალექსანდრე ჭაჭია:

# ამ არჩევნების დანიშნულება და მნიშვნელობა არის ის, რომ საბოლოოდ დასამარდეს «ნაცმოძრაობის» პრეტენზია ძალაუფლებაზე

**საქართველოში მიმდინარე პროცესებისა და წინასაარჩევნო პოლიტიკური ვითარების გაანალიზება ცნობილ პოლიტოლოგს, ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას ვთხოვეთ.**



**— ბატონო ალექსანდრე, დიდი ხანია, ქვეყნის პოლიტიკური სიტუაციის ანალიზით ქართულ პრესაში არ გამოსულხართ. საქართველოში მნიშვნელოვანი პროცესები მიმდინარეობს, მაგრამ ამ პროცესების სერიოზული ანალიზის ნაკლებობაა, საერთოდ, საქართველოს შესახებ კვალიფიციური ანალიტიკური მასალების დიდი დეფიციტია...**

— პოლიტიკური ანალიზის თვალსაზრისით, ჩვენი ქვეყანა, სამწუხაროდ, საინტერესო არ არის. ანალიზისთვის ის ქვეყნებია საინტერესო, რომლებიც, საკუთარი ხალხის ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, ატარებენ ან ცდილობენ, გაატარონ დამოუკიდებელი პოლიტიკა. საქართველო ამ ქვეყნებს არ მიეკუთვნება. **საქართველოს პოლიტიკური ქცევის ფორმულის გამოსაყვანად საკმარისია იცოდე წინა აზიასა და სამხრეთ კავკასიაში აშშ-ის პოლიტიკის არსი. საქართველოს არავინ განიხილავს დამოუკიდებელ მოთამაშედ თუნდაც ამიერკავკასიაში,** ამიტომ არც მსოფლიო მედია და არც სერიოზული პოლიტოლოგიური ცენტრები არ აანალიზებენ საქართველოში მიმდინარე პროცესებსა და პოლიტიკურ ვითარებას. **პირადად მე კი, როგორც ცნობილია, საკმაოდ ბევრს ვწერდი საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე, მათ შორის, თქვენ გაზეთშიც. შემიძლია გითხრათ, რომ ანალიზი, წინადადებები, რეკომენდაციები, რომლებიც მოცემული იყო თუნდაც 5-10-15 წლისწინანდელ სტატიებში, სამწუხაროდ, დღემდე აქტუალურია.**

**— რა არის ამგვარი პოლიტიკური სტაგნაციის მიზეზი?**

— მიზეზი არის ის, რომ **საქართველოში, მიუხედავად 25-წლიანი ფორმალური დამოუკიდებლობისა, ვერ ჩამოყალიბდა ეროვნულ ინტერესებზე ორიენტირებული, დამოუკიდებელი პოლიტიკური კლასი. მეტიც, ვერ ჩამოყალიბდა მყარი იდეოლოგიური პლატფორმის, ალტერნატიული პოლიტიკური და ეკონომიკური კონცეფციების მქონე პოლიტიკური პარტიები, რომელთა შორისაც ელექტორატი შეძლებდა მისთვის მისაღები ძალის არჩევას.** დააკვირდით, რა ესმის დღეს ამომრჩეველს პოლიტიკური ლიდერებისგან: „მე ვარ პროდასავლური კურსის მომხრე, ვოცნებობ ნატოსა და ევროკავშირში შესვლაზე, მიყვარს ამერიკა და ამერიკული ფასეულობები, ხოლო სხვებისგან იმით განვსხვავდები, რომ ნამდვილი მომხრე ვარ, გულწრფელად მიყვარს და გულწრფელად ვოცნებობ, ამიტომ უნდა ვიყო პრემიერი, ჩემი ცოლი — თავდაცვის მინისტრი, ჩემი ნათესავი — შინაგან საქმეთა მინისტრი, ჩემი საყვარელი — საგარეო საქმეთა მინისტრი და ა.შ.“ სხვათა შორის, ანალოგიური რამ ესმის ამ ლიდერებისგან ამერიკის ელჩსაც: „დამიქირეთ მხარი, მე უფრო ყოჩაღად შემიძლია ამერიკის ინტერესების დაცვა, ვიდრე არსებულ ხელისუფლებას!“. ამასთანავე, **როგორც ზოგადად პოლიტიკა, ასევე საარჩევნო პროცესი, პარტიების შექმნა-დანაწევრება, არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობაც ტოტალური უმუშევრობისა და სიღარიბის პირობებში მცირე ბიზნესის ნაწილად იქცა, სადაც იდეების, კონცეფციების, ქვეყნის განვითარების სტრატეგიული პროგრამებისთვის ადგილი არ არის.**

**— მიუხედავად ამისა, 8 ოქტომბერს საპარლამენტო არჩევნები გაიმართება. თქვენ საქართველოში ბევრი მომხრე გყავთ, თქვენს შეხედულებებს იზიარებენ, გენდობიან... ვის მიმართ ხართ კეთილგანწყობილი?**

— პირადი პოლიტიკური კეთილგანწყობა, ისევე, როგორც, ალბათ, ქართველი ამომრჩევლების უმრავლესობას, არ გამაჩნია. თუმცა არსებობს მიზანშეწონილობის საკითხი, რომლითაც, როგორც ჩანს, ისარგებლებს კიდეც ჩვენი ამომრჩეველი. საქმე ის არის, რომ, როგორც წინა, ასევე, ამჟამინდელ არჩევნებშიც ძირითად მეტოქეებად „ნაცმოძრაობა“ და „ქართული ოცნება“ გვევლინებიან. **„ქართული ოცნება“, რა თქმა უნდა, პარტია არ არის, არანაირი რეალური პოლიტიკური, ეკონომიკური პროგრამა და შესაბამისი ინტელექტუალური პოტენციალი მას არ გააჩნია და „ინტერესთა კლუბს“ უფრო წარმოადგენს. ინტერესი კი დღეს ერთია — არ დავუშვათ „ნაცმოძრაობის“ რეინკარნაცია, რასაც მოსახლეობის უმრავლესობა დაუჭერს მხარს. იმ გარემოებამ, რომ „ქართული ოცნების“ მეტოქე „ნაცმოძრაობაა“, მას ერთხელ უკვე მოუტანა გამარჯვება და, მიუხედავად მოსახლეობის სრული იმედგაცრუებისა, ამჟამინდელ არჩევნებშიც უზრუნველყოფს „ოცნების“ დამაჯერებელ გამარჯვებას.** საზოგადოების მოაზროვნე ნაწილს, ასეთი კი უმრავლესობაა საქართველოში, ესმის, რომ ნაციონალები — ეს არის უბედურება, სირცხვილი და ქვეყნისთვის პატივის აყრა. ამერიკელებიც კი, რომლებმაც შექმნეს და ხელისუფლებაშიც მოიყვანეს ნაციონალები, დაჟინებით აღარ ითხოვენ სერიოზულ პოლიტიკურ ძალად მის შენარჩუნებას და ამჟამინდელი არჩევნები ამის ნათელი დასტური იქნება: ამერიკელები აღარ მოითხოვენ არჩევნების გაყალბებას ნაციონალების სასარგებლოდ. სხვა საქმეა, რომ **პოლიტიკურ არარაობაში „ნაცმოძრაობის“ გადაბარგებასთან ერთად „ქართული ოცნების“ საზოგადოებრივი მხარდაჭერაც ნულისკენ დაექანება და შემდეგი არჩევნებისთვის როგორც ეს პარტია, ასევე მთავრობის „არნახული წარმატებებით“ მუდამ აღფრთოვანებული მისი არაფორმალური ლიდერი მოსახლეობაში მხოლოდ ირონიას გამოიწვევენ.**

**— საზოგადოებაში არის შიში, რომ „ნაცმოძრაობა“ არ შეურიგდება დამარცხებას და ვითარების დესტაბილიზაციას შეეცდება.**

— არ არის გამორიცხული, ეს მათი სტილია. „ნაცმოძრაობა“ ხომ ასევე არ არის პარტია იდეებით, კონცეფციებითა და ქვეყნის განვითარების სტრატეგიით, სამაგიეროდ, ეს არის პოლიტტექნოლოგიების, მათ შორის ძირგამომთხრელი პოლიტტექნოლოგიების, პარტია. თუმცა **ძალის გამოყენებით მასშტაბურ დესტაბილიზაციაზე „ნაცმოძრაობა“ მხოლოდ იმ შემთხვევაში წავა, თუ ამერიკელებს გადაწყვეტილი აქვთ, რუსეთის სამხრეთ საზღვრებთან ხელახლა შექმნან ცხელი წერტილი. ამერიკის თანხმობისა და უშუალო დახმარების გარეშე ნაციონალები მასშტაბურ დესტაბილიზაციას ვერ გაბედავენ.** რა თქმა უნდა, იქნება ექსცესები — ჩხუბი, მიტინგები, არჩევნების გაყალბების ბრალდებები, მაგრამ ამაზე შორს საქმე არ წავა.

**— ხომ შეიძლება, ივანიშვილის მხრიდან დამოუკიდებელი საგარეო-პოლიტიკური ნაბიჯების თავიდან ასაცილებლად, მისთვის, ასე ვთქვათ, „ადგილის მისაჩენად“ ამერიკელებმა ნაციონალების დესტრუქციას დაუჭირონ მხარი?**

— ამის არანაირი აუცილებლობა არ არის. ივანიშვილის კაპიტალი დასავლეთში, ამერიკულ ბანკებშია. ეს კი საუკეთესო გარანტიაა იმისა, რომ იგი არავითარ შემთხვევაში არ გადადგამს დამოუკიდებელ ნაბიჯს. **შეუძლებელია, ღარიბი ქვეყნის მდიდარი მმართველი პოლიტიკურად დამოუკიდებელი იყოს.**

**— რამდენიმე პარტია ცდილობს, „მესამე ძალად“ წარმოაჩინოს თავი. მაგალითად, პაატა ბურჭულაძე მიილტვოდა ამ სტატუსისკენ.**

— დიახ, არის ათი თუ ოცი პარტია, მათ შორის, ბურჭულაძის, ალასანიას, ნათელაშვილის, რესპუბლიკელების, რომლებიც გაიძახიან, რომ „სულით ხორცამდე პროდასავლურები“, „ჭეშმარიტად პროამერიკულები“ არიან. ასეთ პოლიტიკოსებზე უკვე ვისაუბრეთ, მათ არ აქვთ პერსპექტივა. „მესამე ძალა“ რომ გახდე, პირველი ორის ალტერნატივა უნდა იყო. ეს პარტიები კი ერთ პოლიტიკურ ველზე ძოვენ, ველზე, რომელიც უკვე განაწილებულია და იქ მათთვის ადგილი არ არის.

**— ალტერნატიულ თვალსაზრისს გამოთქვამენ თოფაძე, მეჭიაური, ბურჯანაძე...**

— **თუკი გაერთიანდებოდნენ, მათ ჰქონდათ „მესამე ძალად“ ჩამოყალიბების შანსი. არ ვიცი, რა უშლით ხელს – პირადი ამბიციები თუ „მეგობრების რჩევა“, მაგრამ ისინი მხოლოდ აბნევენ და ფანტავენ იმ ელექტორატს, რომელსაც ქვეყნის განვითარების ალტერნატიული მოდელი სურს.** როგორც ვატყობ, ქვეყნის განვითარების მკაფიო სტრატეგიაც არ აქვთ. აქვთ დეკლარირებული მიზნები, მაგრამ მათი მიღწევის საშუალებები და მეთოდები გაუგებარია. მიუხედავად ამისა, ბურჯანაძეს მაინც აქვს ბარიერის გადალახვის შესაძლებლობა. საქართველოში დღეს ხელსაყრელი ნიადაგია მისი ამჟამინდელი, ხაზს ვუსვამ, ამჟამინდელი პოლიტიკური მსოფლმხედველობისთვის; ხოლო, თუკი ვერ მიიღებს საჭირო რაოდენობის ხმებს, ესე იგი ხალხმა მას წარსული პოლიტიკური ქცევა არ აპატია, არ დაიჯერა მისი ტრანსფორმაცია და პოლიტიკური შეხედულებების 180 გრადუსით შეცვლა.

**— ბოლო პერიოდში გაიზარდა „პატრიოტთა ალიანსის“ მხარდამჭერთა რაოდენობა. თქვენი აზრით, რა პერსპექტივა აქვს ამ პარტიას?**

— ეს პარტიაც ცდილობს, დაუმტკიცოს ამერიკელებს, რომ მათიანია და სანდოა. ალტერნატიულ პოლიტიკურ ძალად ამ პარტიის ჩამოყალიბების პერსპექტივა დღეს არ ჩანს, მაგრამ პარლამენტში შესვლა შეუძლია, რადგან, სხვა პარტიებისგან განსხვავებით, „პატრიოტთა ალიანსს“ უდავოდ აქვს დამსახურება ქართველი საზოგადოების წინაშე. სწორედ მათ, გაასაჯაროეს რა ნაციონალების მხეცობის ვიდეოკადრები, მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს არჩევნებში „ნაცმოძრაობის“ დამარცხებაში. ვფიქრობ, **ამ სკანდალური კადრების გარეშე „ოცნება“ ასე დამაჯერებლად ვერ მოიპოვებდა ხმათა უმრავლესობას.** საგარეჯოს არჩევნებში მაქინაციების მხილებითაც „ალიანსმა“ აჩვენა, როგორ „პატივს სცემს“ რესპუბლიკური პარტია კანონსა და დემოკრატიულ ღირებულებებს. **გარდა ამისა, „ალიანსმა“ სწორი, ეროვნულად ორიენტირებული პოზიცია დაიკავა თურქეთის ფინანსურ-ეკონომიკური და კულტურულ-რელიგიური ექსპანსიის მიმართაც. ასეთი ხალხი საჭიროა პარლამენტში, მით უფრო იმის გათვალისწინებით, რომ უახლოეს წლებში თურქეთთან ურთიერთობაში სერიოზული პრობლემები გველის. აჭარელი ნაცების ლიდერმა აჭარლებს ხომ უკვე უწოდა თურქი ერის ნაწილი, ხოლო თუ „ერთიანი ერი“ გახლეჩილია, მოვა მისი „გაერთიანების“ დროც.**

**— გამოდის, არჩევნების შემდეგ ქვეყნის ცხოვრებაში თვისობრივ ცვლილებებს არ უნდა ველოდოთ...**

— **ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში, საგარეო და საშინაო პოლიტიკაში თვისობრივი ცვლილებები არ იქნება. თვისობრივად არც დეპუტატთა კორპუსი გაუმჯობესდება. ხომ იცნობთ პარტიულ სიებს. კი, ყველა სიაში არის საზოგადოების ორი-სამი ავტორიტეტული წარმომადგენელი და პარლამენტში შეიძლება მოხვდეს ათიოდე სერიოზული ადამიანი, მაგრამ ეს ხომ არაფერია გადაწყვეტილების მიღებისას. ათიოდე გონიერი დეპუტატი წინა პარლამენტშიც იყო, მაგრამ რა ხეირი?**

ამ არჩევნების დანიშნულება არ არის კვალიფიციური და ეროვნულად ორიენტირებული პარლამენტის არჩევა, ასეთის ასარჩევად არჩევანი არ გვაქვს; **ტოტალური გარე კონტროლის პირობებში ეროვნული პოლიტიკური ძალების ჩამოყალიბება შეუძლებელია. ამ არჩევნების დანიშნულება და მნიშვნელობა არის ის, რომ საბოლოოდ დასამარდეს „ნაცმოძრაობის“ პრეტენზია ძალაუფლებაზე, რათა ამერიკას ვაჩვენოთ, რომ „ნაცმოძრაობა“ არ არის სერიოზული პოლიტიკური ძალა საქართველოში. ამიტომაც ყველა, ვისაც მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა გააჩნია, უნდა მივიდეს არჩევნებზე და გამოხატოს ეს პოზიცია.** მთავარია, რომ ამ არჩევნების შედეგებით ამერიკელებმა ჩამოწერონ ნაციონალები, დარწმუნდნენ მათი შემდგომი მხარდაჭერის უპერსპექტივობაში. ისინი, რა თქმა უნდა, მალევე შექმნიან „ახალ ნაციონალებს“ სხვა სახელით (ათეულობით პარტია დგას რიგში და ელოდება თავის ჟამს), მოამზადებენ მათ შემდეგ არჩევნებში გაკოტრებული „ქართული ოცნების“ ჩასანაცვლებლად, მაგრამ ამ ყველაფერს 2-3 წელიწადი დასჭირდება. ამასობაში კი, შესაძლოა, პატრიოტულმა ძალებმა შეძლონ კონსოლიდირება, რადგან კატასტროფის პირას, ქართველებში, როგორც წესი, თვითგადარჩენის ინსტინქტი ილვიძებს.

ესაუბრა
**ირაკლი თოდუა**

ვაი ქვეყნისაგან
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სანდრამ ყველაზე კარგად იცის, რომ მისი ქმარი მშიშარაა და ისიც იცის, რომ მიშას „ვაჟკაცობის“ შესახებ ხალხმაც იცის, ამიტომ ყველა შეხვედრაზე იმის მტკიცება უწევს, რომ მიშას არაფრის ეშინია და აუცილებლად ჩამოვა, მაგრამ, სულო ცოდვილო, რა ვუყოთ იმ კადრებს, რომლებზეც ნათლად ჩანს, როგორ კანკალებს მიშა და მიწაზე ხოხავს... ნუ, მართალია, ვიდეოდან მიშას მიერ დაყენებული სუნის შეგრძნება ვერ ხერხდება.**

# ოპერაცია «სანდრაროსა», ანუ დამხობა გადატრიალებით

**წინა და მოქმედ ხელისუფლებებს ორი უკიდურესობა სჭირთ: სააკაშვილის ხელისუფლების პირობებში არ იგეგმებოდა სახელმწიფო გადატრიალება, არ ხდებოდა ტერაქტები, მაგრამ სახელმწიფო გადატრიალების მოსურნეებსაც და ტერორისტებსაც ლამის კვარტალში ერთხელ იჭერდნენ. ამჟამინდელ ხელისუფლებას კი, აგერ უკვე მეოთხე წელია, ლამის კვარტალში ერთხელ უანონსებენ, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ სახელმწიფო გადატრიალებისთვის ემზადება და ესენი ყურს არ იბერტყავენ.**





ნამდვილად ვერ გეტყვით, მეტი რა უნდა ქნან ნაციონალებმა, როგორ უნდა თქვან უფრო გასაგებად, რომ ხელისუფლებაში დაბრუნებას ძალადობრივი სცენარით აპირებენ. ამ ყველაფერზე ერთი ანეკდოტი მახსენდება (ბოლო სამი დღეა, ანეკდოტები აქტუალური თემაა): მოწმე სასამართლოზე ამბობს, ჩვენი მიხო მეზობელ ქალს ხის ძირში აბახებდაო. მოსამართლე შეუსწორებს — კი არ აბახებდა, სექსუალურ კავშირს ამყარებდაო. ბატონო მოსამართლე, შორიდან მეც ასე მეგონა, რომ სექსუალურ კავშირს ამყარებდა, მაგრამ ახლოს რომ მივედი, აშკარად აბახებდაო...

შორიდან რას ხედავს პროკურატურა, ვერ გეტყვით, მაგრამ ახლოდან ისე ჩანს, რომ ნაციონალები ძველი გეგმის მიხედვით აპირებენ მოქმედებას. აკი ამბობს კიდეც უკრაინული „ვიკილიქსის“ მიერ გამოქვეყნებულ ჩანაწერში **პეტრე ცისკარიშვილი**, — კადაფი უნდა გავიმეოროთ საქართველოშიო. იმ ჩანაწერში ბევრი სხვაც არის, მაგრამ ამაზე — მოგვიანებით.

**„თავისუფალი ზონის“ წევრების განცხადებამ კიდევ ერთხელ დაადასტურა ის, რაზეც ჩვენ ამ პერიოდის განმავლობაში ვსაუბრობთ. „ნაციონალური მოძრაობის“ ოფისებში იგეგმება დესტაბილიზაცია, დგება კონკრეტული გეგმა, რომლის განსახორციელებლად კონკრეტული დაჯგუფებები, ე.წ. დამატებითი ორგანიზაციები იქმნება. ეს არის ის, რაზეც ბოლო პერიოდში ვსაუბრობდით. ძალიან კარგია, რომ „ნაციონალურ მოძრაობაშიც“ აღმოჩნდნენ ისეთი ადამიანები, რომლებიც დანაშაულებრივ გეგმას ემიჯნებიან. ჩვენ, კარგა ხანია, ვამბობთ, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ შიგნით არის განხეთქილება, არის მოტივაციის ნაკლებობა და ეს ყველაფერი დაკავშირებულია იმ დანაშაულებრივ გეგმებთან, რომლებსაც „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერები, მიხეილ სააკაშვილის ხელმძღვანელობით, ოდესიდან აწყობენ“,** — ეს, ვინმე რიგითმა ადამიანმა კი არა, „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ აღმასრულებელმა მდივანმა და პარტიული სიის მესამე ნომერმა **ირაკლი კობახიძემ** განაცხადა.

ირაკლი კობახიძის განცხადებას 27 სექტემბერს გამოეხმაურა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური და მისმა თანამშრომლებმა „ნაციონალური მოძრაობის“ ოფისში დაკითხვის უწყებები მიიტანეს, მაგრამ ნაციონალებმა დაკითხვაზე დაბარების უწყებები არ ჩაიბარეს.

ერთადერთი, რაც სამართალდამცველებმა გააკეთეს, იყო ის, რომ დაკითხეს „თავისუფალი ზონის“ ის წევრები, რომლებმაც განაცხადეს დაგეგმილ პროვოკაციაზე და პარტია დატოვეს.

აქეთ შინაგან საქმეთა მინისტრმა თქვა, — ყველაფრისთვის მზად ვართო, მაგრამ, იცით, რა არის საინტერესო? ეს თურქეთი ხომ ჩვენი მეგობარი და მოძმეა (ასე გვიმტკიცებენ, ყოველ შემთხვევაში), ჰოდა, **რატომ არ უგზავნის შინაგან საქმეთა სამინისტრო თურქეთის ხელისუფლებას წერილს, ძებნილი მიხეილ სააკაშვილი აპირებს თქვენს ქვეყანაში ჩამოსვლას და ეგებ დააკავოთო?** შესაძლოა, ამ წერილს მოქმედება არ მოჰყვეს მოძმე თურქეთის მხრიდან, მაგრამ წერილის მიწერას და პოზიციის გამოხატვას რა უდგას წინ?!

**„მიშა იძახის, რომ სანდრა — ეს მე ვარ. ძალიან ვცდილობ, რომ პოლიტიკოსობა ვისწავლო, მაგრამ, რა თქმა უნდა, ჯერ ძალიან შორს ვარ მისი ნიჭისგან და ხედვისგან. მან ყოველთვის წინასწარ იცის, რა უნდა მოხდეს და ეს მართლდება. ის აქ იქნება ჩვენთან ერთად, რომ გამარჯვება იზეიმოს. ოდესიდან სოლოლაკამდე გვირაბის გათხრაც რომ დასჭირდეს, ის ამას გააკეთებს და ჩვენთან ერთად იქნება“,** — განაცხადა ყოფილმა პირველმა ლედიმ **სანდრა რულოვსმა.**

როგორია? **ამას ამბობს ქალი, რომელმაც არ უპასუხა კითხვას, რატომ იხარჯებოდა მილიონობით ლარი სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისი და მისი შვილების მოგზაურობისთვის; რატომ იხდიდა სახელმწიფო მისი შვილების სწავლის საფასურს და რატომ არავინ სვამს კითხვას: რატომ არ არიან სანდრას შვილები მის გვერდით? როგორც ამბობენ, შვილები ისე ჰგვანან მამას, რომ, შესაძლოა, მათმა დანახვამ აგრესია გამოიწვიოს ხალხში.**

სანდრამ ყველაზე კარგად იცის, რომ მისი ქმარი მშიშარაა და ისიც იცის, რომ მიშას „ვაჟკაცობის“ შესახებ ხალხმაც იცის, ამიტომ ყველა შეხვედრაზე იმის მტკიცება უწევს, რომ მიშას არაფრის ეშინია და აუცილებლად ჩამოვა, მაგრამ, სულო ცოდვილო, რა ვუყოთ იმ კადრებს, რომლებზეც ნათლად ჩანს, როგორ კანკალებს მიშა და მიწაზე ხოხავს... ნუ, მართალია, ვიდეოდან მიშას მიერ დაყენებული სუნის შეგრძნება ვერ ხერხდება.

ახლა რაც შეეხება ნაციონალების გეგმას. როგორც ჩანს, ერთადერთი საღად მოაზროვნე ამ გუნდში **გიგა ბოკერია** დარჩა. გაგიკვირდებათ და, სწორედ ბოკერიაა ის კაცი, რომელიც, რევოლუციური სცენარის გარდა, სხვა ვარიანტსაც განიხილავს და, პარლამენტში მოხვედრის შემთხვევაში, კოალიციაზე ფიქრობს. ბოკერია ფიქრობს, რომ **ბურჭულაძესთან**, რესპუბლიკელებთან, თავისუფალ დემოკრატებთან გაერთიანებით, უმრავლესობის შექმნას შეძლებს, მაგრამ ისიც კარგად იცის, რომ აღნიშნულ ორ პარტიას ბარიერის გადალახვის სერიოზული პრობლემა ექნება. აქედან გამომდინარე, იძულებულია, დაეთანხმოს რევოლუციურ სცენარს, რომელიც, უკრაინული „ვიკილიქსის“ ინფორმაციით, ძალიან მარტივია.

**სააკაშვილმა უკვე დააანონსა, რომ ის არ ენდობა არც ერთ ეგზიტპოლს და არ აინტერესებს, რას იტყვიან ხალხი ან უცხოური ორგანიზაციები. ის ენდობა მხოლოდ ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ს და რა შედეგსაც გამოაქვეყნებს აღნიშნული ტელევიზია, ის იქნება სააკაშვილისთვის ჭეშმარიტება.**

„არჩევნები ვერ გაყალბდება! ივანიშვილმა რაღაც რომ არ გააყალბოს და რომ არ იმანიპულიროს, არ შეუძლია, მაგრამ, ჯერ ერთი, არსებობს უამრავი მექანიზმი, რომლებიც ჩავდეთ თავის დროზე კანონმდებლობაში. ეს — სხვათა შორის, უკრაინისგან განსხვავებით, რადგან უკრაინაში ძალიან ადვილია 3-6%-ის მოპარვა. საქართველოში 2013 წლის შემდეგ ბევრჯერ გადავხარშეთ, სერიოზულად შევცვალეთ კანონმდებლობა და ეს იქნება შეუძლებელი.

მეორე — იქნება ეგზიტპოლები. „რუსთავი 2“ ხომ ვერ დაკეტეს, „რუსთავი 2“-ის ეგზიტპოლმა იწინასწარმეტყველა აკურატულად ჩვენი დამარცხება 2012 წელს. მე რომ გამოვედი და ვაღიარე შედეგები, კომისიის შედეგებს კი არ დავეყრდენი, როგორც კი „რუსთავი 2“-ის ეგზიტპოლი ვნახე, ერთი წუთით არ მიყოყმანია, რადგან ვენდობოდი მთლიანად ამ ეგზიტპოლს. გამოვედი და განვაცხადე, რომ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ არჩევნები წააგო. ამ შემთხვევაში მე ეს გამოვაცხადე არა როგორც „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერმა, არამედ როგორც პრეზიდენტმა, რომელიც ყველაზე მაღლა უნდა მდგარიყო. ბევრმა ჩემმა მეგობარმა მისაყვედურა, შენ რომ გამოაცხადე, იმის მერე კომისიებში ჩამოგვეშალა სიტუაციაო, მაგრამ სიმართლე არის სიმართლე. მერე „რუსთავი 2“-მა იწინასწარმეტყველა აკურატულად ჩვენი დამარცხება საპრეზიდენტო არჩევნებში 2013-ში, ჩვენი დამარცხება ადგილობრივ არჩევნებში... ასე რომ, **ხალხმა იცის, „რუსთავი 2“ სწორად წინასწარმეტყველებს.**

ის, რომ ივანიშვილი პარალელურად ეგზიტპოლებს აკეთებს, იმის არავის სჯერა, დაახლოებით პატარკაციშვილი აკეთებდა იმავეს, ვიღაც აფერისტები რომ ჩამოიყვანა. ყველამ იცის, რომ **„რუსთავი 2“-ის ეგზიტპოლში რაც იქნება, ეს იქნება ვერდიქტი...** როგორც კი ის გამოცხადდება, მერე გინდა სცადოს გადაწერა, გინდა გადმოწერა — ეს არაფერს შეცვლის, ამიტომ ხალხისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, როცა მივალთ საარჩევნო უბნებზე, ვუთხრათ სიმართლე გამომკითხავებს.

მე ვიცი, რომ ბევრ ჩვენს მოქალაქეს ეხათრება სიმართლის თქმა ოპოზიციის სასარგებლოდ და ვუთხრათ მათ სიმართლე რა... იმიტომ, რომ ჩვენი პატარა სიმართლე შეიკრიბება ერთი დიდი სიმართლის ნაკადულად, დიდ მდინარედ, რომელიც შემდეგ იქცევა წარღვნად ივანიშვილის „ოცნებისთვის“ და მოხდება დემოკრატიის საბოლოო გამარჯვება საქართველოში“, — განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

რა გამოდის? მიშასთვის სულერთია, რა შედეგი დადგება, მთავარია, რას იტყვის „რუსთავი 2“. აღნიშნულმა ტელეკომპანიამ კი ეგზიტპოლების გაკეთება ნაციონალების ერთ-ერთი ლიდერის — **ლევან თარხნიშვილის** ცოლის კომპანიას დაუკვეთა. მართალია, აღნიშნულ კომპანიაში უცხოელებიც მუშაობენ, მაგრამ სქემა უმარტივესია — თარხნიშვილის მეუღლეს ექნება იმ ადამიანების სია, რომლებსაც უნდა ჰკითხოს, ვის მისცეს ხმა და ასე გამოჭედავენ ნაციონალების გამარჯვებას. გამოკითხული ათასი კაციდან, სულ ცოტა, 700 იტყვის, რომ ნაციონალებს მისცა ხმა და ამ შედეგით აღტკინებული სააკაშვილი, გეგმის მიხედვით, სარფის გამშვებ პუნქტს უნდა მოადგეს, აქედან კი ლევან ვარშალომიძე უნდა დახვდეს გულანთებული ხალხით. შემდეგ, სააკაშვილი რომ არ დააპატიმრონ, ის ამ ხალხის მასასთან ერთად უნდა დაიძრას თბილისისკენ, სამეგრელოში უნდა შეუერთდეს სხვა ადამიანების მასა და უნდა მიადგნენ სოლოლაკში ივანიშვილის სახლს შეძახილებით: „წადი, წადი“...

**ყველაფერთან ერთად, ურიგო არ იქნება, თუ სანდრას სამეგრელოში ერთ-ერთ შეხვედრაზე ისევე დაუსისხლიანებენ ცხვირ-პირს, როგორც ეს ჩიორა თაქთაქიშვილს გაუკეთეს, და მერე რა, თუ სანდრას ეტკინება, აიტანს... ასეთები აუტანია?!**

**მიშას გეგმა, რომელსაც ხუმრობით „სანდრაროსას“ ეძახის, ძალიან ჰგავს ჰიტლერის „ბარბაროსას“. მართალია, სააკაშვილის ორეულმა „ბარბაროსა“ ვერ განახორციელა და ბოლოში ვერ გავიდა, მაგრამ მის გეგმას უამრავი მსხვერპლი მოჰყვა. მსხვერპლი სააკაშვილს ახლა ყველაზე მეტად აძლევს ხელს, რადგან მისი პრინციპი ასეთია — ერთი ადამიანის სიკვდილი ტრაგედიაა, ბევრის — სტატისტიკა. ნაციონალებმა სტატისტიკაზე მუშაობა რომ იციან, 9 წლის განმავლობაში დაამტკიცეს და... პროკურატურასა და პოლიციაში კოაბიტირებული ხალხი როდემდე უნდა გვყავდეს, ვინმემ ხომ არ იცის?!**

დასასრულ, მიშა არ მალავს, რომ ზურგს ისევ ამერიკელები უმაგრებენ და „ნაციონალური მოძრაობა“ ამ მხარდაჭერის სანაცვლოდ ამერიკის საპრეზიდენტო მარათონში სერიოზულ შეწირულობებს აკეთებს. ამერიკელების ძალის ვისაც არ სჯერა, შევახსენებ, რომ სწორედ ამერიკელების ძალისხმევით, ბრაზილიის პრეზიდენტი **დილმა რუსეფი**, რომელმაც თავის დროზე არჩევნებში დიდი უპირატესობით გაიმარჯვა, ახლახან იმპიჩმენტის ძალით დაამხეს და „ქართულ ოცნებას“ რას დამართებენ?

**გიორგი გელაშვილი**

„გამოდის საქართველოს განათლების მინისტრი ალექსანდრე ჯეჯელავა და აცხადებს, მიუხედავად იმისა, რომ თურქებს უარი ვუთხარით, მაინც გახსეს სკოლაო. ამ განცხადების შემდეგ ჯეჯელავა არათუ თანამდებობიდან მოსახსნელია, არამედ დასასჯელი. რას ჰქვია, უარი უთხარი და თურქმა სკოლა მაინც გაგიხსნა?! იქნებ არ უთხარი უარი და ხალხის გასაგონად ამბობ ამას?“

ხმა ბერისა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

მეუფე მელქისედეკი:

# თურქები ბათუმს ისედაც თავიანთ ქალაქად მიიჩნევენ, რომელიც, ადრე თუ გვიან, უნდა დაიბრუნონ

მამა ელიზბარ დიაკონიძე ჩვენი გაზეთის რესპონდენტი არაერთხელ ყოფილა. ის ქვეყნისთვის საჭირბოროტო საკითხებზე ყოველთვის დაუფარავად და თამამად საუბრობს. მამა ელიზბარი ამჟამად იტალიაში საქმიანობს, სლავური დიასპორების საეგზარქოსომ ის მეუფე მელქისედეკად აკურთხა და იტალიაში, ვენეციისა და ვენეტოს ეპისკოპოსი და ფინეთისა და სკანდინავიის ქვეყნების ეპარქიის დროებითი მმართველია. მეუფე მელქისედეკი „საქართველო და მსოფლიოს“ საქართველოში მიმდინარე მოვლენებზე ესაუბრა.



— არჩევნები ახლოვდება. საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის — მიხეილ სააკაშვილის განცხადებები, რომ ის დარწმუნებულია „ნაციონალური მოძრაობის“ გამარჯვებაში, ჯარი და პოლიცია ამ ხელისუფლების მხარეს არ არის და მეტიც, აცხადებს, რომ დაუჯერებს არა არჩევნების, არამედ ეგზიტპოლის შედეგებს, არის თუ არა სახელმწიფო გადატრიალებისკენ მოწოდება და მოსალოდნელია თუ არა არჩევნების შემდეგ ქვეყანაში არეულობა დაიწყოს?

— მოგესალმებით. პირველ რიგში, მინდა, ყველას გისურვოთ სწორი არჩევანი, წინააღმდეგ შემთხვევაში, არაფერი გვეშველება. თუმცა საკითხავია, არჩევანს ვინმე გვეკითხება?! მოსახლეობას ტვინი გამორეცხილი აქვს და ის დამოკიდებულია კუჭში ჩასაშვებ ნივთიერებებზე — ვინც ორ პურს დაჰპირდება, ხმასაც იმას მისცემს. ამას გარდა, საყურადღებოა ინტერესები გარე ძალებისა, რომლებიც დღეს მსოფლიოს მართავენ. მათ ნამდვილად არ აძლევთ ხელს ამ ქვეყანაში სალი აზრის გამარჯვება. ისინი აუცილებლად შეეცდებიან საქართველოში მართლმადიდებლური სულის გარყვნას. არჩევნები იქნება ისეთი შედეგის მომტანი, როგორიც მათ სურთ და არა როგორიც ქართველ ხალხს.

რაც შეეხება სააკაშვილს, რა თქმა უნდა, მას ხელს არ აძლევს, არჩევნების შედეგებს დაუჯეროს... ჩვენს ხელისუფლებას უნდა მოეხდინა რეაგირება და მიხეილ სააკაშვილი თავის დამქაშებიანად ახლა ციხეში უნდა იჯდეს, დარდისგან იდაყვებს იჭამდეს და სიკვდილს ნატრობდეს, მაგრამ ეს ხომ დეგენერატების ხელისუფლებაა და ვინ დაიჭერდა?! ან ვის სურდა მათი დაჭერა, ივანიშვილი შეეცადა თუ პროკურატურა? ყველა სამინისტროში ნაციონალები დატოვეს. ამას წინათ წავაწყდი ასეთ ვითარებას: ადამიანს ეკუთვნოდა სოციალურად დაუცველის სტატუსი, მაგრამ ვინც უნდა მიანიჭოს ეს სტატუსი, ნაციონალების მხარდამჭერია და არ აძლევს მას სტატუსს, რათა შეაძულოს ეს მთავრობა. იმიტომაც არის ასეთი ვითარება ქვეყანაში, იმიტომ ბედავენ ნაციონალებიც და გარე ძალებიც ამდენს. ხომ ხედავთ, რაც ხდება აჭარაში, ესეც ჩვენი ქმედების შედეგია...

— ბათუმში თურქული სკოლა გაიხსნა, რომელსაც თურქეთის მთავრობა აფინანსებს. სწავლა თურქულ ენაზე იქნება, სასწავლო პროგრამა კი — თურქეთის განათლების სამინისტროს მიერ შედგენილი. ამ ფაქტს საზოგადოების ნაწილი აღშფოთებით შეხვდა. რა უარყოფითი შედეგები შეიძლება გამოიწვიოს ამან იმ ფონზე, როცა თურქულ სახელმძღვანელოებში ბათუმი თურქულ ქალაქადაა მოხსენიებული?

— აი სწორედ ნაწილი რომ აღშფოთდა და არა მთელი საქართველო, ეს არის პრობლემა! გამოდის საქართველოს განათლების მინისტრი ალექსანდრე ჯეჯელავა და აცხადებს, — მიუხედავად იმისა, რომ თურქებს უარი ვუთხარით, მაინც გახსეს სკოლაო. ამ განცხადების შემდეგ, ჯეჯელავა არათუ თანამდებობიდან მოსახსნელია, არამედ დასასჯელი. რას ჰქვია, უარი უთხარი და თურქმა სკოლა მაინც გაგიხსნა?! იქნებ არ უთხარი უარი და ხალხის გასაგონად ამბობ ამას? ამას გარდა, რომ აცხადებენ, თითქოს სკოლის გახსნაზე არც საქართველოს განათლების სამინისტროს და არც ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელი არ მიიწვიესო, ვფიქრობ, საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებს თვითონ არ უნდოდათ თურქული სკოლის გახსნისას გამოჩენა, რადგან არჩევნები ახლოვდება და მათი პოზიცია ასეთია — „რაც გინდათ, გახსენით, ოღონდ ჩვენ არ გამოგვაჩინოთ“. დღეს ასლან აბაშიძეს ლანძღავენ და, როცა ის აჭარას ხელმძღვანელობდა, ვერც ერთი თურქი აჭარაში უბრალო ჯიხურის დადგმას ვერ ბედავდა. ხოლო რაც სააკშვილი და შემდეგ „ოცნება“ მოვიდნენ ხელისუფლებაში, თურქები ისე გათამამდნენ, ანეკდოტიც გავრცელდა — თბილისში აღმაშენებლის ძეგლი უკვე ხმალს იქნევსო.

«დღეს ასლან აბაშიძეს ლანძღავენ და, როცა ის აჭარას ხელმძღვანელობდა, ვერც ერთი თურქი აჭარაში უბრალო ჯიხურის დადგმას ვერ ბედავდა. ხოლო რაც სააკშვილი და შემდეგ «ოცნება» მოვიდნენ ხელისუფლებაში, თურქები ისე გათამამდნენ, ანეკდოტიც გავრცელდა — თბილისში აღმაშენებლის ძეგლი უკვე ხმალს იქნევსო»

თურქები ბათუმს ისედაც თავანთ ქალაქად მიიჩნევენ, რომელიც, ადრე თუ გვიან, უნდა დაიბრუნონ. დღეს რომ გამოდიან ამ ხელისუფლების წარმომადგენლები და აცხადებენ, თურქეთი ჩვენი მეგობარიაო, ამიხსნან, რომელ საუკუნესა და წელს გულისხმობენ! ორი კვირა მაინც დამისახელონ ჩვენი ისტორიიდან, როცა თურქი ჩვენი მეგობარი იყო. თუ ვინმე რიგით თურქს ჩვენთან კარგი ურთიერთობა აქვს, ეს არ ნიშნავს, რომ მთელი თურქეთი ჩვენი მეგობარია. ამ ყველაფერს ის შედეგი მოჰყვება, რომ თურქეთი ბათუმს წაგვართმევს. ეს ფაქტი, საფრთხის შემცველი კი არ არის, უკვე მოსული საფრთხეა.

— თუმცა ერთ-ერთი არგუმენტით, ბათუმში ბევრი თურქი ბიზნესმენი ცხოვრობს და ეს სკოლა სწორედ მათი ოჯახებისთვის გაიხსნა.

— ეს რა არგუმენტია?! თურქეთშიც ბევრი ქართველი ცხოვრობს, არის იქ ქართული სკოლა? საბერძნეთშიც ბევრი ქართველია, მხოლოდ ათენში 300 ათასი ქართველი ცხოვრობს, ვინმე გვიხსნის იქ ქართულ სკოლას? თურქეთში სასულიერო პირებს ანაფორით არ უშვებენ, რადგან ამას მათი კონსტიტუცია კრძალავს. ეს უკვე სხვა რჯულის ქადაგებად მიიჩნევა და მღვდელს, იქ რომ ანაფორით იაროს, დაიჭერენ, მე კი აქ სკოლას მიხსნიან.

ებრაელი ერი ხომ ჩვენი მეგობარია. ახლახან ისრაელში გახლდით, ჩვენი ეპარქიის სახელით, იერუსალიმის პატრიარქთან ხატი ჩავაბრძანეთ. როგორც კი გაირკვა საზღვარზე, რომ ქართველები ვიყავით, მაშინვე გაამკაცრეს ქვეყანაში შესვლის წესები. როდესაც ვკითხე, რატომ არ გვიშვებთ, ქართველი და ებრაელი ერის მეგობრობა ხომ ცნობილია-მეთქი, მიზეზად ის დამისახელეს, რომ ქართველები აქ სამუშაოდ რჩებიან და კრიმინალს სჩადიანო. ვინც სჩადის დანაშაულს, დაიჭირონ, მთელი ქართველი ერი რა შუაშია?! კომპაქტურად დასახლებულ იმ უბნებში, რომლებშიც ბევრი ებრაელი ცხოვრობდა, ქართულ ოჯახებში ღორიც კი არ იკვლებოდა მათდამი პატივისცემის ნიშნად. და ეს ხდება მაშინ, როდესაც სხვა ერების მიმართ ასეთ სიმკაცრეს არ იჩენენ.

— ორგანიზაცია „რუხი მგლების“ წევრებმა სარფში გამართეს ხმაურიანი აქცია, სადაც პირდაპირ გაისმა ანტისახელმწიფოებრივი მოწოდებები. სსსკ-ის 308-ე მუხლის მიხედვით, საქართველოს საწინააღმდეგო მოქმედება, მიმართული უცხო ქვეყნისთვის საქართველოს ტერიტორიის ან მისი ნაწილის გადაცემისკენ ანდა საქართველოს ტერიტორიიდან მისი ნაწილის გამოყოფისკენ, ისჯება. რატომ არ რეაგირებს სახელმწიფო მკაცრად?

— პრეზიდენტობის ორი კვირა რომ ჰქონდა დარჩენილი, სააკაშვილმა თურქებს ჩვენ ჯიბრზე მისცა მოქალაქეობა. შედეგად, დღეს, მათი განცხადებით, სარფი თურმე თურქეთია. ეს, იცით, რატომ ხდება? ჩვენ არ ვდგავართ სათანადო სიმაღლეზე და იმიტომ! ბათუმში, ქუთაისის ქუჩაზე, მღვდელი არ გააატარეს. ეს სიტუაცია ნელ-ნელა მწიფდებოდა, რაშიც სააკაშვილმა და დედამისმა დიდი როლი ითამაშეს. ამ ხელისუფლებამ კი ხელი შეუწყო სააკაშვილის რეჟიმის გაგრძელებას. სანდრა რულოვსს ფეხქვეშ მიწა უნდა ეწვოდეს უზნეო ქცევის გამო, ის კი თამამად დადის.

რამდენიმე წლის წინათ მილიონი ხელმოწერა რომ შევაგროვეთ სააკაშვილის გადადგომაზე, ამ ხელისუფლებამ კინწისკვრით გამოგვყარა. რესპუბლიკელი ხმალაძე თვალებს მიქაჩავდა, იცავდა მას — სააკაშვილი ჩემი პრეზიდენტია და ვადის გასვლამდე თანამდებობაზე უნდა იყოსო. მილიონი ხელმოწერა არაფრად ჩააგდეს და მათგან რატომ ელით უკეთეს მომავალს?!

ახლა ხალხს ე.წ. ვიზალიბერალიზაციის იმედი აქვს, მაგრამ ეს დამღუპველია ჩვენი ქვეყნისთვის. ყველა წავა ქვეყნიდან, ვინც დარჩა. ყველაფერი ქართველი კაცის საზიანოდაა, რადგან ქართველი კაცი არ მოქმედებს თავის სასარგებლოდ.

უნდა ითქვას, რომ დღეს იმდენი ხალხი დადის ტაძარში, როგორც არასდროს, მაგრამ სულიერად ისევ მშიერია საზოგადოება, რადგან, რასაც ეკლესიიდან ელის, არ არის ის საკვები, რომლითაც სულს გამოკვებავს.

«დღეს რომ გამოდიან ამ ხელისუფლების წარმომადგენლები და ამბობენ, თურქეთი ჩვენი მეგობარიაო, ამიხსნან, რომელ საუკუნესა და წელს გულისხმობენ. ორი კვირა მაინც დამისახელონ ჩვენი ისტორიიდან, როცა თურქი ჩვენი მეგობარი იყო»

ესაუბრა **შორენა ციქარაშვილი**

არჩევნები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ვხედავ, როგორ გულის გამაწვრილებლად აწრიპინებენ კალამს; როგორ დაუღალავად დაასრიალებენ ნოუთბუქისა თუ ლეპტოპის კლავიატურაზე თითებს; როგორ ასარსალებენ ენას; როგორ ამუნათებენ ამ ჩემი კუთხის ხალხს; ჭკუასაც როგორ არიგებენ, როგორ ასწავლიან, როგორ მიუთითებენ, უქნევენ თითსაც და იმ ავადსახსენებელი „ენმ“-ისადმი მხარდაჭერაში როგორ უპარდონოდ ადანაშაულებენ... წყევლა-კრულვასაც კი უთვლიან და ლამის ნიდერლანდების სოდომ-გომორული სახელმწიფოს შემადგენლობაში შესვლის სურვილშიც კი დაადანაშაულონ ჩემი მრავალჭირნახული მეგრელები.**



# არ შედრკე, არ დანებდე, ჩემო ოდაბადევ!
# ვაგაშქურნას, გოლუაფირო!

**ასეთი დასაწყისი, შესაძლოა, ვინმეს არ მოეწონოს, მაგრამ მიკიბვ-მოკიბვით საუბარი არ მჩვევია და პირდაპირ ვიტყვი: ახლა, როგორც ჩანს, სწორედ ის დროა, კვლავ სამეგრელოს რომ ურტყამს ყველა... მე ვიტყოდი, დაუზარებლად და მანიაკური აღტყინებითაც კი წაღმა-უკუღმა უტლაშუნებენ ამ საბრალო სამეგრელოს. თითქმის ყველა რატომღაც მხოლოდ ამ კუთხესთან დიდგულობს და მედიდურობს... ბოლო დროს ამ ყბადაღებულ საარჩევნო პერიპეტიებთან დაკავშირებით კვლავ გამეცადინდნენ მავანნი და ატეხეს ერთი ალიაქოთი...**




ვხედავ, როგორ გულის გამაწვრილებლად აწრიპინებენ კალამს; როგორ დაუღალავად დაასრიალებენ ნოუთბუქისა თუ ლეპტოპის კლავიატურაზე თითებს; როგორ ასარსალებენ ენას; როგორ ამუნათებენ ამ ჩემი კუთხის ხალხს; ჭკუასაც როგორ არიგებენ, როგორ ასწავლიან, როგორ მიუთითებენ, უქნევენ თითსაც და იმ ავადსახსენებელი „ენმ“-ისადმი მხარდაჭერაში როგორ უპარდონოდ ადანაშაულებენ... წყევლა-კრულვასაც კი უთვლიან და ლამის ნიდერლანდების სოდომ-გომორული სახელმწიფოს შემადგენლობაში შესვლის სურვილშიც კი დაადანაშაულონ ჩემი მრავალჭირნახული მეგრელები. ზოგიერთი ჭკუისკოლოფი იმ ჰოლანდიელი დედაკაცისადმი მეგრელთა ვითომ მხარდაჭერაში ვითომ პოზიტივსაც კი პოულობს და... აჰა, არც მეტი არც ნაკლები, ამგვარი „ბრძნული“ დასკვნაც გამოაქვს: ეს იმას ნიშნავს, რომ სამეგრელომ ზურგი აქცია რუსეთს და კურსი აიღო ევროპისკენო. ხედავთ? აი, მიხვედრილობაც ამას ჰქვია! მაგრამ, ცხადია, რომ ეს არის გაუგონარი სისულელე და ახლა მართლა არ ვიცი, ნამდვილად არ ვიცი, ამაზე ვიცინო თუ თავში ხელი წავიშინო!.. მეცოდება, მეცოდება ჩემი სამეგრელო; მენანება ათასწლეულთა ქარტეხილებს ასე თუ ისე გამოღწეული ჩემი ხალხი. მტკივა, უსაშველოდ მტკივა ჩემი ჯიში და ჯილაგი!.. უფალს მინდა შევთხოვო: ზეციერო, შენ მაინც გადმოხედე წყალობის თვალით და ნუ გაწირავ ისტორიული ბედუკუღმართობით დაჩაგრულ და დაკნინებულ ჩემს სამშობლოს. ამ მოკრძალებული სტატიის მკითხველთა საყურადღებოდ კი მინდა ვთქვა: ნუ ჰგონია ნურავის, რომ მე რაღაცას ვაზვიადებ ან პირიქით — უტრირებას ვუკეთებ. არამც და არამც, ჩემო ძვირფასებო! მშვენივრად ვხედავ, რომ მტერი და მოყვარე ახლა მოყურადებულია ზუგდიდისკენ, მოყურადებულია სამეგრელოსკენ და, „ჭორვილელი აფერისტით“ დაწყებული და ჩუმლაყელი თებროით დამთავრებული, ინტერესით ელოდება, 8 ოქტომბერს რას მოიმოქმედებს მეგრული ელექტორატი. ამაზე რომ ვფიქრობ, შეუძლებელია, არ გამახსენდეს გასული საუკუნის 90-იანი წლებიც და, თუ ვინმეს სურს, კი ბატონო, მისაყვედუროს ამ სიტყვებისთვის, მაგრამ მე მაინც მიჩნდება ერთგვარი საყვედურის განცდა და აი რატომ: ეეხ, **მეგრელებთან დამოკიდებულებაში ერთსულოვანნი და სოლიდარულნი, ნეტავ, მაშინ ყოფილიყვნენ, როცა თბილისის მოსახლეობის დაჩოქების შემდგომ ლამის მარტო რომ ეწინააღმდეგებოდა სამეგრელო იმ ავადმოსაგონარ პუტჩისტურ რეჟიმს.** მართალია, მცირეოდენი გადახვევა კი გამომივიდა, მაგრამ ეს გადახვევა კონტექსტიდან როდია ამოვარდნილი. ახლა კი, მართალია, ვიმეორებ, მაგრამ ამ წინასაარჩევნო პროცესებს რომ ვაკვირდები, ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ნახევარი მსოფლიო მაინც თითქოს იმის მოლოდინშია, რა მოხდება იმ 8 ოქტომბერს ჭურიას, ჩხოუშიას, წენწყარის თუ ტეხირის სანახებში. არადა, იქ, წესით, არაფერი განსაკუთრებული და მოულოდნელი არ უნდა მოხდეს... უფრო ზუსტად, **მოხდება ის, რაც აქ წლების განმავლობაში ხდება პერმანენტულად, ანუ რასაც საგულდაგულოდ იდეოლოგიურად ამზადებენ და პრაქტიკულად ახორციელებენ კორდონებს იქიდან სტიმულირებული ჩვენებური პოლიტიკანები პლუს ე.წ. ენჯეოშნიკები. ეს იმას ნიშნავს, რომ ხელისუფლებას ამჯერადაც გადაინაწილებენ უცხო სახელმწიფოთა ინტერესების ჩვენს ოდაბადეში უნამუსოდ გამტარებელი სამარცხვინო მარიონეტები.**

ახლა — იმ ავადსახსენებელი უფშვიტინესადმი მეგრელთა ყბადაღებული მხარდაჭერის თემას კონკრეტულად რაც შეეხება: ეს ყველაფერი, რბილად რომ ვთქვა, ძალიან გაზვიადებულია. **არა, არ ჰყავს მას და მის ნაცხროვას ჩემს მშობლიურ კუთხეში იმდენი მომხრე, როგორც ამის წარმოჩენა სურთ ცალკეულ უპასუხისმგებლო პირებსა და ინფორმაციის თუ დეზინფორმაციის საშუალებებს. გასაგებია, „ნაციონალური მოძრაობა“ ამის გაზუქებას რატომაც ცდილობს, მაგრამ გაუგებარია, სხვები მუდმივად რატომ აპელირებენ ამაზე. თუმცა სამეგრელოს მოსახლეობის რაღაც ნაწილი შლეგი სააკაშვილისა და მისი ნაცბანდის მხარდამჭერი რომ აღმოჩნდა, ამას გარკვეული სპეციფიკური მიზეზ-საფუძველიც გააჩნია.** ცხადია, მე აქ ამ მოვლენის ვრცელ და სკრუპულოზურ ანალიზს არ შევუდგები, მაგრამ მოკლედ მაინც ვიტყვი, რომ ამის საფუძველიც და მიზეზიც **იმ ავადსახსენებელი 1991-92 წლების დეკემბერ-იანვრის გადატრიალებაში უნდა ვეძებოთ. უნდა ვეძებოთ, ასევე, ჩემი კუთხის ხუთგზის თუ ექვსგზის დალაშქვრა-აწიოკებაში; უნდა ვეძებოთ, ასევე, მეგრელთა ერთი ნაწილის მიერ იმ „კრიშაზე“ ამძვრალი მიშა-უფშვიტინეს შევარდნაძე-ურჩხულის მძლეველ მზეჭაბუკად წარმოსახვაში; უნდა ვეძებოთ სამეგრელოს მოსახლეობის მიზანმიმართულად ინფორმაციულ ვაკუუმში მოქცევაში; უნდა ვეძებოთ ე. წ. ქართული ოცნების, ანუ სახელისუფლო კოალიციის უსუსურობასა და მარიონეტულობაში; ბოლოს და ბოლოს, უნდა ვეძებოთ იმაში, რომ ჩვენი სამშობლო არის ფაქტიური კოლონია და პოლიტიკური პროცესები, ყბადაღებული კოჰაბიტაციის ჩათვლით, აქ ვითარდება ევროატლანტიკური სტრუქტურების მესვეურთა კარნახითა და ნება-სურვილით.** ცხადია, უნდა ვეძებოთ, ამასთანავე, იმაშიც, რომ, სამწუხაროდ, ჩემ მიერ უკვე ჩამოთვლილ მიზეზთა გამო ვერა და ვერ მოხერხდა ეროვნულ-სახელმწიფოებრივ პლატფორმაზე მდგომი მძლავრი და ავტორიტეტული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ძალის ფორმირება. დიახ, უამრავი მიზეზი არსებობს ამის და, როცა ამას შევეხებით, უპრიანია, შევეხოთ კომპლექსურად და კომპეტენტურად გააზრება-გაანალიზებით!..

**«ნაცმოძრაობისადმი» მეგრელთა მასობრივ და დიდ მხარდაჭერაზე მოარული ხმები არის ზღაპარი. არ გამოვრიცხავ, რომ ამგვარი სიცრუისა და ცილისწამების ტირაჟირება, შესაძლოა, გარკვეულ ძალებს კიდეც ხელს აძლევდეს. არ გამოვრიცხავ, რომ მეგრელთა ასოცირება ე.წ. მიშისტობასთან, შესაძლოა, თავის დროზე შეთითხნილი «მეგრელთა საქმის» ერთგვარი გაგრძელება თუ ვარიაცია იყოს; ამიტომ სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ: თუ გინდათ სიმართლე, ჩემი კუთხის მოსახლეობის უმრავლესობა საერთოდ არ უჭერს მხარს საქართველოში არსებულ არც ერთ პოლიტიკურ ძალას**

ასე რომ, **„ნაცმოძრაობისადმი“ მეგრელთა მასობრივ და დიდ მხარდაჭერაზე მოარული ხმები არის ზღაპარი. არ გამოვრიცხავ, რომ ამგვარი სიცრუისა და ცილისწამების ტირაჟირება, შესაძლოა, გარკვეულ ძალებს კიდეც ხელს აძლევდეს! არ გამოვრიცხავ, რომ მეგრელთა ასოცირება ე. წ. მიშისტობასთან თავის დროზე შეთითხნილი „მეგრელთა საქმის“ ერთგვარი გაგრძელება თუ ვარიაცია იყოს, ამიტომ სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ: თუ გინდათ სიმართლე, ჩემი კუთხის მოსახლეობის უმრავლესობა საერთოდ არ უჭერს მხარს საქართველოში არსებულ არც ერთ პოლიტიკურ ძალას.** თუ ვინმეს ამაში ეჭვი ეპარება, ჩემი გულრწფელი რჩევაა, დაითვალოს, კარგად დაითვალოს, რამდენი პროცენტი სამეგრელოს ელექტორატისა მივიდა საარჩევნო ურნებთან ბოლო საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებზე. სხვათა შორის, სიტყვამ მოიტანა და ქართული პოლიტიკური კლასის (ისე, კი მირჩევნია მას ვუწოდო „პოლიტიკანური ქაქი“) უდიდესი ნაწილი მეგრელებს აღიქვამს, არც მეტი არც ნაკლები, „საარჩევნო კენჭებად“. დიახ, ეს არის უდავო ფაქტი! არადა, როგორც უკვე აღვნიშნე, ამ **მეგრელების უმრავლესობა, ანუ, ჩემი აზრით, სულ ცოტა, 60% მაინც, მხარს არ უჭერს ამჟამად არსებულ არც ერთ პოლიტიკურ ძალას. დანარჩენი 40 %-ის ხმები კი ნაწილდება „ქართულ ოცნებაზე“, „ნაციონალურ მოძრაობაზე“, „პატრიოტთა ალიანსზე“ და ა. შ. ამასთანავე, ნამდვილად არ მეეჭვება ისიც, რომ შესაბამის სიტუაციაში ეს 40%-იც, სულ ცოტა, განახევრდება!** ალბათ, ხვდებით, ეს რასაც ნიშნავს. გამოდის, რომ სამეგრელოში არსებობს უზარმაზარი რესურსი, რომლის გამოყენებაც შესაძლებელია როგორც კუთხის, ასევე, საზოგადოდ, ქვეყნის საკეთილდღეოდ. დანაშაულია, დიახ, დანაშაულია, რომ ეს რესურსი და, საერთოდ, სამეგრელოს ფაქტორი არაა ისე გამოყენებული, როგორც უნდა იყოს და როგორც ეს, საერთოდ, ეკადრება უძველესი კოლხების, ერთ დროს კაცობრიობის ცივილიზაციის სათავეებთან მდგომი კოლხების პირდაპირ შთამომავალთ. ვფიქრობ, რომ ამაზე აუცილებლად უნდა დაფიქრდნენ ეროვნულ-ტრადიციული ფასეულობების დაცვაზე ორიენტირებული ადამიანები, თანაც, დროულად, თორემ სულ მალე, შესაძლოა, საერთოდ აღარაფერს ჰქონდეს აზრი. საბედნიეროდ, ჯერ კიდევ არ არის უსაშველოდ დაგვიანებული და ღრმად მწამს, რომ შესაბამისი საზოგადოებრივი ძალის სტრუქტურულად ფორმირების შემთხვევაში, ჩემ მიერ ზემოთ ნახსენები 60% იქნება სწორედ ქვეყნის გადარჩენისათვის მებრძოლი ის ავანგარდი, რომლის მამულიშვილური ძალისხმევაც არა მხოლოდ სამეგრელოს, არამედ, მთლიანად საქართველოს უდავოდ გამოიყვანს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი კოლაფსის თუ კატასტროფის მდგომარეობიდან. დიახ, სამეგრელო უნდა გახდეს ის ძალა, რომელიც პერსპექტივაში სწორი შიდასახელმწიფოებრივი პოლიტიკის განხორციელებისა და სტრატეგიულად გამართლებული საგარეო ორიენტირების შემთხვევაში იტყვის თავის გადამწყვეტ სიტყვას. სამეგრელოს ფაქტორი უნდა იქნას გამოყენებული სახელმწიფოს სასიკეთოდ და არა საზიანოდ. ნურავის დაავიწყდება, რომ თუნდაც ამჟამინდელ საზღვრებში არსებული საქართველოს აღქმა ნამდვილ სახელმწიფოდ არის სრული გაუგებრობა და ყოვლად უპერსპექტივო. სამეგრელოსა და მეგრული ფაქტორის გაუთვალისწინებლად კი ქვეყნის რეინტეგრაციაზე ფიქრიც აბსურდია. თუ რაზე მივანიშნებ ახლა, გონიერნი იოლად მიხვდებიან. ასე რომ, თუ უფალმა დაგვინდო, თუ უფრო დიდი განსაცდელი არ გველოდება, ვიდრე 8 ოქტომბრის არჩევნებია, მაშინ უნდა ვიცოდეთ და უნდა გვახსოვდეს, რომ მომავალში საკრალური და დიადი მიზნები გვქვს განსახორციელებელი. ღმერთმა ქნას, ეროვნულ-სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ადამიანებს აღმოგვაჩნდეს ნებელობაც და შესაძლებლობაც, გავისარჯოთ ისე, როგორც ამას გვკარნახობს, როგორც ამას ჩვენგან მოითხოვს სამშობლოს წარსულის, აწმყოსა და მომავლის ერთობლიობის განცდა, ჩვენი ერის სხვადასხვა თაობას შორის მემკვიდრეობითობის უწყვეტობის განცდა, ჩვენი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი აღორძინების აუცილებლობისა და მისი მარადიულობის განცდა. ცხადია, უნდა ვიყოთ ადეკვატურნი... ცხდია, **უნდა გვესმოდეს ისიც, რომ ევროატლანტიკური სტრუქტურების მესვეურთა სურვილების უსიტყვოდ შემსრულებელი ადგილობრივი მონა-მარიონეტების მიერ მონოპოლიზებულ საქართველოს პოლიტიკურ სივრცეში უაღრესად ძნელია სასურველი მიზნის მიღწევა...** მაგრამ ეს ომია, უშელავათო და უთანასწორო ომი! აუცილებლად უნდა გავაცნობიეროთ, რომ აშკარად ყოფნა-არყოფნის დილემის წინაშე ვდგავართ და სხვა გამოსავალი, ოდენ თვითგადარჩენისთვის ბრძოლისა, არც გვაქვს უკვე! ესეც უნდა გვახსოვდეს მუდამ: ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი! და კიდევ — რაც უნდა პათეტიკურად ისმოდეს ჩემი სიტყვები, მჯერა, ამ ბრძოლაში წინაპართა სულები გაგვაძლიერებენ და უფლის წყალობა-მფარველობაც არ მოგვაკლდება!

ასე რომ:
**არ შედრკე, არ დანებდე,
ჩემო ოდაბადევ!
ვაგაშქურნას, გოლუაფირო!**

**ზურაბ კვარაცხელია**
ზუგდიდი
24. 9. 2016 წ.

„როგორც ზუგდიდელი, ჩემი რაიონის მოსახლეობას ვეტყვი, რომ გაიხსენონ უახლოესი წარსული, გაიხსენონ, რამდენი ოჯახი გაანადგურეს წინა ხელისუფლების პერიოდში, რამდენ ოჯახს ჰყავდა პატიმარი, რამდენი უდანაშაულო ადამიანი აწამეს სასტიკად. ის, რაც სააკაშვილმა და მისმა დანაშაულებრივმა სისტემამ სამეგრელოში ჩაიდინა, არც ერთ მტერს არ უქნია ამ მიწაზე. შესაძლოა, შვილებს გვიყიდიდნენ, გვებრძოდნენ, გვმტრობდნენ, მაგრამ მეგრელი კაცის, ქართველი კაცის გაუპატიურება აზრადაც არავის გაუვლია“.

რეგიონი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# გიზო სართანია: ისე სამარცხვინოდ დამარცხდება ჰოლანდიელი ქალბატონი, რომ სამეგრელოსკენ აღარასოდეს გამოიხედავს

**ზუგდიდის მუნიციპალიტეტში საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარ კანდიდატებს შორის „ქართული ოცნების“ კანდიდატი ედიშერ თოლორაია ლიდერობს — ასეთია „ოცნების“ დაკვეთით ჩატარებული კვლევის შედეგები.**

**საქართველოს ყოფილი პირველი ლედი, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატი“ სანდრა რულოვსი ოპონენტს 11%-ით ჩამორჩება. თოლორაიას რეიტინგი, კვლევის მიხედვით, რომელიც 13-დან 19 სექტემბრამდე ჩატარდა, 42,3%-ია. სანდრა რულოვსს მხარს უჭერს გამოკითხულთა 31,2 პროცენტი.**

**„სანდრა რულოვსის რეიტინგის განმაპირობებელი მთავარი ფაქტორი მისი საზოგადოებრივი ცნობადობაა“, – აღნიშნულია კვლევის ანალიზში.**

**სანდრა რულოვსი ზუგდიდის რაიონული ოლქის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატია. ჰოლანდიელ ქალს ზუგდიდში დიდი პატივით მასპინძლობენ. მას ორასკაციანი სუფრა გაუშალა სოფელ კორცხელში მცხოვრებმა თოლორაიების ოჯახმა; ტრადიციული მეგრული სუფრა გაშალეს კაკულიების ოჯახშიც, სოფელ კახათში. სოფლის პედიატრები ამბობენ, რომ სააკაშვილის ცოლი ავადმყოფების სანახავად დადის და მათ სახლებში შესვლისას ფეხზე იხდის, — ნაწვიმარია და ოთახი არ დავსვაროო. ამაზე აქაური გლეხები აღფრთოვანებით საუბრობენ.**

**20 სექტემბერს ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის თეატრში პრემიერა გაიმართა და თეატრის დირექტორმა ზურაბ ეგუტიამ სანდრა რულოვსი საპატიო სტუმრად მიიწვია. ცენტრალური ტელევიზიების წარმომადგენლები თავქუდმოგლეჯილი გარბიან, თუკი სანდრა რულოვსი სადმე გამოჩნდება, სხვა პარტიების წარმომადგენლებს კი კამერა თვალითაც არ უნახავთ. ტელეჟურნალისტები ამბობენ, პარტიის ლიდერი თუ არ არის ჩამოსული, მაჟორიტარის აქტივობას ვერ გავაშუქებთო.**

**ზუგდიდში ათასი ჭორი დადის. ამბობენ, მთავრობა და ნაცები ერთმანეთს გაურიგდნენ და ზუგდიდის რაიონში სანდრას გაამარჯვებინებენო;**

**ზოგი კი ამბობს, არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე სანდრას ისეთ რამეს გაუკეთებენ, საქართველოში ველარ გაჩერდებაო და ა.შ.**

**ჩვენ ზუგდიდის გამგებლის ყოფილ პირველ მოადგილეს, ამჟამად პატრიოტთა ალიანსის მიერ ზუგდიდის გამგებლის პოსტის კანდიდატად დასახელებულ გიზო სართანიას შევხვდით და შევეცადეთ, მისგან გაგვეგო, რა ხდება ზუგდიდის რაიონში.**



**— ბატონო გიზო, თქვენ „ქართული ოცნება“ დატოვეთ, მიზეზად შიგა განხეთქილება სახელდება, თუმცა თქვენი ყოფილი თანაგუნდელები არ ამართლებენ ამ ნაბიჯს და თვლიან, რომ მათთან უნდა დარჩენილიყავით და პრობლემებს ერთად გამკლავებოდით...**

— მას შემდეგ, რაც ზუგდიდში „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში მოვიდა, მისმა წევრებმა ხალხი სულ დაივიწყეს, განცხრომაში იყვნენ, თანამდებობა პრივილეგიად აქციეს, ნათესავებს ასაქმებდნენ, მიუხედავად იმისა, იყვნენ თუ არა ისინი კომპეტენტურები.

**2012 წლის შემდეგ სულ დავა მქონდა მათთან; ვთხოვდი, ხალხთან მეტი სიახლოვე ჰქონოდათ — თუ ტელეფონზე არ უპასუხებდნენ ადამიანებს, ერთი დღე მაინც გამოეყოთ მოსახლეობასთან შესახვედრად, მაგრამ არავინ მისმენდა. არ მისმენდა არც საკრებულოს თავმჯდომარე და არც გამგებელი; ამას, თუ ვაჟკაცობა ეყოფათ, თავადაც აღიარებენ.**

სულ დაივიწყეს თანამებრძოლები, რომლებმაც საკუთარი სიცოცხლის ფასად ბევრი რამის გაკეთება შეძლეს. ერთი სიტყვით, „ქართული ოცნების“ კარი ზუგდიდში ყველასთვის დაიკეტა, გარდა ნაციონალებისა.

სიტყვა „კოაბიტაცია“ ცხოვრებაში პირველად 2012 წლის არჩევნებში გამარჯვების შემდეგ გავიგე. ამიხსნეს ეს რა პროცესია, გაგებით მოვეკიდე საკითხს, მაგრამ ზუგდიდში კოაბიტაცია არ იყო, ეს იყო შერწყმა ნაცებისა და ქოცების. მეგონა, ეს პროცესი მალე დასრულდებოდა, მაგრამ პირიქით — ეს ორი ძალა „ერთ ხორც და ერთ სულ“ იქცა და მათი ერთმანეთისგან გარჩევა ძნელი შეიქნა.

იმ ადამიანთაგან ბევრი, ვინც ზუგდიდში ადგილობრივ ხელისუფლებაში მოხვდა, „ნაცმოძრაობიდან“ იყო გადმოსული, შანსი „გამოსწორებისა“ ყველას მიეცა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მათ მავნე ჩვევა და ზნე ვერ შეიცვალეს. თვით **მერაბ ქვარაიამ** საკრებულოში აპარატის უფროსად მოიყვანა „გრიხა“, იგივე **გრიგოლ მიქავა**, რომელიც **როლანდ ახალაიას** მარჯვენა ხელი და საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელი იყო. ახალაია, თუ საშუალება გექნებათ მასთან ინტერვიუს ჩაწერის, ამ ინფორმაციას დაადასტურებს.

**— დღეს ზუგდიდში ყოფილი პირველი ლედი სანდრა რულოვსი მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატია...**

— დიახ, **ნაცებისა და ქოცების შერწყმის ბრალია ის, რომ დღეს ზუგდიდში თამამად დადის სანდრა რულოვსი. „ნაციონალურმა მოძრაობამ“ სამეგრელოს ნამუსი ახადა, ამის დამადასტურებელი იყო ის საზარელი კადრები, რომლებიც კასრებიდან ამოიღეს — რამდენიმე ათასი ფაილი, რომლებშიც მეგრელი მამაკაცების ენით აუწერელი წამება იყო ასახული.** ამ სისაძაგლის გასაჯაროების შემდეგ ვინ იფიქრებდა, რომ სანდრა რულოვსი ზუგდიდში ჩამოსვლას გაბედავდა; ვინ იფიქრებდა, რომ ეს დედაკაცი ქვეყანაში ნაცხროვის ახალ სახედ მოგვევლინებოდა?!

სანდრა რულოვსს სამეგრელოში ჩამოსვლისა და სამეგრელოს გულში — ზუგდიდში — კენჭისყრის უფლება ქოცებმა მისცეს. ვერ შეძლო „ოცნებამ“, მოსახლეობისთვის დაენახვებინა, როგორი ბინძური ძალა იყო „ნაციონალური მოძრაობა“. უფრო მეტიც, რამდენიმე დღის წინათ ზუგდიდობა აღნიშნა მოსახლეობამ, სადაც ქალაქ ზუგდიდის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა „ოცნებიდან“ — **მერაბ ქვარაიამ** ქართველთმოძულე სააკაშვილის ჰოლანდიელ ცოლს ხელი ჩამოართვა და ზუგდიდელების სახელით 10 სექტემბერი შერიგების დღედ გამოაცხადა. არ ვიცი, ვინ და როდის მიანიჭა მერაბ ქვარაიას ხალხის სახელით, ზუგდიდელების სახელით საუბრის უფლება.

**— ადგილობრივი მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც „ნაციონალურ მოძრაობას“ მხარს არ უჭერს, ამბობს, რომ ნაციონალები და „ოცნება“ გარიგებულები არიან, რომ სანდრა რულოვსს ზუგდიდის რაიონულ ოლქს უთმობენ, ანუ გაამარჯვებინებენ...**

— არაფერს გამოვრიცხავ, რადგან შუალედურ არჩევნებში სოფელი კორცხელი დათმეს. **ამირან ლაგვილავა**, ყოფილი ნაცი, მიუღებელი კანდიდატი იყო. მე შევედი მერაბ ქვარაიასთან და ვკითხე, ამ კაცის კანდიდატურას რატომ აყენებთ-მეთქი. მიპასუხა, რომ ეს სახელმწიფო უშიშროების სამმართველოს ინიციატივა იყო, სუსი კი მათ აბრალებდა. სამწუხაროდ, ვერ მოვახერხე, ერთად დამესვა ყველა და გამერკვია, რა მოხდა სინამდვილეში.

მომხრე ვიყავი, რომ ზუგდიდში ყოფილ ნაცებს თუ არ დააპატიმრებდნენ, ათი წლით ჩამორთმეოდათ საჯარო სამსახურში მუშაობის უფლება.

**— როგორც რიგითი ზუგდიდელი, რას ფიქრობთ ჰოლანდიელ ქალბატონზე, რომელსაც ზუგდიდის მაჟორიტარობა სურს?**

— სანდრა რულოვსი ჩვენი ქვეყნის სირცხვილია, ჩვენი რაიონის სირცხვილი. ხელისუფლებას, თუნდაც ცენტრალურს და თუნდაც ადგილობრივს, შეეძლო, სააკაშვილის ცოლი არჩევნებიდან მოეხსნა, მაგრამ ეს არ გააკეთა.

**როგორც ზუგდიდელი, ჩემი რაიონის მოსახლეობას ვეტყვი, რომ გაიხსენონ უახლოესი წარსული; გაიხსენონ, რამდენი ოჯახი გაანადგურეს წინა ხელისუფლების პერიოდში, რამდენ ოჯახს ჰყავდა პატიმარი, რამდენი უდანაშაულო ადამიანი აწამეს სასტიკად. ის, რაც სააკაშვილმა და მისმა დანაშაულებრივმა სისტემამ სამეგრელოში ჩაიდინა, არც ერთ მტერს არ უქნია ამ მიწაზე. შესაძლოა, შვილებს გვიყიდიდნენ, გვებრძოდნენ, გვმტრობდნენ, მაგრამ მეგრელი კაცის, ქართველი კაცის გაუპატიურება აზრადაც არავის გაუვლია.**

სირცხვილია, მხარი დაუჭირო გადამთიელ ქალს, რომელსაც, მისი ქმარივით, ჩირადაც არ ულირს ეს ხალხი და ქვეყანა. ხელისგულზე დაწერილი მეგრული სიტყვების დამახინჯებულად წაკითხვა მეგრელთა დაცინვად მიმაჩნია.

**იმედი მაქვს, ჩემი ბრძენი ხალხი არ დაუშვებს სამეგრელოში ნაცების თარეშს, მიუხედავად იმისა, ვისაც უნდა სურდეს ეს და ვისი დაკვეთაც უნდა იყოს. მჯერა, სამარცხვინოდ დამარცხდება ჰოლანდიელი ქალბატონი, ისე სამარცხვინოდ, რომ სამეგრელოსკენ აღარასოდეს გამოიხედავს.**

თავს უფლებას ვერ მივცემ, ჩემს ხალხს რაიმესკენ მოვუწოდო, თავად უნდა ხვდებოდნენ, სანდრას აქ ჩამოსვლით რა გვაკადრეს, როგორ უსინდისოდ მოგვექცნენ, როგორი თავხედია სააკაშვილის ცოლი.

**— „საქართველო და მსოფლიოს“ რედაქტორს თქვენი თავი ასე გავაცანი: კაცი, რომელმაც „ოცნება“ იმიტომ დატოვა, რომ ნაცები სძულდა...**

## «ოცნება» ნაცების სიძულვილმა დამატოვებინა»

— რა გასაკვირი და სასაცილოც უნდა იყოს, ეს ფაქტია. დიახ, „ოცნება“ ნაცების სიძულვილმა დამატოვებინა, ჩემი ბრძოლა, ჩემი თანამოაზრეების თავგანწირული ბრძოლა წყალში რომ ჩაიყარა, „ოცნება“ იმიტომ დავტოვე. საშინლად ნაწამები კაცი ვარ, წინა ხელისუფლების პერიოდში მცემდნენ, მაშინებდნენ, ჯანმრთელობა საშინლად შერყეული მაქვს, ცემისგან ზურგის ტვინი დამიზიანდა, თუმცა ახლა ამაზე საუბარს რა აზრი აქვს, ყველაფერი ამაო ყოფილა. სამეგრელოში ნაცები ისევ ახერხებენ ბოგინს და თავიანთი პრეზიდენტის ცოლის მეშვეობით რეაბილიტაციას ცდილობენ, ეს „ოცნების“ დიდ დამსახურებადაც მიმაჩნია. დიახ, „ოცნება“ ნაცების გამო დავტოვე.

ახლა გამგებლობის კანდიდატი ვარ, კარდაკარ დავდივარ ოჯახებში და ყველას ვუხსნი, რომ სააკაშვილი და მისი ხროვა დამნაშავეა, რომ მათი სახსენებელიც აღარ უნდა არსებობდეს. ამას წინათ ერთ-ერთ ოჯახს სააკაშვილის სურათი ჩამოვახსნევინე, ავუხსენი საქმე რაშიც იყო და ყველაფერი სწორად გაიგეს. **მჯერა ჩემი ხალხის, ვიცი, სწორ არჩევანს გააკეთებს და ამ ქვეყანაში სააკაშვილის, სანდრას, ნაცების ხსენება დასრულდება.**

**ესაუბრა**
**ეკა ნასყიდაშვილი**

«ამ სისაძაგლის გასაჯაროების შემდეგ ვინ იფიქრებდა, რომ სანდრა რულოვსი ზუგდიდში ჩამოსვლას გაბედავდა; ვინ იფიქრებდა, რომ ეს დედაკაცი ქვეყანაში ნაცხროვის ახალ სახედ მოგვევლინებოდა»

მეხუთე კოლონა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საქართველოს მოსახლეობისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია ქვეყანაში შექმნილი ვითარების გულდასმით გაანალიზება და ზუსტად განსაზღვრა — ვინ ვინ არის, ანუ რომელი პოლიტიკური ძალა და პოლიტიკოსი შეძლებს ქვეყნისა და მოსახლეობის ინტერესების დაცვას და რომელი იმოქმედებს ერისა და ქვეყნის წინააღმდეგ პირადი კეთილდღეობის მიზნით.**

# ვინ ვინ არის ქართულ პოლიტიკაში

## ანუ რატომ აღარ სჭირდება მიშას ცესკო და ხათუნა გოგორიშვილი

**ბოლო 25 წლის განმავლობაში საქართველოს მოსახლეობამ პოლიტიკოსების არაერთი დაპირება მოისმინა, შვეიცარიისა თუ სინგაპურის მსგავს ქვეყნად გადაქცევის, მოსახლეობისთვის ოქროს კოშკების აგებისა და თაფლისა და რძის მდინარეების წარმოდინებაზე, მაგრამ ამ დაპირებებიდან არც ერთი არ შესრულებულა, თუმცა როგორ შესრულდებოდა, როცა ყველა ხელისუფლება, ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლების გამოკლებით, პირადი კეთილდღეობის სანაცვლოდ, უცხო ქვეყნის ინტერესებს ემსახურებოდა და ემსახურება.**

ქვეყანა გაივსო სინდისზე ხელაღებული პოლიტიკოსებით, რომლებიც, გურამ დოჩანაშვილის პერსონაჟისა არ იყოს, ჰგვანან სიტყვა **„გავძეხი“**-ს. დღეს სახელისუფლო ეშელონებისკენ მიილტვიან ე.წ. ახალი სახეებიც, რომლებსაც ასევე სურთ, ჰგავდნენ სიტყვა „გავძეხი“-ს. ამას კი კვლავ ფიქტიური დაპირებებით ცდილობენ, რადგან თვით ქვეყნის დამოუკიდებლობაა ფიქტიური — საქართველოს ხომ ე.წ. დემოკრატიული დასავლეთი, კონკრეტულად, აშშ მართავს თავისი ელჩის მეშვეობით — დღეს, XXI საუკუნეში, საქართველო აშშ-ის კოლონიაა. სწორედ ამერიკელთა მხარდაჭერითა და ძალისხმევით დაგვაჯდა თავზე **მიხეილ სააკაშვილი**, მისი „ნაციონალური მოძრაობა“ და ცხრა წლის განმავლობაში ისე მართავდნენ ქვეყანას, როგორც მოეპრიანებოდათ. სწორედ **ამერიკელთა ძალისხმევითა და დაფინანსებით მომრავლდნენ ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც, ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიული ღირებულებების დამცველთა ნიღბით გააფთრებით ებრძვიან საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას, ქართულ კულტურას, ტრადიციებს და ცდილობენ ე.წ. დასავლური ფასეულობების დამკვიდრებას.** მათ სურთ: უმდიდრესი და უძველესი კულტურის მქონე და მრავალი საუკუნის განმავლობაში ქრისტიანიზმის პრინციპებით მცხოვრებ საქართველოში დაკანონდეს ერთი და იმავე სქესის ადამიანებს შორის ქორწინება; უცხოელებმა თავისუფლად იყიდონ მიწა არამდგრადი ფსიქიკის მქონე „ნაცმოძრაობის“ ლიდერის უაზრო მოქმედებით ისედაც ტერიტორიაშემოძარცვულ ქვეყანაში; სამშობლოდან ასიათასობით ქართველის გადახვეწის ფონზე მოქალაქეობა მიენიჭოთ უცხოტომელებს; საქართველოს საუკუნოვან და საიმედო მეგობრად (და არა — ოკუპანტად) გამოცხადდეს სახელმწიფო, რომელსაც ჩვენი ქვეყნის ძირძველი მიწები აქვს მიტაცებული. და ეს ხდება მხოლოდ იმიტომ, რომ 30 ვერცხლად გაყიდული პოლიტიკოსები და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები უცხო ძალის დაკვეთით მოქმედებენ.

**საქართველოს მოსახლეობისთვის სწორედ ამიტომ არის მნიშვნელოვანი ქვეყანაში შექმნილი ვითარების გულდასმით გაანალიზება და ზუსტად განსაზღვრა — ვინ ვინ არის, ანუ რომელი პოლიტიკური ძალა და პოლიტიკოსი შეძლებს ქვეყნისა და მოსახლეობის ინტერესების დაცვას და რომელი იმოქმედებს ერისა და ქვეყნის წინააღმდეგ პირადი კეთილდღეობის მიზნით.**

სწორედ ამიტომ არის საჭირო არა მხოლოდ პარტიისა და პოლიტიკოსების პროგრამების და ამა თუ იმ საკითხზე მათი პოზიციების გაანალიზება — შეძლებენ თუ არა ისინი დაპირებების შესრულებას, არამედ ამ პარტიების წევრებისა და დეპუტატობის დამოუკიდებელი კანდიდატების წარსულისა და ნამოღვაწარის შესწავლაც.

თუმცა, **თუ არჩევნებში მონაწილე პარტიების სიებს გადავხედავთ, მხოლოდ გვარების წაკითხვაც კი საკმარისია იმის დასადგენად — ვინ ვინ არის...**

„რომელი მესამე სექტორი?! ის მესამე სექტორიც ხომ დასვრილი და დაბინძურებულია. სამოქალაქო საზოგადოება მათ, უკაცრავად და, გარყვნეს, ისეთი ხალხი შედის და ისეთ ნიშას იკავებს, რომ ისეთი აგრესიული „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებიც არ არიან. იქ ფულზე რომ იყო საუბარი, **გიგაურმაც** (ეკა გიგაური — 2008 წლამდე საქართველოს სასაზღვრო პოლიციის უფროსის მოადგილე, 2010 წლიდან — არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ აღმასრულებელი დირექტორი) მიიღო „პაგონები“ მაგ დროს. მე არ ვიცი ეს ჭორები, მაგრამ უწერენ მაგასაც. მე მესამე სექტორს კი არ ვაკრიტიკებ, მესამე სექტორში თავშეფარებულ ხალხს ვაკრიტიკებ. ამ სექტორს ნუ აბინძურებენ, გამოვიდნენ და დაირქვან სახელი, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები არიან“, — განაცხადა **ბიძინა ივანიშვილმა** რამდენიმე დღის წინათ და მის შეფასებაში არის ჭეშმარიტების მარცვალი, მაგრამ **ყოფილ პრემიერსა და „ქართული ოცნების“ დამფუძნებელს დაავიწყდა თუ განზრახ დაივიწყა, რომ ეკა გიგაურის მსგავსი, უცხოეთიდან გულუხვად დაფინანსებული და საქართველოს ინტერესების წინააღმდეგ მოქმედ არასამთავრობო ორგანიზაციებში გამოჩეკილი ფიგურები მისი პარტიის საარჩევნო სიაშიც ბევრია**, მაგალითად, „ქართული ოცნების“ სიის **მე-4 ნომერია** ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ყოფილი თავმჯდომარე, აშშ-ის კონგრესის სამართლის ბიბლიოთეკაში სტაჟირებაგავლილი **თამარ ჩუგოშვილი**, რომელმაც 2011 წლის 26 მაისს მიტინგის დარბევის შედეგად დაჭრილი და დაღუპული ადამიანების სისხლი ჩამობანა შეურაცხად სააკაშვილსა და მის „ნაციონალურ მოძრაობას“, როცა განაცხადა: **„თუ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები მომიტინგეებს 3-ჯერ გააფრთხილებენ მიტინგის დაშლის ან გადატანის თაობაზე, ხოლო მომიტინგეები მაინც არ დაიშლებიან, ხელისუფლებას, საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, უფლება აქვს, მიიღოს შესაბამისი ზომები და დაშალოს მიტინგი“.** ეს ის თამარ ჩუგოშვილია, რომელმაც 2014 წელს, მიუხედავად საქართველოს პატრიარქის განცხადებისა სუროგაციის წინააღმდეგ, შობა მიულოცა სუროგაციის შედეგად დაბადებულ ბავშვებს. დღეს ეს თამარ ჩუგოშვილი „ქართული ოცნების“ საარჩევნო სიაშია.

„ნაცმოძრაობასთან“ ერთად „ვარდების რევოლუციის“ შემოქმედი რესპუბლიკური პარტიის წევრების უმრავლესობამაც პოლიტიკური ნათლობა ამერიკელების მიერ გულუხვად დაფინანსებულ არასამთავრობო ორგანიზაციებში მიიღო. თავი რომ დავანებოთ ამ პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებლისა და ლიდერის — **ლევან ბერძენიშვილის** გამოხდომებს სასიქადულო ქართველი მწერლების — **ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველასა** და **ლადო ასათიანის** მიმართ, აღმაშფოთებელია **ლევან რამიშვილის, გიგა ბოკერიას, გივი თარგამაძის, თეა თუთბერიძისა** და **აკო მინაშვილის** სულიერი ძმის, „თავისუფლების ინსტიტუტში“ „დაბრძენებული“ რესპუბლიკური პარტიის წევრის — **დავით ზურაბიშვილის** გამონათქვამები ზვიად გამსახურდიასა და მართლმადიდებელობაზე. დავით ზურაბიშვილმა, ამ პირწავარდნილმა ანტიქართველმა, სოციალურ ქსელში გამოაქვეყნა წერილი სათაურით „სახადი №5“, რომელშიც ზვიად გამსახურდიას ეროვნულ ხელისუფლებას **„სახადი“** და **„კოშმარი“** უწოდა, მართლმადიდებელ ეკლესიას — საქართველოს სახელმწიფოებრიობისა და ქართველთა ეროვნული თვითშეგნების საფუძველთა საფუძველს — „ძნელად და მტკივნეულად მოსაშორებელი სახადი“.

რესპუბლიკური პარტიის საარჩევნო სიის მე-6 ნომერი, „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ ყოფილი წევრი **თამარ კორძაია** „ლგბტ პირების ქორწინების დაკანონებას ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში წინგადადგმულ ნაბიჯად“ მიიჩნევს. რესპუბლიკური პარტიის ამჟამინდელი თავმჯდომარის — **ხათუნა სამნიძის** (მე-2 ნომერი საარჩევნო სიაში) აზრით კი, თურქეთი (ოსმალეთის იმპერია), რომელმაც ძირძველი ქართული მიწები — ტაო-კლარჯეთი, კოლა-არტაანი და ლაზეთ-ჭანეთი მიიტაცა, ოკუპანტი არ არის.

თავდაცვის ყოფილი მინისტრი, ჯორჯ სოროსის ფონდის „ღია საზოგადოება — საქართველოს“ მმართველი საბჭოსა და ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ყოფილი თავმჯდომარე, ამერიკის ელჩის ძალისხმევითა და ბიძინა ივანიშვილის მორჩილებით გამინისტრებული **თინა ხიდაშელი** (მე-4 ნომერი სიაში) ჯერ კიდევ 15 წლის წინათ (2001 წელს) ამბობდა, რომ **„აფხაზეთი საქართველოს ნაწილი არ არის“.**

ზემოთ მოყვანილი გამონათქვამის გათვალისწინებით, რა გასაკვირია, რომ თინა ხიდაშელისთვის სიტყვა „სამშობლო“ საქაჯეთის სინონიმია.

აი ტექსტი, რომელიც მან რამდენიმე თვის წინათ გამოაქვეყნა სოციალურ ქსელში: **„ერთი სული მაქვს, როდის მოვაშორებ ამ საქაჯეთს შვილებს და ამერიკაში გავგზავნი“.**

ქალბატონ თინას მხარს უჭერს მისი მეუღლე, პარლამენტის აწ უკვე ყოფილი თავმჯდომარე, 1992-1994 წლებში პუტჩისტების სახელმწიფო საბჭოს იურიდიული განყოფილების მრჩეველი, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის პირველი თავმჯდომარე **დავით უსუფაშვილი: „შვილებს არ ვეუბნებით, რომ დაიბადე იმისთვის, რომ სამშობლოს გმირულად შეეწირო, მე შვილებს ვეუბნები, რომ დაიბადე იმისთვის, რომ იყოთ თავისუფალი და ბედნიერი“.**

როგორც ჩანს, დავით უსუფაშვილი და მისი მეუღლე მიიჩნევენ, რომ სამშობლოს დაცვა, მისთვის თავგანწირვა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარისა და თავდაცვის მინისტრის შვილების საქმე არ არის, ეს მხოლოდ საქართველოს სხვა მოქალაქეების ვალია, თვითონ კი უნდა იყვნენ ხელისუფლების სათავეში „საქაჯეთისა“, რომელსაც შვილები უნდა მოაშორონ და აშშ-ში გაგზავნონ.

**ირაკლი ალასანიას** პარტია „თავისუფალ დემოკრატებს“ ისევე, როგორც „ნაციონალურ მოძრაობასა“ და რესპუბლიკურ პარტიას, ერთი პატრონი ჰყავს — აშშ. ამ დაბალრეიტინგიანი პარტიის ლიდერები ბიძინა ივანიშვილსა და მათ გუნდს აკრიტიკებენ, მიუხედავად იმისა, რომ სწორედ ივანიშვილის დახმარებით — „ქართულ ოცნებასთან“ კოალიციაში გაერთიანებით — მოახერხეს საკანონმდებლო ორგანოში შესვლა. **„თავისუფალი დემოკრატები“, რომლებმაც მანამდე ხალხს ყურები გამოუჭედეს ფრაზებით: „მალე მივიღებთ მაპს“, „მალე შევალთ ნატოში“, „ჩვენი წინაპრების არჩევანი ყოველთვის იყო ევროპა“ და ა.შ., 8 ოქტომბრის არჩევნებში „ისტორიული სიტყვის“ სათქმელად ემზადებიან და ამისათვის მართლაც „ისტორიულად“ აყრიან ხალხს თვალში ნაცარს.**

**„250-ლარიანი საარსებო მინიმუმი“, „300-ლარიანი პენსია“, „მინიმალური ხელფასი — 500 ლარი“** — აი ამას ჰპირდებიან ხალხს „თავისუფალი დემოკრატები“ წინასაარჩევნოდ და, თვითონ განსაჯეთ, არის თუ არა ეს თვალში ნაცრის შეყრა და დემაგოგია.

300-ლარიანი პენსიისა და 500-ლარიანი მინიმალური ხელფასისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ირაკლი ალასანია აუცილებლად შეასრულებს დაპირებას, რომ, თუ ხელისუფლების სათავეში მოვა, ქვეყანაში განახორციელებს **„მარიხუანის და, საერთოდ, ყველა ნარკოტიკული საშუალების მოხმარების სრულ დეკრიმინალიზაციას“.**

დაუკვირდით, ლაპარაკია ნარკოტიკების მოხმარების ლეგალიზებაზე და არა ნარკომანიის, ამ საშინელი სენის, წინააღმდეგ ბრძოლაზე, რადგან ნარკოტიკებით გაბრუებული და დაჩლუნგებული ადამიანები უფრო ადვილი სამართავი და გამოსაყენებელია იმ პოლიტიკური მიზნებისთვის, რომლებსაც ე.წ. პროამერიკელები ისახავენ.

ირაკლი ალასანია, რომელიც 30 წლისაც არ იყო, როცა უშიშროების მინისტრის მოადგილედ დანიშნეს, ▶

მეხუთე კოლონა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# სააკაშვილის სურს, სწორედ ეს ეგზიტპოლები იყოს „წყალგაუვალი მტკიცებულება“ საქართველოს მოსახლეობისთვის და არა ცესკოს მიერ გამოქვეყნებული შედეგები. და, როცა ეგზიტპოლებს აქვეყნებს ისეთი „ავტორიტეტული“ ორგანიზაცია, როგორიც არის ნაციონალი ლევან თარხნიშვილის (ამბობენ, რომ სწორედ მან გაუყალბა შედეგები ლევან გაჩეჩილაძეს 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში) მეუღლის „ბი სი ჯი კვლევა“, რა საჭიროა ცესკო ან, საერთოდ, არჩევნები?!

◀ 2004-2006 წლებში კი იმჟამინდელი პრეზიდენტის — მიხეილ სააკაშვილის მრჩეველი გახლდათ კონფლიქტის მოგვარების საკითხებში, არაორდინარულად განიხილავს პოლიტიკას.

**„პოლიტიკას მე სულ ვადარებ ჯაზს, რომელიც მუდმივ იმპროვიზაციებს მოითხოვს და ქართული პოლიტიკა ძალიან მრავალფეროვანი და მოულოდნელობით აღსავსეა“,** — განაცხადა ირაკლი ალასანიამ „საქართველო და მსოფლიოსთვის“ მიცემულ ინტერვიუში (2013 წლის 10-16 ივნისი, №25), ანუ მისი აზრით, პოლიტიკა, ისევე, როგორც ჯაზი, იმპროვიზაციას მოითხოვს, პრინციპების დაცვა საჭირო არ არის და კონიუნქტურის შესაბამისად უნდა მოქმედებდე.

ეს ფრაზა ზემოაღნიშნული ინტერვიუდანაა:

**„მე არ ვთვლი „ნაციონალურ მოძრაობას“ მტრად, მათი დამარცხება და განადგურება არ მიმაჩნია ჩემს მთავარ ამოცანად“,** — ეს ფრაზაც ზემოაღნიშნული ინტერვიუდანაა.

ალასანია სააკაშვილის რეჟიმის მტრად თავს არც მაშინ მიიჩნევდა, როცა ნაციონალები ადამიანებს ქუჩაში ხოცავდნენ, მიტინგებს არბევდნენ, დახოცილთა გვამებს მაღაზიების სახურავზე აწყობდნენ და იქიდან რამდენიმე მეტრის მოშორებით საზეიმო აღლუმს მართავდნენ; ალასანია „ნაციონალურ მოძრაობას“ არც მაშინ განიხილავდა მტრად, როცა უამრავი დანაშაულის ჩამდენი ეს რეჟიმი ადამიანებს ცოცხებით აუპატიურებდა და ბიზნესმენებს ატერორებდა, როცა ანგრევდა განათლების სისტემას და კულტურას, სოფლის მეურნეობასა და სპორტს, როცა დაკარგა საქართველოს ტერიტორიის 20%, როცა ებრძოდა საქართველოს პატრიარქს, მართლმადიდებლობას და, საერთოდ, ყველაფერს, რაც ქართულ ღირებულებებსა და ფასეულობებთან არის დაკავშირებული.

სხვათა შორის, არც „ნაციონალური მოძრაობა“ აღიქვამდა ირაკლი ალასანიას მტრად, ნაციონალები მის მიმართ არასოდეს გამოსულან მწვავე განცხადებებით და არც მისი გარემოცვის წევრები დაუპატიმრებიათ უსაფუძვლო ბრალდებით, არადა, სააკაშვილის მმართველობის პერიოდში ციხეები სავსე იყო ასეთი პატიმრებით.

ამიტომ მიშას მრჩევლობის შემდეგ გაოპოზიციონერებული ალასანიას ქვემოთ მოყვანილი განცხადებაც არ უნდა იყოს გასაკვირი:

„საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა ქვეყანას დამოუკიდებლობა მოუტანა; ედუარდ შევარდნაძე პირველი ლიდერი იყო, რომელმაც ნატოსა და ევროკავშირზე დაიწყო საუბარი; მესამე პრეზიდენტმა **მიხეილ სააკაშვილმა ძალისხმევა არ დაიშურა პროგრესის მისაღწევად და უამრავი ახალი ინიციატივა განახორციელა საქართველოს მოდერნიზაციისა და ინტეგრაციისთვის. ჩვენ უნდა ვაღიაროთ და დავაფასოთ ეს ყველაფერი და წინა მთავრობის მიერ აგებულ მყარ ნიადაგზე სვლა განვაგრძოთ“.**

სწორედ ამიტომ უწოდეს ალასანიას „ქართულ ოცნებაში“ ჩანერგილი „ტროას ცხენი“ და გაამართლა კიდეც მეტსახელი, თუმცა ალასანიას როლს „ქართული ოცნების“ თავკაცები გვიან მიხვდნენ.

**ნაცსექტა** (სხვას ვერაფერს ვუწოდებ ამ ღვთისგან განდგომილ და ანტიეროვნულ „ნაციონალურ მოძრაობასა“ და მის მხარდამჭერებს) კი სულმოუთქმელად ელოდება არჩევნებში გამარჯვებას და თავიანთი ლიდერის, ძებნილი მიხეილ სააკაშვილის საქართველოში დაბრუნებას. ამერიკელების მიერ „დემოკრატიის შუქურად“ შერაცხილმა სააკაშვილმა თანაგუნდელებს რევოლუციისკენ, სახელმწიფო გადატრიალებისკენ მოუწოდა.

აი ამონარიდი სააკაშვილისა და მისი თანაგუნდელების საუბრიდან, რომელიც „ვიკილიქსმა“ გამოაქვეყნა:

**„სააკაშვილი:** — არჩევნები, როგორც ვუყურებ, წაგებისკენ მიდის, ამიტომ მხოლოდ რევოლუციური სცენარი გვჭირდება. რევოლუციური მუხტი არ არის ახლა საერთოდ. მუხტი თუ არ იქნა, გადატრიალება გამორიცხულია. აგერ კაკო სულ წუწუნებს, გაურკვევლობაში და უმოქმედოდ ვართო. აი იმუშავეთ ამ მუხტზე, ამაზე კაი მიმართულება რა გინდათ?!

**კაკო ბოზოხიძე:** — გეთანხმებით, მით უმეტეს, მაგის მეტი რა ვიცი. მე მზად ვარ! 90-იან წლებში რამდენჯერ გავაკეთეთ და 2003-ში კი, რაც გავაკეთე, ხომ გახსოვს, მიშა?! გამომიყვანეთ, ძმაო, დავგეგმოთ დეტალები და ორგანიზებას მე გავქაჩავ.

**მიშა სააკაშვილი:** — ხოდა, დაიწყეთ მერე, დრო აღარ იცდის... ითანამშრომლეთ სხვა პარტიებთან. ინაშვილი, კუკავები, კაციტაძეები, თუნდაც ის ბოჩოლა ალასანია გამოიყენეთ. ბიძინას ხელშია ყველა რესურსი და ძაან გაგვიჭირდება. ყველა მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ...

მოკლედ, ამ მთავრობის დამხობა რომ გადატრიალების გარეშე ვერ მოხდება, ფაქტია. არჩევნების გზით შანსი ნოლია.

**გიგა ბოკერია:** — არჩევნების მერე თავისთავად გამოგვყავს ხალხი ქუჩაში, არჩევნები გაგვიყალბეს და „ფოინთები“ გასაგებია... ნუ, მაგის მეტი რა ვიცით. ისე გავაკეთებთ, რომ ყველაფერი ქოცებს დაბრალდეს...

**მიშა სააკაშვილი:** — გიგა, აღარ უნდა ახლა ამას ბევრი ფიქრი, ეგრეა რა, სხვა გამოსავალი არაა. შენ მაქსიმალურად ჩართე **კანდელაკი** და **ჩიორა**, უფრო მეტად იაქტიურონ ევროპაში... **ეს გამო...ლი ბაქრაძე** სადაა, ეგეც და სხვებიც თბილისში რომ სხედან, რას მიკეთებენ?!

**გივის** ფაქტორიც აუცილებელია, მაგის კონტაქტები აუცილებლად დაგვჭირდება — ეს პოლიციელები, ზონდერები. მაგი ყველას იცნობს. აგერ **ლევანა გვაზავა** და ყოფილებიც აქტიურობენ. ნუ, მოკლედ, მწიფდება ეხლა ყველაფერი. მთავარია, შეცდომა არ დავუშვათ. ეს სირქოცები, კიდევ ხო ხედავთ, შეცდომას შეცდომაზე უშვებენ. ჩვენი ხალხი, ვინც მაგათთან გვყავს, ყველა უნდა გამოვიყენოთ“.

ასე ამზადებენ ნაციონალები კიდევ ერთ სახელმწიფო გადატრიალებას საქართველოში. და ეს იმიტომ ხდება, რომ 2003-2012 წლებში ჩადენილი უამრავი დანაშაულისთვის არ დასჯილან; ასე იმიტომ ხდება, რომ ამერიკელების ნებითა და „ქართული ოცნების“ მონური მორჩილებით ქართველ ხალხს, სამართლიანობის აღდგენის ნაცვლად, თავს მოახვიეს ე.წ. კოაბიტაცია, სწორედ კოაბიტაციის ანუ დაუსჯელობის შედეგია ნაცდამნაშავეების გაყოყოჩება და „ქართული ოცნების“ უხერხემლო (ვანო მერაბიშვილი არ ჰყავთ და, ალბათ, ამიტომ) დამოკიდებულება მათ მიმართ.

ზემოაღნიშნულ საუბარში (ამ საუბარში, აგრეთვე, მონაწილეობდნენ ნუგზარ წიკლაური, ირმა ნადირაშვილი და გიორგი ვაშაძე) მონაწილე პირებიდან **გიგა ბოკერიას** („ნაცმოძრაობის“ საარჩევნო სიის მე-15 ნომერი) გარდა, რომლის ანტიქართული და ანტიმართლმადიდებლური თვალსაზრისი და მოქმედებები საყოველთაოდ ცნობილია, ცალკე გამოსაყოფია „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი **აკაკი (კაკო) ბოზოხიძე** („ნაცმოძრაობის“ საარჩევნო სიის მე-14 ნომერი), მუდმივი პარლამენტარი, 1990 წლიდან დღემდე ყველა მოწვევის პარლამენტის წევრი, რომელმაც, როგორც ხონელები ამბობენ, განაცხადა, ეშმაკსაც შევეკვრები, ოღონდ ხელისუფლებაში ვიყოო.

არჩევნებში გამარჯვებასა და სააკაშვილის საქართველოში ჩამოსვლაში ეჭვი არ ეპარება ყოფილ პირველ ლედის, ადამიანის ორგანოებით ვაჭრობაში დადანაშაულებულ **სანდრა რულოვსს**, რომელიც ზუგდიდში მაჟორიტარ კანდიდატად იყრის კენჭს.

„ჩვენ ბევრნი ვართ, ვერავინ მოგვერევა. მიშამ იცის, რომ აქ იქნება, ჩვენთან ერთად, რომ გამარჯვება იზეიმოს, რომ დასჭირდეს ოდესიდან სოლოლაკამდე გვირაბს გათხრის, ის გააკეთებს და ჩვენთან ერთად იქნება“, — განაცხადა „ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნო სიის მე-2 ნომერმა სანდრა რულოვსმა.

თვითონ სააკაშვილი კი არჩევნების გაყალბებას გამორიცხავს:

„არჩევნები ვერ გაყალბდება! ივანიშვილმა რაღაც რომ გააყალბოს და რომ არ იმანიპულიროს, არ შეუძლია, მაგრამ, ჯერ ერთი, არსებობს უამრავი მექანიზმი, რაც ჩავდეთ თავის დროზე კანონმდებლობაში... მეორე — იქნება ეგზიტპოლები. „რუსთავი 2“ ხომ ვერ დაკეტეს. „რუსთავი 2“-ის ეგზიტპოლმა იწინასწარმეტყველა აკურატულად ჩვენი დამარცხება 2012 წელს. მე რომ გამოვედი და ვაღიარე შედეგები, კომისიის შედეგებს კი არ დავეყრდენი, როგორც კი „რუსთავი 2“-ის ეგზიტპოლი ვნახე, ერთი წუთი არ მიყოყმანია, რადგან ვენდობოდი მთლიანად ამ ეგზიტპოლს. გამოვედი და გამოვაცხადე, რომ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ არჩევნები წააგო...

მერე „რუსთავი 2“-მა იწინასწარმეტყველა აკურატულად ჩვენი დამარცხება საპრეზიდენტო არჩევნებში 2013-ში. ჩვენი დაბრუნება ადგილობრივ არჩევნებში... ასე რომ, ხალხმა იცის, „რუსთავი 2“ სწორად წინასწარმეტყველებს. **ყველამ იცის, რომ „რუსთავი 2“-ის ეგზიტპოლში რაც იქნება, ეს იქნება ვერდიქტი...“**

აი ასე აპირებს მიხეილ სააკაშვილი 2003 წელს ხალხზე გამარჯვებული ტელევიზიის — „რუსთავი 2“-ის ეგზიტპოლებით კიდევ ერთხელ გაიმარჯვოს ხალხზე. ნიშანდობლივია, რომ გამარჯვების ეგზიტპოლებს გამოაქვეყნებს 2007-2010 წლებში ცესკოს თავმჯდომარის, ამჟამად „ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნო სიის 23-ე ნომრის — **ლევან თარხნიშვილის** ცოლის (ასევე „ნაცმოძრაობის“ წევრის) **ანა თარხნიშვილის** ორგანიზაცია „ბი სი ჯი კვლევა“. და, სააკაშვილს სურს, სწორედ ეს ეგზიტპოლები იყოს „წყალგაუვალი მტკიცებულება“ საქართველოს მოსახლეობისთვის და არა ცესკოს მიერ გამოქვეყნებული შედეგები. და, **როცა ეგზიტპოლებს აქვეყნებს ისეთი „ავტორიტეტული“ ორგანიზაცია, როგორიც არის ნაციონალი ლევან თარხნიშვილის (ამბობენ, რომ სწორედ მან გაუყალბა შედეგები ლევან გაჩეჩილაძეს 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში) მეუღლის „ბი სი ჯი კვლევა“, რა საჭიროა ცესკო ან, საერთოდ, არჩევნები?!**

1960-იანი წლებია. ქუთაისის „ტორპედო“ აგებს მატჩს მეტოქესთან. ერთ-ერთმა გამწარებულმა გულშემატკივარმა ტრიბუნიდან ჩასძახა „ტორპედოს“ ფეხბურთელს:

— ხაჟალია, გეინძერი, ბიჭო, რაცხა ქენი... ეილე ბურთი და დაარტყი პენალტი!

— არ მაძლევს სუდია და რა ვქნა! — უპასუხა ხაჟალიამ.

— ვინ ჰკითხავს სუდიას, აგერ არის ჩვენი კომკავშირის მდივანი.

**სწორედ ამას ჰგავს „რუსთავი 2“-ის, უფრო ზუსტად, თარხნიშვილის ცოლის ეგზიტპოლების ამბავიც. სააკაშვილს რომ ჰკითხოთ, ეგზიტპოლები, რომლებსაც „რუსთავი 2“ გამოაქვეყნებს, შეუვალი ჭეშმარიტებაა და არჩევნებში გასამარჯვებლად აღარც ცესკოა საჭირო და აღარც... ხათუნა გოგორიშვილი.**

აი ეს ადამიანები, რომლებიც, უკვე ორი ათეული წელია, თვალში ნაცარს გვაყრიან, კვლავ ცდილობენ ხელისუფლებაში დაბრუნებას; დაბრუნებას არა იმიტომ, რომ ქვეყნისა და ხალხისთვის სასიკეთო საქმეები აკეთონ, არამედ, როგორც წინა წლებში, თავიანთი კეთილდღეობის სანაცვლოდ, უცხო ძალებს ემსახურონ საქართველოს ინტერესების საწინააღმდეგოდ; იმიტომ, რომ გაყიდონ სახელმწიფოს ქონება, რომლის გასხვისებაც ვერ მოასწრეს; იმიტომ, რომ საბოლოოდ გაანადგურონ განათლება და ქვეყანაში დაამკვიდრონ უმეცრება, კვლავ დაატერორონ და ციხეში ჩასვან ბიზნესმენები, განსხვავებული თვალსაზრისის მქონე ადამიანები, ებრძოლონ მართლმადიდებლობას, ქართულ კულტურას და ყველაფერ ქართულს და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ასე სურთ მათ ამერიკელ პატრონებს.

საქართველოს მოსახლეობა კი სწორედ ამიტომ უნდა იყოს ფრთხილად და ყურადღებით მოეკიდოს ამ არჩევნებს. ჩვენ ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოვისროლოთ ისტორიის სანაგვეზე ანტიეროვნული ძალები, რათა კვლავ არ დავრჩეთ პირში ჩალაგამოვლებული...

**გიორგი გაჩეჩილაძე**


თამარ კორძაია


თამარ ჩუგოშვილი


ლევან ბერძენიშვილი


ირაკლი ალასანია

**ადამიანები, რომლებიც, უკვე ორი ათეული წელია, თვალში ნაცარს გვაყრიან, კვლავ ცდილობენ ხელისუფლებაში დაბრუნებას; დაბრუნებას არა იმიტომ, რომ ქვეყნისა და ხალხისთვის სასიკეთო საქმეები აკეთონ, არამედ, როგორც წინა წლებში, თავიანთი კეთილდღეობის სანაცვლოდ, უცხო ძალებს ემსახურონ საქართველოს ინტერესების საწინააღმდეგოდ; იმიტომ, რომ გაყიდონ სახელმწიფოს ქონება, რომლის გასხვისებაც ვერ მოასწრეს; იმიტომ, რომ საბოლოოდ გაანადგურონ განათლება და ქვეყანაში დაამკვიდრონ უმეცრება; კვლავ დაატერორონ და ციხეში ჩასვან ბიზნესმენები, განსხვავებული თვალსაზრისის მქონე ადამიანები, ებრძოლონ მართლმადიდებლობას, ქართულ კულტურას და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ასე სურთ მათ ამერიკელ პატრონებს**

**ყოფილ პრემიერსა და «ქართული ოცნების» დამფუძნებელს დაავიწყდა თუ განზრახ დაივიწყა, რომ ეკა გიგაურის მსგავსი, უცხოეთიდან გულუხვად დაფინანსებული და საქართველოს ინტერესების წინააღმდეგ მოქმედ არასამთავრობო ორგანიზაციებში გამოჩეკილი ფიგურები მისი პარტიის საარჩევნო სიაშიც ბევრია, მაგალითად, «ქართული ოცნების» სიის მე-4 ნომერია ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ყოფილი თავმჯდომარე, აშშ-ის კონგრესის სამართლის ბიბლიოთეკაში სტაჟირებაგავლილი თამარ ჩუგოშვილი**

პარასკევია დღესაო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ზურაბ ჟვანიას ტრაგიკულად დაღუპვაზე ნინო ბურჯანაძეს რეაქცია არ ჰქონია, უფრო ზუსტად, მხარი დაუჭირა ოფიციალურ ვერსიას „უბედური შემთხვევის“ შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ, საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილის აზრით, ყოფილი პრემიერმინისტრი ძალადობრივი გზით არის დაღუპული.**

# რატომ ვერ შესწვდება კატა ძეხვს?

## ნინო ბურჯანაძის პოლიტიკური მეტამორფოზი

**როდესაც ორგზის იყავით პარლამენტის თავმჯდომარე და პრეზიდენტის მოვალეობის 40-იოდე დღით შემსრულებელი, ალბათ, ეშმაკსაც მიჰყიდდით სულს, ეს ოხერი „მოვალეობის შემსრულებელი“ გავარვარებული შანთით რომ ამოგეწვათ ბიოგრაფიიდან, რომელიც ქვას გახეთქავდა, რომ არა ისევ და ისევ ეს ტიალი „მოვალეობის შემსრულებელი“. ეშმაკისთვის სულის მიყიდვაზე რა მოგახსენოთ, მაგრამ პოლიტიკოსების ერთი ნავიდან მეორეში გადახტომას, ქამელეონივით ფერის შეცვლას, ანუ მრწამსისა და ორიენტირების შეცვლას კონიუნქტურის მიხედვით საქართველოს მოსახლეობა უკვე მიეჩვია. დღეს ერთს ამბობენ, ხვალ, თუ დასჭირდათ — მეორეს და, საითაც ქარი დაუბერავს, იქით შეტრიალდებიან ფლიუგერივით, რათა პირადი სარგებელი ნახონ. ადრე არჩეული პოლიტიკური ორიენტირები, შეფასებები და ხალხისთვის მიცემული დაპირებები კი აღარ ახსოვთ.**

მაგალითად, ადრე სააკაშვილისა და „რუსთავი 2“-ის მაგინებელ ლეიბორისტული პარტიის თავმჯდომარე **შალვა ნათელაშვილს** ახლა „რუსთავი 2“-სა და აშშ-ზე ამოსდის მზე და მთვარე. ქვემო ქართლის ყოფილმა გუბერნატორმა **ლევან მამალაძემ** კი, რომელიც წლების წინათ საქართველოს თავსდატეხილ ყველა უბედურებაში რუსეთს ადანაშაულებდა, აზრი შეიცვალა და ცდილობს, დაგვარწმუნოს, რომ მხოლოდ რუსეთთან ურთიერთობის მოგვარება გადაარჩენს საქართველოს. ასეთივე მეტამორფოზი განიცადა პარლამენტის ყოფილმა თავმჯდომარემ, ამჟამად „დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველოს“ ლიდერმა, ქალბატონმა **ნინო ბურჯანაძემაც**, რომელსაც, ბიოლოგიური მამის გარდა, პოლიტიკური მამაც ჰყავდა — ედუარდ შევარდნაძე. სწორედ შევარდნაძის ძალისხმევით მიიღო მან პოლიტიკური ნათლობა (მართლმადიდებლურიც — 1984 წელს).

საგულისხმოა, რომ დღეს ნინო ბურჯანაძე უბლოკო სტატუსის (ნეიტრალიტეტის) დაკანონებას ითხოვს და აცხადებს, რომ პუტინი საქართველოს მტრად არ მიაჩნია. არადა, რამდენიმე წლის წინათ, სანამ სააკაშვილი თავისი გარემოცვიდან გააძევებდა, ამბობდა, რომ „ნეიტრალიტეტი საქართველოსთვის გამოსავალი არ არის“; რომ: **„რაც შეეხება სახელმწიფო ნეიტრალიტეტის პოლიტიკას — დიახ, დღესაც ვიმეორებ, რომ ის არარეალურია საქართველოსთვის მისი გარემოცვის გამო. სხვაგვარად, სახელმწიფო ნეიტრალიტეტის პოლიტიკა ნებისმიერი პატარა სახელმწიფოსათვის, სამართლებრივი თვალსაზრისით, ძალიან მიმზიდველია. მაგრამ, სამწუხაროდ, საქართველოს გეოსტრატეგიული მდგომარეობა ნეიტრალურ სტატუსზე რეალური საუბრის საშუალებას არ იძლევა“;** და რომ ჩვენ აუცილებლად გავხდებით ნატოს წევრი. ბურჯანაძე იმხანად მტრულ სახელმწიფოდ მოიხსენიებდა რუსეთს და იმედოვნებდა, რომ ამ ქვეყნის ხელმძღვანელობა მალე შეიცვლებოდა, ხოლო პოსტპუტინური მოსკოვი შეძლებდა სააკაშვილის სიდიადის ჯეროვნად შეფასებას.

როდესაც საქართველოს პარლამენტის ყოფილმა თავმჯდომარემ და პრეზიდენტობის მოვალეობის ყოფილმა შემსრულებელმა სააკაშვილის ძაგება დაიწყო და პირი ჩრდილოეთისკენ იბრუნა, ერთ-ერთ ინტერვიუში საინფორმაციო ანალიტიკური სააგენტო „საქინფორმის“ რედაქტორმა **არნო ხიდირბეგიშვილმა** მას პირდაპირ განუცხადა:

— კვლავაც შეგახსენებთ თქვენს ინტერვიუს “რია ნოვოსტისთან” და ორიოდ ციტატას მოვიყვან: **„არცთუ დიდი ხნის წინათ, როცა მოსკოვის ქუჩებში მივაბიჯებდი, შეგრძნება მქონდა, რომ მტრულ სახელმწიფოში ვიმყოფებოდი. და ეს განცდა ჩემთვის ძალიან მტკივნეული იყო – ეს ვუთხარი კიდეც, სამწუხაროდ, იმ მცირეთაგან ერთ რუს პოლიტიკოსს, რომლებიც გულწრფელად ცდილობენ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში გარკვევას. მოდი, ასე ვთქვათ: არც მტრები ვართ და არც მეგობრები... მაგრამ კომფორტულად რუსეთსა და მოსკოვში თავს მანამდე ვერ ვიგრძნობ, სანამ ჩემი ქვეყნისთვის ყველაზე რთული საკითხები არ გადაწყდება, სანამ რუსეთი, რომელსაც შეეძლო აფხაზური და სამხრეთოსური პრობლემების დარეგულირების ხელშეწყობა, არაფერს აკეთებს ამისათვის და ზოგჯერ პირიქითაც იქცევა! ვიმედოვნებ, რომ რუსეთში არჩევნებისა და ხელმძღვანელობის შეცვლის შემდეგ შესაძლებელი იქნება კურსის შეცვლა, მით უფრო, რომ ჩვენმა პრეზიდენტმა (მიხეილ სააკაშვილმა. – ა. ხ.) თავად შესთავაზა ჩვენი ურთიერთობების გაუმჯობესებაზე აქტიური და რეალური მუშაობა”...**



**2007 წლის 7 ნოემბრის აქციების სასტიკი დარბევა, როცა სააკაშვილის რეჟიმმა ცრემლმდენი აირი, ხელკეტები, რეზინის ტყვიები, აკუსტიკური იარაღი და წყლის ჭავლი გამოიყენა, ნინო ბურჯანაძემ, 9 ნოემბერს, პარლამენტის ტრიბუნიდან ასე შეაფასა: „ქვეყანამ გაიმარჯვა და ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი. ქვეყანამ გაიმარჯვა, ქვეყანამ გაუძლო ძალიან დიდ გამოცდას და მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი ქვეყანა ძალიან მოკლე ვადებში გადავა აბსოლუტურად ნორმალურ რეჟიმში და ჩვენ, ერთხელ და სამუდამოდ, ამაყად ვიტყვით, რომ ქვეყანა შედგა...**

პოლიტიკურ ფერისცვალებასა და მეტამორფოზებში გაწაფულმა პარლამენტის ექსსპიკერმა ციტატების პირდაპირ განმარტებას თავი ოსტატურად აარიდა და გაუგებარი ტირადით შემოიფარგლა. თუმცა, სანამ ბურჯანაძის მეტამორფოზის ანატომიას განვიხილავთ, მისი ბიოგრაფია გავიხსენოთ:

1992 წელს მან საგარეო ურთიერთობების საპარლამენტო კომიტეტის კონსულტანტად დაიწყო მუშაობა. 1995 წელს კი შევარდნაძის „მოქალაქეთა კავშირის“ სიით პარლამენტში დეპუტატად შევიდა, რეკომენდაცია **ზურაბ ჟვანიამ** გაუწია, ალბათ, იმის გამო, რომ ბურჯანაძეების ოჯახი ახლოს იყო შევარდნაძესთან. თუმცა, **ზურაბ ჟვანიას ტრაგიკულად დაღუპვაზე ნინო ბურჯანაძეს რეაქცია არ ჰქონია, უფრო ზუსტად, მხარი დაუჭირა ოფიციალურ ვერსიას „უბედური შემთხვევის“ შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ, საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილის აზრით, ყოფილი პრემიერმინისტრი ძალადობრივი გზით არის დაღუპული.**

აღსანიშნავია, რომ ნინო ბურჯანაძე მწყრალად არის ცნება „მადლიერებასთან“. **2008 წელს ნოდარ დუმბაძის დაბადებიდან 80 წელს აღნიშნავდნენ. მათ შორის, ვინც დიდი მწერლის ხსოვნას პატივს მიაგებდა, იყო ედუარდ შევარდნაძეც. მასთან ბევრი მივიდა მისასალმებლად და სასაუბროდ, ნინო ბურჯანაძე კი ერთადერთი იყო, ვინც გამარჯობის თქმაც კი არ ისურვა. და ეს მას შემდეგ, რაც მისმა ნათლიამ ბურჯანაძეების ოჯახისა და პირადად მისთვის გააკეთა.**

ნინო ბურჯანაძემ სააკაშვილთან კავშირი 2008 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ გაწყვიტა, როდესაც ნაციონალებმა უფლება არ მისცეს, სიაში თავისი მომხრეები შეეყვანა, 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ კი პარტია „დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველო“ შექმნა და პოლიტიკაში დაბრუნების შესახებ განაცხადა.

2007 წლის 7 ნოემბრის აქციების სასტიკი დარბევა, როცა სააკაშვილის რეჟიმმა ცრემლმდენი აირი, ხელკეტები, რეზინის ტყვიები, აკუსტიკური იარაღი და წყლის ჭავლი გამოიყენა, ნინო ბურჯანაძემ, 9 ნოემბერს, პარლამენტის ტრიბუნიდან ასე შეაფასა:

„ქვეყანამ გაიმარჯვა და ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი. ქვეყანამ გაიმარჯვა, ქვეყანამ გაუძლო ძალიან დიდ გამოცდას და მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი ქვეყანა ძალიან მოკლე ვადებში გადავა აბსოლუტურად ნორმალურ რეჟიმში და ჩვენ, ერთხელ და სამუდამოდ, ამაყად ვიტყვით, რომ ქვეყანა შედგა...

**ეს იყო მცდელობა ულტიმატუმისა, ეს იყო მცდელობა ცალკეული პოლიტიკური ძალების დაშანტაჟებისა, ნებსით თუ უნებლიეთ, ძალიან ბევრი ადამიანი აღმოჩნდა ჩართული იმ პროცესებში, რომლებსაც ძალიან კონკრეტული გვარი და სახელები მართავდნენ (ძალიან კონკრეტულ ქვეყანაში გულისხმობს რუსეთს. — ავტ.) და ძალიან კონკრეტული ძალების ინტერესში შედიოდა ის, რომ ქვეყანაში ყოფილიყო არასტაბილურობა“** (პრესა.გე).

ეს მგზნებარე გამოსვლა სააკაშვილმა სათანადოდ დაუფასა ქალბატონ ნინოს და მას, 2008 წლის 19 მაისის ბრძანებით, დაბა წყნეთში, სამთავრობო ტერიტორიაზე მდებარე მილიონებად შეფასებული შენობა-ნაგებობები 1 ლარად გადასცა, მაგრამ, როცა მათ შორის ურთიერთობა გამწვავდა, ჩამოართვა.

ნინო ბურჯანაძის პოლიტიკური ფლიუგერიზმის ნათელი მაგალითია მისი ადრინდელი და ამჟამინდელი შეფასებები ამა თუ იმ საკითხსა თუ მოვლენაზე:

### „ვარდების რევოლუციასა“ და სააკაშვილის რეჟიმზე

აი, რა განაცხადა ნინო ბურჯანაძემ 2006 წლის 10 თებერვალს უკრაინული ტელეარხის გადაცემა „შუსტერ ლაივში“, რომელშიც, აგრეთვე, მონაწილეობდნენ უკრაინელი დეპუტატები: **ალა ალექსანდროვსკაია, რომან ზვარიჩი, ევგენი კუშნარიოვი** და რუსეთის სათათბიროს დეპუტატი **დიმიტრი რაგოზინი:**

**„ჩამოდით საქართველოში და ნახეთ, რა გააკეთა საქართველოს ხელისუფლებამ, რა გააკეთა პრეზიდენტმა, პარლამენტმა, რა გავაკეთეთ ჩვენ, ყველამ ამ ორი წლის განმავლობაში. ჩვენ 5-ჯერ გავზარდეთ ბიუჯეტი, საქართველოში პრაქტიკულად დაინგრა კორუფციის ინსტიტუტი.** ჩვენ პირველად 15 წლის განმავლობაში, უფრო მეტის, დავიწყეთ ინფრასტრუქტურის აშენება, დავიწყეთ გზების დაგება, წელს პირველად დავიწყეთ ტურისტების მიღება, იმაზე მეტი ტურისტის, ვიდრე საბჭოთა პერიოდში აჭარაში ჩამოდიოდა და ქართველებს აღარ მოუწევთ, მილიონობით და ასეულათასობით წავიდნენ რუსეთში ლუკმაპურის თანხის საშოვნელად — ექიმებს, მასწავლებლებს“...

2013 წლის 24 ივნისს კი ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში „ნაციონალური მოძრაობის“ ღვაწლი ასე შეაფასა:

**„ნაციონალური მოძრაობა“ წარმოადგენს დანაშაულებრივ ორგანიზაციას და ეს ორგანიზაცია უნდა აიკრძალოს. უნდა დადგეს ამ ორგანიზაციის პოლიტიკური და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი. უნდა გასამართლდნენ არა მარტო ისინი, ვინც ასრულებდა დავალებებს, არამედ ისინიც, ვინც იყო დანაშაულებრივი სისტემის შემქმნელი, ორგანიზატორი, ვინც იდეოლოგიური საფუძველი შეუქმნა ამ სისტემას“** (presa.mediamail.ge)

პარასკევია დღესაო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ნინო ბურჯანაძეს, როგორც ზვიად ძიძიგური იტყოდა, „უზაარმაზარი“ პოლიტიკური გამოცდილება აქვს და იცის, „როგორ კეთდება დიდი პოლიტიკა“. მან იცის, თავისი ინტერესების (და არა ხალხის) დასაცავად როგორ გაამართლოს სააკაშვილის პირსისხლიანი რეჟიმის მოქმედება, შემდეგ კი თქვას, რომ სააკაშვილი ძალაუფლების შესანარჩუნებლად „ომსაც კი დაიწყებს“; იცის, როგორ ილაპარაკოს „ვარდების რევოლუციის“ მიერ მოტანილ სიკეთეებზე, „ნაციონალური მოძრაობის“ დამსახურებაზე, ბიუჯეტის 5-ჯერ გაზრდაზე და ა.შ. წლების შემდეგ კი „ნაციონალური მოძრაობა“ დანაშაულებრივ ორგანიზაციად გამოაცხადოს.**



**როდის იყო ქალბატონი ნინო «საღ გონებაზე» – როდესაც რუსეთს მტერს და არაცივილიზებულ სახელმწიფოს უწოდებდა თუ მაშინ, როდესაც ამ ქვეყანას მოიხსენიებდა უზარმაზარ ბირთვულ სახელმწიფოდ, რომელიც «გავლენას ახდენს მსოფლიო პოლიტიკაზე»? ან როდის იყო «საღ გონებაზე»: როდესაც ამბობდა, რომ «რუსეთი ვალდებულია, აწარმოოს მოლაპარაკებები მათთან, ვინც ქართველმა ხალხმა აირჩია (სააკაშვილთან – ავტ.), თუ მაშინ, როდესაც განაცხადა, რომ «საბედისწერო შეცდომა» დაუშვა დასავლელ მეგობრებთან ერთად, რადგან ყველამ იცოდა, რომ «მეორე ტური უნდა გამართულიყო», მაგრამ თვალი დახუჭეს?!**

## ნატოზე

**„მინდა, რიტორიკული კითხვა დავუსვა ბატონ რაგოზინს: თუ ნატო მომაკვდავი ორგანიზაციაა, რატომ ღელავთ, როდესაც საქართველო და უკრაინა ამ ორგანიზაციასთან მიერთებას ცდილობენ? თუკი მოკვდება, რისთვის ნერვიულობს რუსეთი და მუდმივად აკრიტიკებს ნატოს?“ („შუსტერ ლაივი“, 2006 წლის 10 თებერვალი).**

ამ განცხადების შემდეგ, უკვე 2015 წელს, ტელეარხ „ენ-ტე-ვესთვის“ მიცემულ ინტერვიუში ნინო ბურჯანაძე ამბობს:

„ჩემი აზრით, რაც ახლა ხდება საქართველოში, რომ სახელმწიფოს მთავარ მიზანს ნატოში ან ევროკავშირში გაწევრება წარმოადგენს, არის ფუნდამენტურად არასწორი. ჩვენ უნდა ვაღიაროთ, რომ ნატოში არავინ გველოდება და არავინ მიგვიღებს. **ნატოში გაწევრებაზე საუბარი არ არის რეალისტური და არ შედის საქართველოს ინტერესებში**“ (timer.ge. 2015 წლის 10 ივლისი).

ეს კი ახლახან, ამა წლის 10 მაისს, განაცხადა „ჯი-დი-ეს“-ის ეთერში:

**„ამ ეტაპზე საქართველოს არ აქვს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში შესვლის შანსი. მთელი მსოფლიო, ობამადან დაწყებული და ელჩებით დასრულებული, ყველა გვეუბნება, რომ ჩვენ ნატოში არ მიგვიღებენ, მაგრამ მაინც ვლაპარაკობთ, რომ მიგვიღებენ. ეს მასობრივი ფსიქოზია. არანაირი წევრობა არ იქნება. ეს გამორიცხულია“.**

## ყირიმის ნახევარკუნძულზე

გამოცემა Unian.net-ისთვის 2008 წლის 26 აგვისტოს მიცემულ ინტერვიუში ჟურნალისტის შეკითხვაზე — **„რეალურია ყირიმში სამხედრო სცენარის გამეორება?“** ბურჯანაძის პასუხი ასეთია:

**„ვიმედოვნებ, რომ საერთაშორისო თანამეგობრობა განაგრძობს ადეკვატურ რეაგირებას რუსეთის ქმედებებზე და საქმე აქამდე არ მივა. ჩვენ, ყველას, განგაში უნდა აგვეტეხა, როცა რუსეთის პრეზიდენტმა თავის ამერიკელ კოლეგას უთხრა, რომ რუსეთს შეუძლია ორ ან სამ ნაწილად გაყოს უკრაინა. ასეთი რაღაცების უყურადღებოდ დატოვება არ შეიძლება“.**

ეს კი 2015 წლის 14 მარტს გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდისთვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა: **„ყირიმი რუსეთის ტერიტორიაა, მოსწონს თუ არა ეს ვინმეს“.**

## რუსეთზე

**„რაც შეეხება რუსეთის ადგილს G-8-ში, მე თუ მკითხავთ, იქ მისი ადგილი არ არის. მიმაჩნია, რომ დასავლეთმა შეცდომა დაუშვა, რომ თქვენ ამ ორგანიზაციას თავმჯდომარეობთ, რადგან ამ ორგანიზაციის წევრად იღებენ არა დიდ სახელმწიფოებს, ჩინეთი ხომ თქვენზე დიდია, არამედ ეკონომიკური განვითარების მიხედვით, თქვენ კი ამ სტანდარტებს არ შეესაბამებით. სამწუხაროდ, იმის მიუხედავადაც კი, რომ რუსეთშია მენდელეევის ცხრილი მთლიანად, არ შეესაბამებით, აგრეთვე, დემოკრატიული საზომითაც“** („შუსტერ ლაივი“, 2006 წლის 10 თებერვალი).

ამას ამბობდა წლების წინათ ნინო ბურჯანაძე, რომელიც სააკაშვილთან დაპირისპირების შემდეგ თითქმის ყოველწლიურად სტუმრობს მოსკოვს და ცდილობს, ერთგულება დაუმტკიცოს კრემლს.

აი რა განაცხადა მან ახლახან, 2016 წლის 1 მარტს, ტელეკომპანია „ტვ პირველის“ ეთერში: **„მიმაჩნია, რომ ქართულ-რუსული ურთიერთობები ძალიან მნიშვნელოვანია ქვეყანაში როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური საკითხების მოსაგვარებლად, განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიმაჩნია, რომ ის პრობლემები, რომლებიც ისედაც გააჩნია ორი ქვეყნის ურთიერთობებს, ჩვენი უმაქნისი ხელმძღვანელობის პირობებში არ გაუარესდეს. ეს ჩემი ამოცანაა და, რა თქმა უნდა, როდესაც მოსახლეობა სწორ გადაწყვეტილებებს მიიღებს და მე მოვალ ხელისუფლებაში, ყველა არსებულ პრობლემას ეტაპობრივად მოვაგვარებ“** (sputnik-georgia.com).

აი, ასე — ჯერ ლანძღავდა რუსეთს და ევროპულ სტანდარტებთან შეუსაბამოს უწოდებდა, ახლა კი ამ ქვეყანასთან ურთიერთობის მოგვარებას „განსაკუთრებით მნიშვნელოვნად“ მიიჩნევს.

## სინონიმები – „რუსეთი“ და „მტერი“

**ნიშანდობლივია ნინო ბურჯანაძის მიერ გამოცემა Unian.net-ისთვის 2008 წლის 28 აგვისტოს მიცემული ინტერვიუ, რომელშიც პარლამენტის ექსსპიკერი მისთვის დამახასიათებელ პოლიტიკურ ფლიუგერიზმს ავლენს. ეს, ალბათ, იმიტომ, რომ „ნაცმოძრაობასთან“ ურთიერთობა ახალი გაწყვეტილი ჰქონდა და ვარაუდობდა, რომ ომში დამარცხებულ სააკაშვილს კვლავ დასჭირდებოდა.**

„ამჟამად ძალიან ბევრი ქართველისთვის, შეიძლება ითქვას, უმრავლესობისთვის, სიტყვა **„რუსეთი“** და **„მტერი“** სინონიმებია... **რუსეთმა მსოფლიოს დაუმტკიცა, რომ უგულებელყოფს საერთაშორისო სამართალს... მან თავი წარმოაჩინა როგორც არაცივილიზებულმა სახელმწიფომ, რომელიც პატივს არ სცემს საერთაშორისო საზოგადოებას, მეზობლურ ურთიერთობებს“.**

**2015 წლის 5 მარტს** კი „რუსთავი 2“-ისთვის მოსკოვიდან, კრემლის ფონზე მიცემულ ინტერვიუში ნინო ბურჯანაძე ამბობს:

„განცდა მაქვს, რომ ვიმყოფები ქვეყანაში, რომელიც გავლენას ახდენს არა მარტო სამხრეთ კავკასიის ბედზე და ჩემს ქვეყანაზე, არამედ გავლენას ახდენს მსოფლიო პოლიტიკაზე და მთელი მსოფლიოს ბედზე. მაქვს განცდა, აბსოლუტურად რეალისტური შეგრძნება იმისა, რომ ეს არის უზარმაზარი ბირთვული სახელმწიფო, რომელსაც ელაპარაკება და რომელსაც ანგარიშს უწევს ამერიკის შეერთებული შტატები, ჩინეთი, ირანი, საფრანგეთი, გერმანია და ნამდვილად საღ გონებაზე ვარ იმისათვის, რომ კარგად მესმოდეს: მეც აუცილებლად უნდა გავითვალისწინო ეს უზარმაზარი ქვეყანა და უნდა შევეცადო, რომ ყველაფერი გავაკეთო იმისთვის, რომ ჩემი ქვეყანა ხვალ კვლავ არ აღმოჩნდეს ომში ჩაბმული ამ უზარმაზარ სახელმწიფოსთან, ყველაფერი უნდა გავაკეთო იმისთვის, რომ მოუძებნო საერთო ენა ჩემი ქვეყნისა და ჩემი ხალხის ინტერესების დასაცავად“.

**Unian.net-ის** ჟურნალისტის შეკითხვაზე — **„როგორ შეაფასებთ ნატოს რეაქციას საქართველოში განვითარებულ მოვლენებზე?“** ნინო ბურჯანაძის პასუხი ასეთია:

**„ყველაზე მთავარია, რომ შეიქმნა ალიანსის (გულისხმობს ნატოს — ავტ.) საბჭო საქართველოს საკითხებზე, მსოფლიოს თანამეგობრობა საქართველოს დასაცავად აღდგა... ეს არის რუსეთის მცდელობა, ამა თუ იმ სახით აღადგინოს ყოფილი საბჭოთა კავშირი, პოსტსაბჭოთა სივრცეზე აღადგინოს თავისი გავლენა...** ცხადი შეიქნა, რომ **რუსეთს ერთ მშვენიერ დღეს შეუძლია, დაბომბოს მეზობელი სახელმწიფო, დაარღვიოს საერთაშორისო სამართლის ყველა ნორმა მხოლოდ იმიტომ, რომ არ მოსწონს რომელიღაც პრეზიდენტის მოქმედება. ხვალ რუსეთს არ მოეწონება მეზობელი ქვეყნის ხელმძღვანელის თვალების ფერი, ზეგ — კიდევ სხვა რამ. ასე რომ, ამისგან დაზღვეული არავინ არის“.**

ამ ინტერვიუს ბოლოს ჟურნალისტის კითხვაზე — აგვისტოს ომის მიზეზების გაანალიზებისა და ხელისუფლების მიმართ კითხვების გაჩენის შემდეგ ხომ არ დადგება სააკაშვილისა და მისი გუნდის გადადგომის საკითხი? — ნინო ბურჯანაძეს საინტერესო (და ნიშანდობლივი) პასუხი აქვს:

„ასეთი მიზანი არავის აქვს. მით უმეტეს, რომ რუსეთის უარი სააკაშვილთან დალაპარაკებაზე, ამ ქვეყნის სურვილი, შეცვალოს ხელისუფლება საქართველოში, ჩვენთვის კატეგორიულად მიუღებელია. **არავის აქვს უფლება, ქართველ ხალხს მიუთითოს, ვინ უნდა იყოს მისი ლიდერი. რუსეთი ვალდებულია, აწარმოოს მოლაპარაკებები მათთან, ვინც ქართველმა ხალხმა აირჩია“.**

ნინო ბურჯანაძემ 2008 წლის იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებულად და ქართველი ხალხის მიერ არჩეულად მოიხსენია მიხეილ სააკაშვილი. არადა, იმხანად არა მხოლოდ სააკაშვილის ძირითადი კონკურენტი **ლევან გაჩეჩილაძე**, არამედ საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი მიიჩნევდა, რომ სააკაშვილმა არჩევნები გააყალბა და მეორე ტური აუცილებლად უნდა ჩატარებულიყო.

2011 წლის 9 ივლისს ნინო ბურჯანაძემ რადიოსადგურ „ეხო მოსკვის“ ეთერში სკანდალური რამ განაცხადა: **„მიმაჩნია, რომ 2008 წლის იანვარში** (საპრეზიდენტო არჩევნებში — გ. გ.) **დასავლელ მეგობრებთან ერთად საბედისწერო შეცდომა დავუშვი. ყველამ ვიცოდით, რომ მეორე ტური უნდა გამართულიყო, მაგრამ ყველამ თვალი დავხუჭეთ. მშვენივრად მახსოვს... ჩვენი დასავლელი მეგობრების ასეთი დაჟინებული რჩევები, განსაკუთრებით ჩემ მიმართ, რომ არავითარ შემთხვევაში არ გამოგვეცხადებინა მეორე ტური“.**

ამით ბურჯანაძემ, ფაქტობრივად, აღიარა, რომ 2008 წლის ოქტომბერში საქართველოში სახელმწიფო გადატრიალება მოხდა უცხო სახელმწიფოების მონაწილეობით, სააკაშვილმა კი პრეზიდენტის პოსტი არჩევნების ფალსიფიკაციით მიისაკუთრა, როგორც უზურპატორმა.

აქ კომენტარი, ალბათ, საჭირო არ არის, **მკითხველმა თვითონ განსაჯოს, როდის იყო ქალბატონი ნინო „საღ გონებაზე“ — როდესაც რუსეთს მტერს და არაცივილიზებულ სახელმწიფოს უწოდებდა თუ მაშინ, როდესაც ამ ქვეყანას მოიხსენიებდა უზარმაზარ ბირთვულ სახელმწიფოდ, რომელიც „გავლენას ახდენს მსოფლიო პოლიტიკაზე“?**

**ან როდის იყო „საღ გონებაზე“: როდესაც ამბობდა, რომ „რუსეთი ვალდებულია, აწარმოოს მოლაპარაკებები მათთან, ვინც ქართველმა ხალხმა აირჩია (სააკაშვილი — ავტ.), თუ მაშინ, როდესაც განაცხადა, რომ „საბედისწერო შეცდომა“ დაუშვა დასავლელ მეგობრებთან ერთად, რადგან ყველამ იცოდა, რომ „მეორე ტური უნდა გამართულიყო“, მაგრამ თვალი დახუჭეს?!**

## „მე ვიცი, როგორ კეთდება დიდი პოლიტიკა“

„რუსთავი 2“-ისთვის 2015 წლის 5 მარტს მიცემულ ინტერვიუში ნინო ბურჯანაძე ამბობს:

**„მე მაქვს უზარმაზარი პოლიტიკური გამოცდილება, მე ვიცი, როგორ კეთდება დიდი პოლიტიკა...** დიდი პლიტიკა არ კეთდება გულზე მჯიღის ცემით, და ხმამაღალი განცხადებებით, რომლებიც ძალიან მოგაწონებს ადამიანს თავს და ძალიან აამაღლებს დღეს შენს რეიტინგს, მაგრამ ხვალ შეიძლება შენი ქვეყანა დაიღუპოს, დიდი პოლიტიკა კეთდება სწორედ ეტაპობრივი, ნაბიჯ-ნაბიჯ მოლაპარაკებით და მე უნდა ვიცოდე, რისი გაკეთება შემიძლია ოპოზიციაში ყოფნის დროს და რის გაკეთებას შევძლებ, თუ მე და ჩემი პარტია მოვალთ საქართველოს ხელისუფლებაში...

მართლაც — ნინო ბურჯანაძეს, როგორც ზვიად ძიძიგური იტყოდა, „უზაარმაზარი“ პოლიტიკური გამოცდილება აქვს და **იცის**, „როგორ კეთდება დიდი პოლიტიკა“. მან **იცის**, თავისი ინტერესების (და არა ხალხის) დასაცავად როგორ გაამართლოს სააკაშვილის პირსისხლიანი რეჟიმის მოქმედება, შემდეგ კი თქვას, რომ სააკაშვილი ძალაუფლების შესანარჩუნებლად „ომსაც კი დაიწყებს“; **იცის**, როგორ ილაპარაკოს „ვარდების რევოლუციის“ მიერ მოტანილ სიკეთეებზე, „ნაციონალური მოძრაობის“ დამსახურებაზე, ბიუჯეტის 5-ჯერ გაზრდაზე და ა.შ. წლების შემდეგ კი „ნაციონალური მოძრაობა“ დანაშაულებრივ ორგანიზაციად გამოაცხადოს. **იცის**, როგორ მიეპირფეროს ნატოს და თქვას, რომ ყველაზე მთავარი არის ალიანსის მიერ საქართველოს საკითხებზე საბჭოს შექმნა, შემდეგ კი განაცხადოს, რომ „ნატოში არავინ გველოდება და არავინ მიგვიღებს და ეს მასობრივი ფსიქოზია“; **იცის**, როგორ შეაფასოს საგანგაშო ვითარებად რუსეთის მიერ ყირიმის ნახევარკუნძულის მიერთება, შემდეგ კი თქვას, რომ „ყირიმი რუსეთის ტერიტორიაა, მოსწონს თუ არა ეს ვინმეს“. **იცის**, როგორ აქციოს სინონიმებად სიტყვები — „რუსეთი“ და „მტერი“, ჯერ თქვას, რომ „რუსეთმა თავი წარმოაჩინა, როგორც არაცივილიზებულმა სახელმწიფომ, რომელიც პატივს არ სცემს საერთაშორისო საზოგადოებრიობას, მეზობლურ ურთიერთობებს“... რომ ამ ქვეყანას „შეუძლია დაბომბოს მეზობელი სახელმწიფო, დაარღვიოს საერთაშორისო სამართლის ყველა ნორმა მხოლოდ იმიტომ, რომ არ მოსწონს რომელიღაც პრეზიდენტის მოქმედება, ხვალ კი არ მოეწონება მეზობელი ქვეყნის ხელმძღვანელის თვალების ფერი, ზეგ — სხვა რამ“, შემდეგ კი ამ ქვეყანას დითირამბები უძღვნას და თქვას, რომ ყველაფერს გააკეთებს მასთან საერთო ენის მოსაძებნად, ქვეყნისა და ხალხის ინტერესების დასაცავად“.

ამაზეა ნათქვამი: „ასე, ჩემო მანასეო, ხან ისე და ხან ასეო“.

**მოამზადა**
**გიორგი გაჩეჩილაძე**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

თოფაძე - მრეწველები, ჩვენი სამშობლო

19

# ძლიერი, სტაბილური და განვითარებული ეკონომიკის არსებობა წარმოუდგენელია ადგილობრივი წარმოების განვითარების გარეშე

**პოლიტიკური მოძრაობა „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ ჩამოყალიბდა 1999 წლის აპრილში, იმ დროს, როცა დამოუკიდებლობის გზაზე შემდგარი საქართველო, რომელსაც არც საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე გადასვლის, არც დემოკრატიული რეფორმების განხორციელების გამოცდილება არ ჰქონდა, ხელების ფათურით ცდილობდა პირველი ნაბიჯების გადადგმას.**

მაშინ გამოეცხადდნენ ჩვენს ქვეყანას საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ რეკომენდებული საერთაშორისო მრჩევლები, რომელთა მოვალეობა, როგორც შემდეგ თანდათან გაირკვა, განვითარებული ქვეყნების დანამატად, უუფლებო და მორჩილ სატელიტად საქართველოს ჩამოყალიბება იყო.

ეკონომიკურ მკვლელებად მოიხსენია ამერიკელმა **ჯონ პერკინსმა** ასეთი მრჩევლები, რომელთა შორის ერთ-ერთი თვითონ იყო (იხ. ჯონ პერკინსი, „ეკონომიკური მკვლელის აღსარება“).

მათი რჩევების მიღება ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ ნგრევას გამოიწვევდა და საქართველო, როგორც „ბანანის რესპუბლიკა“, მუდმივად სხვისი ხელის შემყურე ერზაცსახელმწიფო გახდებოდა.

გოგი თოფაძე, იმ დროს საქართველოს მრეწველთა კავშირის თავმჯდომარე, იხსენებს, რომ ამ კავშირის წევრი მეწარმეები სრულად აცნობიერებდნენ, „რამდენად მანკიერი აღმოჩნდებოდა ჩვენი ქვეყნისთვის (მრჩეველთა მიერ) თავსმოხვეული გეზის განხორციელება. მაშინ ბევრი ვიკამათეთ, ვიბრძოლეთ, აშკარად დავუპირისპირდით ამგვარი „კეთილმოსურნეების“ პოლიტიკას... მაგრამ მრეწველთა კავშირს არანაირი რეალური ბერკეტი არ გააჩნდა ვითარების გამოსასწორებლად და გადავწყვიტეთ, დაგვეარსებინა პოლიტიკური პარტია „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“.

ხუთიოდე თვის შემდეგ ამ პარტიამ შეძლო პარლამენტში არჩევისთვის საჭირო შვიდპროცენტიანი ბარიერის გადალახვა.

იმ მოწვევის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში და შემდეგაც „მრეწველები“ ერთადერთი ფრაქცია იყო, რომელიც მაღალი ტრიბუნიდან საქვეყნოდ ლაპარაკობდა იმ ნეგატიურ მოვლენებსა და ტენდენციებზე, რომლებიც სერიოზულად აბრკოლებდა ქვეყნის პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას.

დღეს ეს პარტია მესამედ მიდის არჩევნებზე, ამჯერად — ბლოკით „თოფაძე-მრეწველები, ჩვენი სამშობლო“.

**გოგი თოფაძე ქართულ სინამდვილეში საკულტო ფიგურაა — უმაღლესი კლასის მეურნე, ბიზნესმენი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე.**

**პიროვნება.**

## ბიოგრაფიის ქრონოლოგია

გოგი ლევანის ძე თოფაძე **დაიბადა თბილისში 1940 წლის 18 აპრილს. 1957 წელს** დაამთავრა თბილისის 51-ე საშუალო სკოლა და სწავლა განაგრძო თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის კვებისა და ქიმიური ტექნოლოგიის ფაკულტეტზე.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, **1962 წელს** მუშაობა დაიწყო კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში მეცნიერ-თანამშრომლად. 1967 წელს გამოცდებს აბარებს ორგანული ქიმიის მოსკოვის სახელმწიფო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტურაში. იმავე წელს იცავს დისერტაციას და მიენიჭება ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის წოდება.

პროფესორი გოგი თოფაძე 20 სამეცნიერო ნაშრომის, 4 მონოგრაფიის და 1 სახელმძღვანელოს ავტორია. ავტორია 3 წიგნისა, მათგან ერთ-ერთს — „თხილამურებით მთაში“ — 1999 წელს მიენიჭა საქართველოს სახელმწიფო პრემია ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში.

**1970-75 წლებში** ახალგაზრდა სპეციალისტი მუშაობდა თბილისის საპნის ქარხნის დირექტორად.

**1975-დან 1986 წლამდე** იყო საწარმოო გაერთიანება „თბილღუდის“ გენერალური დირექტორი.

**1986 წლიდან** მუშაობდა ლილოს ლუდის მშენებარე ქარხნის დირექტორად.

**1994 წელს** დააფუძნა კომპანია „ყაზბეგი“. ამჟამად გოგი თოფაძე სააქციო საზოგადოება „ყაზბეგის“ პრეზიდენტია.

**1999 წლიდან** არის პოლიტიკური მოძრაობა „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ თავმჯდომარე.

**1999-2003 წლებში,** შემდეგ **2012-2016** წლებში იყო საქართველოს პარლამენტის წევრი, „მრეწველთა“ ფრაქციის ხელმძღვანელია.

**1995-2009 წლებში** იყო სპორტის ზამთრის სახეობათა ფედერაციის პრეზიდენტი.

**1999 წლიდან** არის საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის ვიცეპრეზიდენტი.

**2005 წელს** აირჩიეს ევროპული სავაჭრო პალატის პრეზიდენტად.

**1997 და 1998 წლებში** დაასახლეს საქართველოს საუკეთესო ბიზნესმენად.

**2005 წელს** პირველი იყო ქართველ ბიზნესმენთა შორის, რომელიც დაჯილდოვდა მეცენატის ოქროს მედლით.

ჰყავს მეუღლე, 2 შვილი და 7 შვილიშვილი.



ხალხის წინაშე გამოსვლისას

## სამეურნეო საქმიანობის წლები

1994 წელი — ბიზნესმენი გოგი თოფაძე თანამოაზრეებთან ერთად აფუძნებს კომპანია „ყაზბეგს“, რომელიც აუქციონზე ყიდულობს თბილისის ლუდის მეორე ქარხანას და იწყებს წარმოების სრულ რეკონსტრუქციას. ქარხანაში 7,5 მილიონი დოლარის ინვესტიცია ხორციელდება.

**1995 წელი** — კომპანია „ყაზბეგი“ უშვებს პირველ ქართულ ლუდს სახელწოდებით „ანანური“.

**1997 წელს** კომპანია „ყაზბეგმა“ სააქციო საზოგადოება „რუსთავის ლუდის“ აქციები შეიძინა. იქმნება სააქციო საზოგადოება „ყაზბეგი“.

**1999 წელი** — კომპანია იწყებს თანხების დაბანდებას ტურიზმის სფეროში. შენდება სასტუმროები დაბა ყაზბეგსა და ბაკურიანში.

**2003 წელი** — თერჯოლის მეფრინველეობის ფაბრიკის ბაზაზე იქმნება შპს „ყაზბეგი-თერჯოლა“.

**2003 წელი** — „ყაზბეგი“ იწყებს თანხების დაბანდებას ხეტყის ბიზნესში. თელავის რაიონის სოფელ ფშაველში ყალიბდება შპს „ყაზბეგი-ფშაველი“.

**2003 წელი** — კომპანია „ყაზბეგი“ იწყებს დაბა ბაკურიანში დიდველის მთაზე სპორტულ-ტურისტული კომპლექსის მშენებლობის ოპერირებას.

**2005 წელი** — დაფუძნდა კომპანია „ფშაველი-ყაზბეგი“, საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება და გადამუშავება, სანადირო მეურნეობის მოწყობა.

**2006 წელი** — „ყაზბეგი ჯგუფის“ შემადგენლობაში შევიდა „ქართუ უნივერსალი“, რომლის წარმოებული ნაყინი „თოლია“ დღეს დიდად პოპულარულია.

## თბილისი – ტრადიციების ქალაქი

თბილისი ტრადიციების ქალაქი რომ არის, იცის ყველამ, ვისაც ერთხელ მაინც გაუვლია დედაქალაქის ქუჩებში. ქუჩები თავად არის ტრადიცია — თავშეყრის ადგილებით, ისტორიული აქცენტების, თაობების „პროფესიული ორიენტაციების“ მიხედვით დაყოფილ-შემოხაზული თანამოაზრეთა (ან თანატოლთა) ქუჩის სალონები; დღევანდელ ტერმინოლოგიას თუ გამოვიყენებთ, ქუჩის „არასამთავრობო ორგანიზაციები“, გნებავთ, ტერიტორიები — თავისუფალ მოაზროვნეთა კეთილგანწყობის ოაზისები.

კიროვის ყოფილ ბაღში, ანუ ვერის პარკში, კალათბურთის მოედანთან, ფეხბურთის თავგადაკლული მოყვარულები იკრიბებოდნენ. თავისი აუდიტორია ჰყავდა ოპერის ბაღს, ძველ „გოფილექტს“ პლეხანოვის პროსპექტზე და ა. შ.

რუსთაველი ხომ „პოდიუმი“ იყო თბილისის ყველა უბნის ლამაზმანების.

ტრადიციული დასასვენებელი ადგილები (ვის სად მოსწონდა) — „მუშთაიდი“ თავისი რესტორნით, „ინტურისტი“ — სასტუმროს უკან, ველიამინოვის ლუდხანა და დუქნები, დუქნები...

და **ლუდის მოყვარულთა მექა და მედინა — მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, ლუდის ქარხანასთან, ტრადიცია, რომელიც ჩვენი თაობის თვალწინ დაიბადა, სადაც ყოველთვის შეიძლება „ცოცხალი ლუდით“ („ბოჩკისას“ რომ ეძახდნენ) წყურვილის მოკვლა. მაშინ, როცა ბევრი სხვა ტრადიციული ადგილი მოიშალა, დღევანდელი „ყაზბეგის“ ოფისთან, ლუდსახარშთან, ამ სასმელის ჭეშმარიტ მოყვარულთა რიგები არ ილევა.**

**ამ ტრადიციის მცველობა იტვირთა კომპანია „ყაზბეგმა“, რომელიც,**

## გოგი თოფაძის პოლიტიკური ალგორითმი, რომლის მართებულობა დრომ დაამტკიცა

**როგორც უკვე ვუთხარით ჩვენს მკითხველს, გოგი თოფაძემ თანამოაზრეებთან ერთად 22 წლის წინათ დააფუძნა.**

ასე იშვა ტრადიცია ქალაქში, რომელიც ძნელად ითვისებს სიახლეებს, ძნელად ეგუება ტრადიციად მათ დამკვიდრებას.

გოგი თოფაძემ ეს მოახერხა, თანაც იმ დროს, როცა თბილისში და საერთოდ მთელ საქართველოში ქაოსი სუფევდა. **საოცარია, დაუჯერებელი და საღად მოაზროვნე ადამიანისთვის წარმოუდგენელია, მაგრამ ისტორიული ფაქტია, რომ ახალი, სუვერენული, დემოკრატიული საქართველოს მშენებლობა დავიწყეთ ნგრევით, ქვეყნის ეკონომიკური საფუძვლების მოშლით, საქვეყნო სიმდიდრის — ქარხნების, ფაბრიკების საწარმოო სიმძლავრეების საზღვარგარეთ, უწინარესად, თურქეთში ჯართად კაპიკებად გაყიდვით, სახალხო ქონების დატაცებით, ეროვნული სულისკვეთება და ერთადყოფნის აუცილებლობა ცარიელ სიტყვებად ვაქციეთ... და გადაეშვა საქართველო ძმათამკვლელ სამოქალაქო ომში, დაპატარავდა შაგრენის ტყავივით.**

აი, ასეთ პირობებში ვერავინ დაიჯერებდა, რომ თავის სიმართლეში დარწმუნებული, პროფესიონალიზმითა და ორგანიზატორული უნარით დაჯილდოვებული ერთი კაცი დანგრეულ და გაპარტახებულ ქარხანას არა მხოლოდ აღადგენდა, არამედ შექმნიდა თანამედროვე, წარმატებულ საწარმოს.

ვერავინ გადალახავდა უიმედობის, უპერსპექტივობის ეჭვის წინაღობას.

ვერავინ — გოგი თოფაძის გარდა.

აქამდეც დაუწერიათ ამის თაობაზე საქმეში ჩახედულ ადამიანებს; აღუნიშნავთ, რომ ყველას, ვისაც მასთან უმუშავია, წარმოების ორგანიზების მისი უნიკალური ნიჭი და უტყუარი ალღო ულიარებია, უპერსპექტივო საქმის წარმატებული მომავალი დაუნახავს და შედეგისთვისაც მიუღწევია.

**უკან დახევა, შუა გზაზე გაჩერება არასოდეს სჩვეოდა ამ ენერგიით სავსე კაცს. პირიქით — მიზნის მისაღწევად აუცილებელი სიჯიუტე და თავდაჯერება ხელს უწყობდა მის წარმატებულ საქმიანობას.**

**„ქართული ლუდის წარმოების აღდგენა დამოუკიდებელ საქართველოში კონკრეტული საქმის შედეგიანად კეთების ის პირველი პრეცედენტი იყო, რომლის მოწმეც გახდა ილუზორული დაპირებებით დაღლილი და იმედგაცრუებული ქართული საზოგადოება. მომხმარებელმა მიიღო და აღიარა „ყაზბეგის“ უცხოურზე უკეთესი და იაფი პროდუქცია, რომელიც დღესაც პოპულარობით სარგებლობს“.**

არჩევნები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95


ამომრჩევლებთან მორიგი შეხვედრის დროს

# თოფაძემ ყველას დაანახვა, რომ ინვესტორი არ არის ყოველთვის მართალი და არც მისი ბრმა მორჩილებაა სიკეთის მომტანი, რომ საკუთარი ღირსების დასაცავად ხანგრძლივი და შეუპოვარი ბრძოლა არა მხოლოდ გარდაუვალია, არამედ — აუცილებელიც

◀ ცოტაც — იდეალისტობა და ცოტაც — იღბალი.

სიახლეთა დანერგვისკენ მისწრაფებაც: წარმოებული პროდუქციის არა მხოლოდ ოდენობა (მაინც გასაღდება დეფიციტის პირობებში), არამედ — ხარისხი. ხარისხი — უპირველეს ყოვლისა. ჯერ კიდევ კომუნისტების დროს თოფაძის ინიციატივით „თბილლუდში“ ჩამოსხმული (0,33-ლიტრიან ბოთლებში, რომელიც თავისთავად სიახლე იყო) ლუდი „თბილისური“ ისე კარგი და მაღალხარისხიანი გამოდგა, რომ სპეცმაღაზიებში სპეცნებართვებით იყიდებოდა მსგავსად ჩეხური ლუდისა.

გოგი თოფაძის მთავარი პროფესიული საქმე, მისი ბიოგრაფების თქმით *(იხ. მაგალითად, ვალერიან ღვინჯილია „ფიქრები წარსულზე“)*, მაინც „ყაზბეგია“: „ქართული ბიზნესის ისტორიაში, ძნელია, მოძებნო ანალოგი, როცა კომპანიის სახელი და მისი დამაარსებელი აბსოლუტურად იდენტიფიცირებულია“ *(გვ. 93).*

გაბედულება იმთავითვე მოსდევს და ამ თვისების განვითარებაში მას უთუოდ ხელი შეუწყო ახალგაზრდულმა გატაცებამ მთამსვლელობით და სამთო-სათხილამურო სპორტით, რომელთა ერთგულება სისხლსა და ხორცში აქვს გამჯდარი.

**სულიერი წყობით, აღნაგობითა და ცხოვრების წესით სპორტსმენია. მისი თაობის ადამიანებს დღესაც ახსოვთ „ხიჟინად“ წოდებული სამთო მაშველთა პატარა ქოხი ბაკურიანში, კოხტაგორაზე, რომელშიც სტუმრობა ყოველი თავმოყვარე სპორტის მოყვარული ახალგაზრდისთვის საპატიო რიტუალად იყო მიჩნეული. მასპინძელი იყო გოგი და მისი ენთუზიასტი მეგობრები.**

სპორტი — მისწრაფება პირველობისკენ.

იქნებ, სწორედ ამან შეუწყო ხელი გოგი თოფაძეს, პირველს გადაედგა ის ნაბიჯი, რომლის გადადგმასაც ბევრი ვერ გაბედავდა 1994 წელს, როცა კრიმინალური ბანდებისთვის ლაგამის ამოდებაც კი წარმოუდგენელ სიმამაცესა და გამბედაობას მოითხოვდა, როცა მათგან დატერორებულ მეწარმეებს ხარკის უღელი ედგათ და, როგორც კახეთში ამბობდნენ, ბუხრის დანთებისა გვეშინია, რადგან, როგორც კი ბოლი ამოვა საკვამურიდან, „მხედრიონელები“ თავს დაგვესხმებიან — წარმოება ხომ არ გაგიხსნიათო.

## ვინც არ რისკავს, ის ლუდსაც ვერ სვამს

იყო ასეთი ვითარება და სწორედ ამ დროს, ანუ **22 წლის წინათ გოგი თოფაძემ არნახულად რისკიანი პროექტის განხორციელება განიზრახა: ქართული ლუდის ბიზნესმა ფეხის ადგმა მაშინ სცადა, როცა ბაზარი გაურკვეველი წარმოშობის, ხარისხისა და შემადგენლობის უცხოური ლუდით იყო გაჯერებული და ამ სარფიან საქმეს ზურგს უმაგრებდნენ ფინანსურად თუ პოლიტიკურად შეუზღუდავი ძალაუფლების მქონე ჯგუფები, მათ შორის, მაშინდელი ხელისუფლების მაღალჩინოსნებიც.**

სწორედ ასეთ ფონზე, დიდი პაუზის შემდეგ ბაზარზე „ყაზბეგის“ მარკით გამოჩენილმა პირველმა ქართულმა ლუდმა გაარღვია მტკიცედ შეკრული მანკიერი წრე. წარმოების მოკრძალებული მოცულობის მიუხედავად, „ყაზბეგმა“ ისე შეავიწროვა ლუდის იმპორტს ჩაჭიდებული არაერთი კომპანია თუ კორუმპირებული მოხელე, რომ მოწინააღმდეგეთა გაერთიანებულმა ძალებმა ადგილობრივი წარმოების ჩანასახშივე ჩაკვლა სცადეს.

მას შემდეგ, რაც თოფაძესთან მოლაპარაკებამ, დაშინებამ შედეგი ვერ გამოიღო, 40 შეიარაღებული სპეცნაზელი ქარხანაში შევარდა, გოგი შვილთან და მოადგილესთან ერთად დააპატიმრეს და წარმოების გაჩერება მოსთხოვეს.

ამაოდ. თოფაძე ვერ შეაჩერეს.

**„ქართული ლუდის წარმოების აღდგენა დამოუკიდებელ საქართველოში კონკრეტული საქმის შედეგიანად კეთების ის პირველი პრეცედენტი იყო, რომლის მოწმეც გახდა ილუზორული დაპირებებით დაღლილი და იმედგაცრუებული ქართული საზოგადოება. მომხმარებელმა მიიღო და აღიარა „ყაზბეგის“ უცხოურზე უკეთესი და იაფი პროდუქცია, რომელიც დღესაც პოპულარობით სარგებლობს“.** კომპანია ყოველწლიურად ახალ-ახალ ბრენდებს, ეკოლოგიურად სუფთა ნედლეულისგან დამზადებულ ნატურალურ სასმელებს სთავაზობს მომხმარებელს.

ასეა ამჟამად, მაშინ კი საქართველოში ლუდის იმპორტი იმდენად მომგებიანი იყო, რომ პოზიციების იოლად დათმობას არავინ აპირებდა. „ყაზბეგი“ კი საზიდავის მეხუთე თვალივით ზედმეტი იყო. მაფიამ, ძალით რომ ვერაფერს გახდა, წარმატებული კომპანიის წილში ჩაჯდომა სცადა.

კვლავ უშედეგოდ. ამიტომ მოგვიანებით, ინტერესთა ჯგუფების მიერ განხორციელებული ფართო ლობისტური კამპანიის შედეგად, 1995 წლის ივნისში ხელისუფლებამ გადაწყვიტა, ადგილობრივი მეწარმეებისთვის აქციზის გადასახადი, არც მეტი, არც ნაკლები, 1000 პროცენტით გაეზარდა. **„ამ საგადასახადო გილიოტინამ მომაკვდინებელი შედეგი 2-3 წელიწადში გამოიღო: სასმელის მწარმოებლებს ისეთი დავალიანებები დაუგროვდათ, რომ უმეტესობა ან გაკოტრების რეჟიმში მოექცა, ან წელში ვეღარ გასწორდა და ავად თუ კარგად მოპოვებული საბაზრო პოზიციები საბოლოოდ დაკარგა“.**

გამონაკლისი მხოლოდ „ყაზბეგი“ აღმოჩნდა. და ამის მიზეზი იყო უკიდურესად რისკიანი, თუმცა, ბიზნესის ლოგიკიდან გამომდინარე, აბსოლუტურად გამართლებული და, საბოლოო ჯამში, საწარმოს გადასარჩენად მიღებული ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება — თოფაძემ აბსურდულობამდე გაზრდილი აქციზის გადახდაზე უარი თქვა.

განაცხადა, რომ ასეთი გადაწყვეტილება ალოგიკური, უსამართლო და დარგის დამღუპველი იყო. ზოგიერთი კომპანია შეეგუა ასეთ უსამართლობას, თოფაძემ კი „ყაზბეგი“ ძველი სააქციზო გადასახადის რეჟიმში ამუშავა: ეს იყო საჯარო პროტესტი. ხელისუფლება იძულებული გახდა, შეეცვალა აქციზის განაკვეთი.

ეს კანონდარღვევა ეკონომიკური მიზანშეწონილობით იმდენად ლოგიკური იყო, რომ „ყაზბეგის“ წინააღმდეგ ჩასაფრებულმა მაკონტროლებლებმა ვერ გარისკეს თოფაძის შევიწროება.

პოლიტიკურმა ზეგავლენამ თანდათან ისეთ მასშტაბებს მიაღწია, რომ გოგი თოფაძე იძულებული შეიქნა, პოლიტიკურ ასპარეზზეც გამოსულიყო, შეექმნა პარტია და ახალი ქართული ბიზნესის თავისუფლება პარლამენტის ტრიბუნიდან დაეცვა.

**„მრეწველთა“ ფრაქციამ სახელმწიფოს მშენებლობის ორიგინალური, პრაქტიკული საქმიანობით დადასტურებული კურსი შესთავაზა უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს: საკუთარი ძალებითა და შესაძლებლობით, ადგილობრივი კადრების დასაქმებით ქვეყნის ეკონომიკის ფეხზე დაყენება და არავითარ შემთხვევაში უცხოელი მრჩევლების ბრმად მიყოლა, ე.წ. შოკური თერაპიისა და სხვა მსგავსი ნეგატივიზმის ერთადერთ გზად აღიარება და დამორჩილება.**

ყველაფერი უცხოურით, მათ შორის, იდეებით აღტაცება-აღფრთოვანების ვითარებაში „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ იდეოლოგია ჭეშმარიტად პატრიოტული და პრაგმატული იყო. **დრომ, რომელიც მას შემდეგ გავიდა, დაამტკიცა ამ მიმართულების სისწორე. უფრო მეტიც, ანალიტიკოსების აზრით, ქვეყნის განვითარების უფრო მკაფიო, რეალისტური, კონკრეტული და საქმით დამტკიცებული პოლიტიკური ალგორითმი ქართული საზოგადოებისთვის არც ერთ სხვა პოლიტიკოსსა თუ პარტიას არ შეუთავაზებია.**

დღეს კიდევ უფრო გამოიკვეთა ამ სტრატეგიული იდეის აქტუალობა. ასეთი დასკვნის გაკეთების უფლებას იძლევა თუნდაც ის ეფექტი, რომელიც მიღწეულია ტოტალური უმუშევრობის პრობლემის დაძლევის საკითხში. ქართული კომპანია „ყაზბეგის“ 18 საწარმოში, სადაც ქართული პროდუქცია იქმნება, დღეს ათასობით ადამიანია დასაქმებული, მათ ცხოვრების და შრომის ღირსეული პირობები აქვთ შექმნილი.

ასეთი აღმოჩნდა ამ ერთი კონკრეტული პარტიის მარგი ქმედების კოეფიციენტი. ჩვენს პუბლიკაციაში გოგი თოფაძის პარტიის მოღვაწეობაზე გადასვლამდე უთუოდ ღირს, „ყაზბეგის“ სამეურნეო საქმიანობის ისტორიას ბოლომდე მივადევნოთ თვალი.

## როცა ყოველი მხრიდან გიტევენ

ასეთი რამ „ველური კაპიტალიზმისთვის“, რომელიც იმთავითვე დამკვიდრდა საქართველოში, ბუნებრივი იყო.

ბუნებრივი და რთულად გადასალახი.

გოგი თოფაძემ და მისმა თანამოაზრეებმა შეძლეს გზის გაკვალვა წინააღმდეგობათა და დაბრკოლებათა იმ უღრან ტყეში, რომელშიც მაშინ ქვეყანა და ჩვენი მოსახლეობა აღმოჩნდა.

მაქსიმალური მობილიზებით, იდეის ერთგულებით და საკუთარი ღირსების დაცვით მოახერხეს საბაზრო ეკონომიკისთვის წარმოებულ ომში საკუთარი პოზიციების შენარჩუნებაც და განმტკიცებაც. ამის ერთ-ერთ მაგალითად ასახელებენ თოფაძის დაპირისპირებას ლუდის მწარმოებელ ფრანგ მილიარდერ **კასტელთან**, რომელიც შეეცადა, ხელთ ეგდო „ყაზბეგი“ და თვითონ გაბატონებულიყო ქართულ ბაზარზე. ექსპერტები წერენ, რომ ეს იყო პირველი პრეცედენტი, როცა უცხოურმა კომპანიამ ქართულს ქედი ვერ მოადრეკინა. და ეს მოხდა იმ ფონზე, როცა „კასტელის ჯგუფს“ ხელისუფლების ყველა დონეზე გარანტირებული მხარდაჭერა ჰქონდა — პოლიტიკური, რესურსული თუ ინსტიტუციონალური. **თოფაძემ ყველას დაანახვა, რომ ინვესტორი არ არის ყოველთვის მართალი და არც მისი ბრმა მორჩილება სიკეთის მომტანი, რომ საკუთარი ღირსების დასაცავად ხანგრძლივი და შეუპოვარი ბრძოლა არა მხოლოდ გარდაუვალია, არამედ — აუცილებელიც.**

დღევანდელმა მისმა პარტნიორებმა კარგად იციან, რომ საქმე აქვთ სოლიდურ კომპანიასთან. შესაბამისად, ჩამოყალიბდა ქართული ბიზნესის უცხოელ ინვესტორებთან თანამშრომლობის ახალი, ცივილიზებული სტანდარტი, რომელიც, უწინარესად, პარტნიორთა თანასწორუფლებიანობას ეფუძნება.

გოგი თოფაძეს განსაკუთრებულით მძაფრად ებრძოდნენ მედროვენი, რომლებიც საქართველოს ხელისუფლების სათავეში აღმოჩნდნენ; ცდილობდნენ მისთვის სახელის გატეხვას, უწოდებდნენ „წითელ დირექტორს“ და წარმოაჩენდნენ, როგორც ეკონომიკის მართვის საბჭოთა სისტემის გადმონაშთს.

ამაოდ დაშვრნენ, მიუხედავად იმისა, რომ არნახული სიმკაცრით, სახელისუფლო რესურსის უკანონო გამოყენების გზით ანგრევდნენ ამ ბიზნესმენის მიერ აწყობილ საქმეს ცალკეულ ობიექტებზე შეტევით.

გთავაზობთ ერთ მაგალითს.

ეკოლოგიური წონასწორობის დაცვა კორპორაციის საქმიანობის ერთ-ერთი ქვაკუთხედია. სწორედ ამ მიზნით და, აგრეთვე, **ხეტყის დაუმუშავებელი მასალის საზღვარგარეთ უკონტროლო გატანის საწინააღმდე-**

გაგრძელება იხ. მე-14 გვ.

**არჩევნები**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**გოგი თოფაძე ყოველთვის ხაზგასმით აღნიშნავს (და ეს პროგრამაშიც არის ჩაწერილი), რომ ქვეყნის აღმავლობის, „მდგრადი ეკონომიკური ზრდისა და დემოკრატიის განვითარების გარანტად წარმოგვიდგება ჩამოყალიბებული საშუალო ფენა“; რომ აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია ისეთი სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებით, რომელიც უზრუნველყოფს კანონის უზენაესობას, ადამიანების სამოღვაწეო სფეროებში თანაბარი შესაძლებლობების დამკვიდრებას, საყოველთაო განათლების მაღალ ხარისხს, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას.**

დასაწყისი იხ. მე-12 გვ-ზე.


„მრეწველებთან“ შეხვედრა ხალხს ყოველთვის აინტერესებს

**იგი იმ პოლიტიკოსთა შორის იყო (ან, ეგებ, პირველიც კი), რომლებმაც პარლამენტის ტრიბუნიდან განაცხადეს, რომ საქართველო არამც და არამც არ უნდა შეეგუოს ტურისტების მომსახურებისა და უცხოელი პატრონების ხელისბიჭობის ფუნქციას, რომელსაც უყოყმანოდ ეთანხმებოდა და სიხარულით ასრულებდა სააკაშვილის ქლესა ხელისუფლება 9-წლიანი პარპაშის პერიოდში. ამიტომ იყო, რომ კინაღამ საბოლოოდ ამოვძირკვეთ მევენახეობა-მეღვინეობის კულტურა, მეჩაიეობა, გავანადგურეთ ქართული მრეწველობა, მანქანათმშენებლობა და ა.შ.**

**გოდ, რომელიც (გატანა) საქართველოს ტყის საფარის განადგურებას იწვევდა, თოფაძემ და მისმა პარტნიორმა და მეგობარმა ლუკა რამაზაშვილმა თელავის რაიონის სოფელ ფშავეში ააშენეს და აამუშავეს თანამედროვე ტექნოლოგიით აღჭურვილი ხის გადამამუშავებელი ქარხანა „ყაზბეგი-ფშაველი“, რომელიც 6 სახის პროდუქციას აწარმოებდა და მისი საერთო რაოდენობის 90 პროცენტი ექსპორტზე გაჰქონდა. ამ საწარმოში 160 ადამიანი იყო დასაქმებული, უმთავრესად — ადგილობრივები.**

ამავე სოფელში თოფაძე-რამაზაშვილმა დააარსეს სასოფლო-სამეურნეო ფერმა და ისიც იმ კუთხის მოსახლეობას ახალი სამუშაო ადგილების გაჩენით შეეხიდა. მაგრამ სწორედ ეს არ მოეწონათ აქაურ ბობოლებს, რომლებიც ქვეყნის ერთ-ერთი ცენტრალური უწყების ხელმძღვანელის მამის ხელქვეითების მოდარაჯე ძაღლების როლს შესანიშნავად ასრულებდნენ, და ულტიმატუმი წაუყენეს ლუკა რამაზაშვილს (აფხაზეთსა და სამაჩაბლოში ნაომარ კაცს, რომელსაც ბრძოლის ველზე 12 მეომარი დაეღუპა და მათ ოჯახებს ინახავდა), — აქ არ გამუშავებთ და აიბარგეო. მისი მოცილება ჰქონდათ გადაწყვეტილი, რადგან ხეტყის მათ ბიზნესს, ანუ გომბორის ტყეების დაუნდობელ ჩეხვას, რომელიც მილიონობით ბინძურ შემოსავალს იძლეოდა, აღნიშნული საწარმო წერტილს უსვამდა.

2006 წელს სრულიად უსაფუძვლო ბრალდებით დააპატიმრეს რამაზაშვილი, სამართალში მისცეს და 8 წლით თავისუფლება აღუკვეთეს. 7 წელიწადი არაადამიანურ პირობებში ცალკე საკანში გამოამწყვდიეს, მაგრამ ვერ გატეხეს. მხოლოდ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ჭამა პური სამართალმა და შესაძლებელი შეიქნა მისი საპყრობილიდან გამოხსნა.

გოგი თოფაძე, როგორც შეეძლო, ცდილობდა ამ კაცის დაცვას ყველა ინსტანციაში და ყველა დონეზე. სააკაშვილსაც არაერთხელ შეხვდა და სამართლის აღდგენა მოსთხოვა: არაფერი დაუშავებია და რას ერჩითო.

იცით, რა უპასუხეს ადამიანის უფლებებისა და კონსტიტუციური სამართლიანობის უპირველესმა დამცველმა და მისმა ხელქვეითებმა?

— ჩვენს ადგილზე რომ იყოთ, ასეთ კაცს გარეთ დატოვებდითო?

— რატომო? — თოფაძემ რომ ჰკითხა, შეუფარავად და თავხედურად უპასუხეს:

— აგვირევს სიტუაციას, ისეთი გავლენის კაციაო.

აი მოტივი!

დღეს „ფშაველი-ყაზბეგის“ ფერმა ამოქმედებულია და ბევრი ფერმერისთვის სამაგალითოა. დიდი პოტენციალის მქონე ხეტყის გადამმუშავებელი ქარხანა კი გაუგებარი მიზეზების გამო უქმად დგას.

ძალამოკრებილი და გამოცდილებაშეძენილი „ყაზბეგი“ აფართოებს სამოქმედო არეალს, ამრავალფეროვნებს საქმიანობას არაერთი ბიზნესპროექტისთვის თავის დადგმითა და განხორციელებით.

ლუდს მოჰყვა **„ცივი ჩაი“**, თვისობრივად ახალი ნაწარმი, რომელიც არა მხოლოდ თავისთავად მნიშვნელოვანია, არამედ (და ესეც ფრიად ნიშანდობლივია), რომ ამ პროდუქტის წარმოებამ „გადარჩენის შანსი მისცა თითქმის კვდომის პირას მყოფ, ერთ დროს საქართველოს უპირველეს პრიორიტეტს — ჩაის დარგს საერთოდ“.

კვების მრეწველობის ტექნოლოგების დასკვნით, „ცივი ჩაი“ წარმოებულია ადგილობრივი, ქართული ნედლეულისგან, ეკოლოგიურად აბსოლუტურად სუფთაა და ამ კუთხით წაყენებულ ყველა მოთხოვნას სრულად აკმაყოფილებს, სხვათა შორის — ისევე, როგორც ლიმონათი „ყაზბეგი“. დღეს ამ კომპანიის პროდუქცია დამკვიდრებულია არა მხოლოდ ქართულ ბაზარზე, მას თავისი ნიშა აქვს მოპოვებული ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა აშშ, ავსტრია, თურქეთი, იტალია, ჩინეთი, იაპონია, ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკები, სულ — 30 ქვეყანაში.

**„ყაზბეგის“ საქმიანობის სპექტრის გაფართოებაზე საუბრისას აუცილებლად უნდა დავასახელოთ სააქციო საზოგადოება „დიდველი“ — ბაკურიანში, დიდველის მთაზე, თოფაძის თანამონაწილეობით საფუძველჩაყრილი გრანდიოზული სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი, რომელიც თავისი მახასიათებლებით პირველია საქართველოსა და მთლიანად რეგიონში, როგორც უნიკალური სამთო-საკურორტო ობიექტი თანამედროვე ინფრასტრუქტურით.**

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პირველ 10 წელიწადში თოფაძის კომპანიის მიერ განხორციელებული ბიზნესპროექტებიდან სახელმწიფო ბიუჯეტში 70 მილიონზე მეტი ლარი შევიდა.

იმავე პერიოდში **გოგი თოფაძის ფონდმა 7 მილიონი ლარის ქველმოქმედება განახორციელა სპორტის, მეცნიერების, განათლების, კულტურის და სხვა სფეროებში არსებული პრობლემების მოსაგვარებლად, შეჭირვებული ადამიანებისთვის ხელის გასამართად, ნიჭიერი ახალგაზრდების წასახალისებლად: გოგი თოფაძის სტიპენდიით ათეულობით ქართველი სტუდენტი სწავლობს უცხოეთისა და საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში.** მისი სტიპენდიანტები არიან ჩვენი უმაღლესი სკოლის პროფესორ-მასწავლებლებიც.

ასეთია გოგი თოფაძე — ქართველი ბიზნესმენი ქართული კაპიტალით, მეცენატი, ნიჭიერებითა და მიზანსწრაფულობით გამორჩეული მოღვაწე.

## პოლიტიკური ბრძოლის სარბიელზე

პოლიტიკური პარტია „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ და საპარლამენტო ფრაქცია „მრეწველების“ ქვეყნის სასიკეთოდ წარმატებულ საქმიანობაზე ბატონმა გოგიმ „საქართველო და მსოფლიოს“ წლევანდელ 34-ე ნომერში ილაპარაკა (იხ. „გოგი თოფაძის ანგარიში ამომრჩეველთა წინაშე“).

აქ, ამ ასპარეზზეც გამოილო სასურველი შედეგები მისმა ორგანიზატორულმა ნიჭმა და მოვლენათა ანალიზის უნარმა.

ალღომაც, რა თქმა უნდა, და გამბედაობამ.

**იგი იმ პოლიტიკოსთა შორის იყო (ან, ეგებ, პირველიც კი), რომლებმაც პარლამენტის ტრიბუნიდან განაცხადეს, რომ საქართველო არამც და არამც არ უნდა შეეგუოს ტურისტების მომსახურებისა და უცხოელი პატრონების ხელისბიჭობის ფუნქციას, რომელსაც უყოყმანოდ ეთანხმებოდა და სიხარულით ასრულებდა სააკაშვილის ქლესა ხელისუფლება 9-წლიანი პარპაშის პერიოდში. ამიტომ იყო, რომ კინაღამ საბოლოოდ ამოვძირკვეთ მევენახეობა-მეღვინეობის კულტურა, მეჩაიეობა, გავანადგურეთ ქართული მრეწველობა, მანქანათმშენებლობა და ა.შ.**

გადამყიდველებად გვაქციესო,— არაერთხელ დაუჩივლია თოფაძეს. ვიყიდი იაფად, გავყიდი ძვირად — ამას დავარქვით ბიზნესი და საცოდავი ქალები ბაზრობებზე დახლებთან დავაყენეთო.

**პარლამენტარ გოგი თოფაძეს, მის ფრაქცია „მრეწველებს“ ყოველთვის გამოარჩევდა სიმართლის თქმა და გაბედული პოზიცია. კოალიცია „ქართული ოცნების“ დაშლის ინიციატივა, ცნობილია, რომ „მრეწველებიდან“ მოდის.**

დაშლის მიზეზს ბატონი გოგი ასე ხსნიდა:

„— კოალიციაში ისეთი ადამიანები (პარტიები) გაერთიანდნენ, რომლებსაც დიამეტრულად საწინააღმდეგო თვალსაზრისი აქვთ მთელ რიგ საკითხებზე. ამის გამო ქვეყანა ვერ ვითარდება საჭირო მიმართულებით. ყველა ცივილიზებულ სახელმწიფოში კოალიციები იქმნება არჩევნების შემდეგ რაღაც გარკვეული მოსაზრებებით... არჩევნებამდე კი იქმნება საარჩევნო ბლოკე, ამიტომაც შევთავაზეთ კოლეგებს: მოდით, ცალცალკე ვიყაროთ კენჭი და გამოჩნდება, ვის აქვს ხალხის ნდობა და ვის — არა. ჩვენი მხრივ, ეს იყო სწორი გადაწყვეტილება და, მადლობა ღმერთს, ეს საკითხი დადებითად გადაწყდა.

**რესპუბლიკელებმა პრეტენზიებით აიკლეს „ქართული ოცნება“. პრივილეგიებს მოითხოვდნენ, ცდილობდნენ, თავიანთი ხალხი ყველგან დაეყენებინათ — მინისტრებად, მაჟორიტარებად. მიმდინარეობდა გაუთავებელი ვაჭრობა; და, რა თქმა უნდა, ჩვენ, ანუ კოალიციაში შემავალი დანარჩენი პარტიები შეურაცხყოფილი ვიყავით“.**

ამას ამბობს ადამიანი, რომელსაც, თანაგუნდელებთან ერთად, არასოდეს აუგად არ მოუხსენიებია კოალიციის წევრები, მაგრამ დეპუტატ **თინა ხიდაშელის** მორიგი ღვარძლიანი რეპლიკა — თოფაძე ჯერ კიდევ პარლამენტშიაო? —აღმოჩნდა ის წვეთი, რომელმაც აავსო თავშეკავებული „მრეწველების“ მოთმინების ფიალა და თავგასულებმა მიიღეს ის, რასაც იმსახურებდნენ.

**— ვინმემ თუ იცის, რა გააკეთეს რესპუბლიკელებმა კარგი ჩვენი ქვეყნისთვის? — იკითხა „საქართველო და მსოფლიოსთვის“ მიცემულ ინტერვიუში გოგი თოფაძემ და იქვე უპასუხა: — გაუთავებელი პროვოკაციებისა და წივილ-კივილის გარდა, — ჩვენ ვართ ყველაზე ერუდირებული პოლიტიკური ძალაო, — არაფერი.**

კოალიცია დაიშალა. არჩევნები გამოაჩენს, ვინ ვინ არის, ვის ენდობა ხალხი, ვისი იმედი ჯერ კიდევ არ დაუკარგავს.

გოგი თოფაძის ეს განცხადება „ჩირქის მოცხებად“ მიიჩნიეს. დღეს, ანუ არჩევნების კვირაძალს ამგვარი შეფასება მოგონებად დარჩა, ანუ გაკვეთილად მათთვის, ვინც ჩქარობს დასკვნების გამოტანას.

აიმრიზნენ მავანნი, როცა „მრეწველებმა“ რუსეთთან ურთიერთობის მოწესრიგების თავიანთი პოზიცია გაასაჯაროვეს, როცა კვლავ და კვლავ შეგვახსენეს ნატოსა და ევროკავშირში საქართველოს გაწევრების უპერსპექტივობა.

აქ უპრიანია, მკითხველებს შევთავაზოთ ერთი ამონარიდი გოგი თოფაძისთვის ჩამორთმეული ინტერვიუდან — **„ოლანდი, მერკელი, ობამა უარს გვეუბნებიან, ჩვენ კი ქალბატონ თინას უნდა დავუჯეროთ?“** *(იხ. „საქართველო და მსოფლიო“ №25):*

„მოდი, გავაანალიზოთ: რუსეთი, ჩვენი მეზობელი, ანგელოზი არ არის, უმძლავრესი ქვეყანაა და თავისი ინტერესები აქვს. მისი გაღიზიანება, ლანძღვა მოგვიტანს სასურველ შედეგს?

— **შედეგი არის, მაგრამ მინუსი ნიშნით.**

— რაც უფრო გავააქტიურებთ ჩვენი დასავლური კურსის პროპაგანდას, ჩრდილოატლანტიკური ბლოკისკენ სწრაფვას, იმდენჯერ გადმოსწევენ აქეთ საზღვარს. გვისიგნალებენ, მიგვანიშნებენ — „გაჩერდით, დაფიქრდით, არ გინდათ“... ხომ ვიცით, რომ ნატოში არ გვიღებენ. ცრუ დაპირებების საკენკს გვიყრიან. **10 წლის წინათ მიუნხენში ნატოს ორ გენერალს შევხვდი და მათ მითხრეს, თქვენ გიფრთხილდებით, ნატოში რომ არ გიღებთო.** იგივე თქვა **აპატურაიმ.** მაგრამ, ეტყობა, ვალდებულები არიან, ტყუილით გვკვებონ თავიანთი ოპონენტების ჯინაზე, რათა გზა-კვალი არ შევიცვალოთ და, ღმერთმა არ ქნას, სოროსისა თუ მისნაირი სხვა ავანტიურისტის პროექტი არ ჩავაგდოთ.

რუსოფილს დამიძახებენ, ამას რომ ვამბობ. კი, რუსეთში ვსწავლობდი, რუსეთში დავიცავი დისერტაციები, მაგრამ ჩემი ქვეყნისა მტკივა და მადარდებს.

წარმოიდგინეთ, რომ მივაღწიეთ ხელისუფლების მიერ დეკლარირებულ მიზანს — შევედით ნატოში. როგორ ფიქრობთ, რუსეთი მშვიდად შეხვდება კავკასიის ქედზე დაყენებულ ბალისტიკურ რაკეტებს, რომლებიც მისკენ იქნება დამიზნებული?!

ეს ერთი.

ნატოს უმძლავრესი პარტნიორია ჩვენი მეორე მეზობელი თურქეთი. საქართველოში, როგორც ნატოს წევრ ქვეყანაში, 10-12 ოფიცერი თურქეთიდან, ევროპის სხვა ქვეყნებიდან შემოვა და შემოჰყვება 2-3 ათასი თურქი ჯარისკაცი. გვაძლევს ეს ხელს?

ეს მეორე.

და მესამე: **ვიცით, რომ არ მიგვიღებენ, არც მალავენ, პირდაპირ გვეუბნებიან. ჩვენ კი მაინც ვიბითურებთ თავს.**

კარგით რა! **ოლანდი, მერკელი, ობამა** უარს გვეუბნებიან, ჩვენ კი ▶

19

თოფაძე - მრეწველები, ჩვენი სამშობლო

არჩევნები

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «მწამს, რომ რამდენიმე წლის შემდეგ მუდმივი კარნახისა და იძულებისგან გავთავისუფლდებით, შევქმნით ისეთ ძლიერ ეკონომიკას, რომლის გარეშე ნეიტრალიტეტი წარმოუდგენელია და, ბოლოს და ბოლოს, განვახორციელებთ ამ იდეას»

◀ ქალბატონ **თინას** უნდა დავუჯეროთ?! თქვენმა მკითხველმა კარგად იცის, რა ჰქვია ამას.

— **ევროკავშირი, ბატონო გოგი?**

— ევროპისკენ ვართ, გვესმის, რას ნიშნავს ევროპული კულტურა, დემოკრატია, ტექნოლოგიური სიძლიერე... მაგრამ, როცა ხედავ, რომ ყველაზე ძლიერი, წამყვანი ქვეყნის — ბრიტანეთის მოსახლეობის უმრავლესობა უარს ამბობს ევროკავშირის წევრობაზე, ამან, სულ ცოტა, უნდა დაგვაფიქროს — რა ხდება, რა მიზეზებმა განაპირობა ასეთი ისტორიული ფერიცვალება.

პრაგმატული ხალხია, გაუჭირდა ხურჯინივით აკიდებული აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების თრევა და „ჩამოიბერტყეს ფეხზე ვით მტვერი".

ეს პრობლემა აწუხებს ევროკავშირის სხვა ქვეყნებსაც, და ვინმეს მართლა სჯერა, რომ ამ სიტუაციაში დამატებით ტვირთს აიკიდებენ საქართველოს სახით? ახლა **მარი ლე პენმა** გამოაცხადა, რომ საფრანგეთში მოაწყობენ დიდი ბრიტანეთის მსგავს რეფერენდუმს, ანერვიულდა იტალიაც...

**როგორ ფიქრობთ, ევროკავშირის მოთხოვნები ჩვენზე არ გავრცელდება? არ დაგვავალდებულებენ, მაგალითად, ახლო აღმოსავლეთიდან, აფრიკიდან დევნილების მიღებას?! და ეს მაშინ, როცა საკუთარ სამშობლოში ლტოლვილი ქართველების პრობლემები ვერ გადაგვიწყვეტია.**

დეტალურად ამ პრობლემის განხილვა სხვა დროისთვის გადავდოთ.

— **და ნეიტრალიტეტის საკითხს დავუბრუნდეთ. რეალურია ასეთი პერსპექტივა საქართველოსთვის?**

— ღრმად მწამს, რომ ჩვენი ქვეყანა არ უნდა გაერთიანდეს არც ერთ აგრესიულ ბლოკში. არ გვაქვს ჩვენ მაგის თავი. **მწამს, რომ რამდენიმე წლის შემდეგ მუდმივი კარნახისა და იძულებისგან გავთავისუფლდებით, შევქმნით ისეთ ძლიერ ეკონომიკას, რომლის გარეშე ნეიტრალიტეტი წარმოუდგენელია და, ბოლოს და ბოლოს, განვახორციელებთ ამ იდეას.**

შენი ნეიტრალიტეტი სხვასაც უნდა აძლევდეს ხელს და მაშინაა შესაძლებელი მისი მატერიალიზაცია. ჩვენ ნელ-ნელა აქეთ მივდივართ.

— **ჩვენთვის ვიზალიბერალიზაცია განხორციელდება თუ ესეც მორიგი სატყუარაა?**

— ნუ ვიჩქარებთ. ვიფიქროთ. თანაც გავითვალისწინოთ ევროკავშირში აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების შესვლის ისტორია, ისიც, რა შედეგი მიიღეს გაწევრების შემდეგ და, რაც მთავარია, როგორი ვითარებაა დღეს ევროკავშირში, რომელზეც უკვე ვილაპარაკეთ.

კატეგორიულ პასუხს ამიტომ ვერ გაგცემთ".

## ძლიერი მეწარმე, ძლიერი ეკონომიკა, ძლიერი საქართველო!

**ასეთია პოლიტიკური გაერთიანება „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" პროგრამის მთავარი სლოგანი, რომლითაც იგი 8 ოქტომბრის არჩევნებზე მიდის. დედააზრი ილია მართლის დებულებაა, ილია ჭავჭავაძისა, რომელიც მან ანდერძად დაუტოვა მომავალ თაობებს: „ჩვენი საქმე საქართველოს ხალხის ცხოვრებაა, მისი გამჯობინება ჩვენი პირველი და უკანასკნელი სურვილია".**

ისმენდეთ თქვენ, ვინც მომავლიდან მოდიხართო.

ამ პოლიტიკურ გაერთიანებას მიაჩნია: მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე საქართველოს ადგილი მონიშნულია, „განვითარებული და პოლიტიკურად დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოსაყალიბებლად ჯერ კიდევ აუცილებელია რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორის გათვალისწინება".

მათ შორის უპირველესი, ძლიერი, სტაბილური და განვითარებული ეკონომიკის არსებობაა, რომელიც წარმოუდგენელია ადგილობრივი წარმოების განვითარებისა და ხელშეწყობის გარეშე.

პრობლემად თუ არა, სუსტ წერტილად რჩება დღეს განვითარებული ადგილობრივი წარმოება და ძლიერი სოფლის მეურნეობა.

ხელშემწყობი და მხარში ამომდგომი, რა თქმა უნდა, სახელმწიფო უნდა იყოს. „მრეწველები" გვპირდებიან, რომ ასეც იქნება, რადგან მომავალ პარლამენტში მათი მოღვაწეობა ამ მიზნისკენ იქნება მიმართული. მიზნისკენ, რომლის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ ერთიანობით ჩვენი საზოგადოებისა, რადგან ერთიანობა ქვეყნის ძლიერების აუცილებელი პირობა და წარმატების მთავარი პრინციპია, „ურთიერთპატივისცემა თანამედროვე საზოგადოების მშენებლობის ძირითადი ამოსავალია". **გოგი თოფაძე ყოველთვის ხაზგასმით აღნიშნავს (და ეს პროგრამაშიც არის ჩაწერილი), რომ ქვეყნის აღმავლობის, „მდგრადი ეკონომიკური ზრდისა და დემოკრატიის განვითარების გარანტად წარმოგვიდგება ჩამოყალიბებული საშუალო ფენა"; რომ აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია ისეთი სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებით, რომელიც უზრუნველყოფს კანონის უზენაესობას, ადამიანების სამოღვაწეო სფეროებში თანაბარი შესაძლებლობების დამკვიდრებას, საყოველთაო განათლების მაღალ ხარისხს, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას; აგრეთვე, სტაბილური და გადამხდელზე ორიენტირებული საგადასახადო პოლიტიკის დახვეწა-დანერგვას, კონკურენციის დაცვისა და უსაფრთხო გარემოს არსებობას.**



ერთად „ოცნების" კოალიციაში

საარჩევნოდ გამოქვეყნებულ პროგრამაში მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის პირობები შემდეგნაირადაა წარმოდგენილი:

„არსებული რეალობის გათვალისწინებით სასიცოცხლოდ აუცილებელია სახელმწიფო მხარდაჭერის განსხვავებული რეგულაციის არსებობა. მოქმედი საგადასახადო კოდექსი ითვალისწინებს განსხვავებულ საშეღავათო მიდგომას მხოლოდ მიკრო და მცირე ბიზნესის წარმომადგენლებისთვის, რომლებიც ფუნქციონირებენ, როგორც ფიზიკური პირები. აუცილებელია, განსხვავებული საგადასახადო რეჟიმი გავრცელდეს მცირე და საშუალო ბიზნესზე, მიუხედავად სამართლებრივი ფორმისა. უნდა გატარდეს გონივრულად დაგეგმილი და კონკრეტულ შედეგებზე ორიენტირებული საგადასახადო პოლიტიკა.

მცირე და საშუალო მეწარმეთათვის ბიზნესის დასაწყებად აუცილებელია შეღავათიანი სასტარტო პირობების შექმნა, მათ შორის 2-3 წლის განმავლობაში მცირე და საშუალო ბიზნესის ობიექტების გადასახადებისგან სრული გათავისუფლება. პარალელურად, მცირე ბიზნესისთვის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია დაბალპროცენტიანი და შეღავათიანი საბანკო კრედიტების სისტემის დანერგვის წახალისება".

იქვე აღნიშნულია, რომ, მთელი რიგი პროგრესული გადაწყვეტილებების მიუხედავად, კვლავ აქტუალური რჩება საგადასახადო კანონმდებლობის სრულყოფა და ბიზნესზე მორგებული რეგულაციების დაწესება. კერძოდ:

„* ორმაგი ინტერპრეტაციის ნორმები უნდა წყდებოდეს გადამხდელის სასარგებლოდ;

* ბრალდების ტვირთი უნდა მოდიოდეს სახელმწიფო მაკონტროლებელ ორგანოზე;

* უნდა განხორციელდეს საშემოსავლო გადასახადის შემცირება 5 პროცენტით და მოხდეს ოჯახის მიერ ბავშვის მოვლისთვის გაწეული აუცილებელი ხარჯების (განათლება, მკურნალობა) გამოქვითვა".

პარტიის მიერ დეკლარირებული საგარეო პოლიტიკის პრინციპები პროგრამაში აქცენტირებულად არის წარმოდგენილი. მითითებულია, რომ „ქვეყნის საგარეო-პოლიტიკური კურსი, უპირველეს ყოვლისა, უნდა ეფუძნებოდეს ქვეყნის საშინაო პოლიტიკას, რაც გულისხმობს სახელმწიფოს ხედვას, არჩევანს, მიზანსა და ინტერესებს. საგარეო პოლიტიკა უნდა იყოს კარგად გააზრებული, მკაფიოდ განსაზღვრული და მიმართული საქართველოს მოსახლეობის ინტერესების დაცვისა და გატარებისკენ. **ქვეყნის საგარეო პოლიტიკის მიზანი უნდა იყოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვა და აღდგენა. ამის მიღწევის ერთადერთი საშუალება კი დიპლომატიური იარაღის გამოყენებაა...**

* დიპლომატიური ურთიერთობების გაგრძელება და გაძლიერება;

* მეგობარ ქვეყნებთან სტრატეგიული პარტნიორობის შენარჩუნება და ურთიერთობის კიდევ უფრო გაღრმავება;

* სახალხო დიპლომატიის ყველა კომპონენტის შედეგიანად გამოყენება: კულტურული, სოციალური და ეკონომიკური კავშირებისა და ურთიერთობების გაძლიერება.

საგარეო-პოლიტიკური კურსის დაგეგმვისას ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ჯერ კიდევ უძველესი დროიდან საქართველო განიხილებოდა ევროპული სამყაროს ნაწილად. ამდენად, **ევროპულ ოჯახში დაბრუნება და ამ სივრცეში ღირსეული ისტორიული ადგილის დამკვიდრება ჩვენი საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება უნდა იყოს. მეორე მხრივ, ყველა დიპლომატიური რესურსი უნდა იყოს მიმართული რუსეთთან ურთიერთობის არსებული ფორმატის გასაძლიერებლად, რათა დაწყებულმა დიალოგმა კონკრეტული შედეგები გამოიღოს".**

„მრეწველები" ამომრჩეველთა ყურადღებას ამახვილებენ იმაზე, რომ, **„არსებული გეოპოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა შესაძლებელია მხოლოდ პარტნიორი ქვეყნების ძლიერი მხარდაჭერითა და რუსეთთან ინტენსიური დიპლომატიური მოლაპარაკებების საშუალებით".**

დასასრულ, კიდევ ერთი საკითხი, რომელიც არჩევნებზე პრაქტიკულად ყველა პარტიისა და კანდიდატის საჯილდაო ქვად არის წარმოდგენილი. პენსიებზე მოგახსენებთ, რომელთაც ზოგი მაჟორიტარი 500-ლარიან სატყუარად წარმოგვიდგენს; ზოგი 2000 ლარზე მეტს იმეტებს, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ 100 წელს გადავაბიჯებთ.

მასხარები!

„მრეწველები" თავშეკავებული და დიპლომატურები არიან:

**„სახელმწიფო პენსია არ უნდა იყოს 100 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში, ლარის გაუფასურების შემთხვევაში უნდა მოხდეს კორექტირება.**

სახელმწიფო პენსია, კომპენსაცია, დევნილთა დანამატი, ვეტერანებისთვის განკუთვნილი კომპენსაციები, სოციალურად დაუცველთა დანამატი უნდა კორექტირდებოდეს ვალუტის დევალვაციის გათვალისწინებით.

ყველა პენსიონერს (რომლებსაც სურთ მუშაობა, არიან დასაქმებული და აქვთ შემოსავალი არა უმეტეს 1000 ლარისა), მიუხედავად მისი პროფესიისა, ხელფასის პარალელურად უნდა მიეცეს სახელმწიფო პენსია.

უნდა გადაიხედოს სოციალურად დაუცველის სტატუსის მინიჭების პირობები; უნდა შემუშავდეს შეფასებისა და ქულების მინიჭების უფრო მოქნილი და ადეკვატური მექანიზმი.

უნდა გადაიხედოს სტიქიური უბედურების (სეტყვა, წყალდიდობა და სხვ.) შედეგად მიყენებული ზარალის კომპენსაციის პირობები და ასანაზღაურებელი თანხის ოდენობის საკითხი".

ბევრი სხვა საკითხია წარმოდგენილი პოლიტიკური გაერთიანება „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" საარჩევნო პროგრამაში, საკითხები და მათი გადაჭრის გზები. ამითაა ეს დოკუმენტი საინტერესო.

იმედის მომცემიც, შინაარსიდან და განწყობილებიდან გამომდინარე.

**„ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, — ვკითხულობთ პროგრამაში, — რომ, მიუხედავად არსებული სირთულეებისა, დაბრკოლებებისა და გამოწვევებისა, საქართველო კვლავაც შეასრულებს თავის ისტორიულ ფუნქციას".**

**რატომაც არა!**

**არმაზ სანებლიძე**
**(მედიის პუბლიკაციების გამოყენებით)**

**«ევროპულ ოჯახში დაბრუნება და ამ სივრცეში ღირსეული ისტორიული ადგილის დამკვიდრება ჩვენი საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება უნდა იყოს. მეორე მხრივ, ყველა დიპლომატიური რესურსი უნდა იყოს მიმართული რუსეთთან ურთიერთობის არსებული ფორმატის გასაძლიერებლად, რათა დაწყებულმა დიალოგმა კონკრეტული შედეგები გამოიღოს»**

ბაკურ სვანიძის
საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ბიძინა ივანიშვილს მოუწევს თავისი შეცდომების კასკადში უჩა ნანუაშვილის ჩართვაც. მოგეხსენებათ, მან უკვე აღიარა, რომ საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, თბილისის მერი, თავდაცვის ორი მინისტრი, საქართველოს პარლამენტის წევრთა ნახევარზე მეტი მისი „შეცდომები“ იყვნენ!**

**მომავალში საფლავიდან ვინ ვის ამოთხრის და ვის შთამომავლობას შერცხვება ურცხვი წინაპრისა, ამის ახლა განჭვრეტა, რა თქმა უნდა, ძნელია. უფრო ზუსტად, ძნელი კი არ არის, არამედ ისე ბევრია „ვარლამობის“ კანდიდატი, რომ შეუძლებელია მათგან ერთი რომელიმეს გამორჩევა. იმაშიც ეჭვი მეპარება, ან რომელიმეს შვილიშვილმა მოიკლას თავი ბაბუამისის ცოდვების გამო, ან რომელიმეს საბოლოოდ აზრზე მოსულმა შვილმა თავად ამოთხაროს ნაგავი მამამისი საფლავიდან და ხრამში მოისროლოს...**

# მონანიე-ბ-ება!



ახლა უფრო ის არის მოდური, ნორმალურად, პატიოსნად მცხოვრებ ადამიანებს სულელი და წარუმატებელი უძახონ, სხვა ადამიანების დაჩაგვრისა და მათთვის ლუკმაპურის სხვადასხვა მაქინაციით წართმევის ხარჯზე გამდიდრებულ და გამილიარდერებულ ღორებს — ქველმოქმედი, ხოლო ოსმალების ინტერესების გამტარებელ ე.წ. არასამთავრობო თუ კიდევ სხვა ტიპის ორგანიზაციებში შეყუჟულ, მახინჯი პროპაგანდის მწარმოებელ, საკუთარი სამშობლოს ფეხებზე დამკიდებელ და დოლარებზე დაკიდებულ ტიპებს წარმატებულის ტიტული მიანიჭონ.

შესაბამისად, უკვე **ისე იზრდებიან თაობები, ვფიქრობ, მომავლის „ვარლამების“ შვილიშვილები თავს კი არ მოიკლავენ, არამედ იამაყებენ კიდეც, — ბაბუაჩემი წარმატებული, ქველმოქმედი, ფულიანი, უკაცრავად და, ტრაკიანი კაცი იყოო!**

**ხოლო ზნეობრივად მცხოვრები ადამიანების შვილიშვილები თავიანთ ბაბუებს წყევლა-კრულვით ამოიღებენ საფლავიდან, — შე წარუმატებელო! შე დაბოღმილო! შე შეუმდგარო! რა გეზნეობებოდა, გეშოვა ფული, მოგეპოვებინა გავლენა ნებისმიერი ბინძური გზით და შენც „იგულავებდი“ და მეც „მაგულავებდიო“!**

სამწუხაროდ, ეს ტენდენცია აშკარაა და, ალბათ, ისევ ის სადღაც მიმალული ქართული შინაგანი კოდი და გენი თუ გვიხსნის მომავალში ამ სურათისგან, რომელიც ახლა დავხატე.

მანამდე კი ჩვენი ქვეყნის საქმე ისეა, რომ სახალხო დამცველს იქით უჩივიან თანამშრომელთა უფლებების დარღვევის გამო და უგებენ კიდეც სასამართლო პროცესს. გასულ კვირაში საქართველოს სახალხო დამცველ **უჩა ნანუაშვილს** სასამართლომ სახალხო დამცველის აპარატის ადამიანური რესურსების მართვის (ეიჩ-არ) დეპარტამენტის უფროსის სამსახურში აღდგენა დაავალა.

**საინფორმაციო სააგენტოებმა, ასევე, გაავრცელეს ცნობა, რომ ნანუაშვილს კიდევ არაერთი თანამშრომელი უჩივის და, წინასწარი ინფორმაციით, მათი უმეტესობა არაკანონიერი მიზეზით არის სამსახურიდან გაშვებული და ისინიც აუცილებლად მოუგებენ სასამართლოს სახალხო დამცველს.**

როგორც ჩანს, ბატონი სახალხო დამცველისთვის თანამშრომლებზე უკანონო თავდასხმა ჩვეული სტილია.

საზოგადოდ, სასაცილო (ან უკიდურესად ტრაგიკული) ამბავია, როდესაც ადამიანს, რომელსაც, წესით, იქით უნდა შესჩივლონ ხოლმე სამსახურიდან უკანონოდ განთავისუფლებულმა ადამიანებმა და დაცვა სთხოვონ, თვითონ „უპრაგონოდ“, როგორც გაუხარდება ისე, აგდებს სამსახურიდან საკუთარ თანამშრომლებს სრულიად უკანონო და დაუშვებელი მიზეზებით.

ამიტომ ჩნდება ლეგიტიმური კითხვა — **თუ ასე უხეშად, უკანონოდ და უმართებულოდ ექცევა საკუთარ თანამშრომლებს, მაშ, ვიღას და ვისგან ან რისგან იცავს სახალხო დამცველი?**

თუ უჩა ნანუაშვილის საჯარო განცხადებებს გავიხსენებთ, მათ პათოსს, მიმართულებას, შინაარსს, ღრმად თუ არა, ზედაპირულად მაინც გავიაზრებთ, პასუხიც მალევე გვექნება: **უჩა ნანუაშვილისთვის სიტყვა „ხალხი“ შემოიფარგლება მხოლოდ და მხოლოდ ე.წ. უმცირესობებით და იგი, საერთოდ, არ მიიჩნევს ხალხად უმრავლესობას.**

**ეს არის ის, რაც უჩა ნანუაშვილმა საკუთარ თავს დაავალა, თორემ, სინამდვილეში, კანონი სულაც არ ავალდებულებს სახალხო დამცველს, მაინცდამაინც მხოლოდ უმცირესობების უფლებები დაიცავიო.**

## უჩა ნანუაშვილისთვის სიტყვა «ხალხი» შემოიფარგლება მხოლოდ და მხოლოდ ე.წ. უმცირესობებით და იგი საერთოდ არ მიიჩნევს ხალხად უმრავლესობას. ეს არის ის, რაც უჩა ნანუაშვილმა საკუთარ თავს დაავალა, თორემ, სინამდვილეში, კანონი სულაც არ ავალდებულებს სახალხო დამცველს, მაინცდამაინც მხოლოდ უმცირესობების უფლებები დაიცავიო

უმცირესობებს, იქნება ეს რელიგიური, ეროვნული, სექსუალური თუ სხვა ტიპის, თავისი, კონკრეტული არასამთავრობო უფლებადამცველები ჰყავთ. საქართველოს სახალხო დამცველს კი ხალხის, მათი სულიერი თუ მატერიალური ფასეულობების, მათი ზნეობრივი კატეგორიების, მათი შრომითი თუ კიდევ სხვა სახის უფლებების დაცვა მოეთხოვება.

ჰოდა, საქმეც ეგაა, რომ **დღევანდელ საქართველოში უმრავლესობას ხალხად აღარავინ აგდებს. არსამთავრობოების 80 პროცენტი, საზოგადოდ, ტელევიზიების ასევე 80 პროცენტი და, ასე ვთქვათ, ფულიანი ტელევიზიების 100-ვე პროცენტი მხოლოდ ლგბტ, ლიბერასტი, ათეისტი თუ, საერთოდაც, სატანისტი ჯგუფების უფლებათა დაცვაზეა გადასული, თუმცა არც არავინ იცის რეალურად, ვინ, როდის და რა ფორმით ლახავს მათ უფლებებს.**

სწორედ ამ კუთხით არის ხოლმე საინტერესო საქართველოს სახალხო დამცველის — უჩა ნანუაშვილის კომენტარები, რომლებშიც, ძირითადად, საუბარია იმაზე, რომ უმრავლესობა, შესაძლოა, ფიზიკურ ძალადობას არა, მაგრამ მძიმე ფსიქოლოგიურ ზეწოლას ახორციელებს უმცირესობაზე.

ანუ **გამოდის, უმრავლესობის დანაშაული ის ყოფილა, რომ უმცირესობის ჭკუაზე არ დადის.**

საქმე ასეა: **უმცირესობის წარმომადგენლების რაღაც ნაწილი, როგორც წესი, გამოირჩევა თავხედობით, უზრდელობით, საკუთარი ცხოვრების წესის გამოცხადებით ერთადერთ სწორ და აუცილებელ ცხოვრების წესად და, ვინც ასე არ ცხოვრობს, მათი დაცინვა, აბუჩად აგდება უმცირესობების ამ წარმომადგენელთა ჩვეული სტილია.**

„თქვენ, ყველანი, უნდა გაპედერასტდეთ! თქვენ, ყველას, უნდა მოგწონდეთ ერთნაირსქესიანთა თანაცხოვრება და ქორწინება! თქვენ, ყველამ, უნდა უარყოთ ქალის ქალობა და მამაკაცის მამაკაცობა! ქალმა თუ ქმარს კარტოფილი შეუწვა, ეს ქალის სასტიკი ჩაგვრაა და ქმარი, რომელმაც ცოლს კარტოფილი შეაწვევინა, უნდა ჩავსვათ ციხეში! ჰო, კიდევ არავის უნდა გწამდეთ ღმერთი! არ უნდა გჯეროდეთ პატრიარქის და აუცილებლად უნდა ლადაობდეთ ბიბლიაზე! სხვა შემთხვევაში თქვენ ხართ ბნელები, ჩამორჩენილები, გაუნათლებლები, უინტელექტოები, უწიგნურები, ღიპიანი ქართველები, გურჯები, გრუზინები, ხეპრეები და ა.შ.“ — აი, ეს ბრჭყალებში მოყვანილი ფრაზა არის ნიმუში იმისა, რასაც უმცირესობები ასე დაჟინებით ითხოვენ უმრავლესობისგან.

უჩა ნანუაშვილისა და მისნაირების მტკიცებით კი, უმრავლესობის „დანაშაული“ ის ყოფილა, რომ ამ აგრესიულ და თავხედ უმცირესობებს არ უჯერებენ; არ გადადიან მათ ჭკუაზე და მტკიცედ პასუხობენ: **„ჩვენ ეგეთი ცხოვრება არ გვსურს. ჩვენ გვსურს ნორმალური ცხოვრება; გვინდა, გვქონდეს ჩვენი სარწმუნოება; გვსურს, ოჯახში ქალი ქალი იყოს და მამაკაცი — მამაკაცი; გვსურს ქალი კარტოფილს წვავდეს და მამაკაცი ლურსმანს აჭედებდეს და არა თანაბრად, ან სულაც პირიქით! გვსურს, დავესწროთ წირვას, გავზარდოთ შვილები და ავაშენოთ ზნეობრივი სახელმწიფო!“** — აი, ეს პასუხი არის თურმე უმცირესობის ჩაგვრა, რადგან ეს „საშინელი და ჯიუტი“ უმრავლესობა თავისი დაუმორჩილებლობით „ნერვებს უშლის“ ეგზომ „ფაქიზი“ სულის პატრონ უმცირესობებს.

არ მინდა, მკითხველმა ისე გამიგოს, თითქოს რომელიმე უმცირესობის წარმომადგენელს ვლანძღავდე ან ვამცირებდე. არსებობისა და სრულფასოვანი ცხოვრების უფლება აქვთ ათეისტებსაც, პედერასტებსაც, ფემი-

## ისე იზრდებიან თაობები, ვფიქრობ, მომავლის «ვარლამების» შვილიშვილები, თავს კი არ მოიკლავენ, არამედ იამაყებენ კიდეც, — ბაბუაჩემი წარმატებული, ქველმოქმედი, ფულიანი, უკაცრავად და, ტრაკიანი კაცი იყოო! ხოლო ზნეობრივად მცხოვრები ადამიანების შვილიშვილები თავიანთ ბაბუებს წყევლა-კრულვით ამოიღებენ საფლავიდან, — შე წარუმატებელო! შე დაბოღმილო! შე შეუმდგარო! რა გეზნეობებოდა, გეშოვა ფული, მოგეპოვებინა გავლენა ნებისმიერი ბინძური გზით და შენც «იგულავებდი» და მეც «მაგულავებდიო»!

**ჩვენი სახალხო დამცველი კი უმრავლესობის ინტერესების შელახვას, მათ დაცინვას, გათახსირებას, ლანძღვას, მათი გრძნობების ფეხქვეშ გათელვას საერთოდ ვერ ამჩნევს. მხოლოდ დამცირებული უმრავლესობისგან პასუხის გაცემის შემდეგ ირთვება უჩა ნანუაშვილში „სახალხო დამცველის ინსტინქტი“ და მედგრად იწყებს „მოვალეობის შესრულებას“, ანუ ლგბტ პირებისა თუ სხვა უმცირესობათა დაცვას!**

სატირა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ ნისტებსაც და სხვებსაც. საზოგადოება ვერასოდეს იქნება ერთგვაროვანი მასა. **სრულფასოვანი საზოგადოება აუცილებლად უნდა შედგებოდეს სხვადასხვა ფენისგან, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ უმცირესობებმა საკუთარ, უმრავლესობისთვის მიუღებელ ცხოვრების წესს საჯარო, სატელევიზიო რეკლამა უკეთონ, ნორმალურად მცხოვრები უმრავლესობა ლანძღონ, თათხონ, მათ ჩამორჩენილები და ბნელები ეძახონ და საპასუხო რეაქციის მიღების შემდეგ კიდევ აქეთ მონათლონ ისინი აგრესიულებად.**

ამის მაგალითი უამრავია, როდესაც უმცირესობის რომელიმე თავხედი წარმომადგენელი რელიგიის გამო, ოჯახისადმი პასუხისმგებლობიანი დამოკიდებულების გამო, პატრიარქისადმი პატივისცემის გამო ლანძღავს, ამცირებს, დასცინის რომელიმე ადამიანს და ხანგრძლივი თმენის შემდეგ მისგან შესაბამისი პასუხის მიღებისთვის, უკვე იქით აბრალებს მას „აგრესიულობას“.

**ჩვენი სახალხო დამცველი კი უმრავლესობის ინტერესების შელახვას, მათ დაცინვას, გათახსირებას, ლანძღვას, მათი გრძნობების ფეხქვეშ გათელვას საერთოდ ვერ ამჩნევს. მხოლოდ დამცირებული უმრავლესობისგან პასუხის გაცემის შემდეგ ირთვება უჩა ნანუაშვილში „სახალხო დამცველის ინსტინქტი“ და მედგრად იწყებს „მოვალეობის შესრულებას“, ანუ ლგბტ პირებისა თუ სხვა უმცირესობათა დაცვას.**

ეს უკვე ისე თვალში საცემია, რომ ხალხს სახალხო დამცველისა, კარგა ხანია, აღარ სჯერა. ხალხი იმასაც ლაპარაკობს, უჩა ნანუაშვილმა თავისი აპარატის ის თანამშრომლები სამსახურიდანაც სწორედ იმიტომ გაათავისუფლა, რომ უმცირესობათა წარმომადგენლები არ იყვნენო.

მოკლედ, ყველაფერი იქით მიდის, რომ **ბიძინა ივანიშვილს მოუწევს თავისი შეცდომების კასკადში უჩა ნანუაშვილის ჩართვაც. მოგეხსენებათ, მან უკვე აღიარა, რომ საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, თბილისის მერი, თავდაცვის ორი მინისტრი, საქართველოს პარლამენტის წევრთა ნახევარზე მეტი მისი „შეცდომები“ იყვნენ!**

ბატონი მილიარდერი, ასე პირდაპირ რომ აღიარებს თავის ოლიგარქობასაც და აშკარა ოლიგარქიულ მმართველობას საქართველოში, ესეც, რა თქმა უნდა, სათქმელია.

აკი, **იმის აღიარება, რომ ყველა ეს არჩევითი თანამდებობის პირი მისი „პირადი შეცდომა“ იყო, რეალურად იმას ნიშნავს, რომ მილიარდერმა ისინი, ფაქტობრივად, „დასვა“ ამ თანამდებობებზე, ანუ ისინი, სინამდვილეში, ხალხის მიერ არჩეულნი კი არა, მილიარდერის მიერ „დანიშნულნი“ არიან.**

მაგრამ, ჯანდაბას, ამასაც თავი დავანებოთ. ბოლოს და ბოლოს, იყოს ოლიგარქია, ოღონდ ოლიგარქმა სწორად შეარჩიოს ამ დონის თანამდებობის პირები და ქვეყანას ხელში ნუ ჩაუგდებს უტიფრებს, უნამუსოებს, უვიცებს და უპასუხისმგებლოებს, ხომ შეიძლება?

რა უბედურებაა, კვარტალში ერთხელ, ჟურნალისტებთან შეხვედრისას, სხვადასხვა თანამდებობის პირთან დაკავშირებული მონანიება? **დაჯდება ეს ბრძენი მილიარდერი და მოთქვამს, — მე ესა და ეს პერსონა ასეთი მეგონა და ისეთი ყოფილაო! ეგ რომ მცოდნოდა, რომ ეგეთი იყო, მაგას რავა დავასახელებდი მაგ თანამდებობის კანდიდატადო?! ისე მოაღებს ხოლმე პირს ბატონი ოლიგარქი, გეგონებათ, მართლაც რომელიღაც სოფლის კოლმეურნეობის თავმჯდომარეზე იყოს საუბარი და არა ქვეყნის პრეზიდენტზე ან პარლამენტის თავმჯდომარესა თუ თავდაცვის მინისტრზე...**

რაც მთავარია, ბატონ ივანიშვილს ერთხელაც არ უხსენებია ის ამბავი, რომ ნებისმიერი ამ „ადამიანი-შეცდომის“ თანამდებობაზე დასახელებისას, ანუ მათი არჩევა-დანიშვნის წინა პერიოდში უამრავი ადამიანი ეუბნება, ურჩევს, გაჰყვირის, — არა, ბატონო ბიძინა! ეგ ადამიანი მაგ თანამდებობაზე არ დანიშნო, ეგ სინამდვილეში არ არის ისეთი, თქვენ რომ გგონიათო და შესაბამისი არგუმენტებიც მოჰყავს, მიუთითებს მათ განვლილ გზაზე, სხვადასხვა პერიოდში მათ მიერ გაკეთებული და საზოგადოებისთვის მკვეთრად მიუღებელი საჯარო განცხადებების შინაარსზე, პერიოდულ პრესაში გამოქვეყნებულ სტატიებზე, რომლებშიც მათი მიერ გამოთქმული აზრები საზოგადოების მკვეთრ პროტესტს იწვევდა და ასე შემდეგ.

მაგრამ „ბრძენ ოლიგარქს“ არავის მოსმენა არ სურს, სანამ 2 ან 3 წლის შემდეგ თვითონვე არ შეუტევს მონანიების მძაფრი სურვილი.

აი ასეთ მომენტში კი ბატონი მილიარდერი უკვე ისე „საყვარლად“ ახასიათებს თანამდებობამდელ და თანამდებობის მიღების შემდგომ „ბატონ იქსს“, რომ კარგავ ადამიანურ ლოგიკას, როდესაც ეს კაცი საკუთარ თავს მაინც „შეუცდომელს“ უწოდებს და მორიგი „რჩეულის“ ხალხისთვის წარდგენისას კვლავ იმეორებს: „მენდეთ! მე ამ კაცს კარგად ვიცნობ! დამიჯერეთ, ის ყველაზე მაგარი კანდიდატურაა, ხომ გჯერათ ჩემი?!“

სიმართლე გითხრათ, **გულის ფანცქალით ველოდები ბიძინა ივანიშვილის მორიგ მონანიებას. უფრო ზუსტად მონან-უ-ებას, ანუ „რეჩს“ იმის შესახებ, რა „საყვარელი“ და „ბუნჩულა“ იყო უჩა ნანუაშვილი მანამდე, სანამ ივანიშვილი სახალხო დამცველად დანიშნავდა.**

ნანუაშვილის დანიშვნის წინა პერიოდშიც უამრავი ადამიანი ურჩევდა ივანიშვილს, არ დაესვა თანამდებობაზე ქართველი საზოგადოების უდიდესი ნაწილისთვის სასტიკად მიუღებელი ნანუაშვილი, მაგრამ „ბრძენმა“ მილიარდერმა მაინც თავისი გაიტანა.

ამიტომ მართლა ძალიან მაინტერესებს, რა იქნება ის „ძალიან საყვარელი“ არგუმენტები, რომელთა გამოც ივანიშვილმა ნანუაშვილი მაშინ თანამდებობაზე დასვა?

თუმცა **რას შეიძლება ელოდე ადამიანისგან, რომელიც არჩევნების წინ, როგორც იქნა, თავიდან იშორებს რესპუბლიკელებს; აღიარებს, რომ შეცდა მათში, ახლაღა ხვდება, თურმე რა მიუღებელი ყოფილან ისინი ხალხისთვის, მათ უმთავრეს ნაკლად ე.წ. ლიბერასტულ მიდრეკილებებს ასახელებს და, ამასთანავე, „ქართული ოცნების“ ახალი საარჩევნო სიის გამსვლელ ოცეულში რესპუბლიკელებზე უფრო უარესი ლიბერასტები, ფემინისტები და კიდევ უფრო მეტად მიუღებელი და ოდიოზური პეროსნები შეყავს?**

ალბათ, ვერც ვერაფერს. დაველოდებით მისგან სასიკეთოს და, როგორც ჩანს, მომავალ ოთხ წელიწადსაც ჩვენი ქვეყანა პერმანენტულ ბიძინურ მონანიებებში გაატარებს... და, რადგან საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ არჩევნების შემდგომი მონანიებების მორიგ ციკლს სწორედ უჩა ნანუაშვილი გახსნის, თამამად შეგვძლია ამ პროცესს „მონან-უ-ება“ ვუწოდოთ...

ოცნება უკვე გაგიბანძეს და რა გაეწყობა — გამძლეობას გისურვებ, საქართველოვ!

**გულის ფანცქალით ველოდები ბიძინა ივანიშვილის მორიგ მონანიებას. უფრო ზუსტად მონან-უ-ებას, ანუ «რეჩს» იმის შესახებ, რა «საყვარელი» და «ბუნჩულა» იყო უჩა ნანუაშვილი მანამდე, სანამ ივანიშვილი სახალხო დამცველად დანიშნავდა**



# პაატას ზღაპრები

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №33-34 (362-363)

— ეუჰ, რა კაია, ბიჭო! – გადაჰკრა მელაკუდამ არაყი, ლუკმა მიაყოლა და ხაშის წვენი მოხვრიპა.

— ჭამე, ჭამე, ნამდვილი სასწაულია. თან მითხარი, აბა, რის თქმა გსურდა, — უთხრა პაატას. პაატა აწყლიანებული თვალებით შესცქეროდა მელას და ოფლს იწმენდდა.

**— რა ვქნა, მელაკუდა, როგორ გავხდე ტყის ბელადი? სიმღერაც აღარ შემიძლია, ბოლო პერიოდში სმას მოვუმატე და ხმაც დავკარგე. ბულბული მჯობნის უკვე. ჩემი ბანი აღარავის უნდა.**

— ჩემო პაატა, არ არსებობს გამოუვალი მდგომარეობა, დალიე და გეტყვი, — უთხრა კარგად შეზარხოშებულმა მელამ.

პაატამ გადაჰკრა ჟიპიტაური და თავით მაგიდაზე დაემხო.

— ოო, ეს არ შეგშვენის. აბა, წელში გაიმართე, შემომხედე! ყურები რომ ჩამომეყარა და ენოტს დავნებებოდი, დღეს ასე კი არ ვიქნებოდი. ახლა კარგად მომისმინე: ცოტა ფული მაქვს გადანახული შავი დღისთვის. მე დაგეხმარები, ოღონდ რაღაცებზე უნდა შევთანხმდეთ.

— გისმენ, მელაკუდა, შევთანხმდებით, აბა, რას ვიზამთ, – მიუგო იმედის ნაპერწკლით ანთებულმა პაატამ.

— შენს ტყეში ვინ ბინადრობს?

— კატა, ვეფხვი, ლომი, ერთი ბუც გვყავს, სინდიოფალა და ჰიენა.

— ძალიან კარგი, მათ რიგებს ჩვენი ტყის ბინადრებიც შეუერთდებიან და საქმეებს ერთად გადაწყვეტენ. მოკლედ, მიკიბვ-მოკიბვის გარეშე გეტყვი: ფორმალური ბელადი შენ იქნები, მაგრამ ვითარებას მე და ჩემი გუნდი გავაკონტროლებთ, როგორც აქაურ, ისე თბილისურ ტყეში. ნუ, შენც გექნება რაღაც უფლებები, მაგრამ საბოლოოდ მე გადავწყვეტ საკითხებს.

— თანახმა ვარ, შენი ჭირიმე, ოღონდ ეს ისე უნდა შევფუთოთ, რომ ვერავინ მიხვდეს, — მიუგო პაატამ.

— რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა. ეგ არ იქნება პრობლემა. მე მყავს ჩემი ტყიდან ვითომ გაქცეულები, რომლებიც ისევ მემორჩილებიან. **ისინი დღესვე ჩაატარებენ ტყის შეკრებას. იქ გაახმაურებენ, ვითომ მათ უნდათ, რომ თქვენს ტყეს შემოუერთდნენ. ხომ ხედავ, კაი ტიპი გამომყავხარ, ვითომ მათ უნდათ, რომ შენი გუნდის წევრები გახდნენ. ერთი დღე ფორმალურად დაიცდით და მეორე დღეს გამართავთ ტყის შეკრებას, რომელზეც იტყვით, რომ თანახმა ხართ, მათი გუნდი შეიერთოთ. ნუ, რა თქმა უნდა, თქვენც იტყვით, რომ მხოლოდ მათში ხედავთ პოტენციალს ტყის ასაღორძინებლად.**

— ეს რა კარგი რამე მოგიფიქრებია, მელაკუდა, ყოჩაღ!

— ხომ გითხარი, გამოუვალი მდგომარეობა არ არსებობს-მეთქი. ჰოდა, ახლა მივიდეთ ჩვენებთან და დაველაპარაკოთ ამ ამბებზე. შენიანებთან არაფერი დაგცდეს, – გააფრთხილა მელამ.

— არა, ჭირიმე, როგორ გეკადრება.

გამოვიდნენ მელა და პაატა სახაშიდან და კვლავ ტყისკენ გაეშურნენ, გზაში გეგმები გაწერეს. მიადგნენ ისევ იმ მიტოვებულ შენობას, რომელშიც მათი მეგობრები იმყოფებოდნენ.

— აბა, აბა, ყურადღება! მნიშვნელოვანი სიახლე გვაქვს თქვენთვის, — თქვა მელამ და უცებ სიჩუმე ჩამოვარდა. — ხვალ მოიწვევთ ტყის კრებას და გააკეთებთ მიმართვას პაატას ტყესთან შეერთების ინიციატივაზე. ტექსტზე მუშაობა ახლავე დაიწყეთ და ქანდარაზე მომართვით, ერთი დედალიც წამომიყოლეთ.

ცხოველები დაფაცურდნენ, ერთმანეთს ყურში რაღაცებს უჩურჩულებდნენ და დაიწყეს ტექსტზე მუშაობა. მელა და პაატა კი ქანდარისკენ გაეშურნენ.

— ახლა დავისვენოთ და დავიძინოთ, საღამოსთვის ტექსტი იქნება, დილით ჩვენები ტყის კრებას მოიწვევენ და საგანგებო მიმართვასაც გააკეთებენ, — უთხრა მელამ პაატას.

— კი, ჭირიმე, დიდი მადლობა, ამ სიკეთეს არ დაგივიწყებ! – უთხრა პაატამ და დამშვიდებულმა ფშვინვა ამოუშვა.

**გრიგოლ ინგაძე**

**ისინი დღესვე ჩაატარებენ ტყის შეკრებას. იქ გაახმაურებენ, ვითომ მათ უნდათ, რომ თქვენს ტყეს შემოუერთდნენ. ხომ ხედავ, კაი ტიპი გამომყავხარ, ვითომ მათ უნდათ, რომ შენი გუნდის წევრები გახდნენ. ერთი დღე ფორმალურად დაიცდით და მეორე დღეს გამართავთ ტყის შეკრებას, რომელზეც იტყვით, რომ თანახმა ხართ, მათი გუნდი შეიერთოთ. ნუ, რა თქმა უნდა, თქვენც იტყვით, რომ მხოლოდ მათში ხედავთ პოტენციალს ტყის ასაღორძინებლად**

არჩევნები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მე, როგორც მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი, მოვუწოდებ მერიას, უკანონო მშენებლობებისთვის ნებართვის გაცემის ნაცვლად, ზაჰესს შეუსრულოს დაპირება და უმოკლეს ხანში განახორციელოს ცენტალურ მაგისტრალთან დამაკავშირებელი ხიდის რეაბილიტაცია; ასევე, მოაგვაროს საკანალიზაციო სისტემა, განათების პრობლემა და, რაც მთავარია, ეკონომიკის სამინისტრომ გაასაჯაროოს ჰესის გასხვისებისას დადებული ხელშეკრულების პირობები. იქნებ, ამ შემთხვევაში მაინც ზაჰესის მოსახლეობამ იგრძნოს თავი დედაქალაქის და, საზოგადოდ, ქვეყნის სრულფასოვან მცხოვრებად.**

# მოგზაურობა თბილისში

**საარჩევნო კამპანიამ, რომელსაც დიდუბის რაიონში ვაწარმოებ, როგორც უპარტიო დამოუკიდებელი მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი, სამეურნეო დაგეგმვის უამრავი პრობლემის წინაშე დამაყენა.**




**ზაჰესის დასახლება, რომელიც მოწყვეტილია მთავარ მაგისტრალს, მიყრუებულ სოფელს უფრო ჰგავს, ვიდრე დედაქალაქის უბანს. არ არის გაკეთებული ბორდიურები, არ არსებობს დასასვენებელი პარკი, ახალგაზრდობის გასართობი ადგილები — კაფე-ბარი, რესტორანი. ერთადერთი, რაც არის, სტადიონია და ისიც განათების გარეშე**

განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში დამხვდა **ზაჰესის დასახლება**, რომელიც ფორმალურად ეკუთვნის დედაქალაქს, პრაქტიკულად კი, მოწყვეტილია მას. მთავარ მაგისტრალთან დამაკავშირებელი ხიდი, რომელიც ჯერ კიდევ 2015 წლის თებერვალში უნდა აღმდგარიყო, დღემდე არ არის რეაბილიტირებული, რის გამოც მოსახლეობა სერიოზულ დისკომფორტს განიცდის, რადგან შემოვლითი გზით სარგებლობა რამდენიმე კილომეტრით აგრძელებს მანძილს. მოსახლეობისთვის მიცემული დაპირება მერიას კარსმომდგარი არჩევნების წინ გაახსენდა და რამდენიმე ტრაქტორი მოუყენებია ხიდთან, როგორც ამას დღეს მთელი ქალაქის მაშტაბით აქვს ადგილი — **გადათხრილია თბილისი, დაწყებულია სარეაბილიტაციო სამუშაოების ბუმი, მაშინ, როდესაც ეს პროცესი 4 წლის განმავლობაში ეტაპობრივად უნდა წარმოებულიყო.**

წლებია, ზაჰესის მოსახლეობას გადაადგილება შემოვლითი გზით უწევს, რაც დაკავშირებულია ზედმეტ მატერიალურ ხარჯებთან — დიდი დრო მიაქვს ქალაქის სხვა უბნებთან დაკავშირებას. **ზაჰესის დასახლება, რომელიც მოწყვეტილია მთავარ მაგისტრალს, მიყრუებულ სოფელს უფრო ჰგავს, ვიდრე დედაქალაქის უბანს. არ არის გაკეთებული ბორდიურები, არ არსებობს დასასვენებელი პარკი, ახალგაზრდობის გასართობი ადგილები — კაფე-ბარი, რესტორანი. ერთადერთი, რაც არის, სტადიონია და ისიც განათების გარეშე.** საზოგადოდ, ზაჰესში ძალიან უხარისხო განათებაა. აუცილებელია ამ ადგილის სათანადო კეთილმოწყობა, უწინარესად კი სრულფასოვანი კომუნიკაციის აღდგენა დედაქალაქთან, სამარშრუტო და ავტობუსის ხაზები დღეს თითზე ჩამოსათვლელია.

კასკადის ქუჩაზე მოუწესრიგებელია საკანალიზაციო სისტემა, რომელიც ღიაა წლების განმავლობაში, ფეკალური მასები ზედაპირზე ტივტივებს. უბანში გაუსაძლისი სუნი დგას და მოსახლეობის ჯანმრთელობას საფრთხე ემუქრება. კანალიზაციის მოწესრიგების შესახებ მოქალაქეების არაერთი თხოვნის მიუხედავად, ადგილობრივი მუნიციპალიტეტი ამ საკითხის მოგვარებას ვერ ახერხებს, განმარტავს, რომ საკითხის გადაწყვეტა დიდ სახსრებთანაა დაკავშირებული და ამიტომ ამ ეტაპზე კანალიზაციის სისტემის რეაბილიტაცია შეუძლებელია.

ზაჰესის დევნილთა დასახლებაში ლიფტის დამონტაჟების პრობლემაა (რომელიც ჯდება 30 000 ლარი). ამხანაგობა „მერცხალმა" მიმართა გამგეობას თანადაფინანსების თაობაზე, მაგრამ გამგეობამ ამაზეც უარი თქვა — ამ ეტაპზე ბიუჯეტში ამდენი თანხა არ არისო.

**სამი დღეა, დევნილებს წყალი არ მიეწოდებათ. მოსახლეობაში გაჩნდა საფუძვლიანი ეჭვი, რომ ეს წინასაარჩევნო ხრიკია და არ გამორიცხავენ, რომ წყალი საარჩევნო დივიდენდების მოპოვების მსურველმა ხელოვნურად გადაკეტა, ანუ მან, ვისაც წყლის მიწოდება ხელეწიფება.**

როგორც ჩანს, იმ ფონზე, როცა უსახო ახალმშენებლობებით განადგურდა დედაქალაქის იერსახე, დამახინჯდა მისი კოლორიტული უბნები, არ მიმდინარეობს კეთილმოწყობისთვის განკუთვნილი რესურსის თანაბარი გადანაწილება, ამიტომ რჩება უსახსროდ და უპატრონოდ ზაჰესის მგავსი დასახლებები. მთელი ყურადღება მიმართულია ქალაქის ცენტრალური უბნებისკენ, სადაც ყოვლად დაუშვებელი მშენებლობებია გაჩაღებული ისევ და ისევ ფინანსური დაინტერესების გამო. ადგილი აქვს ძველ თბილიში მცხოვრები მოსახლეობის სიდუხჭირით სპეკულაციას. გარკვეული თანხის შეთავაზების შემთხვევაში მოქალაქე თანხმდება, გაყიდოს საკუთრება და გზა დაუთმოს დანაშაულებრივ მშენებლობებს.

**9 წლის წინათ ზაჰესი 41 მილიონ დოლარად გასხვისდა. დარწმუნებული ვარ, რომ მსგავსი სტრატეგიული ობიექტის შესყიდვის მსურველს ხელშეკრულებაში ერთ-ერთ პირობად აღნიშნული უნდა ჰქონოდა ობიექტის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა.** აუცილებელია, გასაჯაროვდეს უხცოელ ინვესტორთან დადებული ხელშეკრულების პირობები. იმ შემთხვევაში, თუ მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის საკითხი არ იყო ერთ-ერთ პუნქტად შეტანილი, ჰესის გასხვისების მიზანშეწონილობა საეჭვო ხდება. თუ იყო და არ გაკეთდა, მაშინ ინვესტორს ჩვენი კანონმდებლობის მიხედვით უნდა მოეთხოვოს.

## ამომრჩევლის მოსყიდვა უნდა დაისაჯოს

ქალაქის პერიფერიის მიტოვებული მოსახლეობა, რომელიც წლების განმავლობაში არავის ახსოვს, უკიდურესად იმედგაცრუებულია. შეხვედრებისას არაერთგზის მსმენია, რომ პარტიებმა დალუპეს და შეჭამეს ქვეყანა. შეუსრულებელი დაპირებებით გადაღლილი ხალხი მათთან მისულ დეპუტატობის ყველა კანდიდატს უდობლობით ეპყრობა, თუმცა პირისპირ საუბრის შემდეგ ჩემსა და მოსახლეობას შორის აღმართული ჩინური კედელი ნაწილობრივ დაირღვა. საგანგაშოა ადამიანებში დასადგურებული უნდობლობა, რომელიც ისევ და ისევ მავანის წისქვილზე ასხამს წყალს და ხელ-ფეხს უხსნის მის თვითნებობას, რადგან სიდუხჭირით დამძიმებული, დაბეჩავებული მოსახლეობა სიფხიზლეს კარგავს და საკუთარი ინტერესების დასაცავად უუნარო ხდება.

გამაოცა ზაჰესის დასახლების ახალგაზრდა თაობამ. უაღრესად ნიჭიერი, ალალი ბავშვები, რომლებიც იმსახურებენ ღირსეულ მომავალს. დღეს ერთადერთ სტადიონზე, რომლის გარდა სხვა გასართობი არ გააჩნიათ, განათების გასაკეთებლად სახსრები ვერ მოინახა.

**მე, როგორც მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი, მოვუწოდებ მერიას, უკანონო მშენებლობებისთვის ნებართვის გაცემის ნაცვლად, ზაჰესს შეუსრულოს დაპირება და უმოკლეს ხანში განახორციელოს ცენტალურ მაგისტრალთან დამაკავშირებელი ხიდის რეაბილიტაცია. ასევე, მოაგვაროს საკანალიზაციო სისტემა, განათების პრობლემა და, რაც მთავარია, ეკონომიკის სამინისტრომ გაასაჯაროოს ჰესის გასხვისებისას დადებული ხელშეკრულების პირობები. იქნებ, ამ შემთხვევაში მაინც ზაჰესის მოსახლეობამ იგრძნოს თავი დედაქალაქის და, საზოგადოდ, ქვეყნის სრულფასოვან მცხოვრებად.**

მას შემდეგ, რაც ზაჰესში არაერთი შეხვედრა გავმართე, მათ შორის, მოზარდებში ამხანაგური საფეხბურთო მატჩიც ჩავატარეთ, გამოჩნდა ჩემი კოლეგა მმართველი პარტიიდან თბილისის მერთან ერთად. ეს უკანასკნელი მაჟორიტარობის კანდიდატს მეტი დამაჯერებლობისთვის მოჰყვა და აშკარად ეტყობოდა, რომ მანამდე ზაჰესი ნანახი არ ჰქონდა. ჩემი საარჩევნო კამპანიის ნაკვალევზე მოსულმა ოპონენტმა მერითურთ ხმების მიღების ხათრით მაინც მისცეს ზაჰესს ელემენტარული ინფრასტრუქტურული შვება. ვიმეორებ, ნებისმიერმა პარტიამ მიიწეროს ამის გაკეთება თავის თავზე, ოღონდ გასაკეთებელი გაკეთდეს!

**დიდი დიღმის მე-2 მიკრორაიონში** მდებარე **187-ე საჯარო სკოლა**, რომელშიც 700 მოსწავლე სწავლობდა, სააკაშვილის მმართველობის პერიოდში გაიყიდა. მსოფლიო ბანკის მიერ გარემონტებული, იგი დღეს 10 წლის ვადით „თიბისი" ბანკშია დაგირავებული. შედეგად, მიკრორაიონი სკოლის გარეშე დარჩა.

გასხვისების დეტალებით შინაგან საქმეთა სამინისტრო და პროკურატურა დაინტერესდნენ, რადგან ამ პროცესში გადაცდომის ფაქტები აღირიცხა, მაგრამ საქმე მოკვლევის დონეზე დარჩა და გამოძიება დღემდე არ დაწყებულა. პედაგოგებმა მიმართეს ყველა მოქმედ თანამდებობის პირს, რომელთაც ხელეწიფებოდათ სკოლის აღდგენის საკითხზე გავლენის მოხდენა, მაგრამ დღემდე ეს საქმე მკვდარი წერტილიდან არ დაძრულა. მოზარდები მოსწყდნენ სასწავლო პროცესს, მათთვის ჩვეულ გარემოს, მეგობრებს, პედაგოგებს, რაც იწვევს ფსიქოლოგიურ სტრესს. მათი სხვა სკოლებში გადაყვანა უკავშირდება ახალ გარემოსთან შეგუების საკმაოდ მტკივნეულ პროცესს, რომლის გადალახვაც მოზარდს გარკვეული დროის განმავლობაში უწევს, რაც თავისთავად ურყოფითად მოქმედებს ცოდნის მიღებასა და სასწავლო მასალის ათვისებაზე. ამასთანავე, ათეულობით პედაგოგი უმუშევარი დარჩა.

**აუცილებელია 187-ე საჯარო სკოლის გასხვისების საქმეზე გამოძიების დაწყება. განათლების სამინისტრო ვალდებულია, მაქსიმალურად გამოიყენოს მის ხელთ არსებული ყველა შესაძლებლობა, რათა სკოლა დაუბრუნდეს მოსწავლეებსა და პედაგოგებს.**

რამდენიმე დღის წინათ **ზურგოვანის** მოსახლეობასთან გავმართე შეხვედრა და აქაც, როგორც სხვა შემთხვევებში, იმედგაცრუებასა და უნდობლობას წავაწყდი. **ადგილობრივი მუნიციპალიტეტისთვის არაერთგზის მიმართვის მიუხედავად, მოუგვარებელია სანიაღვრე სისტემა, რის გამოც ჭარბი ნალექის მოსვლის შედეგად იტბორება სახლები, ზიანდება ეზოები, ნარგავები. ადამიანები რეგულარულად განიცდიან ავდრით გამოწვეულ მატერიალურ ზარალს, რომლის ანაზღაურებაც, კანონით, ადგილობრივ სტრუქტურებს ევალება. მოსახლეობა იძულებულია, თავისი მწირი სახსრებით გაუმკლავდეს ადგილობრივი მუნიციპალიტეტის უნიათობითა და უპასუხისმგებლობით მიყენებულ ზიანს. ამასთანავე, წლების განმავლობაში უგულებელყოფილია მოსახლეობის თხოვნა ასფალტის დაგების თაობაზე.**

ერთ-ერთმა ამომრჩეველმა წამიყენა პირობა: ხმას იმ შემთხვევაში მომცემდა, თუ ზემოთ ჩამოთვლილ პრობლემებს საარჩევნო კამპანიის მსვლელობისას მოვუგვარებდი. მსგავსი დამოკიდებულება ძირეულად მცდარია, თუმცა **მაჟორიტარი კანდიდატის მისამართით ასეთი ობივატელური ულტიმატუმის წაყენება შედეგია ათწლეულების განმავლობაში დანერგილი საარჩევნო სპეულაციური სისტემისა, რომელსაც ხმების მოსაპოვებლად მიმართავენ არაკეთილსინდისიერი პოლიტიკოსები.** განვითარებული ქვეყნის არც ერთ მოქალაქეს აზრად არ მოუვა, რომ გზის დაგება, სანიაღვრე სისტემის მოგვარება, გაზიფიკაცია ან სხვა ინფრასტრუქტურული პრობლემა დეპუტატობის კანდიდატს აჰკიდოს. საქართველოში კი ასეთი უზნეო პრაქტიკა წლების მანძილზე მოქმედებს, რომლებიც რყვნის და აჩლუნგებს ამომრჩეველს. მოქალაქეს არ აინტერესებს კანდიდატის პროგრამა, მისი მსოფლმხედველობა, პოლიტიკური მისწრაფებები. იგი ევაჭრება კანდიდატს და, თავის მხრივ, ცდილობს მასზე ზეგავლენას, რათა საარჩევნო პერიოდში მაინც წაგ- ▶

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლი ჯარისკაცი, რომელმაც ბოლო ათწლეულების განმავლობაში 4 ომი გამოიარა, ვერ ინახავს ოჯახს, ვერ აძლევს შვილებს სათანადო განათლებას, არარეალიზირებული და მიტოვებულია სახელმწიფოსგან...ქართველი ერისა და ქართული სახელმწიფოს წინაშე ჩადენილი ზოგადსაკაცობრიო დანაშაულში მონაწილენი სარგებლობენ სამედიცინო მომსახურების უპრეცენდენტო პრივილეგიებით, რომლებიც არ ვრცელდება ომის ვეტერანებსა და ინვალიდებზე, არ ვრცელდება დევნილ მოსახლეობაზე.

◀ ლიჯოს ლუკმა, რადგან იცის, რომ არჩევნების დასრულებისთანავე არავის გაახსენდება.

მსგავსი დამოკიდებულება ამომრჩეველსა და კანდიდატს შორის დაუშვებელია, ამიტომაც არჩევნებიდან არჩევნებამდე მოსახლეობა მუდმივად განიცდის უკმაყოფილებას, რადგან უმრავლესად ის ირჩევს არა იდეოლოგიური შეხედულებებით, არამედ ყიდის თავის ხმას დაგებულ ასფალტზე, გაყვანილ კანალიზაციაზე ან, უბრალოდ, 50 ლარზე. ამომრჩეველი დააჩვიეს საარჩევნო სპეკულაციას, მმართველი ძალა სარგებლობას მისი სიდუხჭირით და ეს იქცა ნორმად. საარჩევნო კამპანიის მსვლელობისას კანდიდატის მიერ საკუთარი ან პარტიის სახსრებით ასფალტის დაგება ან სხვა ინფრასტრუქტურული მანიპულაცია არ არის ქველმოქმედება. ეს არის ამომრჩევლის მოსყიდვის მცდელობა, მასზე ზემოქმედების განხორციელება, რომელიც კანონით იკრძალება. სანამ ასეთი პრაქტიკა არ აღმოიფხვრება, ჩვენ ვერასოდეს მივიღებთ ჩვენთვის სასურველ მთავრობას, რომელიც ხალხის ინტერესების გამომხატველი იქნება.

ამომრჩეველი ვალდებულია, მაჟორიტარობის კანდიდატს საკუთარი სახსრებით ასფალტის დაგება კი არ მოსთხოვოს, არამედ მაღალკვალიფიციური შუამდგომლობა ადგილობრივ ხელისუფლებასთან. კანდიდატი კი, თავის მხრივ, ვალდებულია, დაარწმუნოს ამომრჩეველი თავის წესიერებაში და მასზე დაკისრებული მოვალეობების პირნათლად შესრულებაში.

**მე, როგორც დიდუბის უპარტიო დამოუკიდებელი მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი, ვაცხადებ, რომ არ მაქვს ფინანსური შესაძლებლობა ამომრჩევლების მოსყიდვისა და, რომც მქონდეს, არ გავაკეთებდი ამას. თითქმის ყველა უბანში, სადაც მოსახლეობასთან შეხვედრა გავმართე, ანალოგიური პრობლემები დამხვდა. რაც უნდა დიდი ფინანსური შესაძლებლობები ჰქონდეს ამა თუ იმ კანდიდატს, ის მთელ რაიონს ვერ გასწვდება. თუ ერთ უბანში ან ერთ ქუჩაზე დააგე გზა, სხვა ქუჩების მცხოვრებლებმა რა დააშავეს?! ყველა შემთხვევაში ე.წ. ქველმოქმედება შერჩევითი გამოდის. ვიმეორებ: მსგავსი „ქველმოქმედება“ ამომრჩეველზე ზემოქმედების მცდელობაა. მოსახლეობისთვის გაცემული დაპირებების შესრულება კანონით განსაზღვრულ ვადებში უნდა ხდებოდეს და არა საარჩევნო კამპანიის მსვლელობისას.**

## „თუ ჩვენ ავდექით, თქვენ დაწვებით!“

სააკაშვილის რეჟიმის მიერ ვეტერანთა შესახებ კანონმდებლობის დანაშაულებრივმა შეცვლამ გამოიწვია ომის ვეტერანთა და ინვალიდთა უფლებების უპრეცენდენტო შელახვა. 2006 წლის 1 იანვრიდან გატარებული ცვლილებების შედეგად საკანონმდებლო ბაზა სრულიად განადგურდა. **საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლ თანამემამულეებს მოეხსნათ კომუნალური, სატრანსპორტო, სამედიცინო შეღავათები, ასევე, წელიწადში ერთხელ საზღვარგარეთ გამგზავრების დაფინანსება. მეორე და მესამე ჯგუფის ომის ინვალიდებს მათი დასაქმების შემთხვევაში მოეხსნათ სოციალური შემწეობა.**

მსგავსი შეურაცხმყოფელი დამოკიდებულება სახელმწიფოსგან მოსახლეობის იმ ნაწილისადმი, რომელიც საკუთარი ჯანმრთელობისა და სიცოცხლის ფასად იცავდა ქვეყნის კეთილდღეობას, ყოვლად დაუშვებელი და დასაგმობია! სამარცხვინოა ომის ვეტრანთა და ინვალიდთა მიმართ ასეთი დამამცირებელი მოპყრობა იმ ფონზე, როდესაც, აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე



**საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლ თანამემამულეებს მოეხსნათ კომუნალური, სატრანსპორტო, სამედიცინო შეღავათები, ასევე, წელიწადში ერთხელ საზღვარგარეთ გამგზავრების დაფინანსება. მეორე და მესამე ჯგუფის ომის ინვალიდებს, მათი დასაქმების შემთხვევაში, მოეხსნათ სოციალური შემწეობა. მსგავსი შეურაცხმყოფელი დამოკიდებულება სახელმწიფოსგან მოსახლეობის იმ ნაწილისადმი, რომელიც საკუთარი ჯანმრთელობისა და სიცოცხლის ფასად იცავდა ქვეყნის კეთილდღეობას, ყოვლად დაუშვებელი და დასაგმობია**

მცხოვრებთათვის სამედიცინო დახმარების პროგრამა მუშაობს, რომლის მიხედვითაც თბილისის საუკეთესო კლინიკებში მაღალკვალიფიციური ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურება ეწევათ აფხაზეთიდან ჩამოსულებს. პროგრამა საზღვარგარეთ მკურნალობის დაფინანსებასაც გულისხმობს. სამედიცინო მომსახურებით სარგებლობენ ის „ბოევიკებიც“, რომლებიც ქართველი მშვიდობიანი მოსახლეობის ფართომასშტაბიან ეთნიკურ წმენდასა და გენოციდში აქტიურად მონაწილეობდნენ.

**2016 წელს ბუდაპეშტის ქუჩაზე მდებარე კლინიკაში რეანომობილით მოიყვანეს რუსლან ქიშმარია, აფხაზეთის ომის დროს სეპარატისტთა აღმოსავლეთის ფრონტის ხელმძღვანელი, რომლის ბატალიონებმა გაიარეს მთელი სამეგრელო სამტრედიამდე. შემდგომში ქიშმარია გალის ადმინისტრაციას ხელმძღვანელობდა.**

**სააკაშვილის მმართველობის პერიოდში თბილისში ფარულად, ქართული სპეცსამსახურების დაცვით, მეტადონის პროგრამის ფარგლებში ორჯერ კომპლექსურ გამოკვლევასა და მკურნალობას გადიოდა ვლადისლავ არძინბას ღვიძლი ძმისშვილი — კემალ არძინბა, რომელმაც ჩაიდინა არაერთი ამაზრზენი დანაშაული — მკვლელობა, ყაჩაღობა, გაუპატიურება.**

მაშინ, როდესაც სეპარატისტი კრიმინალები და დამშავეები სარგებლობენ ქართული სახელმწიფოს ქველმოქმედებით, ქართველი ომის ვეტერენები და ინვალიდები არიან დისკრიმინაციული მოპყრობის მსხვერპლნი მათივე ხელისუფლების მხრიდან. დღეს 42 წლის ახალგაზრდა კაცს, ომის ვეტერანსა და სამი შვილის მამას არ აქვს სამსახური, არანაირი შემწეობა და მხარდაჭერა სახელმწიფოს მხრიდან. **საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლი ჯარისკაცი, რომელმაც ბოლო ათწლეულების განმავლობაში 4 ომი გამოიარა, ვერ ინახავს ოჯახს, ვერ აძლევს შვილებს სათანადო განათლებას, არარეალიზირებული და მიტოვებულია სახელმწიფოსგან.** ჩემს მორიგ შეხვედრაზე ზაჰესში ამ ახალგაზრდა კაცის მხრიდან გამოთქმული სამართლიანი გულისწყრომა ათასობით ომის ვეტერანის გულისწყრომაა. **ქართველი ერისა და ქართული სახელმწიფოს წინაშე ჩადენილი ზოგადსაკაცობრიო დანაშაულში მონაწილენი სარგებლობენ სამედიცინო მომსახურების უპრეცენდენტო პრივილეგიებით, რომლებიც არ ვრცელდება ომის ვეტერანებსა და ინვალიდებზე, არ ვრცელდება დევნილ მოსახლეობაზე,** ამიტომაც 42 წლის აღშფოთებულმა ჩვენმა თანამოქალაქემ წარმოთქვა სიტყვები: **„თუ ჩვენ ავდექით, თქვენ დაწვებით!“.** პოლიტიკა, რომელიც ორიენტირებულია საკუთარი მოსახლეობის დისკრიმინაციის, მისი უფლებების აშკარა შელახვისა და აბუჩად აგდების ხარჯზე საერთაშორისო საზოგადოებისთვის თავის მოსაწონებლად აბსურდული საქველმოქმედო აქციებისა და პროექტების განხორციელებით, საბოლოო ჯამში, სამოქალაქო დაპირისპირებამდე მიიყვანს ქვეყანას. თუ სახელმწიფო არ შეიცვლის სტრატეგიას, მოსახლეობაში დაგროვებული აგრესია ადრე თუ გვიან ამოხეთქავს.

ჩემს საარჩევნო პროგრამაში ერთ-ერთი პრიორიტეტი სწორედ ვეტერანთა საკანონმდებლო ბაზის ეტაპობრივი აღდგენაა, რომლის განსახორციელებლად ყველაფერს ვიღონებ.

დიდი დიღმის ზურგოვანის მთის წვერზე ადგილობრივი მოსახლეობის ინიციატივით უნდა აიგოს წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია, რომლის მშენებლობა, რამდენიმე წელიწადია, მიმდინარეობს. მოსახლეობის უსახსრობის გამო მშენებლობა შეჩერებულია, თანაც ამოყვანილი კედლის ნაწილი ისე უხარისხოდაა ნაგები, რომ უკვე ბზარი გაუჩნდა. შესაბამისად, აშენებული ფრაგმენტი მთლიანად დასანგრევია, კედლების ამოყვანა კი უნდა დაიწყოს ხელახლა. ამ დიდ და კეთილშობილურ საქმეში თითოეულმა ჩვენგანმა საკუთარი წვლილი უნდა შევიტანოთ, ვისაც როგორ შეგვიძლია, თუნდაც ერთი აგურის დადებით, რითაც უდიდეს მადლს გავიღებთ ზურგოვანის მოსახლეობისთვის. **მივმართავ ადგილობრივ სტრუქტურებს და მოვუწოდებ, აღირსონ მოსახლეობას გზა და სანიაღვრე სისტემის მოგვარება. მე, როგორც მაჟორიტარობის კანდიდატი, ვპირდები ზურგოვანელებს, რომ თქვენი სამართლიანი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად კოდალასავით არ მოვასვენებ ადგილობრივ მუნიციპალურ სტრუქტურებს.**

ნაციონალური რეჟიმის პერიოდში აქტიურად მიმდინარეობდა მუშაობა პროექტზე, რომელიც მიზნად ისახავდა **ირანში** ტბის წყალმომარაგებას საქართველოს ტერიტორიიდან. საბედნიეროდ, ეს პროექტი, რომელიც ეკოლოგიურ კატასტროფას უქადდა იმ რეგიონს, რომლიდანაც უნდა მომხდარიყო წყლის გადაქაჩვა, შეჩერდა, თუმცა ეს საკითხი, როგორც ჩანს, დღის წესრიგიდან არ მოხსნილა და ცდილობენ მის განახლებას. პროექტი თითქოს მომგებიანია და დიდი რაოდენობის ინვესტიციის შემოტანა შეუძლია ქვეყანაში, მაგრამ წყლის გადაქაჩვა თავისთავად გამოიწვევს მდინარის კალაპოტის შეცვლას, ეკოლოგიის შეცვლასა და ამ ზონაში მცხოვრები ადამიანების ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენებას. **დღეს თითქოს მომგებიანი პროექტი ხვალ ეკოლოგიურ კატასტროფას ნიშნავს. თქვენ შემთხვევაშიც, ჩემო ამომრჩევლებო, ანალოგიური მდგომარეობაა, ამიტომ მოგიწოდეთ, დაფიქრდეთ — ვიდრე ასფალტის სანაცვლოდ მისცემდეთ ვინმეს ხმას, ღირს ეს ასფლატი ამად თუ ხვალ ეჭვქვეშ დადგება თქვენი უფლება საკუთრების შესახებ, თქვენი ან თქვენი ახლობლების პირადი უსაფრთხოება და მოქალაქეობრივი ღირსება?!**

რაც შეეხება კომპაქტურად დასახლებულ დევნილებს, **ბელიაშვილის ქუჩაზე** საკმაოდ მძიმეა სოციალური ფონი — გაუსაძლისი საცხოვრებელი პირობები, მასობრივი უმუშევრობა. ძნელია ოჯახის გამოკვება, კომუნალური გადასახდების გადახდა. გამრიცხველიანების შემდეგ „თელასმა“ ერთ-ერთ ოჯახს, რომელიც მიმდინარე დენის გადასახადს გაჭირვებით უმკლავდებოდა, საკმაოდ სოლიდური თანხა დაარიცხა. გადახდისუუნარო აბონენტს დენის მიწოდება შეუწყდა. სახელმწიფო ვალდებულია, მოქალაქეს, რომელსაც მინიჭებული აქვს დევნილის სტატუსი, გაუწიოს შუამდგომლობა და კერძო კომპანიასთან წარმოქმნილი ასეთი პრობლემის შემთხვევაში დაიცვას მისი ინტერესები. არ არსებობს არანაირი მექანიზმი მსგავსი შუამდგომლობისა, რომლის გამოც სოციალურად დაუცველი დევნილი მოქალაქე კერძო კომპანიასთან პირისპირ რჩება და იჩაგრება.

აღნიშნულზე **მივმართე „თელასის“ საპრეტენზიო განყოფილებას. საკითხის უარყოფითად გადაწყვეტის შემთხვევაში სემეკსა და სასამართლოს მივმართავ.**

დასახლებაში მცხოვრებ სოციალურად დაუცველ მრავალშვილიან ოჯახს გაუსაძლის საცხოვრებელ პირობებში უწევს ყოფნა. ბავშვებისთვის განკუთვნილ ოთახში ფანჯრები არ არის. შესაბამის ორგანოებში შესატანად ვამზადებ შუამდგომლობას, რათა უმოკლეს ვადაში მოხერხდეს საჭირო დახმარების აღმოჩენა.

ანალოგიური მდგომარეობა დამხვდა **თავდადებულის ქუჩაზე** მცხოვრებ დევნილთა კომპაქტურ დასახლებაში. მოუწესრიგებელია მოსახლეობის ტრანსპორტით უზრუნველყოფა, რომელიც ერთი ავტობუსის იმედადაა დარჩენილი.

**დიღმის მასივში, „ტურბაზაში“** ჩასახლებულ დევნილებს ბუნებრივი აირი არ მიეწოდება. მოსახლეობას ზამთარში ჭარბი რაოდენობით უწევს ელექტროენერგიის მოხმარება, რისი გადახდის საშუალებაც არ გააჩნია. ზამთრის პერიოდში დასახლებაში მოაქვთ გარკვეული რაოდენობის შეშა, რომელიც იქ მცხოვრები სოციალურად დაუცველი პირებისთვისაა განკუთვნილი, მაგრამ შეშა მოსახლეებს უშუალოდ არ მიეწოდება. მას ყრიან დასახლებაში განსაზღვრულ ადგილას და დევნილებს თვითონ უწევთ მათთვის განკუთვნილი შემწეობის გადანაწილება, რაც დაკავშირებულია დავასა და დაპირისპირებასთან. **შეშის ასეთი ფორმით მიწოდება შეურაცხმყოფელია — თითქოს საკვებს ნახირს უყრიდნენ. ეს არის პროვაკაცია, რომელიც გულისხმობს დევნილებს შორის უთანხმოების ჩამოდგებასა და შუღლის გაღვივებას. რისთვის? იმ პრინციპით ხომ არა — გათიშე და იბატონე?!** ფაქტია, ვიღაცას ხელს არ აძლევს კომპაქტურ დასახლებებში დევნილთა ერთიანობა. ამასთანავე, საინტერესოა, რომელი კრიტერიუმებით მოხდა სოციალურად დაუცველი პირების შერჩევა, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ სოციალური ფონი ამ დასახლებაში სა-

დასასრული
მე-21 გვერდზე

მართალი ისტორია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ბატონმა ნუგზარ ჟორდანიამ ბობოყვათის ყოფილ სასაფლაოს რამდენიმე სტატია მიუძღვნა, არქივებიდან ამოიღო 1903 წლის ფოტოები, რომლებზეც ასახულია ხუცუბნის სასაფლაოს ანალოგიური მონუმენტები. აღნიშნული მონუმენტები თავის დროზე ხუცუბანსა და ბობოყვათში გენერალმა რებინდერმა დადგა რუსეთ-ოსმალეთის ომის დასრულების 25 წლისთავის გამო და ამ ომში აჭარის მონაკვეთზე დაღუპულთა პატივსაცემად.**

# აჭარის გათავისუფლების ხსოვნის უკვდავსაყოფად

**როდის და ვისგან გათავისუფლდა აჭარა? — „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლება მიიჩნევდა, რომ მიშამ გაათავისუფლა აჭარა 2004 წელს, როდესაც ასლან აბაშიძე გააძევა იქიდან, მაგრამ აჭარის საზოგადოებრიობა ამ კუთხის გათავისუფლებას 25 აგვისტოს აღნიშნავს, როცა 1878 წლის 25 აგვისტოს, ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილებით, ბათუმში შევიდა რუსული ჯარი, რომლის შემადგენლობაში მრავალრიცხოვანი ქართველი მოლაშქრეებიც იყვნენ.**

„ბათუმის ციტადელზე აღმართულმა რუსეთის დროშამ და ქვემეხების 101 სალუტმა მოსახლეობას ამცნო, რომ ეს მხარე დედასამშობლოს — საქართველოს დაუბრუნდა“, — ვკითხულობთ ისტორიულ ცნობაში, რომელიც ბროშურად დაბეჭდა ევრაზიის ინსტიტუტმა. **ბროშურა ბათუმში დარიგდა 2016 წლის 25 აგვისტოს მიტინგზე, რომელიც კათოლიკური ეკლესიის წინ, ბარათაშვილის ქუჩის ლამაზ სკვერში ჩატარდა. აქ შეიკრიბნენ ბათუმის ინტელიგენცია და საზოგადოება, აგრეთვე, საქართველოს სხვა კუთხეებიდან ჩამოსული სტუმრები.**

ჯერ კიდევ შარშან სკვერში დამონტაჟებული ბანერი გვამცნობს, რომ ამ ადგილზე აღიმართება „აჭარის გათავისუფლების“ მემორიალი, რომელიც, კარგა ხანია, მზად არის, მაგრამ აჭარის დედაქალაქის ხელისუფლება მის დადგმას რაღაც მიზეზებით აჭიანურებს. ოთხმეტრიანი მემორიალი, რომელიც ბუნებრივი გრანიტისგან შედგება, პირამიდის ფორმისაა და რამდენიმე სიბრტყე აქვს. გრანიტზე ამოტვიფრულია თარიღი „1878 წლის 25 აგვისტო“, როგორც საქართველოში აჭარის დაბრუნების დღე. მემორიალი შეიქმნა ბათუმელი პროფესორის — **ნიაზ ბოლქვაძის** ინიციატივით, აჭარისა და დანარჩენი საქართველოს მოსახლეობის შემოწირულობების ხარჯზე.




ბათუმს არ ჩამორჩება ქობულეთი. ჯერ კიდევ 2 წლის წინათ იურისტ სოსო ქორიძის ინიციატივით, ევრაზიის ინსტიტუტმა ყურადღება მიაქცია სოფელ ხუცუბნის საძმო სასაფლაოს, სადაც განისვენებენ აჭარის გათავისუფლებისთვის მებრძოლი რუსი ჯარისკაცები. ისინი 1878 წლის 18 იანვარს დაიღუპნენ. საქართველოში „ვარდების“ ხელისუფლების ცხრაწლიანი მმართველობის პერიოდში სასაფლაო მოუვლელი იყო — კედელი ინგრეოდა; ორი მონუმენტი, 1903 წელს დადგმული, ეროზიისა და მექანიკური დაზიანებებისგან იშლებოდა; მიწა სავსე იყო სარეველით. ევრაზიის ინსტიტუტისა და ადგილობრივი მცხოვრებლების ძალისხმევით, ხუცუბნის სასაფლაო ნაწილობრივ შეკეთდა და კეთილმოეწყო, შემდეგ საქმეში აჭარის თანამემამულეთა საზოგადოებაც (ა. გოგიტიძე) ჩაერთო. საძმო სასაფლაოს კედელზე 2014 წელს დამონტაჟდა დაფა წარწერით: **„მადლიერი აჭარა არ დაივიწყებს განმათავისუფლებლებს“.**

ქობულეთში კიდევ ერთი ანალოგიური სასაფლაო არსებობდა 1900-იანი წლების დასაწყისში დადგმული ორი მონუმენტით. სოფელ ბობოყვათში, ზღვასთან, პრეზიდენტის რეზიდენციის გვერდით, დაკრძალულნი არიან 1878 წლის 18 იანვრის ბრძოლებში დაღუპულები. ეს სასაფლაო რატომღაც განადგურდა 1920-იან წლებში. სამარხების ზუსტი ადგილის დადგენა რამდენიმე ჰექტარ მიწაზე ზღვასთან, სადაც კომერციული ინტერესებიც იკვეთება, შეუძლებელია სპეციალური სამძებრო სამუშაოების ჩატარების გარეშე. საქართველოში კი იმგვარი მაძებარი ჯგუფები არ გვყავს, როგორიც არიან რუსეთში. სამაგიეროდ, ქობულეთის ინტელიგენციის წარმომადგენლები ხელისუფლებისა და ადგილობრივი მოსახლეობის ყურადღებას ამახვილებენ არსებულ პრობლემაზე. ჟურნალისტი **ნუგზარ ჟორდანია**, უკვე დიდი ხანია, იკვლევს აჭარის ისტორიის სხვადასხვა საკითხს, მათ შორის, 1877-78 წლების ბრძოლებს. ბატონმა ნუგზარ ჟორდანიამ ბობოყვათის ყოფილ სასაფლაოს რამდენიმე სტატია მიუძღვნა, არქივებიდან ამოიღო 1903 წლის ფოტოები, რომლებზეც ასახულია ხუცუბნის სასაფლაოს ანალოგიური მონუმენტები. აღნიშნული მონუმენტები თავის დროზე ხუცუბანსა და ბობოყვათში გენერალმა **რებინდერმა** დადგა რუსეთ-ოსმალეთის ომის დასრულების 25 წლისთავის გამო და ამ ომში აჭარის მონაკვეთზე დაღუპულთა პატივსაცემად.

ქობულეთის საზოგადოებრიობაში მომწიფდა აზრი, რომ ყოფილი სასაფლაოს ტერიტორიაზე უნდა გაკეთდეს ტყე-პარკი. **სოსო ქორიძის** ზრუნვის შედეგად ევრაზიის ინსტიტუტის მხარდაჭერით, ქობულეთი-ბათუმის ტრასაზე დამონტაჟდა საინფორმაციო ბანერი, რომ მიმ- ▶

# როდესაც ქართველობის გრცხვენია...

**არის მომენტები, როდესაც ადამიანს თავისი ეროვნების შერცხვება. ეს არ არის ლიბერალური ლაქლაქი, საკუთარი ერის შეურაცხყოფით თვითგანდიდების მცდელობა, არამედ რეალური განცდაა, რომელიც, ვფიქრობ, ამ რეპლიკის წაკითხვის შემდეგ ბევრს ჩემსავით დაეუფლება.**

ქართველები ვტრაბახობთ ჩვენი გმირი წინაპრებით, ყოველ სუფრასთან მათი შესანდობარი სადღეგრძელო ისმის, მაგრამ რას ვაკეთებთ მათი ჯეროვანი პატივისცემისთვის? როგორც ირკვევა, არც არაფერს! ან, ასე ვთქვათ: საქართველოში ხდება გმირების დიფერენცირება ისტორიის გადახედვის გზით, ამ პროცესში კი ნამდვილი გმირების ხსოვნა ხშირად არის შებღალული.

ჩემ მიერ 2009 წელს დაარსებული ორგანიზაცია „ევრაზიის ინსტიტუტი“, გარკვეული ხანია, სხვა საკითხებთან ერთად, დაკავებულია ისტორიული საძმო სასაფლაოებისა და მონუმენტების შეკეთება-რესტავრაციით. ეს საქმე ჩემი ქობულეთელი და ბათუმელი მეგობრების დახმარებით დავიწყეთ სააკაშვილის რეჟიმის პერიოდში იავარქმნილი ხუცუბნის საძმო სასაფლაოთი, რომელზეც განისვენებენ 1878 წლის იანვარში, რუსეთ-ოსმალეთის ომის მიმდინარეობისას, ციხისძირის ბრძოლაში დაღუპული რუსი და ქართველი მეომრები. **საბჭოთა კავშირის პერიოდში, შემდგომაც, ასლან აბაშიძის მმართველობისას, ამ ადგილს უვლიდნენ და ხშირად მოსწავლეებიც ამოჰყავდათ, ისტორიასთან უშუალო შეხების მიზნით, მაგრამ ნაცებმა ახალგაზრდებს ბუჩქებისკენ მიუთითეს და მსგავსი ღონისძიებები დავიწყებას მიეცა.** ჩემი უფროსი მეგობრის, ბათუმელი იურისტის — **სოსო ქორიძის** იდეა იყო ამ სასაფლაოს შეკეთება. ხუცუბნის ცენტრში, რომ იტყვიან, „ბედზე“ შევხვდით და გავიცანით ადგილობრივი მკვიდრი, ბატონი **ოთარ თხილაიშვილი**, რომლის ვაჟი, **იმედა თხილაიშვილი**, და მისი ოჯახი სულითა და გულით ამოგვიდგნენ მხარში ამ კეთილი საქმის განსახორციელებლად. ადგილობრივი გამგეობისა და მოსახლეობისგან სრული მხარდაჭერა მივიღეთ და საქმესაც შევუდექით. შედეგი არის ის, რომ პატივი მივაგეთ გმირებს (სხვათა შორის, ციხისძირის ბრძოლა უთანასწორო იყო და იგი გამოირჩეოდა იმით, რომ უამრავი რუსი და ქართველი ჯარისკაცი გმირულად დაიღუპა ამ ბრძოლაში, რომელიც ომის ბოლო ეტაპს წარმოადგენდა), მაგრამ, ამასთანავე, ამის შესახებ შეიტყვეს რუსეთშიც და იქ მცხოვრებთაგან უამრავი მადლობის წერილი მივიღეთ. ინტერნეტში რამდენიმე რუსმა პოლიტოლოგმა, ასევე რიგითმა რუსებმა, გააშუქეს ეს მოვლენა და აღნიშნეს ქართველების ზრუნვა ისტორიაზე, რუსი ჯარისკაცების ხსოვნაზე... ანუ **რეალურად გაკეთდა ის, რომ რუს საზოგადოებაში განმტკიცდა საქართველოს, ქართველების იმიჯი. ბევრი არ ელოდა, რომ ქართველი საზოგადოება ამ საქმეს წამოიწყებდა ორ სახელმწიფოს შორის არსებული პოლიტიკური სირთულეების ფონზე.**






დღესაც განვაგრძობთ ამ საქმიანობას ჩვენი შესაძლებლობის ფარგლებში. ეს ფარგლები კი ძალიან შეზღუდულია, თუმცა არ ვწუწუნებთ და ვმუშაობთ, მაგრამ დგება მომენტები, როდესაც მუშაობის ხალისიც ნელდება და, როგორც ამ რეპლიკის სათავეში აღვნიშნე, საერთოდ, მრცხვენია ჩემი ეროვნებისა. საქმე ის არის, რომ **ვნახულობ ხსოვნის ისე განადგურებულ ადგილებს, სასაფლაოებს, რომ სხვა განცდა არ მეუფლება, გარდა სირცხვილისა.** სურათებზე ხედავთ, როგორ არის დალეწილი ერთ-ერთი საძმო სასაფლაოს მონუმენტი, კერძოდ, მარმარილოს დაფები. დიდი სამამულო ომის მებრძოლთა ეს სასაფლაო მდებარეობს ერთ ლამაზ სოფელში, რომელსაც არ დავასახელებ, რადგან ეს მხოლოდ ამ სოფლის პრობლემა არ არის და არც მხოლოდ ამ სოფლის სირცხვილია. ეს არის მთელი საქართველოს პრობლემა და სირცხვილი. **მიუღებელია, როდესაც ჩვენი სახელმწიფო ფეხებზე იკიდებს მეორე მსოფლიო ომის მონუმენტებსა და საფლავებს, მაგრამ საერთოდ გასაგიჟებელია დაღუპულ გმირთა მიმართ ასეთი ვანდალური დამოკიდებულება. რასაც ფოტოებზე ხედავთ, არ არის მხოლოდ მოუვლელობის შედეგი, ქვები და მათზე ამოტვიფრული გვარ-სახელები განზრახ არის დაზიანებული. სავარაუდოდ, ამას შვრებოდნენ „მოქეიფე ბიჭები“, რომლებიც ამ ადგილზე ღრეობას აწყობდნენ. ძნელია დადგენა, კონკრეტულად ვინ და რატომ აკეთებდა ამას, იდო თუ არა ამ ვანდალიზმში პოლიტიკური მოტივი, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება.**

ამ კონკრეტული სოფლის გამგეობა შემხვდა და დიდი სიხარულიც გამოხატა იმის გამო, რომ ჩვენ მონუმენტის შეკეთებას ვაპირებთ. დაგვპირდნენ, სამუშაოების ჩატარების შემდეგ ეს ადგილი დაცული და მოვლილი იქნებაო. თუმცა ხარჯი ძალიან დიდია. ამ საქმეს ჩვენი ინსტიტუტის ძალებით ვერ გავწვდებით. სახელმწიფოს დახმარებაც არარეალურად მეჩვენება. დარჩა ერთი ვარიანტი — მიმემართა ჩემი რუსი მეგობრებისთვის, რომლებიც ასეთი საქმისთვის თანხებს არ იშურებენ (ჩვენგან განსხვავებით), მაგრამ შემდეგ ვიფიქრე, რომ **არ ივარგებდა, ეს დიდებული ადგილი, რომელიც ჩვენი ეროვნული სირცხვილის ადგილად ქცეულა, მხოლოდ რუსი მეგობრების დახმარებით აღმედგინა, ამიტომ მივმართე ერთ-ერთ ქართველ ბიზნესმენს, მაგნატს, რომელიც დიდი ხანია, პოლიტიკაში** ▶

**2016 წელს ბუდაპეშტის ქუჩაზე მდებარე კლინიკაში რეანომობილით მოიყვანეს რუსლან ქიშმარია, აფხაზეთის ომის დროს სეპარატისტთა აღმოსავლეთის ფრონტის ხელმძღვანელი, რომლის ბატალიონებმა გაიარეს მთელი სამეგრელო სამტრედიამდე. შემდგომში ქიშმარია გალის ადმინისტრაციას ხელმძღვანელობდა. სააკაშვილის მმართველობის პერიოდში თბილისში ფარულად, ქართული სპეცსამსახურების დაცვით, მეტადონის პროგრამის ფარგლებში კომპლექსურ გამოკვლევასა და მკურნალობას ორჯერ გადიოდა ვლადისლავ არძინბას ღვიძლი ძმისშვილი — კემალ არძინბა, რომელმაც ჩაიდინა არაერთი ამაზრზენი დანაშაული — მკვლელობა, ყაჩაღობა, გაუპატიურება.**

არჩევნები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

დებარე ტერიტორიაზე ოდესღაც საძმო სასაფლაო არსებობდა. აქვე დაიდგა 1.70-მეტრიანი ქვა, რომელზეც დამაგრდება ლითონის თითქმის ორმეტრიანი ჯვარი, აგრეთვე, ამოიტვიფრება წარწერა **„მარადიული დიდება აჭარის განმათავისუფლებლებს“.**

„ძალზე ბედნიერი ვარ, რომ აჭარის საზოგადოებრიობა ასე აქტიურად მონაწილეობს ისტორიული მეხსიერების შენარჩუნებაში. გულითადად ვუხდი მადლობას ჩემს უფროს კოლეგებს — სოსო ქორიძესა და ნუგზარ ჟორდანიას, აგრეთვე, ბათუმის მცხოვრებს, ბატონ **რაულ მელაძეს**, რომელიც ბობოყვათის სამუშაოებს ასრულებს, რომელმაც დაამონტაჟა ბანერი, იპოვა შესანიშნავი ქვა ძეგლისთვის და ეს ქვა მდინარის ხეობიდან აქამდე თვითონ მოიტანა. შევეცდებით, ყოველმხრივ კეთილმოვაწყოთ ეს ადგილი და ეს ხსოვნა შევუნახოთ მომავალ თაობებს“, — განაცხადა ევრაზიის ინსტიტუტის ხელმძღვანელმა **გულბაათ რცხილაძემ** იმპროვიზებულ შეკრებაზე, რომელიც ძეგლის დადგმის ადგილას ჩატარდა.

სასურველია, რომ ქართულ-რუსული ისტორიის ძეგლებით აჭარაში ჩამოსული ტურისტებიც, განსაკუთრებით — რუსები, დაინტერესდნენ და პატივი მიაგონ დაღუპულ გმირებს.

**„ევრაზიის ინსტიტუტის“ პრესსამსახური**

**ჩართულია და პატრიოტული რიტორიკით გამოირჩევა.** სწორედ მას მივაკითხე, მაგიდაზე დავულაგე დანგრეული მონუმენტის სურათები და, სულ რაღაც, 3-4 ათასი ლარის საშენი მასალა ვთხოვე. თან ავუხსენი, ამ საქმის გაკეთებაში რუსი მეგობრები დამეხმარებიან, მაგრამ ჩვენ, ქართველებმა, იქნებ გავიღოთ მცირედი მაინც, რომ ეს სამარცხვინო ლაქა რამენაირად ჩამოვირეცხოთ-მეთქი. ფრიად **საინტერესო პასუხი მივიღე: სად მაქვს ფული, თანაც ახლა არჩევნებიაო...**

სირცხვილის განცდა გამიორმაგდა, მაგრამ არ ვნანობ, რომ ასეთი თხოვნით მივმართე „პატრიოტ“ ბიზნესმენს, რადგან კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გამოცდილება შევიძინე პოლიტიკოსების თვალთმაქცობასა და ყალბ პათოსზე. მიუხედავად ამისა, იმედს არ ვკარგავ, რომ ნამდვილი პატრიოტიზმი კიდევ არსებობს.

ვიცი, რომ „საქართველო და მსოფლიოს“ უამრავი ნამდვილი პატრიოტი კითხულობს და მოვუწოდებ ყველა მათგანს, გავაერთიანოთ ძალისხმევა და სრულიად საქართველოში დავიწყოთ დიდი სამამულო ომისადმი მიძღვნილი მონუმენტებისა და სასაფლაოების რესტავრაცია და მოვლა-პატრონობა; ამ პროცესში აუცილებლად ჩავრთოთ ახალგაზრდობა. ეს ყველაზე კარგი საშუალება იქნება დღევანდელ განათლების სისტემაში დანერგილი ანტიეროვნული და ანტიქრისტიანული ვირუსის გასანეიტრალებლად.

**გულბაათ რცხილაძე**

# მოგზაურობა თბილისში

დასაწყისი
მე-18 და მე-19 გვერდებზე

ერთოდ მძიმეა. სითბო ზამთარში ყველას სჭირდება — სოციალურად დაცულსა თუ დაუცველს. მოუწესრიგებელია საკანალიზაციო სისტემა. ძლიერი წვიმის შედეგად წარმოქმნილი ნიაღვარი მოსახლეობას სახლში უვარდება. ტალახიანდება გზა და ფეხით მოსიარულეებისთვის ყოველი წვიმის შემდეგ გადაადგილება შეუძლებელი ხდება. „ტურბაზაში“ მცხოვრებ დევნილებს მათ მიერ დაკავებული საცხოვრებელი ფართობები დღემდე დაკანონებული არ აქვთ და ჰაერში არიან გამოკიდებულნი. კარგი იქნებოდა, თბილისის მერს თავისი მშობლიური სოფლის — კოკის იერი მაინც მიეცა „ტურბაზის“ დასახლებისთვის.

## საკუთარ ნაჭუჭში მოქცეულნი

კომპაქტურ დასახლებებში არსებულ მძიმე სოციალურ და ინფრასტრუქტურულ მდგომარეობასთან ერთად დამხვდა პრობლემა, რომლის არსებობა, სიმართლე გითხრათ, ძნელი წარმოსადგენი იყო ჩემთვის. ხალხი, რომელსაც იძულებით დაატოვებინეს საკუთარი კერა, დღეს თავის მიწა-წყალს მოწყდა არა მხოლოდ ფიზიკურად, არამედ ცნობიერად და ეს არის ეროვნული ტრაგედია ჩვენი თანამედროვეობისა. **ადამიანები ისე ჩაითრიეს სიდუხჭირის მორევში, ისე დაარეტიანეს უმუშევრობით, ბანკების სესხებით, გაუსაძლისი საცხოვრებელი პირობებით, რომ არა მხოლოდ ჩვენი ქვეყნისთვის სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხებზე, არამედ საკუთარ კერაზე, საკუთარ მიწა-წყალზე, სადაც დაიბადნენ, გაიზარდნენ და სადაც დატოვეს წინაპრების საფლავები, საუბარიც აღარ აინტერესებთ.** შეხვედრისას ერთ-ერთმა დევნილმა, რომელმაც დასახლების მამასახლისად წარმომიდგინა თავი, მისაყვედურა, რომ საუბარი დავიწყე საკითხებით, რომლებიც შორსაა ყოფითი პრობლემებისგან, რომ ხალხს უჭირს და მისთვის სტრატეგიული საკითხები, ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა და ა.შ. მეორეხარისხოვანია. დასახლების მიმდებარე ტერიტორიაზე განლაგებული ნაკვეთების დაკანონება კი დღეს გაცილებით მნიშვნელოვანი ყოფილა, ვიდრე საკუთრი მიწა-წყლის დაბრუნებაზე ფიქრი. სამაჩაბლოდან დევნილმა ახალგაზრდა კაცმაც დაახლოებით ანალოგიური აზრი გამოთქვა. „ტურბაზაში“ მეტწილად სამაჩაბლოდან დევნილი პირველი ნაკადია ჩასახლებული, რომელიც უკვე, დიდი ხანია, არავის ანაღვლებს.

ეს არის შედეგი ხელისუფლებაში მოსული პოლიკიტიკური სპეკულანტების მიერ საკუთარი მოსახლეობის მისამართით წარმოებული სოციალური, ეკონომიკური და, რაც მთავარია, ფსიქოლოგიური ძალადობისა. **წლების განმავლობაში განხორციელებულმა ანტიეროვნულმა პოლიტიკამ საზოგადოებაში საყოველთაო უიმედობა დათესა. ადამიანებს დააკარგვინეს რწმენა უკეთესი მომავლის. მიმდინარეობს მოსახლეობის სოციალური პრობლემებით ზომბირება და დამონება. ამასობაში კი იზრდება თაობა, რომელიც არ იცნობს არც აფხაზეთს და არც სამაჩაბლოს, როგორც საქართველოს განუყოფელ ნაწილს. სკოლებში არ ისწავლება ჩვენი ქვეყნის უახლესი ისტორიის უდიდესი ტრაგედია — აფხაზეთის ომი. ამის ნაცლად კი განათლების სამინისტრო საშუალო განათლების ფარგლებში ყოვლად უსარგებლო საგნების შემოღებას ლამობს, მაშინ, როდესაც აფხაზეთში მოზარდებს წამლავენ გაყალბებული ისტორიული ფაქტებითა და მოვლენებით,** უნერგავენ ზიზღსა და სიძულვილს ქართველებისა და ყოველივე ქართულის მიმართ, ხოლო ჩვენი შვილები საკუთარი ქვეყნის ერთიანობისთვის დაცემული გმირების — **ჟიული შარტავას, გურამ გაბისკირიას, რაულ ეშბას, ჯუმბერ ბეთაშვილის, ვახტანგ გეგელაშვილის, მამია ალასანიას, გენო ადამიას, ზურაბ ჩიქოვანის, დიმა ჭუღლულიას, მამა ანდრია ყურაშვილის, იური ანუას, ვოვა ვეკუას, დავით ქეცბაიას, გიორგი მიროტაძისა** და სხვა გმირების წმინდა სახელებს არ იცნობენ.

საშუალო განათლების ფარგლებში საქართველოს უახლესი ისტორია აფხაზეთის ომის გარეშე არ უნდა ისწავლებოდეს, რადგან დაუშვებელია საკუთარი ქვეყნის წარსულის უცოდინარი თაობის აღზრდა! სამწუხაროა, რომ 24 წლის განმავლობაში არც აფხაზეთის დევნილ მთავრობას და არც საქართველოს ხელისუფლებას ამაზე არ უფიქრია. **ეს საკითხი ჩემთვის უზენაესი მნიშვნელობისაა და ყველაფერს ვიღონებ, რათა მომავალმა თაობამ იცოდეს, რომ აფხაზეთი და სამაჩაბლო საქართველოა! და ის კედელიც აგებული გმირთა მოედანზე, აფხაზეთის ომში დაცემულთა ხსოვნის უკვდავსაყოფად, გახდეს სრულყოფილი.**

ტელეკომპანია „ობიექტივის“ პირდაპირ ეთერში გადაცემა „საღამოს თოქშოუში“ მამუკა ტუსკაძესთან, რომელიც მიეძღვნა 14 აგვისტოს აფხაზეთში ომის დაწყებას, ამ საკითხს დიდი გულისტკივილით შევეხე. ამავე გადაცემაში ვახსენე კაცი, რომელიც რესპუბლიკელებმა კონსტიტუციის გვერდის ავლით პირდაპირ დასვევს აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის დროებითი შემსრულებლის



თანამდებობაზე. ეს გახლავთ რესპუბლიკელთა იდოლოგიური თანამოაზრე, აფხაზეთისთვის დამოუკიდებლობის მინიჭების მომხრე — **ვახტანგ ყოლბაია.** ჩემთან პირად საუბარში მან აღიარა, რომ **„20 წელიწადი გავიდა და დროა, აფხაზებს თავისუფლება მივცეთ და ვაღიაროთ მათი დამოუკიდებლობა“.** საქართველოს კონსტიტუციისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის უხეში დარღვევით რესპუბლიკელებმა შექმნეს კონსტიტუციური კაზუსი, რადგან დაუშვებელია სამი წლის განმავლობაში აფხაზეთის მთავრობის თავმჯომარე დროებითი შემსრულებლის სტატუსით სარგებლობდეს. სწორედ რესპუბლიკელთა მიერ ხელდასმული ყოლბაიას წარმომადგენელი ერთადერთი სუბიექტია, რომელიც ჟენევის მოლაპარაკებებში იღებს მონაწილეობას და ეს ფაქტი აშკარა მანიშნებელია იმისა, რომ მოლაპარაკებათა პროცესში საქართველოს სახელმწიფოებრივი მთლიანობის ინტერსებს დამცველი არ ჰყავს.

**ჩემი განცხადებით გაცეცხლებულ ყოლბაიას „ობიექტივმა“ ეთერი დაუთმო. იმავე გადაცემა „საღამოს თოქშოუში“ მამუკა ტუსკაძესთან ვახტან ყოლბაიას არა მხოლოდ უარგუმენტო, არამედ სიცრუით გაჯერებული გამოსვლა ჰქონდა. მეტიც, ურცხვად მიიწერა ჩემი საყვედური იმის თაობაზე, რომ აფხაზეთის ტრაგედია სკოლებში არ ისწავლება და განაცხადა, თითქოს უკვე დიდი ხანია, განათლების სამინისტროსთან ამ თემასთან დაკავშირებით მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა, რაც არ შეესაბამება სინამდვილეს.** გამაოცა გადაცემის წამყვანის მამუკა ტუსკაძის უცნაურმა ფერისცვალებამ. პირდაპირ ეთერში ჩემთან საუბრისას აფხაზეთის მიმართ კაპიტულანტური პოლიტიკით აღშფოთებული წამყვანი, ამ პოლიტიკის დამქაშ ყოლბაიას ნოტებზე ელაპარაკებოდა. **ნუთუ ასე დააშინა ტუსკაძე ყოლბაიას გაცეცხლებამ და მასთან ერთად ობიექტური „ობიექტივი“?! არა მგონია, განწყობისა და ხასიათის ხშირი ცვლილება წაადგეს ამ ახალგაზრდა კაცს მის ახალ საქმიანობაში. დღეს ტუსკაძე გლდანში მაჟორიტარად იყრის კენჭს და მე მას გამარჯვებასა და მეტ პრინციპულობას ვუსურვებდი.**

ძნელია ამ ფონზე გაამტყუნო ხალხი, რომელიც თვითან თვემდე 45-ლარიან შემწეობას ელოდება. სასაცილოა **დევნილთა დახმარების თანხა,** რომელიც საარსებო მინიმუმს ვერ უტოლდება. ოჯახებს, რომლებიც უმუშევართა მრავალრიცხოვან კატეგორიას განეკუთვნებიან, წინასწარ გამოაქვთ დევნილის დახმარება, ხოლო ბანკი სახელმწიფოს მხრიდან მიგდებულ კაპიკებზე პროცენტს უქვითავს. მეტიც, ბოლო ორი თვეა, რაც ბანკი მეხუთე თვის დახმარებას წინასწარ აღარ გასცემს იმ მოტივით, რომ სესხი მთლიანად უნდა დაიფაროს. მაშინ როგორ მოიქცეს დევნილი, რომელსაც ამის გარდა სხვა საარსებო წყარო არ აქვს? უსამართლობა, რომელიც ყოველ ნაბიჯზე გვხდება აღმაშფოთებელია. თბილისში „მოგზაურობამ“ დამიტოვა განცდა იმისა, რომ საქართველოს დიდი დეპრესიის ხანა დაუდგა, როგორც ეს 20-30 წლების ამერიკას გადახდა თავს. მაგრამ მიუხედავად გაჭირვებისა, ჩემსა და დევნილებს შორის გალღვა ყინული და ვიგრძენი, რომ შევძელი მიმეღწია მათგულებამდე.

**ჩვენ უნდა გავაცნობიეროთ მთავარი — ყოფითის დალაგება ცნობიერების დალაგებით იწყება. სახელმწიფო აზროვნება — ეს არის ჩვენი ერთადერთი გამოსავალი ამ ურთულესს ვითარებაში. ამიტომ ხელისუფლებამ, მთავრობამ, პოლიტიკოსებმა, საზოგადო მოღვაწეებმა უნდა მიმართონ ძალისხმევა ამ აზროვნების ჩამოყალიბებისა დაპოპულარიზაციისაკენ. საქართველოს გამთლიანების საკითხზე რეგულარულად უნდა ლაპარაკობდნენ საპარლამენტო ტრიბუნაზე, საეთერო სივრცეში, პრესაში. ეს უნდა იყოს სახელწიფოს ნომერი პირველი საზრუნავი, პირველი მიზანი, ყოველდღე ერთმანეთისთვის შეხსენება იმისა, რომ საქართველოს დასათმობი მიწები არა აქვს.**

ნაცვლად ამისა, ბოლო მოწვევის პარლამენტში ურთიერთბრალდებებსა და პოლიტიკურ კინკლაობას მოანდომეს დრო, რომელიც საბოლოოდ კოაბიტაციური გარიგებით დაგვირგვინდა, ხოლო რიხიანი დაპირებები სიტყვად დარჩა. ხალხის უნდობლობა ხელისუფლებისადმი გაიზარდა და წარმოქმნა ბარიერი, რომლის გადალახვა დღეს, ერთი შეხედვით, ძალიან რთულია. საზოგადოების ინტერესებზე აგებული სწორი სახელმწიფო იდეოლოგიის დანერგვა არის შესაძლებლობა ხელისულებასა და საზოგადოებას შორის ნდობის აღდგენისა, რომელიც აპათიიდან გამოიყვანს ხალხს და მაშინ თვით საზოგადოება აქტიურად ჩაერთვება და დაეხმარება ხელისუფლებას მთავარი გამოწვევების გადალახვაში.

დღეს წამყვან პოლიტიკურ პარტიებს ჰყავთ თავისი მყარი და სტაბილური ელექტორატი, ამიტომ მნიშვნელოვნია თქვენი აქტივობა, რადგან წინაალმდეგ შემთხვევაში ელექტორატი გადაწყვეტს არჩევნების შედეგებს, რომელიც ამომრჩევლის დაბალი აქტივობის გამო არ იქნება ხალხის არჩევანისა და ნების გამომხატველი. ამიტომ გთხოვთ, გაეცანით ყველა კანდიდატისა თუ პარტიის პროგრამას, გამოიტანეთ ობიექტური დასკვნა და მიდით საარჩევნო ურნებთან, რათა აირჩიოთ ღირსეული მომავალი, სადაც ზნეობა და მამულიშვილობა იქნება უზენაესი.

**ზურაბ ჩიქოვანი,**
**დიდუბის რაიონის უპარტიო დამოუკიდებელი მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი №43**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**კონევის მსგავსად, ჟუკოვი მწარედ გააკრიტიკეს, მაგრამ მის დამსახურებაზეც ისაუბრეს მარშალმა კონსტანტინე როკოსოვსკიმ, ალექსანდრე ვასილევსკიმ და პაველ რიბალკომ. ერთადერთი, ვინც ჟუკოვის მხოლოდ უარყოფით თვისებებსა და სამსახურთან მის შეუთავსებლობაზე ისაუბრა, იყო გენერალი ფილიპ გოლიკოვი და მოითხოვა კიდეც სახმელეთო ჯარების სარდლის მოვალეობისგან ჟუკოვის გათავისუფლება.**

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №32-34 (361-363)

# სტალინი და ჟუკოვი

## ნაწილი IV



სათათბირო ოთახში სიჩუმემ დაისადგურა. სტალინი ჩიბუხით ხელში ნერვიული ნაბიჯით მიმოდიოდა და ფიქრებში ცურავდა. საგარეო თუ საშინაო დაზვერვა, პირადი დაზვერვა და სხვადასხვა მიმართულების მოქმედი ოპერატიული ჯგუფები ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, დაბეჯითებით იტყობინებოდნენ: „მართალია, დიდი ომი დამთავრდა, მაგრამ იწყება პატარა, მაგრამ რთული „მარშალთა ომი“.

სტალინს არ სურდა, კიდევ ერთი ომის, ამჯერად ფარული ომის, მთავარსარდალი გამხდარიყო, მაგრამ, როგორც იტყვიან, „რომში მიემართებოდა ყველა გზა“. ამ შემთხვევაშიც ყველა გზა სტალინისკენ მიემართებოდა. გაახსენდა 1930-იან წლებში უმაღლესი სამხედრო საბჭოს სხდომაზე როგორ აქტიურობდნენ **ვასილ ბლიუხერი, მიხეილ ეგოროვი** და **პაველ დიბენკო**, რათა **მიხეილ ტუხაჩევსკის, იერონიმ უბორევიჩსა** და **იონა იაკირს** სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა — შეფარდებოდათ, ხოლო ერთი წლის შემდეგ თვითონ ისინი შეიქნენ უმაღლესი სასჯელის ღირსნი.

თუ აქამდე მარშლები და მაღალი ჩინის სამხედროები მოუკლავი დათვის ტყავს იყოფდნენ, ახლა ეს უშველებელი მხეცი გაფატრული ეგდო მათ წინაშე და მხეცებად ქცეული ადამიანები ერთმანეთს პირიდან და ხელიდან გლეჯდნენ მოკლული მხეცის ხორცის ნაჭრებს. ზოგი ადგილზე სანსლავდა, ზოგიც მიწაში მარხავდა ხელსაყრელ მომენტში ოჯახში გასაგზავნად.

ნეტავ, რით განსხვავდება ადამიანი მხეცისგან? — ფიქრობდა სტალინი, — ნუთუ იმით, რომ მას ლაპარაკი შეუძლია?! იქნებ ცხოველებსაც აქვთ თავიანთი ენა, მაშ, რაღა დარჩა განმასხვავებელი ნიშანი ადამიანსა და მხეცს შორის? რატომ უნდა მიმდინარეობდეს ასეთი ფარული და ხელჩართული ბრძოლა უმაღლესი ჩინის სამხედროებს შორის? შეიძლება, სამკლასდამთავრებულ სამხედროს (იგულისხმება ჟუკოვი) მეტი არც მოეთხოვება, ის შეიძლება გამოიყენო ომში, მაგრამ არ გამოდგება **კურჩატოვისა** და **ჟუკის** ნაცვლად.

სიჩუმე დიდხანს გაგრძელდა. სტალინი სამდივნოს მაგიდასთან მივიდა და იქ მყოფთ მიმართა:

— გამოთქვით თქვენი აზრი აქ მოსმენილის თაობაზე.

აზრი პირველებმა პოლიტბიუროს წევრებმა გამოთქვს. მათ ამოანთხიეს ის ბოღმა და სიძულვილი, რომელიც თავხედი გიორგი ჟუკოვის მიმართ ჰქონდათ დაგროვილი წლების განმავლობაში. რა თქმა უნდა, ყველა გამონათქვამი ბაჯაღლო ოქროსი არ იყო, მაგრამ უმეტესობა სიმართლეს შეეფერებოდა, დანარჩენი კი შურითა და ბოღმით იყო ნაკარნახევი. სტალინმა ზუსტად იცოდა, რა უნდა ელო ყურად თანაპარტიელებისაგან და რა — არა, მაგრამ სიტყვას მაინც არავის აწყვეტინებდა, სათქმელს ბოლომდე ათქმევინებდა, როგორც ყოველთვის.

ჯერი მარშლებზე მიდგა. საინტერესო იყო, რას იტყოდნენ ისინი კოლეგაზე და, ამასთანავე — მტერზე.

— ნება მომეცით, — მიმართა მარშალმა **ივანე კონევმა** სტალინს.

— მიდი, — უპასუხა გენერალისიმუსმა.

— ამხანაგო სტალინ, სიმართლეა, რომ ჟუკოვი მძიმედ ასატანი კაცია, მასთან არათუ სამსახური, პირადი ურთიერთობაც შეუძლებელია. უხეშია, ცუდად აღზრდილი, მაგრამ შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ჟუკოვი სამშობლოსათვის, პარტიისა და პირადად თქვენთვის ღირებული არ არის.

— ტრაბახაა, რაც არ გაუკეთებია, იმასაც კი თავის თავზე მიიწერს. იცით თუ არა, რომ მან მიიწერა კორსუნ-შევჩენკოს ოპერაცია და კიდევ ბევრი რამ? — შეაწყვეტინა სიტყვა კონევს სტალინმა.

— ეს ყველაფერი წვრილმანია, ამხანაგო სტალინ, ამას თვით ისტორია გაასწორებს.

კონევის მსგავსად, ჟუკოვი მწარედ გააკრიტიკეს, მაგრამ მის დამსახურებაზეც ისაუბრეს მარშალმა **კონსტანტინე როკოსოვსკიმ, ალექსანდრე ვასილევსკიმ** და **პაველ რიბალკომ.** ერთადერთი, ვინც ჟუკოვის მხოლოდ უარყოფით თვისებებსა და სამსახურთან მის შეუთავსებლობაზე ისაუბრა, იყო გენერალი **ფილიპ გოლიკოვი** და მოითხოვა კიდეც სახმელეთო ჯარების სარდლის მოვალეობისგან ჟუკოვის გათავისუფლება.

ბოლოს სიტყვით გამოვიდა გენერალური შტაბის უფროსი **ვასილ სოკოლოვსკი**, რომელმაც ჟუკოვის დამსახურებებთან ერთად ჩამოაყალიბა შეცდომები და გადაცდომები, რომლებიც ჟუკოვს მუშაობაში ჰქონდა. ამით დამთავრდა უმაღლესი სამხედრო საბჭოს სხდომაზე გამოსვლები.

სტალინმა, მას შემდეგ, რაც ყველა გამომსვლელის აზრი მოისმინა, წამოაყენა წინადადება, რომ ჟუკოვის საქმის განხილვა შეწყვეტილიყო. ის ნელი ნაბიჯით მიუახლოვდა ჟუკოვს და თავისი დაგუდული და დინჯი ხმით მიმართა:

— თქვენ, ამხანაგო ჟუკოვ, რა შეგიძლიათ გვითხრათ ამის შესახებ?

— ამხანაგო სტალინ, მე თავის მართლება არ შემიძლია, გეტყვით მხოლოდ ერთს, რომ ყოველთვის ვიყავი სამშობლოს, პარტიისა და თქვენი ერთგული. მე არასოდეს არც ერთ შეთქმულებაში მონაწილეობა არ მიმიღია.

სტალინი გულმოდგინედ უსმენდა ჟუკოვის აღსარებას და თითქოს სინანულით თვალებში ჩაჰყურებდა. ბოლოს უთხრა:

— ყოველ შემთხვევაში, ამხანაგო ჟუკოვ, ცოტა ხნით მაინც მოგიწევთ მოსკოვის დატოვება.

ჟუკოვმა უპასუხა, რომ მზად არის, შეასრულოს თავისი სამხედრო ვალდებულება და იმსახუროს იქ, სადაც უბრძანებს პარტია და სამშობლო. სტალინმა მარშალ კონევისკენ გაიხედა და სინანულით წარმოთქვა:

— რა უნდა ვუყოთ ახლა ამას?!

მარშალი კონევი გრძნობდა, რომ ჟუკოვის საქმე უკვე დამთავრებული იყო და ამიტომ გაბედულად უთხრა სტალინს:

— ეს თქვენი ნებაა, ამხანაგო სტალინ, მაგრამ ვფიქრობ, უკიდურეს შემთხვევაში, მისი სასჯელი სამსახურეობრივი დაქვეითება უნდა იყოს.

სტალინმა კიდევ ერთხელ გაიარა სათათბირო ოთახში, ჩიბუხი ნერვიულად გააბოლა და ნელი ნაბიჯით ჟუკოვისკენ გაემართა. წინ გაუჩერდა, თვალებში ჩახედა და მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითი ცხვირთან მიუტანა. დარბაზში მსხდომნი ამ სცენას გაფაციცებით შეჰყურებდნენ, სულგანაბული ელოდნენ, რა გადაწყვეტილებას მიიღებდა მთავარსარდალი, რომლის პოზა უკიდურესი გაბრაზების გამომხატველი იყო: — ყველა დიდი რუსი მხედართმთავარი — სუვოროვი, კუტუზოვი, სკობელევიც კი — თავმდაბალი იყო. თქვენ კი თავმდაბლობის ნატამალიც არ გაქვთ.

**სტალინის სიკვდილის შემდეგ სწორედ ეს საქაღალდე აღმოჩნდა მის პირად არქივში, რომელიც გულდასმით წაიკითხა ხრუშჩოვმა და მისივე ბრძანებით ჩაიდო კონვერტში, შემდეგ კი დალუქეს, დაადეს გრიფი «სრულიად საიდუმლოდ» და სტალინის პირად არქივში შეინახეს. ხრუშჩოვის გადაყენების შემდეგ კონვერტი გახსნა და საიდუმლო დოკუმენტი წაიკითხა ბრეჟნევმა, რომელმაც ასევე დალუქა და შეუნახა შთამომავლობას... დღეს ამ მეტად ღირსშესანიშნავ დოკუმენტს გრიფი «სოვ. სეკრეტნო» («სრულიად საიდუმლოდ») მოხსნილი აქვს და ასე სათაურდება: «საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭო. ამხანაგ სტალინს»**


ნიკოლოზ ბულგანინი და ჟუკოვი

გამომივიდა ესეც ნაპოლეონი, ერთი კაცით ომის მომგები. სტალინმა ნელი ნაბიჯით კარისკენ აიღო გეზი და ერთი ფრაზაც ისროლა:

— გაგზავნეთ ოდესის სამხედრო ოლქის სარდლად!

ჟუკოვმა სტალინის გარეშე დარჩენილ საბჭოს წევრებს განუცხადა, რომ მას ნამდვილად ჰქონდა ბევრი შეცდომა და გადახრა. პირობა დადო, მომავალში მის მუშაობაში მსგავს გამოვლინებებს ადგილი არ ექნებოდა. ამით უმაღლესი სამხედრო საბჭოს სხდომა დასრულდა.

**1946 წლის 19 ივნისს საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების მინისტრმა, გენერალისიმუსმა სტალინმა პირადი ხელისმოწერით გამოსცა განსაკუთრებული სახელმწიფო საიდუმლოებით მოცული ბრძანება მარშალი ჟუკოვის სახელმწიფო ჯარების სარდლის თანამდებობიდან გათავისუფლებისა და ოდესის სამხედრო ოლქის სარდლად დანიშვნის თაობაზე.**

მარშალი ჟუკოვი ოდესის სამხედრო ოლქში გამოცხადდა. ძალაუფლების მოყვარული და პატივმოყვარე მარშალი ჩასვლისთანავე შეუდგა თავისი მოვალეობის შესრულებას — შემოია- ►

**რატომ უნდა მიმდინარეობდეს ასეთი ფარული და ხელჩართული ბრძოლა უმაღლესი ჩინის სამხედროებს შორის? შეიძლება, სამკლასდამთავრებულ სამხედროს (იგულისხმება ჟუკოვი) მეტი არც მოეთხოვება, ის შეიძლება გამოიყენო ომში, მაგრამ არ გამოდგება კურჩატოვისა და ჟუკის ნაცვლად**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**აზრი პირველებმა პოლიტბიუროს წევრებმა გამოთქვეს. მათ ამოანთხიეს ის ბოღმა და სიძულვილი, რომელიც თავხედი გიორგი ჟუკოვის მიმართ ჰქონდათ დაგროვილი წლების განმავლობაში. რა თქმა უნდა, ყველა გამონათქვამი ბაჯაღლო ოქროსი არ იყო, მაგრამ უმეტესობა სიმართლეს შეეფერებოდა, დანარჩენი კი შურითა და ბოღმით იყო ნაკარნახევი. სტალინმა ზუსტად იცოდა, რა უნდა ყურად ელო თანაპარტიელებისგან და რა — არა, მაგრამ სიტყვას მაინც არავის აწყვეტინებდა, სათქმელს ბოლომდე ათქმევინებდა, როგორც ყოველთვის.**

◀ რა ოდესაში განლაგებული ჯარის ნაწილები, შეამოწმა მათი საყოფაცხოვრებო პირობები და დისციპლინის საკითხები.

ომგადახდილ ქალაქში, რა თქმა უნდა, გაჭირვება და სიღატაკე სუფევდა. სამხედრო მოსამსახურეები განიცდიდნენ საცხოვრებელი ფართობის დეფიციტს და, ამას გარდა, სხვა უამრავი საყოფაცხოვრებო საკითხიც ჰქონდათ მოუგვარებელი. ჟუკოვმა ოლქის ჯარების გაფართოებული კონფერენცია მოიწვია, რომელზეც ფართოდ გააშუქა შექმნილი მდგომარეობა და დასახა გზები მათ გამოსასწორებლად. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდა ოდესის პარტიის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი **ალექსეი კირიჩენკო**. როდესაც გაარკვია, რომ ოლქში არ იყო არც ერთი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობის რეზერვი, ჟუკოვმა გადაწყვიტა, შეექმნა სამხედროებისგან დაკომპლექტებული კომისიები, რომლებსაც კარდაკარ უნდა შეემოწმებინა საცხოვრებელი ფართობები, რისთვისაც მთელი ქალაქი დაყო კვარტლებად და ყველა კვარტალს დაუნიშნა სამხედრო ხელმძღვანელი. ომის შემდგომ ოდესა გავსებული იყო სხვადასხვა ჯურის ბოროტმოქმედებით. ბანდიტები დანებით ხოცავდნენ როგორც რიგით ადამიანებს, ასევე, სამხედრო პირებსაც. გაითვალისწინა რა მილიციის ნაკლები ბრძოლისუნარიანობა ბანდების მიმართ, ჟუკოვმა ცალკე ოპერატიული ჯგუფები შექმნა მათთან საბრძოლველად.

ოდესა გადაიქცა სამხედრო ქალაქად, რომელშიც განუწყვეტლად მიმდინარეობდა პატრულირება და კანონების გვერდის ავლით მოქალაქეების დაპატიმრება, შემდეგ კი — შტაბში წარდგენა. არ მოქმედებდა სასამართლო, პროკურატურა. მოქალაქეებს უსანქციოდ აპატიმრებდნენ. არ მუშაობდა საზოგადოებრივი წესრიგის დამცველი არანაირი ორგანო. ყველაფერი თავის ხელში აიღო მარშალმა ჟუკოვმა და ამით არად ჩააგდო ოდესის ოლქის პარტიული და სამეურნეო ხელმძღვანელობა.

რადგან კვლავ გრძელდებოდა მოქალაქეებსა და სამხედროებზე ბანდიტური ჯგუფების თავდასხმები, ჟუკოვმა გამოსცა ბრძანება სამხედრო მოსამსახურეებისთვის სატაბელო იარაღის მიცემა-შენახვისა და ტარების უფლებაზე.

**ბოროტმოქმედთა ორგანიზებულმა ჯგუფებმა დაიწყეს ცალკეულ სამხედროებზე თავდასხმა და მათი განიარაღება. თუ აქამდე მხოლოდ ფინური დანებით იყვნენ შეიარაღებულნი, ახლა ბოროტმოქმედთა არსენალი შეივსო უახლესი ცეცხლსასროლი იარაღით, რომელსაც სამხედროებზე თავდასხმის შედეგად იგდებდნენ ხელში.**

მოსკოვში დაშიფრული დეპეშა დეპეშაზე მიდიოდა ოდესაში გაუგონარი სამხედრო დიქტატურის შესახებ. ოდესელები წუხდნენ შექმნილი მდგომარეობის გამო, მაგრამ მათზე არანაკლებ იყო შეწუხებული ათიათასობით ადამიანი, რომლებიც ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან იყვნენ ჩასული ზღვაზე დასასვენებლად.

**სტალინმა კიდევ ერთხელ გაიარა სათათბირო ოთახში, ჩიბუხი ნერვიულად გააბოლა და ნელი ნაბიჯით ჟუკოვისკენ გაემართა. წინ გაუჩერდა, თვალებში ჩახედა და მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითი ცხვირთან მიუტანა. დარბაზში მსხდომნი ამ სცენას გაფაციცებით შეჰყურებდნენ, სულგანაბული ელოდნენ, რა გადაწყვეტილებას მიიღებდა მთავარსარდალი, რომლის პოზა უკიდურესი გაბრაზების გამომხატველი იყო: — ყველა დიდი რუსი მხედართმთავარი — სუვოროვი, კუტუზოვი, სკობელევიც კი — თავმდაბალი იყო. თქვენ კი თავმდაბლობის ნატამალიც არ გაქვთ. გამომივიდა ესეც ნაპოლეონი, ერთი კაცით ომის მომგები. სტალინმა ნელი ნაბიჯით კარისკენ აიღო გეზი და ერთი ფრაზაც ისროლა: — გაგზავნეთ ოდესის სამხედრო ოლქის სარდლად!**



**ჟუკოვის თავხედობას საზღვარი არ ჰქონდა. მის მიერ გაგზავნილი კომისიის წევრები სასამართლოსა და პროკურატურის გარეშე მყისვე ასახლებდნენ საეჭვო ადამიანებს საცხოვრებლიდან და იქ სამხედრო მოსამსახურეები შეყავდათ.**

აღშფოთებული ადამიანები თავიანთი უფლებების დასაცავად კაბინეტში ეჭრებოდნენ საოლქო კომიტეტის პირველ მდივან ალექსეი კირიჩენკოს, რადგან სრულიად უმიზეზოდ ასახლებდნენ საკუთარი ბინებიდან. დაკეტილ ბინას, რომელიც პარტიულ ან სამეურნეო მუშაკს ეკუთვნოდა, დაუკითხავად აღებდნენ სამხედროები და იქ თავიანთი ოჯახებით გადადიოდნენ საცხოვრებლად.

საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ჟუკოვს დაუკავშირდა:

— ვინ მისცა სამხედროებს იმ უკანონობის ჩადენის უფლება, რომელსაც ისინი სჩადიან?

— მე მივეცი. ისინი ჩემი ბრძანებით მოქმედებენ, — მკაცრი ტონით უპასუხა ჟუკოვმა.

— ეს ხომ უკანონობაა, ეს ხომ ერთმმართველობაა! — უთხრა საოლქო კომიტეტის მდივანმა.

— არავითარი ერთმმართველობა. ისინი კომისიურად ადგენენ საცხოვრებელი ფართობის კანონიერებას და გადაწყვეტილებაც შესაბამისი გამოაქვთ. რომ იცოდეთ, იმ კომისიებში დეპუტატებიც არიან და მათ უფლება აქვთ, განახორციელონ კონტროლი.

**კირიჩენკო იძულებული შეიქნა, კრემლში დაერეკა. მან მოახსენა, რომ ოლქის სარდალი ჟუკოვი არღვევს საბჭოთა კანონებს, არად აგდებს როგორც კონსტიტუციას, ისე სახელმწიფო სტრუქტურებს და იგნორირებულია ადგილობრივი მთავრობა.**

ჟუკოვმა, რა თქმა უნდა, შეიტყო კირიჩენკოს მიერ კრემლში დარეკვის ამბავი. ამის შემდეგ კიდევ უფრო დაიძაბა ურთიერთობა სარდალსა და ადგილობრივ პარტიულ ხელმძღვანელობას შორის, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია ჟუკოვისთვის, ოლქში სრულად დაემყარებინა თავისი მმართველობა.

მიღებული სიგნალების შესამოწმებლად სტალინმა შექმნა კომისია, რომელსაც სათავეში ჩაუყენა შეიარაღებული ძალების ახალდანიშნული მინისტრი **ნიკოლოზ ბულგანინი**. კომისიის შემადგენლობა გამოცდილი და საქმიანი მუშაკებით დაკომპლექტდა.

**„პროტოკოლის“ მიხედვით, შეიარაღებული ძალების მინისტრს ოლქის სარდალი სარკინიგზო ბაქანზე უნდა დახვედროდა, მაგრამ ოდესის რკინიგზის სადგურის ბაქანზე ჟუკოვი ბულგანინს არ დახვედრია. ის ამ მომენტში სამხედრო წვრთნას ესწრებოდა პოლიგონზე. მინისტრის თანმხლები პირები დარწმუნდნენ, რომ ჟუკოვი შეიარაღებული ძალების მინისტრ ბულგანინს იოტისოდენ პატივს არ სცემდა.**

კომისიამ სერიოზული სამუშაო ჩაატარა როგორც სამხედრო ოლქში, ისე პარტიის საოლქო კომიტეტში და ადგილზე გაეცნო მდგომარეობას. სათანადო დოკუმენტების გაფორმების შემდეგ კომისია მოსკოვში დაბრუნდა. მინისტრი ბულგანინი კი სტალინს ეახლა.

— მომიყევით, ამხანაგო ბულგანინ, რა ნახეთ ოდესაში.

— ჩემი მოხსენება ორი ნაწილისგან შედგება, ამხანაგო სტალინ. ჟუკოვი და სამხედრო ოლქი და მეორე — ჟუკოვი და საოლქო კომიტეტი. სამხედრო მომზადებაში მდგომარეობა საგრძნობლად გამოსწორებულია, განსაკუთრებული შენიშვნები არ მაქვს. ჯარისკაცთა სოციალური ყოფა გაუმჯობესებულია, მაგრამ ჯარისკაცები და ოფიცრები გამოთქვამენ უკმაყოფილებას ოლქის სარდლის თავგასული მოქმედების გამო. დაგვისახელეს მაგალითებიც: ერთ-ერთ პოლკში სარდალმა ნახა ჭუჭყიანი ხელსაბანი, რის გამოც სასწრაფოდ გამოიძახა პოლკის მეთაური და მორიგეს უბრძანა, მიეცილებინა ჭიშკრამდე და იქვე ჩაეკეტა კარი, რათა პოლკის მეთაურს არასოდეს შემოეღო. თათბირიდან გააგდო თავისი მოადგილე, რადგან მან მხოლოდ ორი წუთით დააგვიანა თათბირზე.

**სტალინს კიდევ ბევრი ასეთი მაგალითი ჩამოუთვალა მინისტრმა ჟუკოვის საქციელზე, — მის წინაშე ყველამ ცერებზე უნდა იაროს, თორემ სამხრეების ჩამოხევა არ ასცდებათო.**

— საოლქო კომიტეტზე რას იტყვით, ამხანაგო ბულგანინ?

— კირიჩენკო მართალია, ქალაქ ოდესასა და ოდესის ოლქს განაგებს ოლქის შტაბი და პირადად ჟუკოვი.

— საცხოვრებელი ფართობის მიტაცების ფაქტებს ნამდვილად ჰქონდა ადგილი? — ჰკითხა სტალინმა.

— დიახ, ამხანაგო სტალინ. ძალიან ბევრია უკმაყოფილო სარდლის თვითნებობით.

მინისტრმა ბულგანინმა სტალინს დაუსახელა სხვა უამრავი ფაქტიც, რომლებიც საოლქო კომიტეტში ნახა და მოისმინა ჟუკოვის დიქტატორული მანერების შესახებ. მინისტრმა გადაწყვიტა, დაემთავრებინა მოხსენება და დასკვნით ნაწილში განაცხადა:

— ადგილობრივ ხელმძღვანელობას არავითარი ძალაუფლება არ აქვს. ხალხმა იცის, ვინ წყვეტს საკითხებს და ამიტომ უბრალო საკითხზეც კი ჟუკოვთან მიდიან შტაბში.

— რა შთაბეჭდილება დაგრჩათ დანაშაულთან ბრძოლაზე?

— დანაშაულთან ბრძოლის თაობაზე უნდა მოგახსენოთ, რომ უეცარი შემოწმებების შედეგად, რა თქმა უნდა, დანაშაული შემცირდა და ხალხიც უფრო უსაფრთხოდ გრძნობს თავს. სისხლის სამართლის დამნაშავეები თითქმის ფსკერზე არიან დაშვებულნი. ზოგიერთის აზრით, ჟუკოვმა შეძლო ის, რაც ვერ შეძლო მილიციამ და საოლქო კომიტეტმა. მან გაწმინდა ქუჩა დამნაშავეებისგან, ეს უთუოდ ასეა, მაგრამ ეს განა სამხედრო ოლქის საქმეა?

— სანამ თქვენ ოდესაში იყავით, აქ ჩვენც ვამოწმებდით რაღაცებს.

ბულგანინი შეკრთა, — ამოწმებდნენ შემმოწმებლებს?

სტალინი მიხვდა, რომ მინისტრმა თავის თავზე მიიღო მისი ნათქვამი და დაიმედა, რომ ეს შემოწმება მას არ ეხებოდა.

ბულგანინი ფიქრობდა, ვის მიმართ უნდა ყოფილიყო ეს შემოწმება ჩატარებული, მაგრამ სტალინი თავისი ნათქვამის განმარტებას არ ფიქრობდა.

ბოლოს სტალინმა ბულგანინს სთხოვა, ყველაფერი, რაც მას სიტყვიერად მოახსენა, წერილობით წარმოედგინა.

სტალინი წამოდგა, რაც იმაზე მიანიშნებდა, რომ აუდიენცია დამთავრდა.

მარტო დარჩენილი სტალინი თავის სეიფთან მივიდა, კარი დინჯად გამოაღო და ხელში აიღო თხელი საქაღალდე რამდენიმე ფურცლით.

სტალინის სიკვდილის შემდეგ სწორედ ეს საქაღალდე აღმოჩნდა მის პირად არქივში, რომელიც გულდასმით წაიკითხა ხრუშჩოვმა და მისივე ბრძანებით ჩაიდო კონვერტში, შემდეგ კი დალუქეს, დაადეს გრიფი „სრულიად საიდუმლოდ“ და სტალინის პირად არქივში შეინახეს. ხრუშჩოვის გადაყენების შემდეგ კონვერტი გახსნა და საიდუმლო დოკუმენტი წაიკითხა **ლეონიდ ბრეჟნევმა**, რომელმაც ასევე დალუქა ის და შთამომავლობას შეუნახა.

ასე წაიკითხა ყველა შემდგომმა გენერალურმა მდივანმა დალუქულ კონვერტში ჩადებული ეს გასაიდუმლოებული დოკუმენტი, რომელსაც პოლიტბიუროს არც ერთი სხვა წევრი არ გასცნობია.

დღეს ამ მეტად ღირსშესანიშნავ დოკუმენტს გრიფი „სოვ. სეკრეტნო“ („სრულიად საიდუმლოდ“) მოხსნილი აქვს და ასე სათაურდება:

**„საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭო. ამხანაგ სტალინს“.**

**გაგრძელება იქნება**




**ყურადღება!**

**„ბიბლუსისა“ და „ლიბრას“ მაღაზიათა ქსელში, აგრეთვე, მეტროპოლიტენის სადგურებთან: „მარჯანიშვილი“, „რუსთაველი“, „თავისუფლების მოედანი“ შეგიძლიათ შეიძინოთ საერთაშორისო ორგანიზაცია „სტალინის“ თავმჯდომარის, ბატონი გრიგოლ ონიანის წიგნი „სტალინი“, რომელშიც თავმოყრილია ფაქტობრივი მასალები კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი პოლიტიკოსის, დიპლომატისა და მხედართმთავრის — სტალინის შესახებ.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**პუტინის მამოძრავებელი ძალაა მისი ეგო და სურვილი, აღადგინოს რუსეთის ღირსება და პატივისცემა, რაც მას შესაძლებლობას მისცემს, განიმტკიცოს პოპულარობა რუსეთში. მან ზუსტად იცის, სადამდე შეიძლება შეტოპოს და ჭკვიანურად იყენებს თავის ძალებს. დონალდ ტრამპი კი აცნობიერებს, რომ რუსეთთან პარტნიორობით, ამერიკის საგარეო პოლიტიკური მიზნები ახლო აღმოსავლეთში, აზიასა და ევროპაში გაცილებით იოლი მისაღწევი იქნება, თუ გვერდით გადადებს იდეოლოგიურ უთანხმოებას.**



# «კუნგ-ფუ» უკრაინულად: იმბეცილი VS საზიზღარი

**ტელეარხ „112. უკრაინა“-ს ეთერში გადაცემის დასრულების შემდეგ უკრაინის სახალხო დეპუტატმა — ვლადიმერ პარასიუკმა (უფრაქციო დეპუტატი) და ალექსანდრე ვილკულმა (დეპუტატი „ოპოზიციური ბლოკიდან“) ერთმანეთს სცემეს.**

აყალმაყალი გამოიწვია დეპუტატების განსხვავებულმა თვალსაზრისმა აღმოსავლეთ უკრაინაში შექმნილ სიტუაციასა და მაიდანზე განვითარებულ მოვლენებზე. ვილკულმა განაცხადა, რომ მისი კოლეგა **„სუსტად განვითარებული იმბეცილია 8 კლასის განათლებით“. პარასიუკმა**, თავის მხრივ, ვილკულს უწოდა **„საზიზღრობა, რომელმაც მისი ღირსება შელახა“.**

მოგვიანებით პარასიუკმა ვილკულის ავტომობილს კარი გაუფუჭა, კაპოტზე კი „შეტყობინება“ ამოკაწრა.





# 10 მიზეზი, რომელთა გამოც ტრამპისა და პუტინის ურთიერთობა სასარგებლო იქნება აშშ-ისა და რუსეთისთვის

**ამერიკული გამოცემა The Hill-ი წერს, რომ რუსეთთან პარტნიორობით აშშ გაცილებით იოლად მიაღწევს თავის საგარეო პოლიტიკურ მიზნებს.**

ტრამპის გაპრეზიდენტება ცვლილებებს გამოიწვევს აშშ-ის საგარეო პოლიტიკაში. ვლადიმერ პუტინი არ არის დემოკრატიული პრეზიდენტი, მაგრამ რუსეთში დაუჯერებლად პოპულარული ლიდერია, ჭკვიანი და სტრატეგიულად მოაზროვნე.

რუსეთი კვლავ რჩება ბირთვული იარაღის მქონე ზესახელმწიფოდ, უზარმაზარი რესურსებისა და შესაძლებლობების მქონე ყველაზე დიდ ქვეყნად, რომელსაც შეუძლია, გავლენა მოახდინოს მსოფლიოს ბევრ სახელმწიფოზე.

პუტინის მამოძრავებელი ძალაა მისი ეგო და სურვილი, აღადგინოს რუსეთის ღირსება და პატივისცემა, რაც მას შესაძლებლობას მისცემს, განიმტკიცოს პოპულარობა რუსეთში. მან ზუსტად იცის, სადამდე შეიძლება შეტოპოს და ჭკვიანურად იყენებს თავის ძალებს.

**დონალდ ტრამპი კი აცნობიერებს, რომ რუსეთთან პარტნიორობით, ამერიკის საგარეო პოლიტიკური მიზნები ახლო აღმოსავლეთში, აზიასა და ევროპაში გაცილებით იოლი მისაღწევი იქნება, თუ გვერდით გადადებს იდეოლოგიურ უთანხმოებას.**

აი ასეთი პარტნიორობის უპირატესობაც:

**1.** ნაცვლად პროვოკაციული თამაშებისა, რომელსაც შეუძლია, კატასტროფული შედეგები გამოიწვიოს, შესაძლებელი იქნება, ნამდვილი მშვიდობის დამყარება ორ ბირთვულ ზესახელმწიფოს შორის;

**2.** რუსეთთან პარტნიორობით, პრესის თავისუფლების შეზღუდვა და ადამიანის უფლებების დარღვევა ამერიკელების მხრიდან ნაკლებად მტრულად იქნება აღქმული, აშშ კი უფრო გაგებით მოეკიდება რუსეთში შექმნილ ვითარებას;

**3.** რუსეთი აღარ იფიქრებს აშშ-თან სამხედრო დაპირისპირებაზე (რუსეთის ავიაციის ფრენები ჩვენი საზღვაო ხომალდების თავზე, მიახლოება ჩვენს სამხედრო თვითმფრინავებთან და ა.შ.);



**აშშ და, საერთოდ, მსოფლიო ბევრს მიაღწევს, თუ გააუმჯობესებს ურთიერთობას პუტინთან. ამ თვალსაზრისის გათვალისწინებით, დონალდ ტრამპის ლიდერობა სჯობს, ვიდრე ჰილარი კლინტონისა და პრეზიდენტ ობამასი**

**4.** აშშ-სა და რუსეთს შეეძლებათ, გააერთიანონ თავიანთი ძალები რადიკალურ ისლამთან საბრძოლველად და ერთობლივად გაანადგურონ „ისლამური სახელმწიფო“;

**5.** ორი ზესახელმწიფოს თანამშრომლობა მიგვიყვანს სირიის სამოქალაქო ომის პრობლემის მოგვარებამდე;

**6.** თუ ერთად იმუშავებენ და ერთმანეთს ენდობიან, ორივე ქვეყანას გაცილებით ნაკლები სამხედრო რესურსი დასჭირდება, ამასთანავე, ერთობლივი ძალისხმევით, გაცილებით მეტ ზემოქმედებას მოახდენენ მსოფლიოს საზოგადოებრიობის მიერ დაგმობილ ისეთ რეჟიმებზე, როგორებიც არის პაკისტანში, თურქეთში, ირანსა და ჩრდილოეთ კორეაში;

**7.** ევროპა გაცილებით უსაფრთხო ადგილი იქნება აღმოსავლეთი ევროპის ნატოს წევრი ქვეყნების მილიტარიზაციის გარეშე;

**8.** რუსეთს შეუძლია ეფექტიანად იმოქმედოს და არ დაუშვას, რომ ბირთვული იარაღი ხელში ჩაუვარდეს რადიკალურად განწყობილ ტერორისტულ ორგანიზაციებს;

**9.** ამერიკული კომპანიებისთვის გაცილებით ხელმისაწვდომი იქნება რუსეთის ბუნებრივი რესურსები, ამასთანავე, ეკონომიკური სანქციების გაუქმებით მოიგებს როგორც რუსეთი, ასევე ევროპაც;

**10.** აშშ-ს გაუჩნდება შესაძლებლობა, თავიდან აიცილოს მისთვის მტრული პარტნიორობა ჩინეთსა და რუსეთს, ირანსა და თურქეთს შორის.

აშშ და, საერთოდ, მსოფლიო ბევრს მიაღწევს, თუ გააუმჯობესებს ურთიერთობას პუტინთან.

ამ თვალსაზრისის გათვალისწინებით, დონალდ ტრამპის ლიდერობა სჯობს, ვიდრე ჰილარი კლინტონისა და პრეზიდენტ ობამასი.

**The Hill (აშშ)**

# სირია — ობამას რიტუალური დამცირების თეატრი

**ამერიკული გამოცემა The American Interest-ის აზრით, აშშ-ის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ურთიერთობა რუსეთთან სერიული დამცირების თეატრს ჰგავს.**

19 სექტემბერს, მას შემდეგ, რაც სირიელმა სამხედროებმა ცეცხლის ნაწილობრივი შეწყვეტის შესახებ განაცხადეს, რომელიც 7 დღეს გაგრძელდა, თავს დაესხნენ ჰუმანიტარული დახმარების ბადრაგს. ამის შემდეგ მყისვე განახლდა სროლა ალეპოს ამბოხებულთა კონტროლს დაქვემდებარებულ რაიონებში — გაყოფილ ქალაქში, რომელიც დამანგრეველი სამხედრო მოქმედების სიმბოლოდ იქცა.

**ჰუმანიტარული დახმარების ბადრაგზე თავდასხმა, სროლები და დაბომბვები ცხადად მიანიშნებს დარღვევაზე, რუსეთსა და აშშ-ის შორის შეთანხმებისა, რომელიც მიმართული იყო სამშვიდობო მოლაპარაკებების განახლებისკენ, რათა ბოლო მოღებოდა სირიაში კონფლიქტს, რომელმაც ნახევარი მილიონი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, მილიონები კი ლტოლვილად აქცია.**

რამდენიმე ავიადარტყმის შემდეგ პრეზიდენტი ობამა შეიძლება დაფიქრდეს — მოქმედებს კი რეალურად მისი პოლიტიკა სირიაში? მას მხედველობის არედან რჩება პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის ერთ-ერთი მიზანი — ბარაკ ობამა წარმოაჩინოს უაზრო, არაკომპეტენტურ და მლიქვნელ სუსტ ფიგურად. ეს ეხმარება პუტინს მსოფლიოში რუსეთის ძალაუფლების განმტკიცებაში.



რუსეთ-ამერიკის უთანხმოებისა და დაპირისპირების მიუხედავად, დიპლომატებს იმედი არ დაუკარგავთ, რომ ურთიერთობა გაუმჯობესდება. „მე კვლავ ოპტიმისტურად ვარ განწყობილი, — განუცხადა The Financial Times-ს ერთ-ერთმა რუსმა დიპლომატმა, — რუსეთი იმედოვნებს, რომ გარიგება შედგება და მიისწრაფვის იქით, საითაც მიისწრაფოდა დასაწყისში — ვაშინგტონთან სამხედრო თანამშრომლობისკენ, რაც რეგიონში თანაბარ უფლებამოსილებას ნიშნავს“ ბარაკ ობამამ სახელშეკრულებო ურთიერთობების პროცესი სერიული დამცირების რიტუალურ თეატრად გადააქცია. სახელდობრ, ამისკენ მიისწრაფვის პუტინიც. მან ობამაში დაინახა თავისთვის ყველაზე სასარგებლო დოყლაპია, რომელზეც ვერც კი იოცნებებდა.

**ბარაკ ობამამ სახელშეკრულებო ურთიერთობების პროცესი სერიული დამცირების რიტუალურ თეატრად გადააქცია. სახელდობრ, ამისკენ მიისწრაფვის პუტინიც. მან ობამაში დაინახა თავისთვის ყველაზე სასარგებლო დოყლაპია, რომელზეც ვერც კი იოცნებებდა**

**The American Interest**

„ეს იყო უზუსტო გაანგარიშებები და, შესაძლებლობა რომ მქონდეს, დროს უკან დავაბრუნებდი, რათა ბევრი რამ გამომესწორებინა იმ სიტუაციიდან, რომელიც ლტოლვილებისთვის საზღვრების გახსნის შემდეგ შეიქმნა. ასეთი მდგომარეობის განმეორება არავის სურს, მათ შორის — მეც", — აღნიშნა გერმანიის მთავრობის მეთაურმა.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# მერკელი შემობრუნებას იწყებს

## კანცლერმა შეცდომები აღიარა და განაცხადა, რომ მათ აღარ გაიმეორებს



**19 სექტემბერს ანგელა მერკელის მიერ ბერლინში გამართული პრესკონფერენცია კანცლერის მორიგი გამოსვლა უნდა ყოფილიყო ჟურნალისტების წინაშე, სადაც პოლიტიკოსისგან კომენტარს ელოდებოდნენ ადგილობრივი არჩევნების შედეგებზე, მაგრამ პრესის წარმომადგენლებთან შეხვედრა ფრაუ მერკელმა, ყველასთვის მოულოდნელად, მიგრაციულ პოლიტიკაზე საპროგრამო განცხადებისთვის გამოიყენა.**

ჟურნალისტები 10 წუთის განმავლობაში უსმენდნენ კანცლერის ემოციურ გამოსვლას, რომელშიც მან საჯაროდ პირველად აღიარა შარშან მიგრაციული კრიზისის პიკზე დაშვებული შეცდომები.

„სამწუხაროდ, გერმანია არ არის მსოფლიოს ჩემპიონი ინტეგრაციაში, — განაცხადა ფრაუ მერკელმა, — ბოლო წლებში, ღმერთი ხედავდა, ყველაფერს მართებულად არ ვაკეთებდით". არადა, ის დიდი ხნის განმავლობაში მიიჩნევდა, რომ **„დუბლინის ხელშეკრულების წყალობით, გერმანიას არ შეექმნება მიგრანტების პრობლემა".**

**„და ეს იყო უზუსტო გაანგარიშებები და, შესაძლებლობა რომ მქონდეს, დროს უკან დავაბრუნებდი, რათა ბევრი რამ გამომესწორებინა იმ სიტუაციიდან, რომელიც ლტოლვილებისთვის საზღვრების გახსნის შემდეგ შეიქმნა. ასეთი მდგომარეობის განმეორება არავის სურს, მათ შორის — მეც",** — აღნიშნა გერმანიის მთავრობის მეთაურმა. ამასთანავე, მიანიშნა, რომ ლტოლვილების ნაკადის რეგულირებისას ზოგიერთი მომენტი ხელისუფლების კონტროლიდან გამოვიდა.

ფედერალურმა კანცლერმა განაცხადა, რომ აპირებს, უფრო კარგად აუხსნას გერმანიის მოსახლეობას არა მხოლოდ მთავრობის მიგრაციული პოლიტიკის მიზნები, არამედ, ხელისუფლების გადაწყვეტილება ლტოლვილთა დიდი ნაკადით გამოწვეული კრიზისის დაძლევის თაობაზე. ამასთანავე, მან აქცენტი გააკეთა იმ გერმანელ ამომრჩეველზეც, „რომელიც მხოლოდ გაჰყვირის: „მერკელი უნდა წავიდეს", არ ინტერესდება ფაქტებით და ირაციონალურ შიშს განიცდის უცხოელების მიმართ, აგრეთვე, გერმანიაში შესაძლო ცვლილებების გამო. მაქვს განცდა, რომ ჩვენ გამოვალთ ამ, ვაღიარებ, ძალიან რთული სიტუაციიდან გაცილებით ძლიერები, ვიდრე მის დასაწყისში ვიყავით", — განაცხადა კანცლერმა, რომელმაც მიგრაციის პრობლემის გადაწყვეტაზე თავის ცნობილ ფრაზაზეც ილაპარაკა — „ჩვენ შევძლებთ" (Wir schaffen das). მან აღიარა, რომ ეს ფრაზა ასე ერთმნიშვნელოვანი შინაარსით არ იყო ჩაფიქრებული.

მერკელმა, აგრეთვე, შეაფასა სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგებიც, რომელთა მიხედვითაც გერმანელთა 82%-ს სურს მიგრაციული პოლიტიკის შეცვლა გერმანიაში.

„მე მზად ვარ, ვიფიქრო ამ პოლიტიკაში კორექტივების შეტანაზე, მაგრამ სოციალურ გამოკითხვაში არ ჩანს პასუხი კითხვაზე — კონკრეტულად რა სურთ ადამიანებს". თუ საუბარია იმაზე, რომ ჩვენს ქვეყანაში არ მივიღოთ უცხოელები, განსაკუთრებით — მუსლიმანური მრწამსის ადამიანები, ამას ეწინააღმდეგება არა მხოლოდ ჩვენი კონსტიტუცია, ჩვენი ქვეყნის მიერ მოწონებული საერთაშორისო შეთანხმებები და ქრისტიან-დემოკრატიული კავშირის ეთნიკური საძირკველი, არამედ ჩემი პირადი თვალსაზრისიც", — ხაზი გაუსვა მერკელმა.

პოლიტიკური კომენტატორების აზრით, ჟურნალისტების წინაშე ანგელა მერკელის ეს გამოსვლა შეიძლება შეფასდეს არა მხოლოდ როგორც სურვილი, გაითვალისწინოს ამომრჩეველთა მოსაზრებები მიგრაციული პოლიტიკის თაობაზე, არამედ ამით ანგელა მერკელმა მკაფიოდ განაცხადა თავისი განზრახვის შესახებ — კანდიდატურად კვლავ წამოაყენოს თავი ფედერალური კანცლერის პოსტზე 2017 წლის არჩევნებში.

**„რუსსკაია გერმანია"**
**(გერმანია)**

# ქსენოფობია საფრთხეს უქმნის მშვიდობას აღმოსავლეთ გერმანიაში




**გამოცემა Handelsblatt-ი იუწყება: „გერმანიის მთავრობის მოხსენებაში აღნიშნულია, რომ „აღმოსავლეთ ფედერალურ მიწებში სამოქალაქო პროტესტებსა და მემარჯვენე ექსტრემისტულ აგიტაციას შორის ზღვარი იშლება".**

გფრ-ის მთავრობა ძალიან არის შეშფოთებული ქსენოფობიური განწყობის ზრდით ქვეყნის აღმოსავლეთ რეგიონებში. შარშან მემარჯვენე ექსტრემისტული და ქსენოფობური სარჩულით თავდასხმების რაოდენობამ მკვეთრად მოიმატა და შეიძლება საფრთხე დაემუქროს საზოგადოებრივ მშვიდობას გერმანიის აღმოსავლეთ ნაწილში", — წერს გაზეთი, რომელიც ფედერალური მთავრობის 2016 წლის მოხსენებას იმოწმებს.

ლტოლვილების საწინააღმდეგო გამოსვლებმა აჩვენა, რომ საზღვარი სამოქალაქო პროტესტებსა და მემარჯვენე ექსტრემისტულ ფორმებს შორის თანდათან იშლება.

**„ლტოლვილებსა და მათ საერთო საცხოვრებლებზე ურიცხვ თავდასხმასთან ერთად, არეულობები, მსგავსი იმისა, როგორიც მოხდა ჰაიდენაუსა და ფრაიტალში, ფესვგადგმული ქსენოფობიის სიმბოლოდ იქცა",** — აღნიშნულია დოკუმენტში.

მოხსენების ავტორები არ გამორიცხავენ ნეგატიურ შედეგებს აღმოსავლეთ გერმანიის ეკონომიკისთვის. ისინი აფრთხილებენ აღმოსავლეთ გერმანელებს: „აღმოსავლეთ გერმანიას განვითარების კარგი პერსპექტივა ექნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გარემომცველი სამყაროსთვის იქნება გახსნილი, სადაც მცხოვრები ადამიანები თავს ისე იგრძნობენ, როგორც საკუთარ სახლში, და მონაწილეობას მიიღებენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში".

ექსპერტები, რომლებმაც მოხსენება მოამზადეს, ნიშანდობლივად მიიჩნევენ იმ ფაქტს, რომ აღმოსავლეთის ფედერალური მიწები, ბერლინის გამოკლებით, არ შეეჯახებიან ლტოლვილების დიდ ნაკადს. ეს კი მიუთითებს იმაზე, რომ ძალადობა ქსენოფობიის საფუძველზე დაკავშირებული არ არის უცხოელთა დიდ წილზე მოსახლეობაში და მნიშვნელობა აქვს სხვა ფაქტორებს, მაგალითად, მიგრაციას სოფლებიდან.

**HANDELSBLATT**
**(გერმანია)**

# აშშ ერაყში თეთრფოსფორიან ჭურვებს იყენებს

**„ამერიკელი სამხედროები ადასტურებენ თეთრი ფოსფორის გამოყენებას დაჯგუფება „ისლამური სახელმწიფოს" საწინააღმდეგო ოპერაციებში, მაგრამ არ ასაჯაროებენ ამ ოპერაციების კონკრეტულ დეტალებსა და მიზნებს", — წერს „ვაშინგტონ პოსტი".**

ამერიკელი სამხედროების მიერ თეთრფოსფორიანი ჭურვების გამოყენების შესახებ დასკვნა გაკეთდა პენტაგონის ერთ-ერთ ვებგვერდზე გამოქვეყნებული ფოტოების ანალიზის საფუძველზე. ამ ფოტოებზე ასახულია 155 მმ კალიბრის თეთრფოსფორიანი ჭურვების — M825A1-ის — აფეთქება.

სტატიის ავტორები აღნიშნავენ, რომ ერთი ასეთი ჭურვი 10 წუთის განმავლობაში უზრუნველყოფს კვამლის ფარდას.

„კოალიციური ძალები ამ ჭურვებს ფრთხილად და ყოველთვის შეიარაღებული კონფლიქტის შესახებ კანონის დაცვით ვიყენებთ. M825A1-ს ვიყენებთ რაიონებში, სადაც არ არის მოსახლეობა, და ზოგჯერ — მტრის ძალების წინააღმდეგ", — განუცხადა გამოცემას აშშ-ის ხელმძღვანელობით შექმნილი კოალიციური ძალების წარმომადგენელმა, პოლკოვნიკმა **ჯოზეფ სკროკამ.** მისი თქმით, თეთრ ფოსფორს კოალიციური ძალები „კვამლის ფარდის შესაქმნელად და სიგნალის გადასაცემად" იყენებენ.



კოალიციის სხვა წარმომადგენლის, პოლკოვნიკი **ჯონ დორიანის** განცხადებით კი, ასეთი ჭურვების გამოყენებისას აშშ ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რათა გათვალისწინებული იქნას ნეგატიური ეფექტები სამოქალაქო პირებსა და სამოქალაქო სტრუქტურებზე. **„ამერიკელი სამხედროები მიმართავენ ყველა აუცილებელ ზომას, რათა მინიმიზებული იქნას მოსახლეობის დაჭრისა და სამოქალაქო ობიექტების დაზიანების რისკი",** — განაცხადა დორიანმა და განმარტა, რომ ფოტოები, რომლებითაც ჟურნალისტები დაინტერესდნენ, გადაღებულია ერაყის ჩრდილოეთში ქურთების მხარდასაჭერი ოპერაციის მიმდინარეობისას, მაგრამ მან ვერ უპასუხა ჟურნალისტებს, ჩამოყარეს თუ არა თეთრფოსფორიანი ჭურვები „ისლამური სახელმწიფოს" პოზიციებზე ან იმ რაიონებში, სადაც მშვიდობიანი მოსახლეობა ცხოვრობს.

აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს დამამშვიდებელი განცხადებების მიუხედავად, ადამიანის უფლებათა დამცველები შეშფოთებული არიან ინფორმაციით თეთრი ფოსფორის გამოყენების შესახებ ოპერაციაში ქალაქ მოსულის გასათავისუფლებლად. **„აშშ-ისა და ერაყის სამხედრო ძალებმა თავი უნდა შეიკავონ თეთრი ფოსფორის გამოყენებისგან ისეთ დასახლებულ პუნქტებში, როგორიც არის მოსული, რადგან, როგორიც უნდა იყოს ტაქტიკური უპირატესობა, ასეთი ჭურვების გამოყენებას მოსდევს საშინელი დამწვრობა, რომელსაც მშვიდობიანი ადამიანები იღებენ",** — აფრთხილებს ამერიკელ სამხედროებს „ჰუმან რაით უოჩის" წარმომადგენელი **მარკ ჰიზნაი.**

თეთრფოსფორიანი საბრძოლო მასალები ჟანგბადთან შეხებისას აალდება. ეს ნივთიერება ადამიანის სხეულზე ღრმა დამწვრობას იწვევს, მიწის ზედაპირზე კი ხანძარს აჩენს.

**«აშშ-ისა და ერაყის სამხედრო ძალებმა თავი უნდა შეიკავონ თეთრი ფოსფორის გამოყენებისგან ისეთ დასახლებულ პუნქტებში, როგორიც არის მოსული, რადგან, როგორიც უნდა იყოს ტაქტიკური უპირატესობა, ასეთი ჭურვების გამოყენებას მოსდევს საშინელი დამწვრობა, რომელსაც მშვიდობიანი ადამიანები იღებენ»**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ბათუ სალინაძის ერთ-ერთი ვერსიით, ლევან კალაძის გატაცება დაკავშირებულია კახა კალაძის იტალიურ ტრანსფერთან, რომელშიც ჩარეული იყვნენ ცნობილი კანონიერი ქურდი ტარიელ ონიანი, აგრეთვე, კახა თარგამაძისდროინდელი შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსნები და ფეხბურთის ფედერაციის იმჟამინდელი პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია. უფრო ზუსტად, პოლკოვნიკ ბათუ სალინაძეს მიაჩნდა, რომ გატაცების ორგანიზატორებმა ლევან კალაძის გამოსასყიდად თავდაპირველად სწორედ ის თანხა მოთხოვეს, რომელიც კალაძეებმა ამ საქმის მოსაგვარებლად შუამავლებს არ გადაუხადეს, ეს თანხა კი 600 ათას დოლარს შეადგენდა".**

# ზურაბ დგებუაძე: სად არის დაპირებული სამართლიანობა, ის უმთავრესი პირობა, რომლისთვისაც ხალხმა «ქართული ოცნება» აირჩია?

დასასრული. დასაწყისი იხ. №34 (363)

**— რამ გაამწარა ასე კარლო კალაძე, რა დაუშავეთ ასეთი?!**

— კალაძეების საქმეში ბევრი რამ არის დაუჯერებელი და უცნაური. ავიღოთ თუნდაც ეს კონკრეტული შემთხვევა — რატომ უნდა გაეცოფებინა კარლო კალაძე ჩემ მცდელობას, პასუხი გამეცა მეტად მნიშვნელოვანი კითხვებისთვის: **ვინ შემოაგდო ლევან კალაძისა და მარიამ გოგინაშვილის აფრასიძეებთან ყოფნის ვერსია? ვინ წაიღო რეალურად კალაძეების კუთვნილი გამოსასყიდი თანხა — 200 000 დოლარი? ვინ იდგა ამ აფერის უკან? ვინ და რატომ მოკლა აფრასიძეები?** განსაკუთრებით მაინტერესებდა ჟურნალისტ **ნინო ბურჭულაძის** ინფორმაცია, რომელიც დაბეჯითებით ირწმუნებოდა, სვანეთის მთებში, აფრასიძეების ბუნკერში, დიდი ფული და იარაღი ინახება, იქვე 20-ოდე მეტრში კი ლევან კალაძის საფლავიც უნდა იყოსო. არადა, სწორედ ამ ინფორმაციისა და ვერსიების გასარკვევად დავთანხმდი მერაბიშვილს თანაშემწეობაზე. მინისტრის თანაშემწედ დანიშვნის დღიდან რამდენიმე კვირაში კი მოყვარე მტრად მექცა და ყოველი მხრიდან მუქარის კორიანტელი ატყდა.

**— ამ ჟურნალისტმა საიდან იცოდა, ბუნკერისა და კალაძის სავარუდო საფლავის შესახებ?**

— ნინო ბურჭულაძე მიმტკიცებდა, რომ აფრასიძეების ბუნკერში **ომეხ აფრასიძემ** წაიყვანა და იქ ფული და იარაღი თავისი თვალით ნახა. იმასაც ირწმუნებოდა, რომ ბუნკერიდან რამდენიმე მეტრში კალაძის საფლავიც იყო. წარმოიდგინეთ, შინაგან საქმეთა მინისტრ **ვანო მერაბიშვილთან** შეთანხმებული ვარ, რომ უნდა მოხდეს ამ უმნიშვნელოვანესი ინფორმაციის შემოწმება და ამ დროს ყველა შეტევაზე გადმოდის.

**— რატომ?**

— იმიტომ, რომ, **თუ ნინო ბურჭულაძე აფრასიძეების ბუნკერს ვერ მაჩვენებდა, მაშინ უნდა აეხსნა, საიდან მოიტანა ეს ინფორმაცია, ვინ დაავალა, გაემყარებინა აფრასიძეების ვერსია, რა როლი ითამაშა მან აფრასიძეებთან მოლაპარაკებებში და ა.შ.**

**— სასწაულია პირდაპირ! შეიძლება ახსნა მოვუძებნოთ ამ საქმით დაინტერესებული მაღალჩინოსნების საქციელს — აფრასიძეების ლიკვიდაციით მათ მნიშვნელოვანი მოწმე მოიშორეს, მაგრამ კალაძეების საქციელს რით ამართლებთ?**

— კარლო კალაძე ემოციური კაცია, შვილის ტრაგედიამ მას გონება აურია, ზოგჯერ არათუ ემოციებს ვერ თოკავდა, შურისძიებით აღვსილი თვითონ იქცეოდა დამნაშავესავით.

**— რა გაქვთ მხედველობაში?**

— ავიღოთ თუნდაც ასეთი ფაქტი: 2001 წელს, ლევან კალაძის გატაცებიდან ორიოდე კვირაში, ხობის ოპერაციის „წარუმატებლად" დამთავრების შემდეგ კალაძეების ოჯახს მათი ნათესავი **ჯემალ ლეჟავა** დაუკავშირდა. მან კარლო კალაძეს უთხრა, ბიჭის დაბრუნება, ალბათ, იმიტომ არ მოხერხდა, რომ ამ საქმეში პოლიციას თავის ინტერესები აქვს, ამიტომ, სჯობს, საქმეში „შავები" ჩავრიოთო. კალაძეები ლეჟავას ამ წინადადებას ფორმალურად დათანხმდნენ, სინამდვილეში კი მაღალჩინოსნებთან კავშირს მაინც განაგრძობდნენ, რაზეც ჯემალ ლეჟავამ გარკვეული პერიოდის შემდეგ კარლო კალაძეს ამ საქმეში მისივე ინიციატივით ჩართული **ბადრი ხუნდაძისგან** საყვედური გადასცა: ჩვენ ყველასთან კარგად ვართ და პოლიციასთან თქვენი თანამშრომლობის ამბავი ვიცით. ასე რომ, თუ შედეგი გსურთ, ჩვენი შეთანხმება არ უნდა დაარღვიოთო. ერთ-ერთი ასეთი შენიშვნის შემდეგ **კარლო კალაძეს ნერვებმა უმტყუნა, ლეჟავა სამტრედიაში ცხენისწყლის პირას გაიყვანა, ხელკეტით ცემა და მოკვლით დაემუქრა. ამ დანაშაულებრივი საქციელის შედეგად ნაცემი ლეჟავა ერთ თვეს მკურნალობდა.** ჯემალ ლეჟავა გენერალური პროკურორისა და შს მინისტრის სახელზე დაწერილ 2001 წლის 12 დეკემბრის განცხადებაში კარლო კალაძის მხრიდან მის მიმართ განხორციელებულ სხვა ძალადობრივ ფაქტებზეც მიუთითებს.

არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ შვილის ტრაგედიით გამოწვეულ მძიმე მდგომარეობაში მყოფი მშობლის ემოციური ხასიათით ბოროტად ისარგებლეს დამნაშავე მაღალჩინოსნებმა — ის თავის ჭკუაზეც ატარეს და საკმაო კომპრომატებიც შეუქმნეს. ასე რომ, ჩემ წინააღმდეგ კარლო კალაძის ამხედრება რთული საქმე არ იყო.

**— ამის შემდეგ აღარ გიცდიათ კახა კალაძესთან შეხვედრა?**

— არა, რადგან პოლკოვნიკი **ბათუ სალინაძე** ვნახე და ყველაფერი ნათელი შეიქნა. მან მიამბო, პატიმრობაში ყოფნისას რა ზემოქმედებას ახორციელებდა მასზე სააკაშვილის რეჟიმი — როგორ ცდილობდნენ მის მოწამვლას, რა ხერხებს მიმართავდნენ, რათა პოლკოვნიკს უკან გამოეტანა ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ სასამართლოში შეტანილი საჩივარი. და აი ასეთ უმძიმეს მდგომარეობაში მყოფი



ზურაბ დგებუაძე

**«როცა პოლკოვნიკი ბათუ სალინაძე სააკაშვილის დანაშაულებრივ რეჟიმს დაპატიმრებული ჰყავდა, მე კი, გერმანიაში, დევნილთა ბანაკში უფლებაშეზღუდული, პოლიტიკური დევნილის სტატუსს ველოდებოდი, ცნობილი ფეხბურთელი პრეზიდენტ სააკაშვილთან მეგობრობდა, საქართველოში ბიზნესს აწყობდა და საქმის «გახსნით» მადლიერი, ჩვენზე სამკვდრო-სასიცოცხლოდ წაკიდებულ პოლიციის მაღალჩინოსნებს — ლევან გვაზავას, ირაკლი კოდუას, დავით გოგიბერიძესა და სხვებს, მერაბიშვილის თამადობით, საჯაროდ მადლობას უხდიდა»**

პოლკოვნიკი და მისი ოჯახის წევრები (ისინი საცხოვრებლიდანაც გამოასახლეს და წლების განმავლობაში დაგროვილი ქონებაც წაართვეს) კალაძეებს ემუდარებიან, ერთადერთ მიწის ნაკვეთს ჩაგიდებთ გირაოში, ოღონდ სტრასბურგში საქმის წარმოებისთვის საჭირო თანხა გვასესხეთო.

**— და კალაძეებმა ფული არ მისცეს?**

— არა.

**— დაუჯერებელია! როგორც ვიცი, კახა კალაძე მინისტრის ხელფასსაც არ იღებს და ქველმოქმედებასაც ეწევა.**

— როცა ქველმოქმედება პირად რეკლამას და პიარს ემსახურება, ეს ჩვეულებრივი თაღლითობაა. მე უკვე აღარ მჯერა კახა კალაძის გულკეთილობის და ვფიქრობ, **„ქართული დასის" ლიდერი ჯონდი ბაღათურია არ ტყუის, როცა კახა კალაძეს კორუფციაში ადანაშაულებს** — ენერგეტიკის სფეროში კახა კალაძეს პირადი კომერციული ინტერესები აქვსო. **ბატონმა ბათუმ ცოტახნის წინათ თავის საცხოვრებელ ვაგონში გადაღებული ფოტო მაჩვენა და მითხრა, ეს კახა კალაძემ ჩემს პატარა შვილიშვილთან მაშინ გადაიღო, როცა ვჭირდებოდი, ახლა საკუთარ კარში გოლების გამტან ფეხბურთელს ასეთივე სურათი ბიძინა ივანიშვილის პატარა შვილთან აქვს გადაღებულიო.** სამწუხაროდ, პირადი ინტერესებით მოქმედი კაცების უმადურობას საზღვარი არ აქვს. საქმე ის არის, რომ, **როცა პოლკოვნიკი ბათუ სალინაძე სააკაშვილის დანაშაულებრივ რეჟიმს დაპატიმრებული ჰყავდა, მე კი, გერმანიაში, დევნილთა ბანაკში უფლებაშეზღუდული, პოლიტიკური დევნილის სტატუსს ველოდებოდი, ცნობილი ფეხბურთელი პრეზიდენტ სააკაშვილთან მეგობრობდა,** საქართველოში ბიზნესს აწყობდა და, საქმის „გახსნით" მადლიერი, ჩვენზე სამკვდრო-სასიცოცხლოდ წაკიდებულ პოლიციის მაღალჩინოსნებს — **ლევან გვაზავას, ირაკლი კოდუას, დავით გოგიბერიძესა** და სხვებს, მერაბიშვილის თამადობით, საჯაროდ მადლობას უხდიდა.

**— გასაგებია. ე. ი. კახა კალაძეს სააკაშვილის კარში, ანუ, ასე ვთქვათ, „საკუთარ კარში" ჯერ ბურთი გატანილი არ ჰქონდა.**

— არც მაგ ბურთის გატანის შემდეგ მობრუნებია გული ნატანჯ პოლკოვნიკზე. 7-წლიანმა პატიმრობამ, ციხის მძიმე პირობებმა და სტრესმა ხანდაზმულ მაძებარს ჯანმრთელობა შეურყია. უკვე გათავისუფლებულ პოლკოვნიკს უმძიმესი დაავადება აღმოაჩნდა. სამკურნალოდ მას სასწრაფოდ სჭირდებოდა 10 ათასი დოლარი. გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილმა ბათუ სალინაძემ ისევ კალაძეებს მიმართა და მათ სახლში დარეკა. ზარს კახა კალაძის დედამ უპასუხა. ქალბატონი მედიკო თურმე ძალიან შეწუხებულა, როცა შეუტყვია ბატონი ბათუს უმძიმესი მდგომარეობა, უთქვამს, — თქვენ იმდენი უბედურება გამოირეთ ჩვენ გამო, რომ 10 ათას დოლარს როგორ დაგამადლით, საღამოს კახა მოვა თქვენთან და ამ თანხას მოგაწვდითო.

**— და გამინისტრებულმა ყოფილმა ცნობილმა ფეხბურთელმა მძიმედ დაავადებულ პოლკოვნიკს ეს თანხა ვერ „შეუგროვა"?**

— ფაქტია: მას შემდეგ ბათუ სალინაძეს სათოფეზე არ გაჰკარებია. ეგ კი არა, ღვთის შეწეობით გადარჩენილმა სალინაძემ მოახერხა, სამსახურში მიმავალ კახა კალაძეს წინ გადადგომოდა, ის კი დაცვის თანხლებით შენობაში შევარდა.

**— იქნებ კალაძეებს აქვთ მიზეზი?**

— რა თქმა უნდა, გარდა უმადურობისა, სხვა მიზეზიც არსებობს. პოლკოვნიკ ბათუ სალინაძის ერთ-ერთი ვერსიით, ლევან კალაძის გატაცება დაკავშირებულია კახა კალაძის იტალიურ ტრანსფერთან, რომელშიც ჩარეულნი იყვნენ ცნობილი კანონიერი ქურდი **ტარიელ ონიანი**, აგრეთვე, კახა თარგამაძისდროინდელი შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსნები და ფეხბურთის ფედერაციის იმჟამინდელი პრეზიდენტი მერაბ **ჟორდანია**. უფრო ზუსტად, **პოლკოვნიკ ბათუ სალინაძეს მიაჩნდა, რომ გატაცების ორგანიზატორებმა გატაცებული ლევან კალაძის გამოსასყიდად თავდაპირველად სწორედ ის თანხა მოთხოვეს, რომელიც კალაძეებმა ამ საქმის მოსაგვარებლად შუამავლებს არ გადაუხადეს, ეს თანხა კი 600 ათას დოლარს შეადგენდა.** პოლკოვნიკის ამ ვერსიას არ იზიარებდნენ კალაძეები, პირიქით — მათ აღიზიანებდათ ბევრის მნახველი მაძებრის ეს განცხადება. სხვათა შორის, კარლო კალაძეს მეც ვკითხე ტრანსფერზე, მან კი მიპასუხა: **„კახას სატრანსფერო კონტრაქტი გააფორმა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მაშინდელმა პრეზიდენტმა ჟორდანიამ და უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა სურკისმა. კონტრაქტიდან კახას არაფერი შეხვდა. შემდეგ ამ თემაზე დიდი დაპირისპირება მოხდა მაშინდელ შს მინისტრ კახა თარგამაძესა და ჟორდანიას შორის".** საერთოდ, თანამედროვე ფეხბურთში მაფია და დანაშაული მასშტაბური მოვლენა რომ არის, ამაზე მეტყველებს თუნდაც ცოტა ხნის წინათ ფეხბურთის საერთაშორისო ორგანიზაციაში აგორებული დიდი სკანდალი და გახმაურებული დაპატიმრებები. საერთოდ, სპორტი, განსაკუთრებით კი ფეხბურთი, დღეს არა მხოლოდ დიდი ბიზნესია, არამედ პოლიტიკის მნიშვნელოვანი იარაღიც და იქ დიდძალი შავი ფული ტრიალებს.

**— გამოდის, კახა კალაძე პოლიტიკაში, პირდაპირ ფეხბურთიდან კი არა, ბიზნესიდან მოსულა. მას არც ჩვენებური მილიარდერი პოლიტიკოსის მზრუნველობა აკლია.**

▶

**ნინო ბურჭულაძე მიმტკიცებდა, რომ აფრასიძეების ბუნკერში ომეხ აფრასიძემ წაიყვანა და იქ ფული და იარაღი თავისი თვალით ნახა. იმასაც ირწმუნებოდა, რომ ბუნკერიდან რამდენიმე მეტრში კალაძის საფლავიც უნდა ყოფილიყო... თუ ნინო ბურჭულაძე აფრასიძეების ბუნკერს ვერ მაჩვენებდა, მაშინ უნდა აეხსნა, საიდან მოიტანა ეს ინფორმაცია, ვინ დაავალა, გაემყარებინა აფრასიძეების ვერსია, რა როლი ითამაშა მან აფრასიძეებთან მოლაპარაკებებში და ა.შ.**

ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «კომუნისტების ეპოქაში პატიოსნებითა და პროფესიონლიზმით განთქმული მაძებარი შევარდნაძის ახალმა «სამეგობრო» პოლიტიკამ დევნილად აქცია, სააკაშვილის «დემოკრატიულმა» რეჟიმმა — პოლიტიკურ პატიმრად. ამჟამინდელმა «ქილა ოცნებამ» კი მას ყოველგვარი ოცნების სურვილი და იმედი დაუკარგა. მიუხედავად იმისა, რომ ბათუ საღინაძის სასარგებლოდ არსებობს ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, დღემდე ირღვევა მისი უფლებები»

— გეთანხმებით, არის ამაში ჭეშმარიტების მარცვალი, სხვანაირად ძნელი ასახსნელია, როგორ შეიძლება ფეხბურთზე უზომოდ შეყვარებულმა ახალგაზრდა კაცმა, რომელსაც ისტორიკოსის განათლება აქვს, უცებ ბუცები გაიხადოს და პირდაპირ ენერგეტიკის მინისტრის სავარძელში ჩასკუპდეს. ჰო, ბუნებრივად ჩნდება კითხვა — რატომ არ ჩაუდგა ყოფილი ფეხბურთელი სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სათავეში, განა ქართული სპორტისა და ფეხბურთის აღორძინება ნაკლებად პრესტიჟულია?! რაც შეეხება ქართული მაფიოზური სტრუქტურების გავლენას ქართულ ფეხბურთზე, ამის თვალსაჩინო მაგალითია კარლო კალაძის მონათხრობი: **„ლევანის გატაცების შემდეგ, როდესაც პოლკოვნიკმა დავით კეკუამ ტარიელ ონიანთან დაახლოებული ცნობილი კრიმინალი თენგიზ გურჩიანი დააკავა, ამ უკანასკნელმა სწორედ ფეხბურთის იმჟამინდელი პრეზიდენტის — ჟორდანიას მოადგილე რატიანი მომიგზავნა, — თენგომ შემოგითვალა, დავით კეკუა ჩემ უდანაშაულობაში დაარწმუნეო“.**

**— ეს ის გურჩიანია, რომელზეც პოლკოვნიკი ბათუ საღინაძე ამბობდა, პოლიციის გენერალ სოსო ალავიძის ძმადნაფიციაო?**

— დიახ, თენგიზ გურჩიანის ახლო ურთიერთობა ცნობილ კრიმინალურ ავტორიტეტთან და პოლიციის მაღალჩინოსნებთან გახმაურებული ფაქტია. უფრო მეტიც, **როცა გენერალმა სოსო ალავიძემ თავის ჯგუფთან, პოლიციის მაღალჩინოსნებთან — ლევან გვაზავასა და დავით ბედიასთან — ერთად პარლამენტარი გოჩა ჯოჯუა გაიტაცა და ფიზიკურად გაუსწორდა, გენერალმა საქმის მოსაგვარებლად პარლამენტარს სწორედ ცნობილი კრიმინალი, თენგიზ გურჩიანი, მიუგზავნა.** გოჩა ჯოჯუა გამჭრიახი პოლიტიკოსია, მან მშვენივრად იცოდა, რომ მაფიოზური მეტასტაზები ღრმად იყო გამჯდარი სახელმწიფო სტრუქტურებში, ამიტომ დამნაშავეთა ნებას დაჰყვა და მათთან დაპირისპირებას მოერიდა.

მაგრამ ეს ამბავი ძალიან გახმაურდა. ასე რომ, **პოლკოვნიკი ბათუ საღინაძის ეჭვები თენგიზ გურჩიანის მიმართ, რომელიც აფრასიძეების კარის მეზობელი იყო სვანეთში, საფუძველს მოკლებული არ არის. იგივე შეიძლება ითქვას მეორე ცნობილ კრიმინალ ნოდარ გვიჩიანზეც, რომელმაც 2003 წლის ზაფხულში ვითომდა გატაცებული ლევან კალაძის გამოსახსნელად აფრასიძეებს 200 000 დოლარი „გადასცა“.**

**— რასაც შემდეგ სვანეთში სისხლიანი სპეცოპერაცია და მნიშვნელოვანი მოწმის ლიკვიდაცია მოჰყვა.**

— ჰო, ასეა. უფრო მეტიც — სწორედ ამ ცნობილმა დამნაშავემ მოუტანა სხვა არანაკლები „წარმატებები“ ვარდოსნებს. **„ვარდების რევოლუციით“ მოსულმა ხელისუფლებამ პოლიციელების მიერ მოკლული გირგვლიანის სისხლის „გადასარეცხად“ ნოდარ გვიჩიანის „წყალობით“ ბევრი გახმაურებული საქმე „გახსნა“.** იმხანად უკვე 4-ჯერ ნასამართლევი ნოდარ გვიჩიანის ჩვენების საფუძველზე “თელასის“ მენეჯერის — **ნიკა ლომინაძის** მკვლელობის ბრალდებით „თელასის“ თანამშრომელი **გია გვიჩიანი** დაიჭირეს. მას სამართლომ სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა. ამავე საქმეზე დააპატიმრეს გენერალი **დავით კეკუაც**, რომელიც ციხეში საეჭვო ვითარებაში დაიღუპა. სხვათა შორის, დავით კეკუა პოლკოვნიკ ბათუ საღინაძის საქმეზე სასამართლოში ჩვენების მიცემას აპირებდა, რამდენიმე დღეში კი ის საკანში ჩამომხრჩვალი ნახეს. არაერთხელ აღმინიშნავს ლევან კალაძის საქმის მონაწილის ან ამ საქმესთან დაკავშირებული ადამიანის უცნაურ აღსასრულზე. მოდი, კიდევ ერთხელ გადავავლოთ თვალი ამ სისხლიანი სერიალების ქრონოლოგიას და წინაპირობებს.

*** 2001 წელს ზაფხულში, ხობის „წარუმატებელი“ სპეცოპერაციის შემდეგ, ამ საქმეში ეჭვმიტანილი ნ. ბალავაძე და გ. ქარდავა მოკლეს;**

* 2002 წლის ნოემბერში თბილისის მე-5 იზოლატორში კალაძეების საქმეზე ეჭვმიტანილი ძმები მიქელთაძეები დახოცეს;

*** 2003 წლის გაზაფხულზე მეხუთე ეჭვმიტანილი გია ქარდავა მოკლეს;**

* 2004 წელს ჩატარდა სვანეთის გახმაურებული სპეცოპერაცია, რომელსაც მამაშვილი აფრასიძეების სიცოცხლე შეეწირა;

***კალაძის საქმეს უკავშირებენ სადახლოს პოლიციის უფროსის — უჩა ჯანელიძის მკვლელობასაც.** ერთ-ერთი ვერსიით, 2006 წლის 16 თებერვალს ლევან კალაძის გატაცებაში ეჭვმიტანილი ამისულაშვილი დააკავეს. მისი დაკავების თავდაპირველი საბაბი სადახლოს ტერიტორიაზე საზღვრის უკანონო გადაკვეთა იყო. დაკავების შემდეგ **ამისულაშვილმა** კალაძის გატაცებაში მონაწილეობა აღიარა და თანამონაწილეები დაასახელა. ამისულაშვილის ჩვენების კანონიერებაში პირველი ბზარი უჩა ჯანელიძის მეუღლემ, **ნათია ჯანელიძემ**, შეიტანა. მისი განმარტებით, მერაბ ამისულაშვილს სადახლოს გამშვებ პუნქტზე იმ მომენტში ვერ დააკავებდნენ, რადგან იგი მის მეუღლეს, ანუ სადახლოს პოლიციის მაშინდელ უფროს უჩა ჯანელიძესა და გენერალ ლევან გვაზავას მუხიანის დასახლებაში თავისუფლებააღკვეთილი ჰყავდათო. ამ ვერსიას უფრო აძლიერებს პოლკოვნიკ ბათუ საღინაძის ყოფილი ადვოკატის — **თოდუას** განცხადება: „უჩა ჯანელიძის მკვლელობა პირდაპირ კავშირში შეიძლება იყოს კალაძის საქმესთან, რადგან იგი სახიფათო ინფორმაციის მქონე იყო და ამიტომაც მოიშორეს. მოგვიანებით ქმრის, უჩა ჯანალიძის, მკვლელობაში ბრალდებული ნათია ჯანელიძე სასამართლოზე აპირებდა სიმართლის თქმას, მაგრამ მასზე განხორციელებული ზეწოლის შედეგად გადაიფიქრა...“.

**— ძალზე უცნაურია ოქროყანის ინციდენტი, რომელშიც გენერალი ლევან გვაზავა ერთდროულად მოგვევლინა ბრალდებულად და დაზარალებულად.**

— თქვენ, ალბათ, მხედველობაში გაქვთ ოქროყანის შემთხვევა, როცა ლევან გვაზავამ გაუფრთხილებლობით საკუთარი დეიდაშვილი მოკლა და შემდეგ თვითმკვლელობა სცადა.

**— ჰო, ყოველ შემთხვევაში ოფიციალური ვერსია ასეთია.**

— ფაქტია, კალაძის საქმის მთავარი გამხსნელი და პოლკოვნიკ ბათუ საღინაძის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოწინააღმდეგე გენერალი გვაზავა ამჟამად, ნებსით თუ უნებლიეთ, უახლოესი ნათესავის მკვლელობაც ხდება და თვითმკვლელობასაც შეეცდება. სხვათა შორის, არც ლევან კალაძის საქმის სხვა „გამხსნელ“ ალიბინოსნების წაუვიდათ კარგად საქმე. **კახა კალაძის მადლობის ადრესატებს მძიმე ხვედრი არგუნა ბედმა, მაგალითად, შს ყოფილი მინისტრი ვანო მერაბიშვილი ამჟამად პატიმარია; სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის ყოფილ უფროს ირაკლი კოდუაზე ძებნაა გამოცხადებული; ვანო მერაბიშვილის ყოფილი მოადგილის — ლევან გვაზავას თანამებრძოლი, კრიმინალური პოლიციის ერთ-ერთი ყოფილი ხელმძღვანელი ირაკლი ფირცხალავა, რომელიც ამაყად აცხადებდა, ლევან კალაძის საქმე მე გავხსენიო, დაპატიმრებულია. თუ ამ ყველაფერს იური ვაზაგაშვილის შემაძრწუნებელ მკვლელობას დავუმატებთ, საქმე გაცილებით რთულადაა.** საზოგადოებამ კარგად იცის, რომ იური ვაზაგაშვილის საზარელ მკვლელობას წინ უძღოდა მის მიერ საჯაროდ გაკეთებული განცხადებები. ის უმძიმეს დანაშაულში ამხელდა ლევან გვაზავას, ირაკლი ფირცხალავასა და ირაკლი ქადაგიძეს. ის ხელისუფლებას მიმართავდა, შინაგან საქმეთა სამინისტრო სავსეა ზონდერებითა და დამნაშავეებით, რომლებიც წინა ხელისუფლების პერიოდში ბნელ საქმეებს აკეთებდნენო. და აი დამნაშავე პოლიციელების წინააღმდეგ მებრძოლ შვილმკვდარ მამას გაუგონარი ცინიზმითა და სისასტიკით გაუსწორდნენ — შვილის საფლავზე აafეთქეს.

**— გამოდის, მართალი იყავით, როცა ჯერ კიდევ 2005 წლის მარტში, თანამდებობაზე დანიშნამდე, შს მინისტრ მერაბიშვილს განუცხადეთ — თქვენს გარემოცვას ვერ ვენდობი, რადგან დამნაშავეები არიანო.**

— ამ საუბარს, რომელიც ვანო მერაბიშვილის კაბინეტში შედგა, მოწმეები ჰყავდა, კახა კალაძეც ესწრებოდა.

**— რა გიპასუხათ მინისტრმა მერაბიშვილმა?**

— მითხრა, რომ ის პროფესიონალი არ იყო და ბევრი რამ არ იცოდა. გამოგიტყდებით, მაშინ მის მიმართ თანაგრძნობის განცდა გამიჩნდა.

**— და თანაშემწედ დაგნიშნათ...**

— თუმცა ისიც ფაქტია, რომ მერაბიშვილი დამნაშავე გარემოცვის გავლენის ქვეშ მოექცა...

**— და დამსახურებულად იხდის სასჯელს.**

— ვფიქრობ, ეს პრობლემა გაცილებით ღრმაა, ვიდრე ერთი კაცის შეცდომა თუ დანაშაულებრივი ქმედება. საუბედუროდ, **ჩვენ დღესაც ვერ დაგვიღწევია თავი გასული საუკუნის 80-იან წლებში „შემოჭრილი“ უკიდურესად ცალმხრივი და პრიმიტიულ ეროვნული მსოფლმხედველობისგან. დღესაც ვიკვებებით ილუზიური წარმოდგენებით თავისუფლებაზე, დემოკრატიაზე, ადამიანის უფლებებსა და სახელმწიფოებრიობაზე; დღესაც კი ბევრისთვის საბჭოთა კავშირი მხოლოდ ბოროტების იმპერიაა და მისი დანგრევა თანამედროვეობის უდიდეს მიღწევად მიიჩნევა.** არადა, ჩემი ყურით მოვისმინე გერმანიაში ცნობილი ჟურნალისტებისა და პოლიტიკოსების მოსაზრება, რომ საბჭოთა კავშირის დანგრევა კატასტროფის ტოლფასი იყო, რომელმაც მილიონობით ადამიანი, უსახსროდ დატოვა და აქამდე არნახული მიგრაციული პროცესები გამოიწვია. მსოფლიოში დაწყებულმა გავლენის სფეროების ხელახალი გადანაწილების პროცესმა მრავალი სახელმწიფო დაანგრია და დააქუცმაცა. სწორედ ამ გლობალური პროცესების შედეგია ჩვენთან დატრიალებული სამოქალაქო ომი და თავსმოხვეული ეთნოკონფლიქტები. ადამიანები სისხლსა და ძალადობას დაეჩვივნენ. ნახეთ, რა ხდება დღევანდელ ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებაში. გაავფთრებული საჯარო ორთაბრძოლები და ჯგუფური ცემა-ტყეპა ჩვეულებრივი პოლიტიკური ურთიერთობის ატრიბუტია. **გაუგებარია, რატომ უნდა ვრცელდებოდეს ამ აშკარად ხულიგნურ და გულისამრევ ძველბიჭურ საქციელის ჩამდენზე იმუნიტეტი, ეს ხომ საზოგადოებას, განსაკუთრებით — ახალგაზრდობას რყვნის?!** ძალადობის პროპაგანდისა და აღვირახსნილობის გამოძახილია ის უბედურებები, რომლებზეც ჩვენ ვისაუბრეთ. ბევრ უსამართლობაზე პასუხისმგებლობა დღევანდელმა ხელისუფლებამაც უნდა დაიკისროს. ეს არის მის მიერ უნიჭოდ შემოგდებული კოაბიტაციური პოლიტიკის შედეგი. მე მათ ვეკითხები — სად არის დაპირებული სამართლიანობის აღდგენა? **შორს რომ არ წავიდეთ, მათი უნიათო მოღვაწეობის საჩვენებლად პოლკოვნიკი ბათუ საღინაძისა და მისი ოჯახის წევრების სავალალო მდგომარეობა იკმარებდა. კომუნისტების ეპოქაში პატიოსნებითა და პროფესიონალიზმით განთქმული მაძებარი შევარდნაძის ახალმა „სამეგობრო“ პოლიტიკამ დევნილად აქცია, სააკაშვილის „დემოკრატიულმა“ რეჟიმმა — პოლიტიკურ პატიმრად. ამჟამინდელმა „ქილა ოცნებამ“ კი მას ყოველგვარი ოცნების სურვილი და იმედი დაუკარგა.** მიუხედავად იმისა, რომ ბათუ საღინაძის სასარგებლოდ არსებობს ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, დღემდე ირღვევა მისი უფლებები. **ხანდაზმული პოლკოვნიკი, რომელიც მშვიდად და უზრუნველად უნდა ატარებდეს სიბერის წლებს, დღესაც ჟანგიანი რკინის ვაგონის სარკმლიდან გასცქერის ერთ დროს მის კანონიერ მფლობელობაში არსებულ კოტეჯს, რომელშიც ოჯახთან ერთად 10 წელი გაატარა.** კიდევ ერთხელ დევნილად ქცეული ოჯახისთვის არც უკანონოდ წართმეული ქონება დაუბრუნებიათ. ის, რაც საღინაძეებს საქართველოს ხელისუფლებამ გაუკეთა, ვაიპოლიტიკოსების მიერ მტრად წაკიდებულ აფხაზ ძმებსაც არ უკადრებიათ. ამ ფონზე ჩნდება კითხვა — **სად არის დაპირებული სამართლიანობა, ის უმთავრესი პირობა, რომლისთვისაც ხალხმა „ქართული ოცნება“ აირჩია?** სამაგიეროდ, ახალ მესიად მოვლენილმა **ბიძინა ივანიშვილმა** საღინაძისთვის, გირგვლიანისა და სხვებისთვის უკანონო გადაწყვეტილებების გამომტანი მოსამართლე **მუსერიძე** და მსგავსი მარიონეტი სახელმწიფო მოხელეები სააკაშვილის რეჟიმის მსხვერპლად გამოაცხადა. ეს არა მხოლოდ გაუგონარი სამართლებრივი ნიჰილიზმია, არამედ, საერთოდ, ცინიზმის ზენიტიცაა. ცოტა ხნის წინათ სააკაშვილის რეჟიმის ერთ-ერთი გამორჩეული მსხვერპლი **სულხან მოლაშვილი** გარდაიცვალა. მისი დაკრძალვის დღეს ბატონმა ბათუმ დამირეკა და მთხოვა, ერთად მივსულიყავით ქაშვეთის ეკლესიაში, რათა იქ დასვენებული ყოფილი პოლიტიკური პატიმრისთვის პატივი მიგვეგო. იმ დღეს ეკლესიის ეზოში აუარებელი ხალხი ირეოდა. ვის არ ნახავდით სამგლოვიარო პროცესიაზე — ახალგაზრდა გოგონები ფურცლებით დარბოდნენ და მოლაშვილის მწამებელთა დასჯისთვის ხელმოწერებს აგროვებდნენ. ეკლესიიდან გამოსვლისას პოლკოვნიკმა შემაჩერა და მითხრა, — ალბათ, ჩემს სიკვდილსაც ასე სულმოუთქმელად ელოდება ყოფილი და ამჟამინდელი ხელისუფლებაო.

**— ბატონო ზურაბ, მოდი მაჟორულ ნოტზე დავასრულოთ ინტერვიუ. გამოსავალს ხედავთ?**

— თუ სამართლიანობისთვის მებრძოლი ადამიანები ერთად დავდგებით და ერთ მუშტად შევიკვრებით, მაშინ პირიქით — ჩვენ დავასაფლავებთ უნიათობას და უკეთურ ადამიანთა ზრახვებს.

ესაუბრა **თემურ ბერიძე**


ბათუ საღინაძე

ეს საინტერესოა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

უკაბელო მოწყობილობები, ისეთები, როგორებიც არის მობილური ტელეფონი და პლანშეტი, ინტერნეტთან კავშირის დასამყარებლად როუტერს იყენებს, რომელიც WLAN სიგნალს გამოსცემს ელექტრომაგნიტური ტალღების სახით. სწორედ ეს ტალღებია საზიანო ადამიანის ჯანმრთელობისთვის. ჩვენ ხშირად უგულებელვყოფთ ამ ფაქტს, რადგან, პრაქტიკულად, არაფერი ვიცით ამის შესახებ. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეს სიგნალები გამუდმებით მოქმედებს და მავნე ზეგავლენას ახდენს ჩვენს ორგანიზმზე.

# როგორ დავიცვათ თავი Wi-Fi-ს მავნე ზემოქმედებისგან



**ამის შესახებ ადრე არ საუბრობდნენ. Wi-Fi-ის უკაბელო ქსელი დღეს საყოველთაოდ გამოიყენება, მაგრამ ცოტამ თუ იცის, რომ ამ სერვისის მომსახურე პერსონალს სპეციალურ რჩევებს აძლევენ იმისთვის, რომ თავის ჯანმრთელობაზე Wi-Fi-ს მავნე ზეგავლენა მინიმუმამდე შეამციროს.**

## WI-FI – მკვლელი, რომელიც ნელ-ნელა გვკლავს



ჩვენი უკაბელო მოწყობილობები, ისეთები, როგორებიც არის მობილური ტელეფონი და პლანშეტი, ინტერნეტთან კავშირის დასამყარებლად როუტერს იყენებს, რომელიც WLAN სიგნალს გამოსცემს ელექტრომაგნიტური ტალღების სახით. სწორედ ეს ტალღებია საზიანო ადამიანის ჯანმრთელობისთვის. ჩვენ ხშირად უგულებელვყოფთ ამ ფაქტს, რადგან, პრაქტიკულად, არაფერი ვიცით ამის შესახებ. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეს სიგნალები გამუდმებით მოქმედებს და მავნე ზეგავლენას ახდენს ჩვენს ორგანიზმზე.

ბოლო კვლევების შედეგად, რომლებიც დიდი ბრიტანეთის ჯანდაცვის სააგენტომ ჩაატარა, დამტკიცდა, რომ **WI-FI როუტერი აფერხებს ბავშვებისა და მცენარეების ზრდის პროცესს.**

Wi-Fi-ს ზემოქმედების შედეგი ასეთია:

***ქრონიკული დაღლილობა;**
***ყურის ტკივილი;**
***კონცენტრაციის დაქვეითება;**
***ხშირი და ძლიერი თავის ტკივილი;**
***ძილის პრობლემები.**

ჩვენ არ შეგვიძლია ტექნოლოგიების გარეშე — ეს ფაქტია, მაგრამ უნდა ვიცოდეთ, თუ როგორ დავიცვათ თავი და ახლობლები (განსაკუთრებით ბავშვები) მათი მავნე ზემოქმედებისგან.

გთავაზობთ რამდენიმე რჩევას, Wi-Fi როუტერის უსაფრთხოდ გამოყენების ან, უკიდურეს შემთხვევაში, პოტენციური საფრთხის შემცირებისთვის:

***გათიშეთ Wi-Fi ძილის წინ;**
***გათიშეთ Wi-Fi, როდესაც არ იყენებთ;**
***შეცვალეთ უკაბელო ტელეფონი ძველებური კაბელიანი ტელეფონით;**
***ნუ დაამონტაჟებთ Wi-Fi როუტერს სამზარეულოსა და საძინებელში.**

***გათიშეთ Wi-Fi ძილის წინ;**
***გათიშეთ Wi-Fi, როდესაც არ იყენებთ;**
***შეცვალეთ უკაბელო ტელეფონი ძველებური კაბელიანი ტელეფონით;**
***ნუ დაამონტაჟებთ Wi-Fi როუტერს სამზარეულოსა და საძინებელში.**

# მეცნიერების დასკვნა: ყოველი მესამე ადამიანი შურიანია

**სამეცნიერო ჟურნალმა Science Advances-მა ესპანელი მეცნიერების დასკვნა გამოაქვეყნა. როგორც გაირკვა, ყოველი მესამე ადამიანი შურიანია.**

მადრიდის კარლოს მესამეს სახელობის უნივერსიტეტის სწავლულებმა გადაწყვიტეს, ჩაეტარებინათ კვლევა-ექსპერიმენტი, რათა გამოევლინათ, ძირითადად როგორი ტიპის პიროვნებები არსებობენ საზოგადოებაში.

როგორც აღმოჩნდა, ადამიანები პირობითად შეიძლება დაიყოს ოთხ კატეგორიად. ესენია: **შურიანები, ოპტიმისტები, პესიმისტები** და **მიმნდობნი (გულუბრყვილონი).**

ეს ფაქტი მეცნიერებმა სოციალური ექსპერიმენტის წყალობით დაადგინეს. 541 ადამიანს სთხოვეს, მონაწილეობა მიეღოთ კვლევაში. გადაწყვეტილება ინდივიდს შეეძლო მიეღო, როგორც საკუთარი ინტერესების გათვალისწინებით, აგრეთვე, მთელი ჯგუფის სასარგებლოდ.

ექსპერიმენტში მონაწილე ყოველი ადამიანის გადაწყვეტილება და მისი შედეგები კომპიუტერული ალგორითმის ანალიზის შედეგად გამოავლინეს.

შედეგად, **ადამიანების 30% შურიანი გამოდგა, რაც შეეხება ოპტიმისტს, პესიმისტსა და მიმნდობ ადამიანებს, მათი მონაცემები თანაბრად განაწილდა (ყოველ კატეგორია 20%), რაც შეეხება დარჩენილ 10%-ს, კომპიუტერმა ვერ შეძლო რომელიმე კონკრეტულ კატეგორიაში მათი შეყვანა.**

მეცნიერებმა აღნიშნეს, რომ მსგავს კლასიფიკაციად ინდივიდების დაყოფა პირველად განხორციელდა.



# რაც უფრო მეტს ივარჯიშებთ, მით უფრო დიდი ტვინი გექნებათ

**კიდევ ერთი მიზეზი ვარჯიშისთვის: რაც მეტს ივარჯიშებთ, მით უფრო დიდი ტვინი გექნებათ. აი თქვენი მოტივაცია იმისთვის, რომ ადგეთ და გაინძრეთ თუნდაც ცივ ზამთარში.**

ახალი კვლევა, რომელიც გამოქვეყნდა ჟურნალ Neurology-ში, ამტკიცებს რომ ადამიანებს, რომლებიც არ იყვნენ ფიზიკურად აქტიურები, საშუალო ასაკში ჰქონდათ შედარებით მცირე ზომის ტვინი, ვიდრე მათივე ასაკის სხვა პიროვნებებს 20 წლის შემდეგ.

ახალ კვლევაში მეცნიერებმა შეისწავლეს 1 583 ქალი და მამაკაცი, რომლებსაც არ ჰქონდათ გულის დაავადება და არ იყვნენ გონებრივად ჩამორჩენილები. დაკვირვებაში მონაწილე პირებმა თავიანთი ფიზიკური დონის შესამოწმებლად სარბენ ბილიკზე ივარჯიშეს. ოცი წლის შემდეგ კი კვლევაში მონაწილე ადამიანებმა გაიარეს კიდევ ერთი ფიტნესტესტი და ჩაუტარდათ ტვინის სკანირება. სკანირებამ აჩვენა, რომ **საშუალო ასაკის ადამიანებს, რომლებიც შედარებით ძნელად იტანდნენ ფიზიკურ დატვირთვას, უფრო სავარაუდოა, რომ წლების შემდეგ ექნებათ შედარებით მცირე ზომის ტვინი, ვიდრე მათ, ვისაც საშუალო ასაკში შეეძლო მეტი ფიზიკური დატვირთვისთვის გაძლება.**

ამასთანავე, მკვლევართა აზრით, უფრო სავარაუდოა, რომ ადამიანებს, რომლებსაც ფიზიკური დატვირთვისას არტერიული წნევა და პულსი შედარებით სწრაფად ემატებოდათ, აქვთ შედარებით მცირე ზომის ტვინი.



ჯერ კიდევ არ არის ცნობილი ცხოვრების რა მომენტში უფრო მნიშვნელოვანია ვარჯიში ტვინის მოცულობისთვის. კვლევის ავტორი მეცნიერები იმედოვნებენ, რომ მომავალ კვლევებში შეისწავლიან ამ სხვაობას და დაადგენენ, რომელი უფრო მნიშვნელოვანია ამ ორი პერიოდიდან.

# როგორ უნდა გავყინოთ სწორად ხილი და ბოსტნეული

**რაკი თანამედროვე მაცივრებს კარგი ფუნქციები აქვს, ბევრი სარგებლობს ამით და ზაფხულში თავისი მაცივრის საყინულეს ხილითა და ბოსტნეულით ავსებს, რათა ზამთარშიც ჩაიტკბარუნოს ყელი.**

მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ნებისმიერი ხილი და ბოსტნეული გასაყინად არ გამოდგება. **ნაყოფი უნდა იყოს მწიფე, არ უნდა ჰქონდეს ნახეთქი, დეფექტი და ლაქები.** გაყინვამდე კარგად უნდა გავრეცხოთ და გავამშრალოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში ნესტი ყინულად გადაიქცევა და გაყინული პროდუქტი ერთმანეთს მიეკვრება.

ცხადია, აუცილებელი არ არის იმ ბოსტნეულის გაყინვა, რომელიც ცოცხალი სახითაც ინახება. ასეთებია: სტაფილო, ჭარხალი, კომბოსტო. უმჯობესია, გავყინოთ სიმინდი, მწვანე ბარდა და ა.შ.

ბროკოლი ან ყვავილოვანი კომბოსტო ყვავილებად უნდა დავაქუცმაცოთ, ხოლო ყაბაყი რგოლებად დავჭრათ.



შესაფუთავად უბრალო პოლიეთილენის პაკეტები შეიძლება გამოვიყენოთ, მათში მოვათავსოთ იმდენი პროდუქტი, რამდენსაც ერთ ჯერზე გამოვიყენებთ. პროდუქტის პოლიეთილენში მოთავსების შემდეგ იქიდან მაქსიმალურად უნდა გამოვდევნოთ ჰაერი.

**არ შეიძლება პროდუქტი გავყინოთ, გავალღოთ და ისევ გავყინოთ.**

ეს საინტერესოა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95




# ნაგვისგან დამზადებული შოკისმომგვრელი გრაფიტული ნამუშევრები

**ხელოვნება, ფართო გაგებით, ადამიანის შემოქმედებისა და წარმოსახვის ფიზიკური გამოხატვაა ნაწარმოებებში, რომელიც აერთიანებს სინამდვილისა თუ მოგონილის მხატვრული გამოხატვის სხვადასხვა ფორმას.**

სიტყვა ხელოვნება აღიქმება, როგორც ბუნების საპირისპირო ცნება. ამ აზრით, ხელოვნებას მიეკუთვნება ყველაფერი, რაც არაბუნებრივი წარმოშობისაა, ანუ შექმნილია ადამიანის მიერ. თანამედროვე ინტერპრეტაციით, ხელოვნების განსაზღვრებები ასახავენ ესთეტიკურ კრიტერიუმებს და ტერმინი ერთნაირად შეეხება ლიტერატურას, მუსიკას, ცეკვას, დრამატურგიას, მხატვრობას, სკულპტურასა და არქიტექტურას. სიტყვა **ხელოვანს** მეტაფორული მნიშვნელობითაც იყენებენ და იგი აღნიშნავს ცოდნის, ოსტატობის მაღალ დონეს ნებისმიერ საქმიანობაში.

ვინც არ იცით, აქვე განგიმარტავთ, რომ გრაფიტი ხელოვნების ერთ-ერთი მიმართულებაა, რომელიც მოიცავს წარწერებს, ნახატებს კედლებზე ან სხვა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში. ბოლო პერიოდში თუ მსოფლიოს მთავარი ქუჩები სამ განზომილებიანმა (3D) თვალწარმტაცმა ნახატებმა მოიცვა, დღეს გამაოგნებელ გრაფიტულ ნაშრომებთან გვაქვს საქმე, რომლებიც არც მეტი და არც ნაკლები, ნაგვისგან დაამზადეს.










# რა დაემართა კაბას, რომელიც ორი წლის განმავლობაში მკვდარი ზღვის ფსკერზე ინახებოდა?






**ებრაელმა მხატვარმა სიგალიტ ლანდაუმ უცნაური პერფორმანსი მოაწყო, სახელწოდებით „მარილიანი პატარძალი“.**

პერფორმანსის განსახორციელებლად მხატვარმა სამგლოვიარო კაბა მკვდარი ზღვის ფსკერზე მოათავსა. ლანდაუს გუნდის წევრები ორი წლის განმავლობაში ჩადიოდნენ ზღვის ფსკერზე, რათა ფირზე აღებეჭდათ მბრწყინავი მარილის კრისტალების ფენის ინტენსიური ზრდა ქსოვილის ზედაპირზე. ორიგინალური სკულპტურის შექმნის იდეა მხატვარს შთააგონა კინოფილმმა „დიბუკი“. ლანდაუმ გამოიყენა შავი ფერის სამგლოვიარო კაბა, ზუსტად ისეთი, როგორიც ფილმის მთავარ გმირ ქალს ეცვა.

ორი წლის განმავლობაში სამგლოვიარო კაბა მკვდარი ზღვის ფსკერზე იყო და თანდათანობით იფარებოდა მარილის კრისტალებით.

ორი წლის შემდეგ კაბაზე მარილის იმხელა ფენა წარმოიქმნა, რომ ზღვის ფსკერიდან მისი ამოღება შეუძლებელი შეიქნა, ამიტომ კაბას რამდენიმე ფრაგმენტი მოაცილეს და ზღვაში დატოვეს.

თავისი პროექტით სიგალიტს უნდოდა, ეჩვენებინა ბუნების გასაოცარი ძალა, რომელსაც შეუძლია შეცვალოს საგნები და მოვლენები.

ამჟამად ექსპოზიცია Salt Bride („მარილიანი პატარძალი“) გამოფენილია ლონდონის მხატვრულ გალერეაში Marlborough Contemporary.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



*** 1571 წლის 29 სექტემბერს მილანში დაიბადა იტალიელი მხატვარი XXII საუკუნის ევროპული ფერწერის რეფორმატორი მხატვრობაში რეალიზმის ფუძემდებელი, ბაროკოს თვალსაჩინო წარმომადგენელი კარავაჯო (მიქელანჯელო მერიზი და კარავაჯო).**

მისი პოპულარული ტილოებია: „მოციქული მათეს მოწოდება“, „ივდითი და ოლოფერნი“, „ბაქი“, „დავითი გოლიათის თავით“, „კალათა ხილით“, „შულერები“, „ავადმყოფი ბაქკი“, „მედუზა“, „იუდას ამბორი“, „ნარცისი“ და სხვ.

გარდაიცვალა 1610 წლის 10 ივლისს.



რუბრიკა „ქრონოგრაფში“ გაეცნობით ინფორმაციას როგორც ჩვენი ქვეყნის, ასევე კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენებსა და გამოჩენილ ადამიანებზე.

# ყველაზე მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენები



*** 1880 წლის 29 სექტემბერს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ჩუნეშში დაიბადა გამოჩენილი ქართველი მწერალი ნიკო ლორთქიფანიძე.**

ის იმერელი თავადების შთამომავალი გახლდათ — წინაპრები იმერეთის მეფის კარზე მიღებული პირები იყვნენ, „ფიცის კაცებს“ უწოდებდნენ, ანუ ქვეყნის ყველაზე რთულ პერიოდში მათ ანდობდნენ ყველაზე მნიშვნელოვანი საქმეების მოგვარებას.

ჰყავდა 2 ძმა და 5 და. ძმები — იასონი და ალექსანდრე —ცნობილი საზოგადო მოღვაწეები იყვნენ.

სწავლა დაიწყო ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში, რომლის დამთავრების შემდეგ ხარკოვის უნივერსიტეტში მათემატიკის ფაკულტეტზე ჩააბარა, ცოტა ხნის შემდეგ კი იურიდიულ ფაკულტეტზე გადავიდა, თუმცა, არც ეს ფაკულტეტი დაუმთავრებია — სტუდენტურ გამოსვლებში მონაწილეობის გამო უნივერსიტეტიდან გარიცხეს.

1902 წელს გაემგზავრა ავსტრიაში და შევიდა სამთო აკადემიაში. ავსტრიაში სწავლის პერიოდი ფათერაკიანი აღმოჩნდა მწერლისთვის — „ფიცის კაცების“ შთამომავალმა შეურაცხმყოფელი გამოხდომისთვის ერთი ლექტორი დუელში გამოიწვია, ორთაბროლა ნიკო ლორთქიფანიძის გამარჯვებით დასრულდა. მეორე დუელი რუს ოფიცერთან გაუმართავს და მასშიც გაუმარჯვია. 1907 წელს ნიკო ლორთქიფანიძე ისე, რომ სასწავლებელი არ დაუმთავრებია თბილისში დაბრუნდა. 1907-1908 წლებში გერმულის მასწავლებლად მუშაობდა თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში, ეწეოდა პუბლიცისტურ და საგამომცემლო საქმიანობას, რედაქტორობდა გაზეთ „ერს“. 1912-1925 წლებში ქუთაისში ცხოვრობდა. აქ დაუახლოვდა ტიციან ტაბიძეს, პაოლო იაშვილს, კოლაუ ნადირაძეს, კონსტანტინე გამსახურდიას და სხვ.

1925 წელს ისევ თბილისში გადავიდა და პედაგოგიური მოღვაწეობა განაგრძო პოლიტექნიკურ ინსტიტუტში უცხო ენების კათედრის გამგედ. მისი რედაქტორობით გამოდიოდა ლიტერატურული ჟურნალი „ალმანახი“.

ნიკო ლორთქიფანიძეს თანამედროვეები ახასიათებდნენ დიდსულოვან, რაინდული თვისებებით გამორჩეულ, არისტოკრატული ბუნების მქონე მოკრძალებულ ადამიანად.

ნიკო ლორთქიფანიძის მიერ შექმნილი ნაწარმოებებიდან აღსანიშნავია რომანი “ბილიკებიდან ლიანდაგებზე“. ვრცელი მოთხრობები: „რაინდები“, „ტყვედ ყოფილის დაბრუნება“, „ქედუხრელნი“, „დანგრეული ბუდეები“.

ნოველები და მინიატურები: „წისქვილი“; „საბა“, „ქორწილი“, „ტრაგედია უგმიროთ“, „ტლუ ბიჭი“, „თავსაფრიანი დედაკაცი“, „ეპისკოპოზი ნადირობაზე“; „სოფლის მასწავლებელი“; „სოფლის აშიკი“. საშობაო მინიატურები (1. „სარეცელზე“, 2. „საქართველო იყიდება“, 3. „ბრმა თურქი“).

პიესები: „ქეთო“, „შეუთანხმებელი“.

ნიკო ლორთქიფანიძე გარდაიცვალა 1944 წლის 25 მაისს.



*** 1954 წლის 2 ოქტომბერს დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩოხში დაიბადა ქართველი მწერალი, სცენარისტი და კინორეჟისორი გოდერძი ჩოხელი.**

1972 წელს ჩააბარა შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალურ ინსტიტუტში. 1979 წელს, ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, მუშაობა დაიწყო კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ დამდგმელ რეჟისორად.

1980 წელს გამოიცა მისი პირველი წიგნი „წერილი ნაძვის ხეებს“. გამოცემული აქვს მოთხრობების კრებულები: „ბინდისფერი სოფელი“, „თევზის წერილები“, „შემინახე, დედაო მიწავ!“, „სულეთის კიდობანი“, „არჩევნები სასაფლაოზე“; ლექსების კრებული „ბედი მდევარი“; რომანები: „მგელი“, „მღვდლის ცოდვა“, „ადამიანთა სევდა“.

გადაღებული აქვს ფილმები: „ნამეხარი მუხა“, „ადგილის დედა“, „აღდგომის ბატკანი“, „ლუკას სახარება“, „სამოთხის გვრიტები“ და სხვ.

გარდაიცვალა 2007 წლის 16 ნოემბერს.



*** 1547 წლის 29 სექტემბერს ქალაქ ალკალა-დეენერესში (მადრიდის ავტონომიური ოლქი) დაიბადა სახელგანთქმული ესპანელი მწერალი მიგელ დე სერვანტესი (მიგელ დე სერვანტეს საავედრა), რომელმაც სახელი გაითქვა რომანით — „გონებამახვილი იდალგო დონ კიხოტ ლამანჩელი“.**

დაწერილი აქვს აგრეთვე: „სამოძღვრებო ნოველები“; „ბოშა ქალი“, „დიდსულოვანი თაყვანისმცემელი“, „სისხლის ძალა“, „სინიორა კორნელია“, „ეჭვიანი ესტრამადურელი“ და სხვ.

გარდაიცვალა 1616 წლის 22 აპრილს.



*** 75 წლის წინათ, 1941 წლის 30 სექტემბერს დაიწყო ბრძოლა მოსკოვის დასაცავად.**

ეს საბრძოლო მოქმედებები, რომელიც დიდი სამამულო ომის პერიოდში საბჭოთა და გერმანელ ფაშისტთა შორის მიმდინარეობდა ორი პერიოდისგან შედგება: თავდაცვითი (30 სექტემბერი — 4 დეკემბერი, 1941 წ.) და შეტევის (1941 წლის 5 დეკემბერი — 1942 წლის 20 აპრილი). სამხედრო ისტორიაში კი ცნობილია ოპერაცია „ტაიფუნის“ სახელით, რომელიც ჰიტლერმა შეიმუშავა სექტემბრის დასაწყისში. 20 ოქტომბერს ფაშისტები რამდენიმე ათეულ კმ მანძილზე მიუახლოვდნენ სსრკ-ს დედაქალაქს, მაგრამ საბჭოთა ჯარისკაცებმა მწარე დარტყმა აგემეს გერმანელთა არმიების დაჯგუფება „ცენტრს“ და ფაშისტები მოსკოვის მისადგომებთან შეაჩერეს. 5 დეკემბერს კი სტალინის ბრძანებით, საბჭოთა არმია შეტევაზე გადავიდა და საბჭოთა კავშირის შეიარაღებულმა ძალებმა სტრატეგიული ინიციატივა მოიპოვეს. მოსკოვისთვის ბრძოლაში სსრკ-ს მხრიდან მონაწილეობდა 1,25 მლნ ადამიანი, 1000 ტანკი და 545 თვითმფრინავი. გერმანელთა მხრიდან — 1,9 მლნ ჯარისკაცი, 2000 ტანკი და 780 თვითმფრინავი. საბჭოელებმა დაკარგეს 926 ათასი, გერმანელებმა 457 ათასი კაცი.



*** 26 წლის წინათ, 1990 წლის 3 ოქტომბერს, გერმანიის ფედერაციული (გფრ) და დემოკრატიული (გდრ) რესპუბლიკელები, რომლებიც 1949 წელს გერმანიის გაყოფის შედეგად წარმოიქმნა, მოსკოვის 1990 წლის 12 სექტემბრის შეთანხმების საფუძველზე ოფიციალურად გაერთიანდა.**

1990 წლის 3 ოქტომბერს 00 საათზე გდრ-მ შეწყვიტა არსებობა, როგორც სახელმწიფომ, დასავლეთ ბერლინმა კი, როგორც დამოუკიდებელმა პოლიტიკურმა ერთეულმა, — განსაკუთრებული საერთაშორისო სტატუსით.



*** ჩვ. წ.აღ-მდე 551 წლის 28 სექტემბერს შანდუნის პროვინციის ქალაქ ციუიფუში (ჩინეთი) დაიბადა ჩინელი მოაზროვნე და ფილოსოფოსი კონფუცი (კუნძი).**

მისმა სწავლებამ დიდი გავლენა იქონია ჩინეთისა და, საერთოდ, აღმოსავლეთის ცხოვრებაზე და ჩამოყალიბდა როგორც ფილოსოფიური სისტემა სახელწოდებით კონფუციანელობა. კონფუციმ დააარსა პირველი უნივერსიტეტი და სისტემად ჩამოაყალიბა სხვადასხვა სათავადოში შედგენილი წელთაღრიცხვა. მისი სწავლება რომელიც აღმოსავლეთ აზიაში პოპულარობით არ ჩამორჩებოდა ინდუიზმსა და ბუდიზმს, გავრცელდა ევროპაშიც.

კონფუცის პოპულარული ნაშრომებია: „მარადიული სიბრძნე“; „სიბრძნის გაკვეთილები“, „გამონათქვამები“, „გამონათქვამები სიმღერებისა და ჰიმნების წიგნი“ და სხვ.

გარდაიცვალა ჩვ.წ.აღ-მდე 479 წლის 21 ნოემბერს.



*** 1924 წლის 28 სექტემბერს სოფელ ფონტა-ლირიში (ლაციო) დაიბადა გამოჩენილი იტალიელი მსახიობი მარჩელო მასტროიანი (მარჩელო ვინჩენცო დომენიკო მასტროიანი).**

ბევრი როლი შეასრულა სახელგანთქმულ რეჟისორების — ფედერიკო ფელინის, მიქელანჯელო ანტონიონის, ვიტორიო დე სივასა ლუიმალის და სხვათა ფილმებში: „თეთრი ღამეები“, „ტკბილი ცხოვრება“, „განქორწინება იტალიურად“, „რვა-ნახევარი“, „გუშინ, დღეს, ხვალ“, „ღამე“, „ქორწინება იტალიურად“, „მზესუმზირები“, „სალამი, არტისტო“, „მშვიდობით, მამრო“, „ტერასა“, „ჯინჯერი და ფრედი“, „რა?“, „შავი თვალები“ და სხვ.

გარდაიცვალა 1998 წლის 19 დეკემბერს.



*** 1969 წლის 2 ოქტომბერს პორბანდარში (გუჯარათის შტატი, ინდოეთი) დაიბადა ინდოელი პოლიტიკოსი და საზოგადო მოღვაწე, დიდი ბრიტანეთისგან ინდოეთის დამოუკიდებლობის მოძრაობის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, ფილოსოფოსი მაჰათმა განდი (მოჰანდას კარამჩანდ „მაჰათმა“ განდი).**

მაჰათმა განდის უდიდესი ძალისხმევით, არაძალადობრივი გზით, მოიპოვა ინდოეთმა დამოუკიდებლობა დიდი ბრიტანეთისგან 1947 წლის 15 აგვისტოს. მაჰათმა განდი მოკლეს 1948 წლის 30 იანვარს.



*** 1582 წლის 4 ოქტომბერს რომის პაპის — გრიგოლ XIII განკარგულებით, გაუქმდა ჩვ.წ. აღ-მდე 45 წლის 1-ელ იანვარს იულიუს კეისრის მიერ შემოღებული კალენდარი და დაწესდა ახალი კალენდარი, რომელსაც პაპის პატივსაცემად გრიგოლის კალენდარი უწოდეს და რომელსაც დღეს თითქმის მთელი მსოფლიო იყენებს.**

1 ოქტომბერს ახალმთვარეობაა. ამ დღეს არ ღირს ახალი საქმის დაწყება. მოერიდეთ კონფლიქტს ახლობელ ადამიანთან. სასიკეთო პერიოდია კირჩხიბისა, სასწორისა და მშვილდოსნის ნიშნებით დაბადებულთათვის.

ჰოროსკოპი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რას გვიქადიან ვარსკვლავები

28 სექტ. - 4 ოქტ. ასტროლოგიური პროგნოზი

## ვერძი 21 მარტი — 20 აპრილი

ვიდრე ახალი პროექტის ან იდეის განხორციელებას დაიწყებთ, დარწმუნდით, რომ თქვენ გარშემო არიან ადამიანები, რომლებიც გაჭირვების ჟამს მხარში ამოგიდგებიან.

წარმატებას მიაღწევენ ვერძები, რომელთა სამუშაოც დაკავშირებულია კონტაქტების დამყარებასთან, მოლაპარაკებებთან და ინფორმაციის მოპოვებასთან.

დაქორწინებული ვერძების უთანხმოება საყვარელ ადამიანთან წარსულს ჩაბარდება და მათი ურთიერთობა ჰარმონიულად წარიმართება.

შეიძლება გაგიმწვავდეთ ისეთი ქრონიკული დაავადება, როგორიც არის გასტრიტი. დაიცავით დიეტა და უარი თქვით ალკოჰოლურ სასმელზე.

**დადებითი დღე: 3 ოქტომბერი.**
**უარყოფითი დღე: 28 სექტემბერი.**

## კურო 21 აპრილი — 21 მაისი

ახალგაცნობილმა ადამიანმა შესაძლოა შემოგთავაზოთ კოლექტიურ პროექტში ჩართვა, უარს ნუ იტყვით, რადგან სამომავლოდ ამ პროექტისგან სარგებელს ნახავთ.

არ არის გამორიცხული, გაგირთულდეთ ფინანსური მდგომარეობა. ამ შემთხვევაში ერთადერთი გამოსავალი ბანკიდან კრედიტის აღება იქნება.

კომპრომისის სურვილის უქონლობამ შეიძლება კონფლიქტური ვითარება შექმნას თქვენს ოჯახში. თუ ემოციებს არ მოთოკავთ და არ დათმობთ, თავს ამოყოფთ ისეთ კონფლიქტში, რომლის მოსაგვარებლად საკმაო დრო დაგჭირდებათ.

ყურადღება მიაქციეთ სასუნთქი გზების სისტემას. დიდია ინფექციური დაავადების გამწვავების ან გაცივების ალბათობა.

**დადებითი დღე: 2 ოქტომბერი.**
**უარყოფითი დღე: 28 სექტემბერი.**

## ტყუპი 22 მაისი—21 ივნისი

ობიექტურად შეაფასეთ თქვენი შესაძლებლობები. შეიძლება მოგეჩვენოთ, რომ ნებისმიერ ამოცანას გადაწყვეტთ და ბევრი საქმის შესრულებას დაიკისრებთ, მაგრამ, გაითვალისწინეთ, რომ ადამიანის ძალები ამოუწურავი არ არის, და შესრულებას იმ საქმეებისა, რომლებსაც შეეჭიდეთ, შეიძლება რამდენიმე ადამიანის ძალისხმევა დასჭირდეს.

ტყუპებისთვის ამ პერიოდში ძალიან მნიშვნელოვანია, გულწრფელობა გამოავლინონ საყვარელ ადამიანთან ურთიერთობისას, რათა კონფლიქტი თავიდან აიცილონ.

დიდია გულ-სისხლძარღვთა ქრონიკული დაავადების გამწვავების ალბათობა. გაიარეთ კონსულტაცია ექიმთან და ჩაიტარეთ პროფილაქტიკური პროცედურები.

**დადებითი დღე: 2 ოქტომბერი.**
**უარყოფითი დღე: 29 სექტემბერი.**

## კირჩხიბი 22 ივნისი—22 ივლისი

სასიკეთო პერიოდია, შეეცადეთ, ყველა საქმეს, რომელსაც ხელმძღვანელობა დაგავალებთ, შემოქმედებითად მიუდგეთ, ოღონდ გაითვალისწინეთ, რომ ამ საქმეების შესრულებას დიდი დრო და ძალისხმევა დასჭირდება.

ნუ გასცემთ დაპირებას და გაფრთხილდით ფინანსურ დოკუმენტზე ხელის მოწერისას.

დაქორწინებული კირჩხიბების ურთიერთობა საყვარელ ადამიანთან უღრუბლო იქნება. მარტოხელების ურთიერთობა კი საწინააღმდეგო სქესის ახალგაცნობილ წარმომადგენელთან მოკლე ხანში შეიძლება დასრულდეს.

მაღალია შარდ-სასქესო სისტემის დაავადების გამწვავების ალბათობა. ჩაიტარეთ პროფილაქტიკური პროცედურები.

**დადებითი დღე: 30 სექტემბერი.**
**უარყოფითი დღე: 2 ოქტომბერი.**

## ლომი 23 ივლისი —22 აგვისტო

დაძაბული პერიოდია იმ ლომებისთვის, რომელთა სამსახურიც დაკავშირებულია ადამიანებთან ურთიერთობასთან — ფსიქოლოგებისთვის, პედაგოგებისა და ჟურნალისტებისთვის. არც ფინანსური მდგომარეობა იქნება სტაბილური, ამიტომ ეძებეთ შემოსავლის დამატებითი წყაროები.

უსიამოვნება, რომელსაც საყვარელ ადამიანთან ურთიერთობისას შეიძლება შეეჯახოთ, გამოწვეული იქნება თქვენი უყურადღებობით ან წინდაუხედავი საქციელით. კარგად დაფიქრდით, ვიდრე რამეს იტყვით.

შეეცადეთ, თავი აარიდოთ სტრესულ სიტუაციებს და მეტი დაისვენოთ ბუნების წიაღში. კარგი იქნება, თუ სუნთქვით სავარჯიშოებს შეასრულებთ.

**დადებითი დღე: 29 სექტემბერი.**
**უარყოფითი დღე: 1 ოქტომბერი.**

## ქალწული 23 აგვ. —23 სექტემბ.

ნუ გასცემთ დაპირებებს, რადგან თქვენგან დამოუკიდებელი გარემოებების გამო, შეიძლება, ვერც ერთი ვერ შეასრულოთ და რეპუტაცია შეგელახოთ. კარგი პერიოდია საყოფაცხოვრებო საკითხების მოსაგვარებლად — ბინაში რემონტის ჩასატარებლად ან სულაც საცხოვრებელი ადგილის შესაცვლელად.

შესაძლოა მიიღოთ დამატებითი შემოსავალი.

მეტი მზრუნველობა გამოიჩინეთ საყვარელი ადამიანის მიმართ. მოუწყვეთ მას სიურპრიზი, რომანტიკული ვახშამი თქვენს ურთიერთობას ჰარმონიას დაუბრუნებს.

თუ ზომიერებას დაკარგავთ, ალკოჰოლურმა სასმელმა შეიძლება ჯანმრთელობა შეგირყიოთ.

**დადებითი დღე: 1 ოქტომბერი**
**უარყოფითი დღე: 29 სექტემბერი.**

## სასწორი 24 სექტ. — 23 ოქტ.

გეგმებისა და იდეების განსახორციელებლად საკმარისზე მეტი გექნებათ მოთმინებაც, ენერგიაც და მოხერხებაც. ამასთანავე, რთული პრობლემების მოსაგვარებლად მხარში ამოგიდგებიან ოჯახის წევრები და ახლობლები. ფულს საკმაოდ ბევრს გამოიმუშავებთ, მაგრამ ბევრსაც დახარჯავთ გაუთვალისწინებელი გარემოებების გამო.

მეტი მზრუნველობა გამოიჩინეთ ოჯახის უმცროსი წევრების მიმართ, დაეხმარეთ მათ პირადი პრობლემების მოგვარებაში.

თავი აარიდეთ ალკოჰოლურ სასმელებს და ყურადღებით მართეთ ავტომობილი.

**დადებითი დღე: 4 ოქტომბერი**
**უარყოფითი დღე: 28 სექტემბერი.**

## მორიელი 24 ოქტ. — 22 ნოემბ.

მორიელებს, რომლებიც ჩართულნი არიან დიდ ბიზნესში, ძალიან მნიშვნელოვანი მოგზაურობა და მოლაპარაკებები ელით. სწორედ ამ შეხვედრებსა და მოლაპარაკებებზე იქნება დამოკიდებული მათი ბიზნესის განვითარება.

ამ პერიოდში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება თქვენი ფინანსური მდგომარეობა.

თქვენს შეშფოთებას გამოიწვევს ვითარება, რომელშიც აღმოჩნდება ახლობელი ადამიანი, მაგრამ, თუ მისი დახმარება გსურთ, მშვიდად, ცივი გონებით უნდა იმოქმედოთ.

მორიელები, რომლებსაც აწუხებთ არტერიული წნევა, აუცილებლად უნდა გაესინჯონ ექიმს და ჩაიტარონ პროფილაქტიკური პროცედურები.

**დადებითი დღე: 1 ოქტომბერი**
**უარყოფითი დღე: 28 სექტემბერი.**

## მშვილდოსანი 23 ნოემ. — 21 დეკ.

წარმატებას მიაღწევენ მშვილდოსნები, რომლებიც დაკავებული არიან საკუთარი ბიზნესით. შესაძლოა მიიღოთ საინტერესო შემოთავაზება უცხოელი პარტნიორებისგან და უარი არ თქვათ, რადგან ახალ პროექტში მონაწილეობა დიდ სარგებელს მოგიტანთ. არ არის გამორიცხული, გააქტიურდნენ თქვენი არაკეთილმოსურნეები. ამიტომ ყოველი სიტყვა და ნაბიჯი კარგად აწონ-დაწონეთ.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა ჰარმონიულად წარიმართება — თქვენს ურთიერთობაში ახალი სასიამოვნო შტრიხები გაჩნდება, რაც სიხარულს მოგგვრით. მარტოხელა მშვილდოსნებს კი საწინააღმდეგო სქესის ახალგაცნობილ წარმომადგენელთან რომანტიკული თავგადასავალი ელით.

დიდია ტრამვირების ალბათობა. ფრთხილად გამოიყენეთ საყოფაცხოვრებო ხელსაწყოები და ყურადღებით მართეთ ავტომობილი.

**დადებითი დღე: 30 სექტემბერი.**
**უარყოფითი დღე: 2 ოქტომბერი.**

## თხის რქა 22 დეკემ. — 20 იან.

წარმატებას მიაღწევთ მოლაპარაკებებში, რომლის შედეგიც სამომავლოდ სარგებელს მოგიტანთ. შესაძლოა, ჭორების ან ინტრიგის მსხვერპლი შეიქნათ. თუ უყურადღებოდ დატოვებთ პროვოკაციებს, რეპუტაცია გაგიმტკიცდებათ. ფინანსური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ეძებეთ შემოსავლის დამატებითი წყაროები.

დაქორწინებულ თხის რქებს მეტი ყურადღების გამოჩენა დასჭირდებათ შვილების მიმართ, რომლებსაც დახმარება დასჭირდებათ სკოლაში შექმნილი პრობლემების მოსაგვარებლად.

თხის რქები, რომლებსაც გულ-სისხლძარღვთა დაავადება აწუხებთ, უნდა შეეცადონ, ეს პერიოდი წყნარად და მშვიდ გარემოში გაატარონ. გაითვალისწინეთ, რომ განსაკუთრებით სახიფათოა 28-29 სექტემბრის პერიოდი.

**დადებითი დღე: 30 სექტემბერი.**
**უარყოფითი დღე: 28 სექტემბერი.**

## მერწყული 21 იან. — 19 თებ.

დაგიგროვდებათ ბევრი წვრილმანი პრობლემა, რომლებიც ერთ მშვენიერ დღეს დაგატყდებათ თავს, ამიტომ ახლავე სცადეთ მათი მოგვარება.

შესაძლოა, აღმოჩნდეთ გაორებულ მდგომარეობაში: ერთი მხრივ, სამსახურში ბევრი რამ გამოგივათ, მეორე მხრივ კი, გაგიძნელდებათ თავიდან აიცილოთ უთანხმოება, რომელიც, არ არის გამორიცხული, წარმოიქმნას საყვარელ ადამიანთან ურთიერთობაში.

შეეცადეთ, მეტი მზრუნველობა გამოიჩინოთ ოჯახის წევრების მიმართ.

მაღალია სახსრების, საერთოდ, სამოძრაო აპარატის დაავადების გამწვავების ალბათობა. შეეცადეთ, მეტად დაიტვირთოთ ფიზიკურად - შეასრულოთ სავარჯიშოები სუფთა ჰაერზე.

**დადებითი დღე: 3 ოქტომბერი.**
**უარყოფითი დღე: 29 სექტემბერი.**

## თევზები 20 თებ. — 20 მარტი

ეს პერიოდი სასიკეთო არ არის ახალი საქმის დასაწყებად, სამუშაო ადგილის შესაცვლელად და, საერთოდ, რადიკალური ცვლილებების განსახორციელებლად. სჯობს, მიმდინარე საქმეებით დაკავდეთ.

შესაძლოა, მიიღოთ დამატებითი შემოსავალი, რაც წარსულში შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება იქნება.

მარტოხელა თევზებმა, შესაძლოა, გაიცნონ საწინააღმდეგო სქესის მომხიბვლელი წარმომადგენელი, რომელთანაც ურთიერთობის გაღრმავებას მოისურვებენ. დაქორწინებულ თევზებს კი ოჯახის პრობლემების მოსაგვარებლად მოუწევთ ზრუნვა.

ზოგიერთი თევზები შეიძლება სახსრებისა და კუნთების ტკივილმა შეაწუხოს, ჯანმრთელობის გაუარესების შემთხვევაში თვითმკურნალობას ნუ დაიწყებთ და აუცილებლად გაესინჯეთ ექიმს.

**დადებითი დღე: 4 ოქტომბერი.**
**უარყოფითი დღე: 29 სექტემბერი.**

მოამზადა ნიკა კორინთელმა

# რა უნდა ვისწავლოთ ევროპელებისგან



**შვეიცარიის მთავრობამ რეფერენდუმის შედეგები გამოაქვეყნა. მოსახლეობას ორი კითხვა დაუსვეს — სურთ თუ არა პენსიის გაზრდა 10%-ით და სურთ თუ არა, რომ მათი ქვეყნის უშიშროების სამსახურს ჰქონდეს მოქალაქეების მოსმენისა და მათი ელექტრონული ფოსტის კონტროლის უფლება?**

გამოკითხულთა 65,5%-მა აღნიშნა, რომ პენსიის მომატება უმართებულოა, რადგან ეს ბიუჯეტს დააწვება, ხოლო მოსმენა და კონტროლი არ იქნება ცუდი, რადგან ევროპა სერიოზული საფრთხის წინაშე დგას და ყველა ქვეყანაში ტერორისტების ეშინიათ. გადაწყდა, რომ პენსია არ მოიმატებს, ხოლო უშიშროების სამსახური თვეში ერთხელ საეჭვო რეპუტაციის მქონე მოქალაქეებს მოუსმენს.

ეს ყველაფერი რომ წავიკითხე, ზაარბრიუკენის უნივერსიტეტის პროფესორი გამახსენდა, გერმანიიდან სტუმრად იყო ჩამოსული და გაზეთებზე ვკითხე, როგორ იყიდება, რა სისტემაა-მეთქი. ჰოდა, იმანაც ამიხსნა, სტელაჟებზე ალაგია, მიხვალ, აიღებ, ბარათს გაატარებ და წახვალ შენთვის, გამყიდველი არ ჰყავსო.

და ისე რომ აიღო, ბარათი რომ არ გაატარო, რა მოხდება-მეთქი და... რატომ არ უნდა გაატაროო? — თვალები შუბლზე აუვიდა პროფესორს.

**ახლა წარმოიდგინეთ ანალოგიური გამოკითხვა რომ ჩატარდეს საქართველოში, რა შედეგს მივიღებთ: ჯერ ერთი — რეფერენდუმზე ხალხის გამოყვანა გაჭირდება, რადგან პოლიტიკური კულტურა, რბილად რომ ვთქვათ, სასურველ დონეზე არ არის, და მეორეც — მოსახლეობა არ დაინტერესდება, რა დაემართება ბიუჯეტს, ისე იტყვის თანხმობას პენსიის მომატებაზე და კატეგორიულ უარს — მოსმენაზე. ჰოდა, სანამ იმ დონემდე არ მივალთ, რომ გერმანელი (ფრანგი, შვეიცარიელი, დანიელი...) პროფესორი გაოცებით არ გვკითხავს, რატომო, მანამდე არაფერი გვეშველება.**



„საქართველო და მსოფლიოს" რედაქცია მწუხარებით იუწყება, რომ გაზეთ „ასავალ-დასავალის" დამფუძნებელსა და მთავარ რედაქტორს — ლაშა ნადარეიშვილს გარდაეცვალა დედა

**ნინო ოქროსცვარიძე**

პანაშვიდი:
28 სექტემბერს,
17 საათზე.
დაკრძალვა:
29 სექტემბერს,
14 საათზე.

**მისამართი:** თბილისი, იყალთოს ქ. №8, II სადარბაზო, III სართული (ბუკიას ბაღთან, ყოფილი კაფე „ნიკალას" უკან მდებარე კორპუსი).

ირაკლი თოდუა მწუხარებით იუწყება, რომ გაზეთ „ასავალ-დასავალის" დამფუძნებელსა და მთავარ რედაქტორს — ლაშა ნადარეიშვილს გარდაეცვალა დედა

**ნინო ოქროსცვარიძე**

და უსამძიმრებს გარდაცვლილის ოჯახს.

# მიშას ღირსი ხართ, მიშასი!

**ცოტა ხნის წინათ გამართულ ლიტერატურული პრემია „საბას" დაჯილდოების ცერემონიას სამების ტაძრის მგალობელთა გუნდის ხელმძღვანელი სვიმონ ჯანგულაშვილი გამოეხმაურა.**

„ის, რაც მე საბას დაჯილდოების ცერემონიაზე ვნახე, იყო სრულიად ამაზრზენი და მე კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ქართველები სერიოზულად ვართ ავად. დაჯილდოება დამთავრდა და კონცერტი დაიწყო. დაწყებულ კონცერტზე წამოხტნენ პატივცემული და პატივნაცემი ნომინანტები, დაჯილდოებულნიც და დაუჯილდოებელნიც, მათი მეეგობარ-ახლობლები და ხმამაღლა, გამოთქმით ულოცავდნენ ერთმანეთს და დაწყებული კონცერტის (რომელიც მათ ეძღვნებოდა) ფონზე, ხმამაღლა, სრულიად გრუზინულ-თათქარიძისეული ხორხოცით გაემართნენ მაყურებელთათვის განკუთვნილი სკამების უკან გაშლილი ფურშეტისკენ..."

ამის შემდეგ ბატონი სვიმონი იმასაც წერს, როგორ ნთქავდნენ საკვებს ნომინანტები, როგორ უყვიროდნენ ოფიციანტებს, საჭმელი დაგვიმატეთო და როგორ უარობდნენ ოფიციანტები, ჯერ კონცერტი და მერე ფურშეტიო...

**„სამარცხვინო იყო, რაც მე ვნახე. ამ ხალხს, „საბა" კი არა, მართლა ის ეკუთვნის, მე მგონი, ქე რო წინა პრეზიდენტი ემუქრებოდა",** — წერს ჯანგულაშვილი.



**საზოგადოდ, ნომინანტთა, პატივცემულთა, დაჯილდოებულთა თუ დასაჯილდოებელთა უმრავლესობა, ძირითადად, ასე იქცევა ხოლმე – ცდილობს, ხელისუფლებას დაუახლოვდეს და წინა პრეზიდენტსაც ქე ჰყავდა დაახლოებული ელიტა... უფრო სწორად, გაახალგაზრდავებულ-გაბოზებული ელიტა, ძველები ჩარეცხა, ახლები გარეცხა და ისე ექცეოდა, როგორც ხარჭებს (ქალი და კაცი სულერთი იყო) და რატომ გიკვირთ, რომ ეს და ის ადამიანები, აკეთებენ იმას, რასაც მიჩვეულნი იყვნენ, რასაც ასწავლიდნენ და რასაც უყურებდნენ. ხშირად მსმენია, ბევრ კითხვებს აჩენს „საბაო" და ანახვეთ ხალხს პირდაპირ ეთერში ეგ ნაფურშეტალი ხალხი და კითხვებიც აღარ იქნება.**



# ეუთოს განცხადებით, დონბასში დაქირავებული ქართველი მებრძოლები არიან

**ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთო) სპეციალური სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლებმა დონბასთან ახლოს, დაპირისპირებული მხარეების შეხების ხაზზე „ქართული ლეგიონის" ჯარისკაცების არსებობის შესახებ განაცხადეს.**

„ეუთოს მიის დამკვირვებლებმა 20 სექტემბერს ფრონტის ხაზიდან 3 კმ-ით დაშორებულ სოფელ ტროიცკიში, რომელსაც უკრაინის ხელისუფლება აკონტროლებს, უკრაინის შეიარაღებული ძალების წარმომადგენელთა შორის ნახეს 2 ჯარისკაცი, რომლებსაც ჰქონდათ ამოსაცნობი ნიშნები — „ქართული ლეგიონი," — განაცხადა ეუთოს მისიის პრესსამსახურის წარმომადგენელმა და დასძინა, რომ „ ჯარისკაცები ერთმანეთში ქართულად საუბრობდნენ. ხოლო ადგილობრივების განცხადებით, მათ სოფელში, რამდენიმე მოსახლის სახლში ქართული წარმოშობის ჯარისკაცები ცხოვრობენ".

ეუთოს სპეციალური სადამკვირვებლო მისია დონბასში 2014 წლის მარტიდან მუშაობს. დამკვირვებელთა ძირითადი ამოცანა ვითარების გაკონტროლება და კონფლიქტში ჩართულ მხარეებს შორის დიალოგის გამართვაა.

Ria.ru

# «პაატამ ბურჭულაძე დატოვა» ანუ როგორ აშანტაჟებდა პაატა ბურჭულაძე «გირჩის» ლიდერს



**„პაატა ბურჭულაძე მაშანტაჟებდა, რომ, თუ „გირჩი" ვერ შეძლებდა გარკვეული ფინანსების მოძიებას, „გირჩის" წევრები ამოღებული იქნებოდნენ პარტიული და ბლოკის სიიდან, — განაცხადა ახალი პოლიტიკური ცენტრის — „გირჩის" ერთ-ერთმა ლიდერმა ზურაბ ჯაფარიძემ. პაატა ბურჭულაძის კოალიციის კიდევ რამდენიმე წევრის დატოვების გამო სოციალურ ქსელში სარკასტული ფრაზა გავრცელადა — „პაატამ ბურჭულაძე დატოვა".**



ჯაფარიძის განცხადებით, პაატა ბურჭულაძესთან პირველი პრობლემა სიის შედგენისას გაჩნდა. „პირველი პრობლემა გაჩნდა სიის შედგენისას, კონკრეტულად, იაგო ხვიჩიას მიმართ, როდესაც მისი „ფეისბუქსტატუსები" დაუდეს პაატა ბურჭულაძეს. თუმცა, მაშინ ამ პრობლემის მოგვარება შევძელით. დღეს პაატა ბურჭულაძემ მითხრა, რომ სურდა „გირჩის" წევრების სიიდან ამოღება. ჩემზე არ იყო საუბარი. მან მითხრა, რომ მე ვიქნებოდი სიაში და შევიდოდი პარლამენტში. ეს ადამიანი მე მაშანტაჟებდა, რომ თუ „გირჩი" ვერ შეძლებდა გარკვეული ფინანსების მოძიებას, „გირჩის" წევრები ამოღებული იქნებოდნენ პარტიული თუ ბლოკის სიიდან. რა თქმა უნდა, მე განვუცხადე უარი, ეს იყო შანტაჟი, მას თანხა არა ბლოკისთვის, არამედ პირადი მოხმარებისთვის სჭირდებოდა", — განაცხადა ზურაბ ჯაფარიძემ.

პაატა ბურჭულაძის „მოძრაობა — სახელმწიფო ხალხისთვის" „გირჩმა" 26 სექტემბერს დატოვა. საარჩევნო კოდექსის თანახმად, 27 სექტემბერს, 18:00 საათზე, გადის ვადა, როდესაც კანდიდატებს შეუძლიათ ოფიციალურად მოხსნან კანდიდატურა მაჟორიტარობიდან ან პარტიული სიიდან.

„გირჩის" წარმომადგენელთა განცხადებით, ისინი 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობას არ მიიღებენ. თუმცა, პოლიტიკურ საქმიანობას პარტია აქტიურად განაგრძობს.

**პაატა ბურჭულაძეს კი ახლა ისღა დარჩენია, თვითონაც დატოვოს თავისი პარტია.**

## ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგეოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

**ტელ: 599-722-138; 247-58-83**
**მის.: წერეთლის №142, I სართ.**
**კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი**

ესტუმრეთ ჩვენს საიტს

პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru

ISSN 2233-3894

9 772233 389009